

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური
წყაროების კომისია

არისტაკან ლასტივერტიცი

ი ს ტ ო რ ი ა

ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და
საძიებლებით გამოსცა

ე. ცაგარეიშვილმა.

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორია“, რომელიც მოიცავს სომხეთისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების თავგადასავალს 1001—1072 წწ., სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშთაგანია.

არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორია“-ში ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული საქართველოს შესახებ, კერძოდ კი, დაწვრილებით არის აღწერილი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XI საუკუნეში. ნაშრომის ღირსება იმითაც იზრდება, რომ ავტორი თანამედროვე და ხშირად თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა.

აღნიშნული ნაშრომის ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება. იგი შესრულებულია „ისტორიის“ სომხური ტექსტის 1963 წლის კრიტიკული გამოცემიდან. თარგმანს ახლავს წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე

ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ლ. ჯანაშია, ს. ჯიქია

სომხური წყაროების სერიის რედაქტორი: ლ. ჯანაშია

© გამომცემლობა „მეცნიერება“ 1974

10604

ლ M 607(03)—74

არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“*

არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულება „ისტორია“ შუა საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები 1001—1072 წლებით იფარგლება.

XI საუკუნეში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არისტაკესი, სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მრავალმხრივ საყურადღებო მომენტებით ხასიათდებოდა.

როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ჰ. მანანდიანი, „XI საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, სომხეთისა და საერთოდ წინა აზიის ისტორიაში დაიწყო ერთი ახალი პერიოდი, რომელიც თავისი შედეგებით დაამანგრეველი და შემადარწუნებელი იყო ამ ქვეყნების პოლიტიკური თუ კულტურული განვითარებისათვის. სწორედ ამ საუკუნიდან დაწყებული სომხეთსა და წინა აზიაში დაამკვიდრეს თავიანთი ბატონობა ჯერ თურქ-სელჩუკებმა, შემდეგ კი თურქულმა, მონღოლურმა და სხვა ტომებმა, რომლებმაც თანდათანობით დაიპყრეს ადგილობრივი ხალხები და შექმნეს თავიანთი ახალი სამფლობელოები“¹.

აღნიშნულ პერიოდში სომხეთის სახელმწიფოს უხდებოდა ორი დამპყრობლის — ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა აგრესიის მოგერიება. ჯერ კიდევ X საუკუნის II ნახევარში, როდესაც სომხეთის რამდენიმე სამხრეთი ოლქი განთავისუფლდა არაბთა ბატონობისაგან, ბიზანტიამ ისარგებლა მომენტით და აღარ დააყოვნა ზოგი მათგანის დაპყრობა.

სომხეთის ტერიტორიაზე მთელი რიგი წვრილი ფეოდალურ სამეფოების (ვასპურაკანის, ტაშირ-ჰორაკეტის, ვანანდის, სივნიგ-

* წინამდებარე ნაშრომი ჯერ კიდევ 1965 წელს გადაეცა გამოსაქვეყნებლად საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროებზე, კუჭნსაძეს.

¹ ლ. შ ა ნ ა ნ დ ი ა ნ. ჩინასიანი ოხიოკიანი ახუ მჟიფიფიფი. კომილ-ქუან. ლაოთი III. XI դարის მხინჯი XV დარის სსუფრუ სნსილან. 1952. გვ. 7.

თის) დაპირისპირება და არაკეთილი განწყობილება შირაკის ბაგრატიონიანთა დინასტიის მიმართ მტერს ხელს უწყობდა ადვილად დაეპყრო ქვეყანა და საფუძვლიანად დაპატრონებოდა მას.

X საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის I მეოთხედში (ნიკეოზორე ფოკას, იოანე ციმისხის, ბასილ II-ის მეფობის დროს) ბიზანტიამ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია². ბიზანტიის დაპყრობითმა პოლიტიკამ საქართველოსა და სომხეთის მიმართ განსაკუთრებით აგრესიული ხასიათი ბასილ II კეისრის დროს მიიღო. ბასილის მმართველობის მთავარი მიზანი იყო საზღვომწიფოს ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ბულგარელებისა და სხვა სლავი ტომების საბოლოო დამორჩილება. ბიზანტიის ძალაუფლების განმტკიცებამ და არაბთა სახალიფოს საბოლოო დაკნინებამ ხელი შეუწყო ბასილ II-სა და მის მემკვიდრეებს თავისი აგრესია ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ მიემართათ.

როგორც ცნობილია, სომხებისა და ქართველების ერთობლივმა ბრძოლამ სამხრეთ ტაოს დასაცავად და სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მარცხი განიცადა. იგი განსაკუთრებით მძიმე შედეგით დამთავრდა სომხეთისათვის: 1045 წელს ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიას შეუერთდა³.

XI საუკუნის II ნახევარში ამიერკავკასიას ახალი უბედურება დაატყდა თავს. ირანის, ერაყის, ირანის აზერბაიჯანისა და სამხრეთის სხვა ქვეყნების დაპყრობის შემდეგ, 1048 წელს თურქ-სელჩუკები სომხეთში შემოიჭრნენ და დიდი საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიის იმპერიასაც. ბიზანტიელთაგან დარბეული ამიერკავკასიის ტერიტორია ორი ძლიერი დამპყრობის — ბიზანტიელებისა და თურქ-სელჩუკთა ურთიერთქმედობისა და შეტაკებების ასპარეზად გადაიქცა. თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა უზარმაზარი ლაშქრით სასტიკად ააოხრა აღმოსავლეთ საქართველო და სომხეთი. ბიზანტია უძლური შეიქნა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში და XI

² H. Gelzer. Abriss der byzantinischen Kaiser geschichte, გვ. 980—986. Geschichte der byzant. Lit. von K. Krumbacher. München. 1897. გვ. 1003—1006. Н. А. С ка ба ла но в и ч. Византийское государство и церковь в XI веке. СПб. 1894. გვ. 185—191. В. Розен. Император Василий Болгаробойца, извлечения из летописи Яхн Антиохийского, издал, перевел и объяснил В. Р. Розен. СПб. 1883. გვ. 72—82.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 131—142. ო. შ ა ნ ა ნ ი ქ ა ნ. ჩინასკანი იხსილქონ ... გვ. 21—30.

საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი ძალაუფლება და გავლენა ამიერკავკასიის ქვეყნებზე.

ამიერიდან სომხეთი და საქართველო თურქ-სელჩუკთა ძარცვა-რბევის ასპარეზად იქცა. შემადრწუნებელი იყო ორივე ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება⁴. ერთ აუწერელი უბედურება დაატყდა თავს ამიერკავკასიის ხალხებს, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბევრ იმდროინდელ მოღვაწეზე. სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება არისტაკეს ლასტივერტეცი. მან თავის თხზულებაში, როგორც თვითმხილველმა იმ ეპოქის კირ-ვარამისა, საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შემოინახა არა მარტო სომხეთის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების შესახებაც. „ისტორიის“ შესავალ ნაწილში მას გარკვევით, კონკრეტულად აქვს მოცემული თანამედროვე ეპოქის სურათი, რომელიც ნაწარმოების ცალკეულ თავებში უფრო დაწვრილებითაა ისტორიკოსის მიერ წარმოდგენილი: „ტანჯვა-წვალების დღეები დაგვიდგა და აუტანელ გაჭირვებაში ჩაგვაგდო ჩვენ, — წერს ისტორიკოსი, — რადგანაც აივსო და გადმოდინდა ჩვენი ცოდვების საზღვარი და ძახილი აღმოგვხვდა ღვთის წინაშე. ყოველმა ადამიანმა წარყვნა თავისი ცხოვრების გზა და ქვეყანა აივსო ურჯულოებით. დაკნინდა სამართლიანობა და გამრავლდა ბიწიერება. ერმა და მღვდელმა მოატყუეს ღმერთი, რის გამოც უცხო ტომებმა გაგვაძივეს ჩვენი სამკვიდროდან. შეიბღალა ჩვენი დიდება, სუნთქვა შეგვეკრა და დავკნინდით ჩვენი იმედისაგან მოწყვეტის გამო. გახშირდა სიკვდილიანობა და შთანთქა [ირგვლივ ყოველივე]. დაღუპდა ქვეყნელი. ყველანი თავს დაგვაცხრნენ და ჩვენი აღსასრულის დღეებში დრომ არ დაინდო სასჯელს გადარჩენილები. თაობებმა თაობები შეცვალეს. შესუსტდა სასიცოცხლო სუნთქვის გამამხნევებელი ძალა... ჩვენ დროს ბრძოლები ოთხი მხრიდან წარმოებდა: აღმოსავლეთიდან მახვილი, დასავლეთიდან ხოცვა-ჟლეტა, ჩრდილოეთიდან ცეცხლი და სამხრეთიდან სიკვდილი. აღიკვეთა მხიარულება პირისაგან მიწისა. აღარ ისმოდა ჩანგთა ხმები და დაფდაფთა ხმაური. გაძლიერდა მტირალთა ლაღადება“...⁵.

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი და კიდევ ბევრი მსგავსი ადგილი იმაზე მეტყველებს, რომ არისტაკესი გულგრილი მაყურებელი კი არ არის თავისი ქვეყნის უბედურებისა, არამედ დიდი თანაგრძნო-

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი II, გვ. 143—158.

2 შ ა ნ დ ე კ ა ნ. ზნნასკან თხაი. კიონ... გვ. 31—65. ჯ ა ყ ძ ი ი ლ ი ქ ი ს ა უ თ ი ა რ ი ა ნ. აიხაჯინ ქაა. სტეჟან. 1951. გვ. 186—192.

5 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 40.

ბითა განმსჭვალული სომეხი ხალხის მიმართ. წინამორბედი სომეხი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით მან თავისი თხზულება დაწერა არა ვინმეს (მეფის, კათალიკოსის, ან სხვა მოღვაწის) თხოვნით, არამედ პირადი ინიციატივით, საკუთარი სურვილით—მკითხველებისთვის გაეზიარებინა თავისი განცდები.

არისტაკეს ლასტივერტეცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად ძუნწი ცნობებია შემონახული მისსავე თხზულებაში. როგორც ირკვევა, იგი სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა, ვარდაპეტად (მოძღვრად) იწოდებოდა. ისიც ნათელია, რომ არისტაკესმა კარგად იცოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რასაც მოწმობს მის თხზულებაში ციტატების უხვად გამოყენება ძველი და ახალი აღთქმიდან. არისტაკესის წარმოშობის ადგილზე უნდა მიუთითებდეს მისი სახელწოდება „ლასტივერტეცი“. სოფელი ლასტივერტი მდებარეობდა კარინის გავარში, იმ დროს ცნობილი ქალაქის არწინის მახლობლად⁶. როგორც მანუკ აბელიანი შენიშნავს, სოფელ ლასტივერტის არწინის მახლობლად მდებარეობაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ თვით ისტორიკოსი არწინის ასე იხსენიებს: „ჩვენი ქალაქი“-ო⁷. მართლაც, არ არის გამორიცხული, რომ ლასტივერტი ქალაქ არწინის მიდამოებში მდებარეობდა.

არისტაკეს ლასტივერტეცი რომ ნამდვილად XI საუკუნის მოღვაწეა და არა უფრო მოგვიანო ხანისა, ამაზე შემდეგი მეტყველებს: მრავალი ფაქტისა. თუ მოვლენის აღწერისას (მაგ. 1022 წ. ბასილ კეისრის წინააღმდეგ ნიკიფორე ფოკას აჯანყება, 1048 წ. სუმბატის მთასთან ბრძოლა, ქალაქ არწინის აოხრება და სხვ.) იგი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ეს ამბები ჩემი თვალით ვიხილეო. როგორც ირკვევა, მან მოხუცებულობის ასაკში დაწერა, ყოველ შემთხვევაში, „დაამთავრა თავისი „ისტორია“, რასაც შემდეგი ფაქტები ამტკიცებს:

1. იგი თვითმხილველია ბასილ კეისრის წინააღმდეგ ნიკიფორე ფოკას აჯანყებისა 1022 წელს⁸.

2. „ისტორიის“ ბოლო თავში (X XV) არისტაკესი ასახელებს სელჩუკთა სულთნის აღფ-არსლანის სიკვდილის ფაქტს, რასაც 1072 წელს ჰქონდა ადგილი⁹.

⁶ ლასტივერტის შესახებ იხ. ჯ. ჯიქაძის ნ. ჯინ ჩაიგი თხილქი ანოღენხერ. Քարգահ Պիլեզիკნյանի Վիხենա 1967. გვ. 132—136. Լ. Ե. Օ. Հայ Հայրենիք. Քիֆլիս. 1915 թ. გვ. 136—137.

⁷ Մանուկ Աբելյան. Հայրի ին գրականության պատմություն. Գիրք II. Երևան 1946. გვ. 33.

⁸ იხ. წინამდებარე ნაშრომი.

⁹ օ ქ ე, გვ. 132.

3. XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მათე ურბაეცი არისტაკეს ლასტივერტეცის X—XI სს. საეკლესიო მოღვაწეთა შორის იხსენიებს¹⁰.

არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულება „ისტორია“ მდიდარი ფაქტობრივი მასალის სიუხვით გამოირჩევა და თუმცა ამ ფაქტებსა და მოვლენებს ისტორიკოსი ხშირად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ლირიკული წიაღსვლებითა და ბიბლიიდან ციტატებინ მოხმობით, მაგრამ მაინც არასდროს არ ივიწყებს თავის ძირითად მიზანს — აღწეროს თანამედროვე სომხეთის ვითარება და კვლავ უბრუნდება თხრობის რიგს. „ეს ყოველივე საკმარისია, ხოლო ახლა დროა დავიწყოთ ისტორია“, ან „ეს ყოველივე საკმარისია, ხოლო ჩვენ დავუბრუნდეთ ისტორიის რიგს“ და სხვ., — ხშირად დასძენს ისტორიკოსი.

არისტაკეს ლასტივერტეცის თხრობის სტილი ხშირად რიტორიკულია. მისი თხზულების კითხვისას მკითხველი თითქმის ყოველთვის ნდობით იმსჯელებს ისტორიკოსის მიერ მოწოდებული ფაქტებისა თუ მოვლენების მიმართ, მით უმეტეს, რომ იგი ხშირად იმეორებს, რომ ესა თუ ის ამბავი თვითონ გაუგია, ან უბილავს. მაგალითად, აღწერს რა ბასილ კეისარის წინააღმდეგ შეთქმულების ისტორიას, იგი აღნიშნავს: „ეს რომ თვითმპყრობელმა შეიტყო, დიდ საგონებელში ჩავარდა, წავიდა და გამაგრდა ერთ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც მაზდატს უწოდებენ,—ეს ბერძენთა ქვეყანაში ძველი ჩვეულება არის. არ ვიცი საღვთო კანონია ეს, რომ მსახურთ არ მართებთ უფალთა წინააღმდეგ გამოსვლა, თუ იმ დროს მეფის განსაკუთრებული შეწყალება იყო, ის კი დაბეჯითებით ვიცი და საკუთარი თვალთა ცვიბილე, რომ ვინც კი მის წინააღმდეგ წასულა, [ყველას] სამარცხვინო სიკვდილით დაუარულებია თავისი სიცოცხლე“¹¹. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობა, რომელიც შემოსეული მტრისაგან ქალაქ არწნიში დატრიალებულ უბედურებას შეეხება: „დღე აქ შეწყდეს სამწუხარო ისტორია ქალაქ არწნის შესახებ, ვინაიდან ყველა უბედური შემთხვევა ჩვენ არ შეგვიძლია აღვწეროთ. მაგრამ ჩვენ მიერ აღწერის გარეშე დატოვებული [ამბები] მსურველს შეუძლია შეისწავლოს ნანგრევებიდან. ჩვენ მხოლოდ აღვწერეთ მთისა და ქალაქის სამწუხარო ისტორია, რომელიც ჩვენი თვალთ

¹⁰ Մ ա տ թ է ո ս Ո Ւ Ն ի ա յ ե Յ ի. Ժամանակագրութիւն. Վաղարշապատ 1898. գვ. 179.

¹¹ օხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 48—49.

ვიცილეთ და ჩვენს თავსზე გადატანილი უბედურებანი. ხოლო სხვა გავარებისა და ქაღალტების უბედურ წინათხვეწებს ვინ აღწერს! [ამ ამბების აღწერა!] სკირადება ბევრი სიტყვა და ხანგრძლივი დრო. ჩვენ ეს ჩვენი შესაძლებლობის საზომით მოკლედ აღწერეთ!"¹².

არისტარკეს ლასტივერტეცი ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის უფრო მეტად ფერებში წარმოადგენად თსრობისას სწორად მიმართავს კონტრასტებს: ამის ნათელსაყოფად ერთი მაგალითის მოტანაც საკმარისია: „ხოლო სამი წლის შემდეგ მოაღწია სომეხთა სახლის აღწასრულმა, რადგანაც ერთ წელს გარდაიცვალა ორი ღვიძლი ძმა — აშოტი და იოანე, რომელთაც ეპყრათ ჩვენი ქვეყნის მეფობა. [ამ წელს] შეირყა მათი მტკიცე ტახტი და მეტი აღარც განმტკიცებულა. მთავრებმა დაკარგეს თავიანთი მშობლიური მემკვიდრეობა და გაძევებულ იქნენ უცხო ქვეყნებში. აოხრდა გავარები და იქცა ბერძენთა ქვეყნის [მუღმივი] აოხრებისა საგნად. ნაშენი დაბაქალაქები ამჟამად მხეცების სადგომებს წარმოადგენენ, მათი მინდვრები კი — პირუტყვთა საძოვრებს. მათი სასიამოვნო, მაღალი და დიდი სახლები ურჩხულთა სადგომად იქცა, როგორც გოდებენ წმინდა წინასწარმეტყველნი ისრაელის [ქვეყნის] გაუჟაცრიელებას... მონასტრის დიდებული ადგილები ავაზაკთა ბუნავს დაემსგავსა. იქ არსებული გელესიები ცას ემსგავსებოდნენ თავიანთი ნათელი ნაგებობებით, ლამაზი სამკაულებით, ჩაუქრობელი კანდელებით, რომელთა სინათლის ბრწყინვალეობა, ჰაერში გავრცელებული, აქა-იქ რხევით, ზღვის ტალღების მსგავსი იყო. [ეს სხივები] მშვიდ ამონდში საამო ჰაერის ტალღების რხევით ზვირთებად ერთმანეთს გარს ერტყმოდნენ. გულუხვ მსხვერპლშემწირველთა მიერ დანთებული საქმეველის საამო კვამლი ემსგავსებოდა გაზაფხულის დროის ბლუების ფერს, რომლებიც მთების წვერზე აღმოცენებულნი წინ ელობებოდნენ მზის სხივებს. ხოლო [ამ ეკლესიების] მცხოვრებთა შესახებ რა სიტყვას შეუძლია მოგვითხროს: [ისმოდა იქ] ტკბილმოვანი სიმღერები და ფსალმუნთა შეუწყვეტელი გალობა, საღვთო წიგნთა კითხვა. [ნახავდით] საუფლო დღესასწაულთა ზეიმსა და წამებულთა პატივისცემას. ერთსულოვან მზრახველთა ნებასურვილებს და საღვთო [სამსახურში მყოფთა] გულმოდგინეობას და სხვ. ასე იყო წინათ, ამჟამად კი ნახავთ მათ ყველაფრისაგან დაცარიელებულებს და გაღატაკებულებს, ყოველგვარ დიდებას მოკლებულებსა და გაძარცულთ. გაქრა ტკბილმოვანი სიმღერები. ამჟა-

¹² იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 83.

მად ბუები და მყვირალა ფრინველები არიან [მომღერალთა] და-
სის მეთაურნი. ფსალმუნთა გალობის ნაცვლად გვრიტებისა და
მტრედების სიმღერა იმის. წინასწარმეტყველის თანახმად ისინი
ტყბილი ხმით მოუხმობენ თავიანთ პირშმოებს. კანდელები ჩამქრა-
ლი, საკმეველთა საამო სურნელება გამქრალი; წმინდა საიდუმლო-
ების საკურთხეველი, რომელიც ერთ დროს პატარძლის მსგავსად
მომხიბვლელი სამკაულით იყო შემკული, ჰქონდა რა დიდების გვირ-
გვინი, ამჟამად საცოდავ სანახაობას [წარმოადგენს] და მრავალი
ცრემლის ღირსია — სამკაულთაგან გაძარცული, მტკრით სავსე,
ყვაების სადგომად ქცეული“¹³.

ასეთი და მსგავსი აღწერების დროს არისტაკეს ლასტივერტე-
ცი ხშირად მიმართავს ტრაფარეტულ მეტაფორებს, მაგრამ უმრავ-
ლეს შემთხვევაში იგი, როგორც შემოქმედი, მაღალმხატვრულ დო-
ნეზე დგას და ამ თვალსაზრისითაც მისი თხზულება სომხური ის-
ტორიული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულება ისტორიული მასალე-
ბის საფუძველზე აგებულ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებად
შეიძლება ჩაითვალოს. ისტორიკოსის მიზანია დამოძღვროს, გააფ-
რთხილოს თავისი ხალხი და ააციდინოს მას მომავალში ისეთი ხიფა-
თი და განსაცდელი, რაც უკვე არაერთხელ დაატყდა თავს სომეხთა
ქვეყანას. „ჩვენ მოკლებულნი ვართ ძველი ჟამთააღმწერლების ის-
ტორიებს,—დასძენს ისტორიკოსი. — ისინი ღირსეულად და შესაფე-
რისი სიტყვებით დაღს დაასვამდნენ ამ წიგნს, რომელშიც აწმყო და
წარსული ამბები სარწმუნოდაა ერთად თავმოყრილი. დე, მათ შემ-
დეგ დარჩეს მოგონება, როგორც ამას ვხვდებით ჩვენი წინაპრების
ისტორიულ თხზულებებში; ხოლო ის, რაც ამ წიგნშია აღწერილი,
არ არის სრული, არამედ მხოლოდ დასაწყისია იმის [აღწერისა],
რაც ჩვენ შეგვემთხვა. ჩვენ ვერ შევძელით საქმეთა სრული სახით
გააზრება, ან აღწერა. მიუხედავად ამისა ეს ყოველივე იმ მიზნით
გადმოგვცით, რომ თქვენ წაიკითხოთ და იცოდეთ, რომ ცოდვებია
ყოველივე იმის მიზეზი, რაც ჩვენ შეგვემთხვა. ჩვენი შეხედვისას
თქვენ უნდა ძრწოდეთ და გეშინოდეთ უფლის და თრთოდეთ მისი
ძლიერების შიშით. უნდა იჩქაროთ უწინარეს ყოვლისა [ცოდვათა]
აღიარება და მონანიება, ვიდრე სასჯელს მიიღებდეთ და წინ აღუ-
დგებოდეთ“¹⁴.

საინტერესოა, როგორია არისტაკეს ლასტივერტეცის მსოფლ-

13 იხ. წინამდებარე ნაშრომი. გვ. 65—66.

14 იქვე. გვ. 135.

მხედველობა. მის მიერ ცალკეული მოვლენებისა და ფაქტების ახსნის მეთოდი? იგი, როგორც სასულიერო წოდების წარმომადგენელი ყოველ ისტორიულ ფაქტს მიიჩნევს საღვთო ნების გამოხატულებად. მის თბზულებაში ვერსად ვხვდებით მოვლენათა არსებითი მიზეზების კვლევა-ძიებასა და სწორ ახსნას.

არისტაკესის თვალსაზრისით, საერთოდ, კაცობრიობის და კერძოდ კი სომხებზე თავს დატეხილი უბედურება (ბიზანტიელთა, თურქ-სელჩუკთა შემოსევები) ღვთისაგან მოვლენილი მკაცრი სასჯელია იმ დიდი ცოდვებისათვის, რომლებსაც ადამიანი სჩადის თავისი სიცოცხლის მანძილზე. „თავს დაგვაცხრა უფლის რისხვა, — წერს იგი, — რადგანაც დაინგრა ეკლესიები, სიწმინდის ზეთით ცხებული ქვები უცხო ტომთა სასახლეების საძირკველად ჩაყარეს. წმინდა ღვთისმსახურება აღიგავა [ქვეყნის] შიგნით. ჩვენ კი კერძო-თაყვანისმცემელთა დაცივნისა და შეურაცხყოფის [საგნად] გადავიქციეთ. დავუძღვრდით და დავკინდით და ჩვენი მხრები მიწას შეუერთდნენ. დავემსგავსეთ გამხმარ ძვლებს, რომლებსაც სუნთქვისა და სიცოცხლის იმედიც კი არ გააჩნიათ. ჩვენი მამების ცოდვები ჩვენ დაგვაწვა და ჩვენი წინაპრების გამო ჩვენგან უნდა იძიონ შური. შვიდმაგი მისაგებელი მივიღეთ, რადგანაც ქრისტიანობის სახელი შეურაცხყოფის და დაცივნის [საგნად] იყო მიჩნეული... უფალმა ისურვა ამგვარი ტანჯვით ჩვენი წამება, გაძევება და დატანჯვა ყოველი ასაკის ადამიანისა, ჩვენი მოშორება, როგორც დამნაშავეთა და სასჯელის ღირსთა და გაძევება უცხო ტომებთან... ღმერთმა ჩვენ ჩვენი დანაშაულის მიხედვით კი არ დაგვსაჯა, არამედ თანაგრძნობითა და შეწყალებით ჩაგვადო სასჯელის ღუმელში ჩვენი ცდუნებიდან გამოსაყვანად და სარგებლობის მოსატანად. თუკი ჩვენ ცოდვებს დადებ სასწორზე, ისინი უფრო მძიმე არიან, ვიდრე ჩვენი სასჯელი, რომელიც შენგან მივიღეთ და უფრო მსუბუქია შენი სასჯელი, ვიდრე ჩვენი ვალი. დე, ტანჯვა-წვალება თავს დაგვატყდეს, მხოლოდ შენგან ნუ გავაძევებ, უფალო. დე, მოგვიტანე განსაცდელის ტალა, ოღონდ შენ სიყვარულს ნუ მოგვაკლებ, უფალო. უმჯობესია შენ ხელთ ჩავვარდეთ და მივიღოთ სასჯელი და მისაგებელი, ვიდრე შენს გარეშე დავრჩეთ თვითნებურად. უმჯობესია შენთან ახლოს ყოფნა ტანჯვითა და გაჭირვებით, ვიდრე შენთან განშორება და მშვიდად და თავისუფლად ცხოვრება... ეს ყოველივე და უფრო მეტი [უბედურება], ვიდრე ამ წიგნშია აღწერილი, თავს დაგვატყდა ჩვენი ცოდვების გამო“¹⁵.

¹⁵ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 133-134

გარეშე მტერთა შემოსევებით შექმნილ მძიმე ვითარებაზე არა-
ნაკლებ დიდ უბედურებად მიაჩნია არისტაკეს თონდრაკელთა მოძ-
რაობა¹⁶. რონელიც „ისტორიის“ ერთ-ერთ ძირითად თემად გამოი-
ყოფა. აღნიშნულ საკითხს ისტორიკოსი უძღვნის თავისი თხზულე-
ბის XXII და XXIII თავებს და დაწვრილებით აღწერს სამხრეთ-
დასავლეთ სომხეთის ჰარქისა და მანანალის გავარებში სარგის სე-
ვანეცის კათალიკოსობის [992 — 1019] დროს მომხდარ ამბებს.
როგორც ცნობილია, თონდრაკელთა მოძღვრების ძირითადი არსი
შემდეგში მდგომარეობდა: ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული
წეს-ჩვეულებების, ჯვრის სასწაულმოქმედი ძალის, მარიამ ღვთის-
მშობლის სიწმინდის აღიარების უარყოფა და სხვ. მაგრამ ყოველივე
ეს იყო ამ მოძრაობის რელიგიური საფარველი, მისი ძირითადი იდეა
კი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხა-
ტებოდა. განსხვავებით სომხეთის მშრომელი მასების სხვა მოძრა-
ობათაგან, თონდრაკელთა მოძრაობა იყო საკმაოდ ფართო, მასობ-
რივი და სიცოცხლისუნარიანი. იგი მოიცავდა როგორც კლუბთა,
ასევე ქალაქის დაბალ მასებს და ორი საუკუნის (IX—XI სს) მან-
ძილზე შიშის ზარს სცემდა ფეოდალთა კლასსა და ეკლესიას¹⁷. თონ-
დრაკელთა მოძრაობა ჩაისახა IX საუკუნის II ნახევარში სუმბატ
ზარეპავანეცის ხელმძღვანელობით, რომელიც კარგად იცნობდა
ძველ ბერძნულ ფილოსოფიას, სხვადასხვა სექტანტურ მოძღვრე-
ბას, მათ შორის პავლიკიანთა მოძღვრებასაც. სახელწოდება თონ-
დრაკელთა მოძრაობამ მიიღო დაბა თონდრაკიდან, სადაც დამკვიდ-
რდა სუმბატ ზარეპავანეცი. ეს მოძღვრება თავდაპირველად გავრ-
ცელდა აპაპუნჩის გავარსა და მის მომიჯნავე ოლქებში, შემდეგ
აირარატის ველზე და საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. სწორედ
ამიერიდან მას შეუერთდნენ ხელოსნები, წვრილი მიწათმფლობელ-
ნი და დაბალი სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომლე-

¹⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალმხრივ არის განხილული და შესწავ-
ლილი თონდრაკელთა მოძრაობა. იხ. უ. ჰ ა მ ი დ ა ს ა ყ ა ნ ი, რინერასქსჩი
ნხჩი ჯორძმან ხაიქსან ხქ დაფაქსარასიოციონერ. შეეხსაქირ ლსმ
ქიოიციონინჩხჩი სსაქსჩაქსჩი, 1919. № 3 მ. ა. შ ნ ა გ ა ს ა ნ ი ა ნ. რინ-
ერასქსონ ჯორძმან მქ განჩი ექსაქირ ნარეჩჩი მასჩინ ლსმქი ქიოიციონინჩხჩი
სსაქსჩაქსჩი თხეხსაქირ. 1954. № 3. К. Ю з б а ш я н. Тондракитское дви-
жение в Армении и павликиане. ИАН Арм. ССР. 1956. № 9. Р. Б а р т у-
к я н. Легендарное происхождение павликиан. И. ჰ ა ი ნ ა ნ ი ს ი ა ნ. ზრქა-
ფნჩერ ნაყ ადაოაფრასან მორქი ყათორქან, გჩრქ არაჯჩინ. სრხქონ. 1957.
გვ. 330—400.

¹⁷ იხ. უ. შ ნ ა გ ა ს ა ნ ი ა ნ. რინერასქსონ ჯორძმან მქ რინჩი ექსაქირ
ნარეჩჩი მასჩინ... გვ. 63—84.

ბიკ შევიწროებას განიცდიდნენ მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალებისაგან. თონდრაკელებს მიემხრო აგრეთვე მაღალი სასულიერო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელიც, რომლებიც, ისევე როგორც წვრილი მიწათმოქმედნი, მართალია არ წარმოადგენდნენ ახალი მოძღვრების თანამიმდევრულ მომხრეებს, მაგრამ სურდათ ცხოვრების ნაწილობრივ მაინც გარდაქმნა¹⁸. ჭერ კიდევ IX საუკუნის 70—80-იან წლებში თონდრაკელებს შეუერთდნენ ბიზანტიის განადგურებული პავლიკიანების ნაშთები, რამაც უფრო მასობრივი ხასიათი მისცა ამ მოძრაობას¹⁹.

თონდრაკელთა მოძრაობაში 3 ძირითადი ეტაპი გამოიყოფა:

1. IX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან X საუკუნის დასასრულამდე;

2. X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის დასაწყისამდე;

3. XI საუკუნის დასაწყისიდან XI საუკუნის II ნახევრამდე.

თონდრაკელთა მოძრაობის შესახებ გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა საინტერესო ცნობები აქვთ შემონახული სტეფანოს ტარონეცის, გრიგოლ ნარეკაციის, გრიგოლ მაგისტროსის²⁰.

არისტაკეს ლასტივერტეცი თონდრაკელთა ერთი ჯგუფის მოღვაწეობაზე მოგვითხრობს, ბოროტ სექტას უწოდებს მათ და უდიდესი გულსწყრომით იხსენიებს. „...ისინი თვალთმაქცობენ ჩვენი კეთილმსახური რჯულით გულწრფელ [ადამიანთა] შესაცდენად და ტბილი სიტყვით აცთუნებენ უცოდველთა გონებას: მათი სიტყვები კიბოსავით ვრცელდება და როგორც ეს სწეულემა ძნელად განიკურნება, ასევე მათგან შეპყრობილნი ძლივს თუ ახერხებენ არსებობის შენარჩუნებას... უაზროდ ვთვლი დავწერო მათი საზიზღარი საქმიანობის შესახებ, რადგანაც ძალიან სამარცხვინოა. და ვინაიდან ყოველ ადამიანს არა აქვს მაგარი სასმენელი, ბევრი ცოდვების გაბნევა ალიზიანებს მსმენელთ და [ამგვარი] საქმის განხორციელებისაკენაც კი მიჰყავს [კაცი], ამიტომ მე მოვერიდე ამას. ეს არის, რაც კი ცნობილია მათ შესახებ და რაც ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ. ისინი სრულიად არ ცნობენ ეკლესიას და [არ ეთანხმებიან] ეკლესიის წესებსა და კანონებს. [მათთვის არ არსებობს] არც ნათლისღება, არც მსხვერპლშეწირვის დიდი და შიშის მომგვრელი საიდუმლოება, არც ჭვარი და არც მარხვის კანონი. ჩვენ კი წმინდა სამების ჭეშმარიტი მორწმუნენი მტკიცედ ვინახავთ ურყევი იმედის აღიარებას,

¹⁸ ჯაქ ძიგილიჩი უსოშირკონ. თარაქინ მას გვ. 176—179.

¹⁹ P. Б а р т н я н. Легендарное происхождение павликиан. გვ. 86—89.

²⁰ ჯ. ჯ ა რ ი კ ი ნ ე ა ნ. Հայաստան IX—XI դարերում... გვ. 209—210.

რაც გვისწავლია წმინდა მამათაგან. და მათი ღვთისმგმობელი ბრბოსაგან მოვაბრუნებთ სახეს და წყევლას გაუფუჭავნით მათ“²¹.

ისტორიკოსი ყოველნაირად თავს არიდებს აშკარად მიუთითოს ამ მოძრაობის ნამდვილ არსზე, მის ხალხურობაზე, მის სოციალურ ხასიათზე. სწორედ ამიტომ იგი მოგვითხრობს ამ „ბოროტი სნებით“ დაავადებული არა მრავალრიცხოვანი მასის, არამედ ცალკეულ პიროვნებათა შესახებ: არისტაკესი ყოველნაირად ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ თონდრაკელთა მოძრაობა არა ჩაგრულთა მასობრივი მოძრაობაა, არამედ მხოლოდ საეკლესიო და არისტოკრატიული წოდების ერთეული წარმომადგენლების „უმსგავსო გამოხდომა“-ა, მიმართული ეკლესიის სიწმინდის შენარჩუნებისა და დაცვის წინააღმდეგ.

არისტაკესი დაწვრილებით მოგვითხრობს ჰარქის გავარის ეპისკოპოსის იაკობის მოღვაწეობაზე, რომელიც, ისტორიკოსის სიტყვებით, სწორედ ამ სენით იყო შეპყრობილი, თავს წმინდა მქადაგებლად აცხადებდა და თავის გარშემო იკრებდა მსმენელთ. საეკლესიო კრება ორჯერ ეცადა მისი მოღვაწეობის აღაგმვას, მაგრამ იაკობმა თავისი მლიქვნელობითა და გაიჭვრობით გავარის მთავრების გული მოიგო, რომლებმაც უარი განაცხადეს მისი ეკლესიისათვის გადაცემაზე. არისტაკესის სიტყვით, იაკობი შეიპყრეს. მაგრამ მან შეძლო გაქცევა და ცდილობდა ბერძნული სარწმუნოების მიღებას, რგი გაძევებულ იქნა. შემდეგ იაკობი ჩამოვიდა სოფელ თონდრაკში, მაგრამ იქაც დიდხანს ვერ იბოგინა — იაკობი მისმამე თანამზრახველებმა განდევნეს. „მას,— აღნიშნავს ისტორიკოსი,— ბოროტი განზრახვა ჰქონდა [გულში]: ხალხის დახმარებით დაემარცხებინა ჭეშმარიტება, ზოლო ღმერთი ნებას არ რთავდა ცოდვილთა ჯონებს რაიმე გაებედათ... [ღმერთი] ქარიშხლების დროს ქმნის სიმშვიდეს და გვალვის დროს მოჰყავს წვიმა. მან იმ ერთი ალაღმართალი ლოცვით მოგვხედა ჩვენ და იხსნა თავისი ხალხი... წმინდა წიგნის კანონის თანახმად რადგანაც იგი არ წააულა და არ შეთანხმებია ქრისტიანებს, ამიტომ მიტოვებული იქნება. სწორედ ამიტომ იგი მოკვდა, როგორც სახეღარი, დაეფლო, როგორც ლეში და ბოროტის სახელი დატოვა თავისი [სიკვდილის] შემდეგ. ყველა, ვინც მოისმენს ამ ისტორიას, დაწყევლის მას“-²². მსგავს თავგადასავალს გადმოგვცემს არისტაკესი ერთ-ერთი ბერაჲ კუნწიკის შესახებ, რომელმაც თავისი მაცდური მოძღვრებით მოატყუა ჰრანუში; ამ უკა-

21 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 115—125.

22 იქვე, გვ. 117—119.

ნასკნელმა კი თავის მხრივ ვერაგობის თანამონაწილედ გაიხადა ორი ქალი. ახნი და კამარა და მათი ძმა ვირვერი. „ერთი ძალის სახელს მქონე ბერი კუნწიკი, — გვიამბობს, ისტორიკოსი, — თავის არსებაში ატარებდა სიბილწის საფუარს... იგი იყო ეშმაკის პირმშო და მისი აზრების ბუდე. მისი პირიდან ამოდიოდა მუდმივად აგიზგიზებული ჯოჯოხეთის ცეცხლის კვამლი. რომლისგანაც ბევრმა შესვა საწამლავი და ამოწყდა... ჰრანუში აღივსო მისი მომაკვდინებელი შხამით, არ დაკმაყოფილდა თავისი დაღუპვით, არამედ ბევრი თავისი ვერაგობის თანამონაწილედ აქცია. უპირველეს ყოვლისა მან [შეარჩია] ორი ქალი, თავისი თანამეტომენი, ახნი და კამარა... მათ ჩაასვეს [ისარი] და მძიმე კრილობები მიაყენეს მრავალ უდანაშაულო ადამიანს. [ახნი და კამარა] მამისეული მემკვიდრეობიდან ორ სოფელს ფლობდნენ. რომლებიც თვითნება გველის ბუნავად და სადგომად აქციეს. თვით დამკვიდრდნენ იქ და სასტიკად გადმონათხიეს თავისი ღვარძლი... ერთი მთავარი, სახელად ვირვერი... ბოროტმა გამოიმწყვდია ამ ქალების საშუალებით“²³.

აღწერს რა დაწვრილებით მათ საქმიანობას, არისტაკეს ლასტივერტეცი განსაკუთრებულ გულისწყრომას გამოთქვამს და მხოლოდ ისლა დარჩენია სანუგეშებლად, რომ „ბოროტი და ბილწი რჯულის მოძღვარი“ სამაგალითოდ დასაჯა ღმერთმა. „[სამუელმა] ვადაწვა და ააოხრა ურჯულოთა ადგილსამყოფელი და დაწყევლა მათი ქონება... ამ [ურჯულოთაგან] მან შეიბყრო ექვსი, რომელთა შესახებაც ამბობდნენ, რომ ისინი ბოროტი და ბილწი რჯულის მოძღვარნი იყვნენ. [სამუელი] ხალხთან ერთად მოვიდა დაბა-ქალაქ ჭერში და ბრძანა მათი სახეების დადაღვა მელიის გამოსახულებით, რომ ეს ნიშანი მათ სამარადისოდ ჰქონოდათ და ყველას წათლად ეცნო ისინი, რომ უგუნურად აღარავინ დაკავშირებოდა მათ, არამედ როგორც ბოროტი მხეცი განედევნა ისინი ყოველ ადამიანს... ღვთის განაჩენმა დაასწრო [ვირვერს], რომელიც თუმცა სასჯელს გადაურჩა, მაგრამ ყოვლისმცოდნის ხელთაგან ვერ შეძლო ხსნა. რადგანაც უეცრად სიციხით აღენთო მისი სხეული... გაუშეშდა მას ხელებზე თითები და ველარ შეძლეს საჭმლით სხეულის მომსახურება. ამ საჭმელსაც დიდი ტანჯვით ჭამდა, ვინაიდან საკვების შესასვლელი დახშული იყო და სიკვდილის დღემდე უკან აბრუნებდა. შემდეგ კი სხეული კეთრმა მოსპო. მაგრამ მას არ მოუნანიებდა ცოდვები და არც მოჰგონებია თავისი აღრინდელი კეთილმსახურება, არამედ იმავე სატანისეული მწვალებლობით მოქმედებდა, ვიდ-

23 ახ. წინამდებარე ნაწილში, გვ. 119—120.

რე არ დაასრულა სიცოცხლე, მისი სხეულის ტანჯვა და წვალება მუდამ მოაგონებდა [კაცს] ჯოჯოხეთს, სადაც უნდა ეწამებინათ იგი“²⁴.

ამჟამად, არისტაკეს ლასტივერტეცის ასეთი ზიზღი და შეუწყნარებლობა თონდრაკელთა მიმართ გამოწვეულია უმთავრესად მისი ერთგულებითა და სამსახურით სომხეთის ეკლესიისა და გაბატონებული კლასისადმი, რომელთა ინტერესების დამცველად გვევლინება იგი.

განსხვავებით სხვა სომეხ ისტორიკოსთაგან, არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებას არ ახასიათებს ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას მტკიცე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა (როგორც, მაგალითად, ასოლიკს, იოანე დრასხანაკერტეცის). „ისტორიის“ I და II თავებში იგი XI საუკუნის ამბებს აღწერს, III თავში კი მის მიერ X საუკუნის 70—80-იანი წლების ფაქტობრივი მასალაა გადმოცემული. ასეთ ქრონოლოგიურ უკანდახევას არც სხვა შემთხვევაში ერიდება არისტაკეს. როგორც მისი თხზულებას ტექსტის შესწავლიდან ირკვევა, ისტორიკოსი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თავისი თანამედროვე ხანის საჭირობებით საკითხების გადმოცემას, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიყოფა: ბიზანტიის პოლიტიკა ამიერკავკასიაში და თურქ-სელჩუკთა შემოსევები.

ამიერკავკასიაში ბიზანტიის პოლიტიკის ამსახველი მასალები, რომლებიც მრავლად გვხვდება არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებაში, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ავტორის არათანადროული და მისი თანამედროვე ხანისა.

არისტაკესის არათანადროული ხანის მასალების განხილვისას, ბუნებრივია, მათი წყაროების საკითხი დარსმის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლასტივერტეცის მიერ თავისი თანამედროვე ხანის ამბების გადმოცემისას გარდა პირადი დაკვირვებისა სხვა წყაროთა (უმთავრესად ბერძნულის) გათვალისწინების შესაძლებლობაც არ არის გამოჩენილი. „ისტორია“-ში არაფერია თქმული ამ წყაროთა შესახებ, მხოლოდ ავტორის მიერ წიგნის დასასრულს გაცხრითაა აღნიშნული: „ჩვენ მოკლებული ვართ ძველი ქართლმწერლების ისტორიას. ისინი ღირსეულად და შესაფერისი სიტყვებით დაღს დასვამდნენ იმ წიგნს, რომელშიც აწყო და წარსული ამბები: სარწმუნოდაა ერთად თავმოყრილი. დე, მათ შესახებ დარჩეს მოგონე-

24 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 122, 124—125.

ბა. როგორც ამას ვხვდებით ჩვენი წიგნების ისტორიულ თხზუ-
ლებებში²⁵.

არისტაკეს ლასტივერტეცი კონკრეტულად არცერთ თავის
წყაროზე არ მიუთითებს. მართალია, იგი თავის თხზულებაში ასახე-
ლებს სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ტარონეცის, მაგრამ არაფერს
აღნიშნავს მისი ნაშრომის გამოყენებაზე. ლასტივერტეცის სტეფა-
ნოს ტარონეცი მოხსენებული ჰყავს სხვა სომეხ მოღვაწეთა შორის
შემდეგ კონტექსტში: „ამ დროს²⁶ მოღვაწეობდნენ ბერ-მონაზვნები:
სარგაპი, ტირანუნი და იენოვქი; სამუელი, რომელიც კამრჯაც ძორის
მონასტრის წინამძღვარი იყო; იოსები—ჰნძუცის მონასტრის გამ-
გებელი, სტეფანოს ტარონეცი, რომელმაც დაწერა „მსოფლიო
ისტორია“ შესანიშნავი სტილით. მას თავისი „ისტორიის“ შინაარსი,
დაწყებული პირველი ადამიანიდან მოჰყავს გაგიკის სიკვდილამდე,
რომლისთვისაც არის დაწერილი ეს ისტორია. იმავე გავარიდან იყო
იოანე, რომელსაც მეტსახელად კოზერს უწოდებდნენ. მან დაწერა
წიგნი რელიგიის შესახებ, დიდად განსწავლული გრიგოლი და სხვანი
მრავალნი, რომელთა დროსაც ეკლესიის ძლიერება ფრიად განმტკი-
ცდა მართლმადიდებლური სარწმუნოებით“²⁷. ეს არის და ეს. არის-
ტაკესი სხვაგან არსად არ ახსენებს სტეფანოს ტარონეცის.

სწორედ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტზე დაყრდნობით სომეხმა
მკვლევარმა კ. იუზბაშიანმა შემდეგი, მისი თვალსაზრისით, ექვმიუ-
ტანელ დასკვნა გააკეთა: „Письменные источники, к которым при-
бегаѣл Аристакэс, при разборѣ его сочиненія установить до-
вольно трудно.

С уверенностью можно указать лишь на одного писате-
ля, труд которого использовал Аристакэс. Это Степаннос Та-
ронаши, по прозвищу Асоллик, автор скромной по литератур-
ным достоинствам, но весьма насыщенной ценным фактиче-
ским материалом «Всеобщей истории», которая завершается
смертью царя Гагика I. Оттуда Аристакэс использовал фак-
ты, касающиеся смерти Давида Куропалата и прибытия им-
ператора Василия II в Тайк»²⁸.

²⁵ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 135.

²⁶ ლაპარაკია სომეხთა მეფის გაგიკ I ბაგრატუნის (990—1020) მეფობის
ხანაზე.

²⁷ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 43.

²⁸ Повествование вардапета Аристакеса Ластивертци. Перевод с древ-
неармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н.
Юзбашяна. Москва, 1968, гл. 41—42.

კ. იუზბაშიანის განცხადებას ეკვმიუტანელ დასკვნად ვერ მივღებთ; არისტაკესის მიერ სტეფანოს ტარონეცის ნაშრომის მხოლოდ დასახელება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიკოსი მას წყაროდ იყენებდა. ზუსტად ასევე აქვს არისტაკესს დასახელებული იოანე კოზერნის წიგნი რელიგიის შესახებ. მაშინ რატომ ამ უკანასკნელსაც არ ასახელებს კ. იუზბაშიანი არისტაკესს ლასტივერტეცის თხზულების წყაროდ? მეორე მხრივ კი, ძირითად დაბრკოლებას შემდეგი გარემოება ქმნის: სტეფანოს ტარონეცისა და არისტაკესს ლასტივერტეცის თხზულებებში შემონახული ცნობები დავით კურაპალატის გარდაცვალებისა და ტაოში ბასილ II-ის მოსვლის შესახებ განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფაქტობრივი მონაცემებით, ასევე მოცულობით. მივმართოთ წყაროებს:

დავით კურაპალატის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი, რომელიც მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის დავითის მოღვაწეობის შესახებ, შემდეგს აღნიშნავს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „მე ჩემ მოვალეობად ჩავთვლიდი ხანგრძლივი გოდებით გადმომეცა დიდი კურაპალატის დავითის სიკვდილის ამბავი, მაგრამ რადგანაც გრძელი სიტყვა მსურდა შემემოკლებინა, ამიტომ... მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ მას“²⁹.

სტეფანოს ტარონეცისაგან განსხვავებით. არისტაკესი ყოველგვარი ყურადღების გამახვილების გარეშე აღნიშნავს, რომ დავითი კი არ მომკვდარა, ჯამედ მოწამლესო. მისი ცნობით რუსებთან ბერძნებისა და ტაოელ აზნაურთა შეტაკების დროს „იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ ტყუილუბრალოდ არ შემთხვევიათ, რადგანაც მათ დიდ ხუთშაბათს სასიკვდილო წამალი შერიეს სასმელს, შეასვეს მას და მით მოახრჩვეს ნეტარი არსება. ასე განაშორეს [დავითი] სიცოცხლეს. მათ მობეზრდათ მისი არსებობა. [ყოველივე ეს გააკეთეს] იმ დაპირებებისათვის, რომელიც მათ მეფემ აღუთქვა. ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზღო [აზნაურებს] სამაგიერო მათი საქმეების შესაფერისად“³⁰.

ზემოთ აღნიშნული ცნობის წყარო ვერ დგინდება. ერთი კი აშკარაა, რომ არისტაკესს ლასტივერტეცის ეს მასალა მომდევნო საუკუნეების სომეხ ისტორიკოსთა (მათე ურჰაეცი. სუმბატ სპარაპეტი) ნაშრომებში უფრო ვრცელი ვარიანტით გვხვდება. მათე ურჰა-

²⁹ Ստեփանոսի Տարոնեցու Աստուծոյ Պատմութիւն տիեզեպական. Ս. Պետքեւորդ 1885 թ. 275.

³⁰ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 41.

ცი დავითის მკვლევლობის ამბავს უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს: „დავითის ბოროტმა აზნაურებმა კენისა და სხვა მკვლევების მსგავსად განიზრახეს ბოროტება — დავითის მოკვლა. მათ თავიანთი ბოროტი განზრახვის განხორციელება მიანდევს ქართველთა ქვეყნის ეპისკოპოსს ილარიონს“³¹. შემდეგ ისტორიკოსი მოგვითხრობს ამ ეპისკოპოსის მიერ დავით კურაპალატის მოკვლის ამბავს. აღნიშნულ ცნობას წყაროდ იყენებს XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სუმბატ სპარაპეტი. ხოლო რაც შეეხება ამ ორი წყაროს მიმართებას არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებასთან, გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. უფრო საფიქრებელია, რომ მათე ურპაეცისა და არისტაკეს ლასტივერტეცის რომელიღაც მესამე წყაროთი უსარგებლიათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ არისტაკეს ლასტივერტეცის სტეფანოს ტარონეცის თხზულება წყაროდ არც უფრო აღრინდელი ამბების, კერძოდ ბარდა სკლიაროსის ამბოხების აღწერისას გამოუყენებია. ასეთი განცხადების საფუძველს ისევ და ისევ ამ წყაროთა შესაბამისი ადგილების ურთიერთშეჭყრება გვაძლევს³².

ასევე გადაჭრით, ეჭვის გარეშე არ შეიძლება სტეფანოს ტარონეცის არისტაკესის წყაროდ მიჩნევა ბასილ II კეისრის ტაოში შემოსევის აღწერისას. სტეფანოსის გადმოცემით, დავით კურაპალატის გარდაცვალებისას ბასილ II კეისარი თავისი დიდძალი ჯარით შემოვიდა ტაოში. აქ ბრძოლა მოხდა ბიზანტიის ლაშქარსა და ქართველთა შორის უბრალო მიზეზის გამო: ერთმა ქართველმა რუსი ჯარისკაცს წაართვა თივა, რომელიც მას თავისი ცხენისათვის მიჰქონდა, ბრძოლაში სხვებიც ჩაერივნენ. ქართველებმა მოკლეს რუსი, რაც გახდა მიზეზი ქართველთა და ბიზანტიელთა შორის დიდი ხოცვა-ჟლეტისა³³. ახლა მივმართოთ არისტაკეს ლასტივერტეცის: „[დავითის] სიკვდილის შემდეგ ჰორომთა თვითმპყრობელი მეფე ბასილი. თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს, დაიძრა მძიმედ შეიარაღებული, გამოემართა და მიაღწია ეკელეაცის გავარს [ისე, რომ] ბევრ ადგილას არც კი შეჩერებულა. ტაოელ აზნაურთა ჯარი შეეგება მას. თითოეული მათგანი ღირსეულად იყო მისგან განდიდებული უხვი ძღვენით. მიაღწიეს რა ძღვევამოსილებას, პატივსა და დიდებას, ფრიად განიხარეს. მაგრამ აღსრულდა მათზე სული წმიდის შთაგონებით მომღერლის, დავითის წინასწარმეტყველება... მეფე

³¹ Մատթէս Առնայեցի: Ժամանակագրութիւն ... Գვ. 37—38.

³² იხ. წინამდებარე ნაშრომი, Գვ. 49 და Ստեփաննիսի Տարօնեցւոյ Պատմութիւն ախեղեքական ... Գვ. 246—249.

³³ იხ. Ստեփաննիսի Տարօնեցւոյ Պատմութիւն Գვ. 276—277.

გადავიდა აღორის ქვეყანაში და ჰავაკიჩის ციხის მახლობლად ღამე გაათია. არ ვიცი რა მიზეზით, დასავლეთის ჭარი, რომელსაც რუხები ერქვა და აზნაურთა გუნდი ერთმანეთს შეეტაკენ, იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიალ საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა³⁴.

არისტაკეს ლასტივერტეცის რომ უშუალოდ სტეფანოს ტარონეცის თხზულებით ესარგებლა, მაშინ ბიზანტიელთა და ქართველთა ჩხუბის მიზეზს ისევე გარკვევით მოიხსენიებდა, როგორც სტეფანოსს აქვს აღნიშნული და არ დასკირდებოდა ასეთი განცხადება: არ ვიცი რა მიზეზით დაიწყო ეს ბრძოლა. ამჯერად, ჩვენი აზრით, არისტაკესს ზეპირი გადმოცემა აქვს მხედველობაში, რომელშიც მთელი სიზუსტით ვერ აისახა სტეფანოს ტარონეცისთან თუ სხვა რომელიმე მწიგნობრულ წყაროში შემონახული ცნობა.

სტეფანოს ტარონეცისა და არისტაკესთან აღწერილი ამბები ბიზანტიის კეისრის ბასილის მიერ ტაოს დალაშქვრის შესახებ მეტნაკლები სისრულით XI საუკუნის არაბი ისტორიკოსის იაჰია ანტიოქიელისა და ამავე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის კედრენეს თხზულებებშიცაა გადმოცემული³⁵.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის მიერ სამხრეთ ტაოს დაპყრობას უდიდესი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში იმპერიის აგრესიული პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამიერიდან საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ანისისა და ვასპურაკანის სამეფოებიც. ჯერ კიდევ 1001 წელს ბასილ II-ის ტაოში მოსვლისას მას ეახლნენ ვასპურაკანის გამგებელნი — ძმები გურგენ და სენექერიმ არწრუნები. ხოლო 1021 წელს მათ თავიანთი სამფლობელოები; მეზობელი მაჰმადიანი მმართველების შიშით, ბიზანტიას გადასცეს. ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ დაწვრილებით ჩამოთვლას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბიზანტიის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა, მხოლოდ მივუთითებთ, რომ ბიზანტია არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას (გაიძვერობა იყო ეს. ენით აუწერელი სიმკაცრე, თუ მოჩვენებითი ღმობიერება), ოღონდ საიმედოდ მოეკიდებინა ფეხი ამ ტერიტორიაზე. აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორიიდან“. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი I-ის და ბასილ II-ის პოლიტიკური ურთიერთობის

34 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 41.

35 იაჰია ანტიოქიელის ცნობები გიორგი I-ის მეფობის ხანაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გამოაქვეყნა ო. კვიციშვილმა. იხ. „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 115—134. გეორგიკა. ტომი V. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1963. გვ. 7—82.

ისტორია, რომლის აღწერასაც საქმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა არისტაკესის თხზულებაში³⁶. 1015 წელს ბასილ კეისარმა ახლად გამეფებულ გიორგი I-ს დავით კურაპალატის წილიდან მამამისისათვის, ე. ი. ბაგრატ მეფისათვის მიცემული ტერიტორიის უკან დაბრუნება მოსთხოვა. გიორგი³⁷ს პასუხი ასეთი იყო: „რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო“³⁷. ასეთმა პასუხმა ბიზანტიელთა (ანუ როგორც არისტაკესი უწოდებს ჰორომთა) და ქართველთა შეტაკება გამოიწვია. ამ უკანასკნელებმა ამჯერად სძლიეს მტრებს. მაგრამ, ვინაიდან ისტორიკოსმა იცის თუ რას ნიშნავს ბიზანტიელი კეისარის ბრძანებისა თუ სურვილის შეუსრულებლობა (ამ შემთხვევაში ბასილისათვის გიორგის მიერ უარის თქმა ტერიტორიების გადაცემაზე), დასძენს: „ასე მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაკემასო“³⁸. და აი, ცოტა ქვემოთ არისტაკესის „ისტორიის“ ფურცლებზე შემდეგს ვკითხულობთ: „470 წელს³⁹ თვითმპყრობელი მეფე კვლავ გამოემართა დიდძალი ჯარით, მოვიდა აღმოსავლეთში და შეჩერდა კარინის ფართო ველზე. მან ელჩი გაუგზავნა ქართველ მთავარს გიორგის, რომ მოსულიყო მასთან მორჩილებით. ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც ქალაქ ვალარშაკერტში იჯდა, შეეგება მეფეს და დაამედა იგი, რომ როგორც კი ეკელეცაში ან კარინში ამოხვალ, [გიორგი] შენ გეახლებაო. [მეფემ] დაიჭერა [ეპისკოპოსის] სიტყვები და დარჩა გიორგის მოსვლის მოლოდინში, ხოლო [გიორგიმ] ვერ გაბედა წასულიყო მეფის დაძახილზე. რადგანაც თავისიანებიდან ბევრი აშინებდა მას; „როცა [მეფე] გნახავს, ან მოგკლავს, ან დაგაპატიმრებს და ვერ მიაღწევ პატივსო“. ხოლო მეფე გადავიდა ბასიანში და ორი, [შემდეგ] სამი დესპანი გაუგზავნა, რადგანაც ძალიან უნდოდა მშვიდობიანად დაემთავრებინა თავისი მოგზაურობა და ქვეყანაც აშენებული დარჩენილიყო. მაგრამ როცა ჩაიშალა ელჩობა, მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბაქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები.

36 აღნიშნული საკითხი საქმაოდ დაწვრილებითაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 11. ო. კეტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, იხ. „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 115—134. დასახელებულ წერილში ავტორი სხვა წყაროებთან ერთად მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით არისტაკესის „ისტორიის“ ცნობებსაც იხილავს.

37 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 43.

38 ი ქ ე ე, გვ. 43.

39 1021 წ.

აობრდა მიწის სავარგულები, რომლებიც იმ მხარეში იყო. მეფემ ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰვინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა და არც სრულასაკოვანი, არც კაცი და არც ქალი და [საერთოდ] არცერთი ასაკისა. ამგვარად მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი. საწყალობელი და ცრემლის მომგვრელი სანახაობა იყო აქ, რადგანაც მალალი სამეფო სასახლეები და ტაძრები, რომლებიც დიდი ხარჯითა და ხუროთმოძღვართა ოსტატობით იყო ნაშენი მხილველთა განსაცვიფრებლად და მცბოვრებთა სიხარულით დასატკობად, გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა... ვაი ამ ისტორიას, ვაი ბოროტ საქმეებს. როგორ შევძლებ მე, ცოდნით ღარიბი და ყველა სხვაზე უმეცარი, აღწერო იმ დროის ამბები, ან ღირსეულად დავიტირო ჩვენი უბედურება“⁴⁰.

ბიზანტიის კეისართა (ბასილ II-ის, მისი ძმის კონსტანტინესი, რომანოსის, მიხეილის, კონსტანტინე მონომახის) მიერ როგორც სომხეთის, ისე საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ბოროტების მაგალითები კიდევ მრავლად შეგვიძლია მოვიტანოთ არისტაკესის თხზულებიდან⁴¹. ფაქტიურად, მთელ მის „ისტორიას“ ხომ თავიდან ბოლომდე გასდევს ავტორის მოთქმა-გოდება, რაც მის ქვეყანაზე ბიზანტიელთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა თარეშითაა გამოწვეული. სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული „სომხეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოში: „Византийский император учинил над грузинским и армянским населением расправу, по лютойсти своей не уступавшую зверствам Буги“⁴².

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ვერ დავეთანხმებით კ. იუზბაშიანს, თითქოს „Историк не порицает Василия II, бесстрастно повествует об административных мерах, проведенных в отошедших к Византии провинциях, и завершает рассказ сообщением, что после этого Василий мирно пустился в путь и прибыл в свой царственный город Константинополь...

Во времена Василия II и Константина VIII византийская дипломатия предпринимала настойчивые и небезуспешные попытки уверить армянскую знать в дружественных намерениях империи. Но даже в главе, посвященной падению Анийского царства, Аристарх Ластивертци не столько осуждает

⁴⁰ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 45—46.

⁴¹ იხ. წინამდებარე ნაშრომი.

⁴² История армянского народа. Часть I. Ереван. 1951, გვ. 151.

იმპერიუ და იის ზაღვათნიცურსკი პოლიტიკა, სოკოლო ოპლაჟივანს ბედსტენნიი «კონეც სტრანა ნაშეი არმენსკი...». ვიზანტიისკი ვლადიკესტო კაკ თაკოვოე პრედსტავლიეტსა ემუ სთოლკო ჯე ესთესტენნიი ფორმი პრავლენია, ჭოი ი ცარსკია ვლასტა ვ არმენიის»⁴³.

არა გეგონია არისტაკესს, სამეფო ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების ინტერესების დაუცხრომელ დამცველს ასე მისაღებად და ბუნებრივად მიეჩნია სომხეთში ბიზანტიის ბატონობა, რომელმაც ამდენი უბედურება და კატასტროფული მარცხი (ანისის სამეფოს დაცემა) მოუტანა მის ხალხს. იგი რომ მართლაც მომხრე ყოფილიყო სომხეთში ბიზანტიელთა გამგებლობისა, როგორღაც თავს შეიკავებდა და თავის თხზულებაში ასე დაწვრილებით და შემზარავ ფერებში არ აღწერდა მას.

არისტაკეს ლასტივერტეცი ეხება ბიზანტიის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ხანას 1001—1072 წწ., ბიზანტიელი კეისრების (ბასილ II, კონსტანტინეს, რომანოსის, მიხეილის, კონსტანტინე მონომახის, თეოდორას, კომნინოსის, დიოგენეს) იმპერატორობის პერიოდს. მის თხზულებაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკუთრივ ბიზანტიის იმპერიის ისტორიას, ბიზანტიის ურთიერთობას სომხეთთან და საქართველოსთან. გარდა საგარეო პოლიტიკისა, არისტაკესი კარგად იცნობს ბიზანტიის საშინაო პოლიტიკასაც, თავის „ისტორია“-ში თავისუფლად იშველიებს ბიზანტიურ აღმინისტრაციულ ტერმინოლოგიას. სავსებით გასაზიარებელია კ. იუზბაშინის მოსაზრება: „Осведомленность Аристакеса в вопросах, связанных с византийской действительностью, носила не только книжный характер, так как он происходил из той части Армении, которая с конца IV в. была включена в состав империи“⁴⁴. როგორც ჩანს, ბიზანტიის ისტორიიდან მთელი რიგი ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას არისტაკესს ლასტივერტეცი გიორგი კედრენეს ცნობებს ითვალისწინებს⁴⁵.

არისტაკესს ლასტივერტეციის თხზულებაში საინტერესო ცნობებია დაცული ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კერძოდ კი, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან გიორგი I-ის მეფობის ხანაში.

⁴³ Повествование вардапета Аристакеса Ластивертци... გვ. 26 — 29.

⁴⁴ იქვე. გვ. 24.

⁴⁵ იქვე. გვ. 158—169

ბასილ II-ისა და გიორგი I-ის ურთიერთობა გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, ასახულია „სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში“, „მატიანე ქართლისა“-ში, მათე ურპაეცის, ვარდან დიდის, გიორგი კედრენესა და იაპია ანტიოქიელის ნაშრომებში. ჩამოთვლილ წყაროთა ცნობები მეტ-ნაკლები სისრულით გათვალისწინებულთა სამეცნიერო ლიტერატურაში⁴⁶. აღნიშნული ურთიერთობის ამსახველი ცნობებიდან პირველი ცნობა ეხება გიორგი I-ის გამეფებას და ბასილ II-ის მიერ გიორგისაგან იმ მიწების დაბრუნების მოთხოვნას, რომლებიც დავით კურაპალატის წილიდან გიორგის მამას ბაგრატს ძღვნად ჰქონდა მიღებული: „ჩვენი წელთაღრიცხვის 464 წელს გარდაიცვალა აფხაზთა მეფე ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი. თვითმპყრობელმა მეფემ ბასილმა ასეთი ბრძანება მისწერა მას: „რაც კი [დავით] კურაპალატის წილიდან მამაშენს ძღვნად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო“. ხოლო [გიორგიმ] არ მიიღო [ეს ბრძანება], არამედ ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა საწინააღმდეგო პასუხი გასცა [ბასილ მეფეს]: „რაც კი მამაჩემს უპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივეცეო“. ეს რომ თვითმპყრობელმა შეიტყო, ჯარი გაგზავნა ქვეყნის ძალით დასაპყრობად. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ტაოელი ვაჟკაცები, რომლებმაც დიდ დაბა-სოფელ უხტიქის მახლობლად უკუაქციეს ჰორომთა ჯარი, ხოლო ქალაქსა და სხვა გაშენებულ ადგილებს ზიანი არ მიაყენეს. ასე მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაცემას“⁴⁷. ზუსტად ასეთი შინაარსის ცნობა გიორგი I-ისა და ბასილ II-ის ურთიერთობის შესახებ არცერთ სხვა წყაროში არ დასტურდება. სხვათა შორის გიორგის გამეფების პირველ წელს ბასილ კეისრის საქართველოში შემოსვლის ამბავი აღწერილი აქვს იაპია ანტიოქიელს: „რაც შეეხება იმას, თუ რა შეემთხვა ბასილს ბულგარეთის აღების შემდეგ, როდესაც იგი დაკავებული იყო იმ, ებრძოდა რა მათ (ბულგარელებს) მთელი ძალით, გიორგიმ, აფხაზთა მეფემ, განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოების მეზობელი ოლქებისათვის. დაეუფლა ციხესიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა დაუთმო ბასილ კეისარს. ბულგარეთში მიზნის მიღწევის, მისი დაპყრობისა და კონსტანტინეპოლში ბასილ კეთსრის დაბრუნებისას ამ გიორგი აფხაზთა მეფემ, არ სცნო საჭიროდ გამოეწირობინა თავისი შეცდომა, თავი

46 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 131—134.

47 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 42—43.

შეეკავებინა მოქმედებისაგან და მამამისისა და ბიძამისივით განეცხადებინა მისთვის ერთგულება. მაგრამ იგი ყოყლოჩინობდა და ზიჯობდა მოღუბლად თავისი შეცდომისა. მისწერა ალ-ჰაქიმს მასზე, რომ ერთად გამოსულიყვენ საომრად მის წინააღმდეგ და ყოველი მათგანი გამართულიყო თავისი ქვეყნიდან⁴⁸.

ბერძენ ისტორიკოსს გიორგი კედრენესაც შემოუნახავს იაჰია ანტიოქიელის ცნობის მსგავსი მასალა, მაგრამ ქრონოლოგიურად იგი უფრო მოგვიანო ხანას (XI საუკუნის 20-იან წლებს) ეხება: „რადგან აბაზგიის მთავარმა გიორგიმ დაარღვია რომაელებთან დადებული ხელშეკრულება და რომაელთა საზღვრებში იჭრებოდა, მეფემ მთელი ჯარით გაილაშქრა მის წინააღმდეგ, ხოლო პატრიკიოსი ნიკიფორე ქსიფიასი და პატრიკიოსი ნიკიფორე, ბარდა ფოკას ძე, შინ დასტოვა, ამათ კი ძალიან ეწყინათ, რომ ისინი ლაშქრობას გამოთიშეს“⁴⁹.

არისტაკეს ლასტივერტეცისა და იაჰია ანტიოქიელის ზემოთ მოტანილი მასალების შესწავლისა და ურთიერთშეჭერების შედეგად ირკვევა, რომ არისტაკესს თავის ცნობაში ორ მთავარ მომენტზე აქვს გამახვილებული ყურადღება: I. თავდაპირველად ბასილკეისარი მოითხოვს გიორგი I-ისაგან იმ მიწების უკან დაბრუნებას, რომლებიც მას დავით კურაპალატის წილიდან ძღვნად ჰქონდა მიცემული გიორგის მამისათვის (ე. ი. ბაგრატ მეფისათვის) II. გიორგი მეფე უარს ეუბნება ბასილს, რაც იწვევს ამ უკანასკნელის განრისხებას და ბიზანტიელთა ჯარების შემოჭრას ქვეყნის დასაპყრობად. ქართველები ამარცხებენ შემოსეულ მტერს. შესაძლებელია სწორედ ამ ბრძოლის დროს ქართველთა ჯარმა დაარბია ბასილ II-ის სამფლობელოების მეზობელი ოლქები, რაზედაც არისტაკესი დაწვრილებით არაფერს ამბობს. იაჰია ანტიოქიელს კი ამის შესახებ მითითებული აქვს ზემოთ მოტანილ ცნობაში. ფაქტიურად ორივე ცნობაში გადმოცემულია ბასილ II-ისა და გიორგი I-ის უთანხმოების ამბავი, რამაც საკმაოდ გაამწვავა ურთიერთობა ამ ორ ხელისუფალს შორის. აღნიშნული საკითხის შესასწავლად ცნობები შემოუნახავთ „მატიანე ქართლისა“-ს, სუმბატ დავითის ძის „ქრონიკას“, იაჰია ანტიოქიელის, გიორგი კედრენეს, არისტაკეს ლასტივერტეცის, მათე ურჰაეცის, ვარდან დიდის, სამუელ ანეცისა და სუმბატ სპარაპეტის ნაშრომებს.

⁴⁸ ო. ცქ ი თ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127—128.

⁴⁹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა. თბილისი, 1963, გვ: 46:

გიორგი I-ისა და ბასილ II-ის შორის ურთიერთობის შესასწავლად ძირითად წყაროებს სუმატ დავითის ძის „ქრონიკა“, არაბთაქეს ლასტივერტეცისა და იაჰია ანტიოქიელის თხზულებები წარმოადგენს.

ქართული და სომხური წყაროები ძირითადში ერთმანეთს ემთხვევა, ხშირად კი ერთი ავსებს მეორეს.

როგორც ირკვევა, გიორგი I მარტო არ იყო ჩაბმული ბასილ კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა წინ. ამ მუშაობის მიზანი კი ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა იყო⁵⁰.

მუშაობის ამ მიზნით წარმართვაზე ჯერ კიდევ თ. უსპენსკის აქვს მითითებული თავის ნაშრომში: „История Византийской империи“ (Глава XXIV. Походы в Сирию и Армению. Западная граница империи. Последние представители династии)⁵¹.

ზემოთ აღნიშნულ კოალიციაში შედიოდნენ: „1. გიორგი I; 2. აბუ ალი ალ-მანსურ იბნ ალ-აზიზი, ეგვიპტის ხალიფა; 3. ფერსი ჯოჯიკის ძე და მისი სიძე ანდრონიკე; 4. იოანე სუმბატი, ანისის გამგებელი, აშოტის ძმა; 5. აშოტი, იოანე სუმბატის ძმა; 6. სენექერიმი, ვასპურაკანის მეფე; 7. იბნ ად-დაირანი, სომხ. დერენიკი, სენექერიმის მეზობელი; 8. ქსიფიასი და ნიკიფორე ფოკას ძე“⁵².

თუ პირველი ბრძოლის დროს ბასილ II უშუალოდ არ მონაწილეობდა ბრძოლაში,⁵³ მეორედ, 1021 წელს იგი თვით უდგება სათავეში უზარმაზარ ლაშქარს.

არისტაქეს ლასტივერტეცის ცნობით: „ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ პალაკაციოს ტბის მახლობლად და საზარელი გრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს. ამიტომაც მახვილთა გაელვარებისა და მუზარადების კაშკაშის დროს ცეცხლის ნაპერწკლები მთებს ეფინებოდა, მახვილთა დარტყმისას ცვიოდა და მიწაზე ეცემოდა. თვით მეფეც კი უყურებდა რა ამას, გაკვირვებული იყო მებრძოლთა სიმამაცით, რადგანაც კლდეზე მიხეთქებული მდინარეთა ნიაღვრის მსგავსად მათ დაამსხვრიეს პორომთა ჯარები და უქუაქციეს. იმავე ადგილას დაიღუპა დიდი მთავარი რატი: მისმა ცხენმა,

50 ო. ცქიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115—125.

51 აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია დამატების სახით ო. ცქიტიშვილის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. გვ. 130—133.

52 იხ. ო. ცქიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 123—124.

53 ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ ბიზანტიის კეისარი 1014—1018 წლებში ბულგარელებთან ბრძოლით იყო დაკავებული.

შეხვდა რა ქაობიან ადგილს. ვერ შეძლო გადასვლა. [მტრე-
ბმა] მახვილი დასცეს [რატის] და მოკლეს საქებარი პიროვ-
ნება, რომლის [დალუპვამ] დიდი მწუხარება მიაყენა ტაოელთა ქვე-
ყანას. ხოლო გიორგი თავისი ჯარით წავიდა და გამაგრდა აფხაზთა
სიმაგრეებში. მეფემ ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბი-
ელი მოპტინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ
არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა და არც სრულასაკო-
ვანი, არც კაცი და არც ქალი და [საერთოდ] არცერთი ასაკისა. ამ-
გვარად მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი. საწყალობელი
და ცრემლის მომგვრელი სანახაობა იყო აქ⁵⁴.

არისტაკეს ლასტივერტეცი სხვა წყაროებთან შედარებით დაწვ-
რილებით გადმოგვცემს 1021—1022 წლების ბრძოლების შესახებ.
მის მიერ აღწერილი ფაქტობრივი მასალის სანდოობისა და სიზუს-
ტის შემოწმება შესაძლებელია სხვა წყაროთა მონაცემებთან შეჯე-
რების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურად-
ღებოა „მატიანე ქართლისა“-ს შემდეგი ცნობა: „ხოლო მეშვდესა
წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას
ზედა ყოვლითა სპითა საბერძენეთისათა და უცხოთესლითა ურიცხ-
ვთა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა. დიდითა წინააღდგომად
მისსა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე,
და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი მეფე-
მან. მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. და მუნით მოვიდა კოლას,
და გამოუდგა კუალსა, და მოუდგა უკანა ბასილი, მეფე ბერ-
ძენთა და შეკრბეს უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი
ბასილისნი, და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა. რომელსა
რქვან შირიმნი და მოისრნეს ორკერძოვე მრავლად, მოკ-
ლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი,
და ხურსი. და გვანად ეწია: ჳმა გიორგი მეფესა, ვითარმედ-
ომი არს უკანა-მავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვსთა და აღი-
კურნეს მსწრაფლ. განვიდა თვთ გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან იყო
და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უქორცო, და მის თანა სიმრავლე
სპისა მისისა. და მოვიდა მუნით ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისი-
თა. შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოისრნეს
ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი. ეზომ გაგრძელდა მათ შო-
რის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე. ხოლო
ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს.
წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დაკოცნეს ურიცხუნი პირითა მახ-

54 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 46.

კლინათა. მოუწია ლაშქარმან არტანა, ტყუე ყვეს და მოაოქრეს არტანი. და რაჟამს წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუღდა ჟიანა, ასწყვდა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კულადცა დაეახლნეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი. და კულად უბოროტესადრე შურისგებით მოაოქრნა ქუეყანანი იგი; წარვიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა...⁵⁵. იპპია ანტიოქიელის ამავე ამბების ამსახველი ცნობა უფრო კონკრეტულია. ხოლო რაც შეეხება გიორგი კედრენეს, ცნობაში გიორგი I-ისა და ბასილ II-ის ბრძოლის შესახებ, რომელიც სულ რამდენიმე წინადადებითაა გადმოცემული, მას ფაქტობრივი მასალის თანამიმდევრობა ცოტა არეული აქვს. ასე მაგალითად, იგი გიორგი I-ის ბასილ II-დმი დამორჩილებისა და მისი შვილის, ბაგრატის ბასილისათვის მძევლად მიცემის ფაქტს გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდს მიაწერს, ვიდრე სინამდვილეში მას ჰქონდა ადგილი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ წყაროთა მონაცემების შესწავლა და ურთიერთშეჯერება შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ 1021—1022 წლების ბრძოლის სურათი: ორივე მოწინააღმდეგე მხარის მიზნები, ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო ხერხები, დიპლომატია. როგორც ირკვევა, შეტაკებას პირველად ბასიანში ჰქონდა ადგილი. ნათი ბრძოლის ადგილებად დასახელებულია ვანანდის გავარი. კარშირ ფორაკი, უხტიქი (ქართული წყაროს ოლთისი), პალაკაციოს ტბის მახლობლად მდებარე ტერიტორია, სოფელი შირიმნი, არტანი. სამცხე, ჯავახეთი, ჰ. მანანდიანის დაზუსტებით, 12 გავარი თანამედროვე ყარსის, არტანისა და ახალქალაქის მხარეებში⁵⁶.

ქართველებმა და მათმა მომხრეებმა მარცხი განიცადეს. სამხრეთი ტაო სასტიკად ააოხრეს ბიზანტიელებმა. ვერც სომხეთი გადაურჩა კეისრის რისხვას. როგორც არისტაკეს ლასტივერტეცი გადმოგვცემს, ანისის მეფე იოანე-სუმბატი (1020 — 1041 წწ.), ძე გაგიკ I ბაგრატიუნისა (990 — 1020 წწ.) იძულებული შეიქნა თავისი სამეფო ანდერძით გადაეცა ბიზანტიისათვის. „მაგრამ აქ დაიწერა სომხების დალუპვის წერილი, — მიუთითებს ისტორიკოსი, — იოანე-

⁵⁵ მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 284—285.

⁵⁶ ლ. შ ა ნ ა ნ ი კ ა ნ. ჩინსაკან იოსიქინ ... გვ. 18.

ემ უბრძანა მამამთავარს: „დაწერე წერილი და აღთქმა მიეცი მეფეს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მიწას და ქალაქებს მას დავეუტოვებ სამემკვიდრეოდ“. თვით მას არ ჰყავდა ვაჟი, სამეფოს მემკვიდრე, რადგანაც მისი ვაჟი ერკათი ადრე გარდაიცვალა და ველარ მიადწია პატის...“⁵⁷ ხოლო რაც შეეხება ნეორე ძლიერ სომხურ სამეფოს ვასპურაკანს, ასეთი ბედი ეწია: „სენაქერემმა, ვასპურაკანის მეფემ,—აღნიშნავს იაპია ანტიოქიელი — გადასცა ყველა თავისი ციხე-სიმაგრე და მთელი ვასპურაკანი ბასილ კეისარს. მეზობელმა იბნ ად-დაირანიმაც გადასცა ციხესიმაგრეები. ყველა ისინი (კეისარმა) შეუერთა თავის სამეფოს, ციხესიმაგრეების რაოდენობა იყო 40-ზე მეტი. კეისარმა ისინი აქცია ცალკე საკატაბანიოდ, ჩაასახლა ციხესიმაგრეებში მეომრები და დაუნიშნა მათ უფროსები. სენაქერემს, იბნ ად-დაირანის, მათ ოჯახებსა და ნათესავებს სანაცვლოდ მისცა ვრცელი მამულები, დიდძალი ფული და მალალი ტიტულები“⁵⁸.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბასილ II პაინც ვერ დაკმაყოფილდა მიღწეულით; როგორც აღვნიშნეთ, 1021—1022 წლების ბრძოლის დამთავრების შემდეგ ბასილ II-მ დაიზამთრა პონტოს ქვეყანაში და გაზაფხულისთანავე კვლავ „იწყო (მზადება) ფლოტის გასაგზავნად ზღვით ამ აფხაზის“⁵⁹ ქვეყანაში. მაშინ მივიდა მასთან წარგზავნილი მათი (აფხაზთა) მეფისა გიორგისა, რომელიც თხოვდა მას შეწყნარებას და პატიებას იმის გამო, რაც მან მოიმოქმედა, და (პირობას) იძლეოდა, რომ გადასცემდა მას ციხესიმაგრეებსა და ყველა იმ დასახლებას, რომელნიც ბიძამისის დავით კურაპალატის იყო, აგრეთვე თავის შვილს ბაგრატს მძევლად, არ შეიცვლებოდა და მუდამ დარჩებოდა მისი მონა-მორჩილი და მოკავშირე. ბასილ კეისარი დაეთანხმა თხოვნას და მიიღო მისი (პირობა). გაგზავნა მის წარგზავნილთან ერთად წარჩინებულებისა და ყადიების ჯგუფი: მათ მოსთხოვეს გიორგი აფხაზს, კათალიკოსს, ქვეყნის სამღვდელთა მეთაურს, ყველა ეპისკოპოსს, სხვა წარჩინებულებსა და მალალი მდგომარეობის ქვეშევრდომებს მტკაცე ფიცი დაპირებულისა და მოლაპარაკებულის თაობაზე. (კეისარმა) აიღო მათგან საგარანტიოდ ისეთი ფიცი, როგორსაც იღებენ ხოლმე (სხვადასხვა) რელიგიების მორწმუნეთაგან, მხოლოდ მაშინ გაემგზავრა კეისარი, რათა მიეღო ციხე-სიმაგრეები და დასახლებები. რომლებსაც მას დაპირდა აფხაზი, და აეყვანა მისი შვილი (მძე-

⁵⁷ იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 48.

⁵⁸ ო. ც. კ. ი. შ. ვ. ი. ო. დასახლებული ნაშრომი, გვ. 128.

⁵⁹ იგულისხმება გიორგი I.

ვლად). ამ დროს მიიღო ბასილ კეისარმა (ამბავი) იმის შესახებ, რომ ნიკიფორე პატრიკიოსი, ცნობილი (სახელით) ქსიფიასი, ანატოლიკის განმგებელი, დაუკავშირდა ნიკიფორე კისერმოლრეცილს—შეს ბარდა ფოკასი, და შეთანხმდნენ აჯანყებულებიყვენ მის წინააღმდეგ⁶⁰.

ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით ბასილ II-ის წინააღმდეგ ნიკიფორე ქსიფიასისა და ნიკიფორე ფოკას ძის, წრავიზად წოდებულის (კისერმოლრეცილი) აჯანყების. დაწვრილებით განხილვასი, ჩვენ მხოლოდ გვაინტერესებს სხვა წყაროთაგან განსხვავებულს რას გვაწვდის ამ შეთქმულების შესახებ არისტაკეს ლასტივერტეცი და რა სურათს ვღებულობთ მისი ბერძნულ, ქართულ და არაბულ წყაროთა მონაცემებთან შედარების საფუძველზე.

არისტაკეს ლასტივერტეცის დაწვრილებით აქვს გადმოცემული ბიზანტიის წინააღმდეგ მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ბიზანტიელ, ქართველ და სომეხ მთავართა შეთქმულება. მის აღწერას საკმაოდ ფართო ადგილი ეთმობა „ისტორია“-ში. ისტორიკოსის თანახმად, აჯანყების კერა თვით იმპერიის „პორობთა“ მთავრებმა შექმნეს. შეთანხმების საფუძველზე მათ გადაწყვიტეს გაემეფებინათ ფოკას ძე, რომელსაც წრავიზს უწოდებდნენ. მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ უარის თქმისა, მთავრებმა შეძლეს მისი დათანხმება. ასე მომხდადა შეთქმულება ბიზანტიაში, კერძოდ, მცირე აზიაში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

არისტაკეს ლასტივერტეცი, როგორც გაბატონებული კლასისა და საეკლესიო წოდების ინტერესების თავგამოდებული დამცველი, ცდილობს გაამაზვილოს ყველას უურადლება იმის ჩვენებაზე, თუ რაოდენ მწარე ბოლო აქვს მსგავსს შეთქმულებებს. „არ ვიცი საღვთო კანონია ეს,—წერს იგი, — რომ მსახურთ არ მართებთ უფალთა წინააღმდეგ გამოსვლა, თუ იმ დროს მეფის განსაკუთრებული

60 ო. ცქიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი... გვ. 123—129.

61 ამ აჯანყების შესახებ იხ. В. Розен. Император Василий Болгаробийца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского СПб. 1883. G. Ostrogorsky. Geschichte des Byzantinischen Staates, München, 1940. Н. Скабала нов и ч. Византийское государство и церковь в XI веке СПб. 1884. Ф. И. Успенский. История Византийской империи. т. 6. О. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში „მაცნე“. 1968, № 4. Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X и первой четверти XI вв. წიგნში „История Византии“, т. 2, Москва, 1967.

შეწყალება იყო. ის კი დაბეჭითებით ვიცი და საკუთარი თვალითაც ვიხილე. რომ ვინც კი მის წინააღმდეგ წააშლა, [ყველას] სამარცხვინო სიკვდილით დაუსრულებია თავისი სიცოცხლე“⁶². უფრო მეტი შთაგონებისა და ზემოქმედებისათვის არისტაკესი ამ შეთქმულებას ადარებს ბარდა სკლიაროსის აჯანყებას, სწორედ იმიტომ, რომ მან. როგორც ნტობილია, მარცხი განიცადა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიკოსის მიერ ამ შეთქმულების დამარცხების სურათის აღწერა. „ასევე აქამადაც მათი წამოწყება არ გაგრძელებულა, — აღნიშნავს იგი, — როგორც ბავშვური თამაში. [იგი] სილაზე აშენებული ნაგებობის მსგავსად ნიაღვრების მოხეთქებისას უმალვე დაეცა“⁶³. როგორც ირკვევა, აჯანყება მის ხელმძღვანელებს შორის ჩამოვარდნილი შეუთანხმებლობისა და ნიკიფორე ფოკას ძის მოკვლის მიზეზით დამარცხდა. (ნიკიფორე ფოკას ძე მახვილით განგმირა და თავი მოკვეთა სწორედ შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, ვასპურაკანის მფლობელმა სენეკერიმმა).

ასევე დამარცხებით დამთავრდა შეთქმულების სხვა მთავარი მონაწილეების — ფერსისა და მისი სიძის ანდრონიკეს მოღვაწეობაც. მათ თავები მოჰკვეთეს. „ეს მათი მეფისაგან იყო ნაბრძანები, — დასძენს ისტორიკოსი, — რადგანაც [ფერსი და ანდრონიკე] თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე [მთელი ტერიტორიის] მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს [ადგილები] დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად ჰქონდა მიღებული ერთგული მორჩილებისათვის. [დავითმა] აღქმა დადო, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ეს გაგარი გადაეცემოდა მეფეს, მათ კი ეს ველარ მოისაზრეს, არამედ გულუხვი იყვნენ იმ ძღვენით, რომელიც არ იყო მათი. სწორედ ამიტომ მეფემ თავები მოჰკვეთა მათ“⁶⁴. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების აღწერას მოსდევს საინტერესო მასალა ბასილ II-ის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის გიორგი I-ის ბრძოლის შესახებ: „მეფემ [ბასილ მეორე — ე. ც.] დატოვა სალქორის სადგომი და ჯარით წინ წავიდა ადგილისაკენ, რომელსაც უღფა ეწოდება. ეს რომ აფხაზმა გაიგო, ვიდრე ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბანაკებული და გამაგრებული, ასეთ ეშმაკობას მიმართა: თვით ეპისკო-

62 ოს. წინამდებარე ნაშრომი გვ. 49.

63 იქვე.

64 იქვე. გვ. 50.

პოსტაგან ერთი უფროსი ელჩად გაგზავნა, თვითონ კი ელჩის უკან
ჯარით წავიდა. რომ [ბრძოლისათვის] მოუმზადებლებს თავს დას-
ხმოდნენ და შიშით შეპყრობილნი უკუექციათ. ისინი გამოვიდნენ
მარდი ცხენებით და თითოეული თავის ამხანაგს წინ უსწრებდა არა
საბრძოლო წესით, არამედ ისე, თითქოს ნადავლს იღებდნენ... [ქარ-
თველები] გაბედულად მიეწივნენ [მოწინააღმდეგეს] ცხენებით, რო-
მლებიც ძალაგამოცლილნი იყვნენ ტვირთის, რკინის იარაღის [ტარე-
ბისა] და სწრაფი და ხანგრძლივი სვლის გამო, ამიტომ ჰორომთა
ჯარებმა დაუყოვნებლივ, ადვილად მოიმწყვდიეს ისინი და ამოწყვი-
ტეს ურიცხვი რაოდენობით, ხოლო გადაჩენილები თავიანთ მე-
ფესთან ერთად გაიქცნენ და შევიდნენ აფხაზთა ციხე-სიმაგრებე-
ში... ამის შემდეგ, როცა გიორგიმ იხილა თავისი თავი, ყოველგვა-
რი იმედისაგან მოწყვეტილი, სთხოვა მეფეს შეჩვიება. [მეფემ]
მოსმინა რა ეს. შეიწყალა იგი და ასეთი წერილი გაუგზავნა: „ნუ
ფიქრობ. — ეუბნება, — რომ რადგან გძლიე რა შენ. უფრო მეტს
ვითხოვ შენგან. ვიდრე ადრე. მომეცი ჩემი სამამულო მიწა, რომე-
ლიც კურაპალატმა მე მიბოძა და შენი ვაჟი მძევლად. მა-
შინ ჩემსა და შენს შორის დამყარდება მშვიდობა“—ო. [გიორგი]
დაეთანხმა ამ [წინადადებას]. მეფემ დააყენა გავარის [ზედამხედვე-
ლებად] მთავრები, რომლებმაც დაყვეს იგი მამულებად, სოფლებად
და კარ-მიდამოებად, როგორც ეს წინათ იყო. ბასილ მეფემ მიიღო
მძევლები და შეპირდა მათ უკან დაბრუნებას სამი წლის შემდეგ“⁶⁵.

გიორგი კედრენესა და „მატიანე ქართლისა“-ს ცნობები ბასილ
II-ის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ ისეთი ვრცელი და დაწვე-
რილებითი არ არის, როგორც ლასტივერტეცისა. მათშიც ძირითა-
დია გადმოცემული, ოღონდ უფრო შემოკლებული სახით.
ასე რომ ხუთივე წყარო (არისტაკეს ლასტივერტეცი, იაკობ ან-
ტიოქიელი, გიორგი კედრენე, „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ
დავითის ძის „ქრონიკა“) ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, მცი-
როდენი განსხვავებით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანისის მეფემ იოანე-სუმბატ-
მა თავისი სანფლობელო ანდერძით გადასცა ბიზანტიას. 1041 წელს,
როდესაც იოანე-სუმბატი და მისი ძმა აშოტი გარდაიცვალნენ, ბი-
ზანტიის ხელისუფლებამ ანდერძის თანახმად ანისის სამეფოს და-
უფლება გადაწყვიტა. სომეხი მთავრების ერთმა ნაწილმა გადაწყვი-
ტა ანისის ბიზანტიისათვის გადაცემა და მორჩილების გამოცხადება,
მაგრამ ხალხი წინ აღუდგა მათ.

65 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 51—52.

ბიზანტიისა და მისი მომხრე მთავრების სურვილის წინააღმდეგ ანისის სამეფო ტახტს იოანე-სუმბატის ძმისშვილი ვაგუც II ბაგრა-ტუნი დაეუფლა. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახნა ბრძოლა გააჩაღა ანისის დასაუფლებლად.

ბიზანტიის კეისარმა მოტყუებით თავისთან მიიწვია სომეხთა მეფე გაგიკი და შემდეგ სომხეთში აღარ გამოუშვა. ანისის დაუფ-ლების მნიშვნელობა კარგად ესმოდა ბიზანტიას⁶⁶. ამიტომ იგი ყო-ველ ღონეს ხმარობდა თავისი სურვილის ჩისრულეში მოსაყვანად. არისტაკეს ლასტივერტეცი ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან: „ოთხას ოთხმოცდაათოთხმეტ წელს ზელთ იგდეს ანისი არა ბრძოლით, არამედ მოტყუებით, რად-განაც [ჰორომებმა] ფიცითა და ჭვრით დაითანხმეს გაგიკი მეფის ბრძანებით, [რომელსაც თითქოს ეთქვას], რომ „მხოლოდ შენი ზილვის შემდეგ დაგიბრუნებ შენ სამეფოსა და ქალაქს და ქვეყანას სამარადისო მემკვიდრეობით დაგიმტკიცებ“-ო. გონიერი ადამიან-ნი ფიცს დებს და უგუნური იჭერებს, როგორც გონიერთა სიტყვები გვამცნობენ, მაგრამ მატყუარათა სიტყვები მწყერის მსგავსად მსუ-ქანია და უგონონი შთანთქვენ მას. [გაგიკი] ერწმუნა ფიცსა და ჭვარს, არ ვიცი გონების მოუმწიფებლობისა, თუ მოშიში ბუნების გამო. მან ქალაქის გასაღები მისცა პეტრეს, რომელიც იმ დროს ფლობდა ჩვენი განმანათლებლის მამამთავრობის ტახტს და ქვეყნის მთელი საზრუნავი მას ჩააბარა პირობითა და აღთქმით. [გაგიკმა] ყური არ ათხოვს ვაჰრამსა და სხვა აზნაურებს. რომლებმაც გაა-ძევეს იგი, არამედ ვერაგი სარგისის შთაგონებით გამოვიდა ქალა-ქიდან და წავიდა ბერძნებთან დაუბრუნებლად, როგორც ანკესით დაქერილი თევზი, ან მახეში გამომწყვდეული ფრინველი... ხოლო ქალაქის მთავრებმა, რომლებიც ანისში იმყოფებოდნენ, რა დაინახეს, რომ გაგიკი საბერძნეთშია დამწყვდეული, გადაწყვიტეს ქალაქი ჩაებარებინათ ან დავით დვინელისათვის, (რადგანაც დავითის და [გაგიკის] ცოლი იყო), ან აფხაზთა მეფის ბაგრატიისათვის; პეტრე მამამთავარმა რა დაინახა ამგვარი ძიება — თუ ვისთვის გადაეცათ ქალაქი, აღმოსავლეთ მხარეების მფლობელს, რომელიც ქალაქ სა-მუსატში იჯდა... [შემდეგი] მისწერა: „აცნობე მეფეს, რას მოგვ-ცემს ჩვენ სანაცვლოდ თუკი მე მივცემ მას ქალაქსა და ქვეყნის სხვა ციხესიმაგრეებს“. ხოლო მან სასწრაფოდ აცნობა ეს მეფეს. მეფემ მოისმინა ყოველივე და დააკმაყოფილა [პეტრე მამათავრის]

⁶⁶ Манандян. О торговле и городах Армении. 1930. стр. 145.

სურვილები. ასე გაბატონდნენ [ჰორომები] ანისსა და მთელ ქვეყანაზე“⁶⁷.

1045 წელს ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიას შეუერთდა. არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორიის“ ერთ-ერთი მთავარი თემა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებია. სწორედ მათი გამანადგურებელი თავდასხმებით გამოწვეულმა შემადრწუნებელმა მდგომარეობამ მისცა სტიმული ისტორიკოსს აღეწერა მის ქვეყანაზე თავს დატუხილი უბედურებანი. ის მოქარბებული მოთქმა-გოდება, რომელსაც ხშირად წარმოთქვამს არისტაკესი, ძირითადად სწორედ თურქ-სელჩუკთა თავდასხმებითაა გამოწვეული.

როგორც სხვა სომხური წყაროებიდანაა (თომა არწრუნის გამგრძელბელი, მათე ურჰაეცი, ვარდან დიდი) ცნობილი, თურქ-სელჩუკთა ტომები ჭერ კიდევ XI საუკუნის 20-იან წლებში ჩნდებიან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ მათ მიერ აღნიშნული ტერიტორიის ნამდვილი დარბევა 1032 — 34 წლებიდან იწყება. როგორც ეს მიღებულია საბჭოთა და თურქულ ისტორიოგრაფიაში⁶⁸. „ციდან რისხვის კარი გაიხსნა ჩვენს ქვეყანაზე,—წერს არისტაკესი,— თურქესტანიდან დაიძრა დიდძალი ჯარები... ისინი ამოვიდნენ ვასპურაკანის გავარში, ეკვეთნენ ქრისტიანებს, როგორც მშიერი, საჭმელს დახარბებული მგლები, მოვიდნენ ბასიანის გავარამდე, დიდ დაბამდე, რომელიც ვალარშაევანად იწოდება. დაანგრიეს და ააოხრეს ოცდაათი გავარი მახვილით, ცეცხლითა და ტყვეთა წასხმით... ჩვენი წელთაღრიცხვის ოთხას ოთხმოცდა ჩვიდმეტ წელს (1048), რომელიც ჩვენი ტყვეობის მეორე წელი იყო, სპარსელთა ქვეყნიდან კვლავ დაიძრნენ რისხვით აღსავე და საზარელი დელვით აბობოქრებული ჯარები, მოვიდნენ და მოეფინენ კარინისა და ბასიანის ფართო ველებს. თავდამსხმელებმა ქვეყნის ოთხივე მხარე დაიპყრეს. დასავლეთით — ქალდიის გავარამდე, ჩრდილოეთით — სპერამდე და ტაოსა და არშარუნიქის ციხესიმაგრეებამდე, ხოლო სამხრეთით ტარონისა და ჰაშტეანქის გავარებამდე და ხორძეანის ტყემდე. ისინი შეჩერდნენ თოთხმეტი დღე და მოზღვავებულებმა დაფარეს მთები და ბუჩქოვანი ადგილები, დაიპყრეს მთელი ქვეყანა... პირველად, როდესაც მოვიდნენ სპარსელები და სხვა წარმართი ბარბაროსი ტომები, ხალხთა ამოჟლეტით გააუკაცრიელეს მრავ-

67 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 70—71.

⁶⁸ С. А. Агаджанов и К. Н. Юзбашьян. К истории тюркских набегов на Армению в XI в. „Палестинский сборник“, вып. 13 (76), 1965, стр. 144—145.

ვალე კავარე და დიდძალი ნაძარცვეთა და ტყვეთა წასახმით თავი-
ანთ ქვეყანაში წავიდნენ... მეორე წელს მშვილდოსანთა და მახვი-
ლოწანთა ურიცხვი ჯარები შეგროვდნენ. როგორც არწივნი საკმელ-
ზე და დიდი გამბედაობით სწრაფად შეიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში,
სექტემბრის თვის ოთხშაბათ დღეს, წმინდა ჯვრის დღესასწაული-
სას. აქ კი მოთქმა-გოდებისა და მწუხარების ისტორიაა ჩვენთვის
და ჩვენი ისტორიის წიგნები ქვითინს იწვევენ⁶⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში სელჩუქთა
პირველი ლაშქრობების შესახებ ქართული წყაროები არაფერს არ
გვაძენენ. მათი ცნობები უმთავრესად შემდგომ პერიოდს შეე-
ხება. ამ გარემოებას შემდეგნაირად ხსნის პროფ. ვ. გაბაშვილი:

„XI საუკუნის პირველ ნახევარში ძლიერი იყო ბიზანტიის მო-
ძალეობა და მთავარი ყურადღებაც ბიზანტიის ექსპანსიის წინააღ-
მდეგ ბრძოლაზე იყო გადატანილი. XI ს-ის შუა წლებიდან კი ვითარ-
ება არსებითად შეიცვალა. წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე
თურქ-სელჩუქები გაბატონდნენ. აღმოსავლეთში განვითარებულმა
მოკლენებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა საქართველოსაც და მის
მეზობელ კულტურულ ქვეყნებსაც“⁷⁰.

აქვე ერთ გარემოებაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. აღნიშ-
ნული პერიოდიდან ტერმინი „სპარსი“, „სპარსეთი“, „სპარსული“,
შემოდის ხმარებაში არა მხოლოდ საკუთრივ, „სპარსეთის“, „სპარ-
სელის“ აღსანიშნავად, არამედ ფართო, ზოგადი მნიშვნელობითაც
იხმარება.

„ზოგადი თვალსაზრისით,—წერს ვ. გაბაშვილი,—„სპარსეთი
მოიცავდა და გულისხმობდა ყველა მაჰმადიანურ ქვეყანას. „სპარ-
სი“ კი ეწოდებოდა ყველა მაჰმადიანს: არაბს, თურქს, ხვარაზ-
მელს“⁷¹.

არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულების „სპარსები“ მხოლოდ
და მხოლოდ თურქ-სელჩუქებს გულისხმობს⁷². როგორც უკვე აღ-
ვნიშნეთ, საერთოდ, სომხური წყაროების თანახმად, პირველად
თურქები სომხეთში შემოვიდნენ 1016 წელს, 1021 წელს ადგილი
ჰქონდა მათ ხელმეორედ თავდასხმას, ხოლო უფრო მასობრივი ხა-

69 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 72, 74—76.

70 ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო
წყაროების ფურცლებზე. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 125, თბილისი, 1968.
გვ. 273—274.

71 ვ. გაბაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 275.

72 იქვე, გვ. 276.

სიათი თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ამიერკავკასიაში 1047 — 1048 წლებიდან მიიღო.

თორღულ-ბეგის ხელმძღვანელობით 1054 წ. და 1064 წ. ალფ-არსლანის ლაშქრობებს განსაკუთრებით დაწვრილებით აღწერს ისტორიკოსი. მისი გადმოცემით, თურქ-სელჩუკებმა დაარბიეს სომხეთის ტერიტორია — ჰანძეთი, ხორძეანი, მანანალი, რომლებიც ნომინალურად ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდნენ. იგი წერს: „დაიძრა სიკვდილის მომტანი, სისხლის მსმელი და კაცის მკვლე-ლი მხეცი-სულთანი ურიცხვი ჯარით, სპილოებით, ეტლებით, ცხენებით, ცოლებით, ვაჟებით და დიდძალი ქონებით. მან დასტოვა არჭეში და ბერკრი, მოვიდა და დამკვიდრდა აპაჰუნიქის გავარის ქალაქ მანაზკერტთან და ყველა ფართო ველ-მინდვრებს დაეპატრონა. მან მარბიელი მოპყინა ქვეყნის სამ მხარეს. ჩრდილოეთით — აფხაზთა ციხემდე და პარხარის მთამდე და კავკასიის მთის ძირამდე, დასავლეთით — ქანეთის ტყემდე, ხოლო სამხრეთით — სიმის მთამდე... დერჯანისა და ეკელეაცის გავარებში და მათ საზღვრებში ამომწყდართა შესახებ არავის ძალუძს დაწერა... [მტრები] შეიჭრნენ ტაოში, დაიპყრეს მთელი ქვეყანა. მივიდნენ მდინარე კოროხამდე, გადალახეს იგი, უკან მობრუნდნენ და წავიდნენ ქალდიის ქვეყანაში. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის ტყვე და ნადავლი, უკან მობრუნდნენ და მოვიდნენ ბაბერდის ციხე-ქალაქამდე...“⁷³. თხზულების ბოლო თავში მოცემულია მანაზკერტთან ბრძოლის აღწერა, რომლის დროსაც თურქებმა გაანადგურეს ბიზანტიის იმპერატორის დიოგენეს ჯარები. თვითონ იმპერატორი კი ტყვედ ჩავარდა. ეს მოხდა 1071 წელს.

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობები თურქ-სელჩუკთა შესახებ მრავალმხრივია საინტერესო. მათი გაცნობით მკითხველს გარკვეული შთაბეჭდილება ექმნება თურქთა ლაშქრობის მარშრუტების, მათი ბრძოლის მიზეზებისა და მეთოდების შესახებ.

არისტაკეს ლასტივერტეცის ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა ვენეციაში 1844 წელს — *Математичен Сръбствоуахъ царя-аксака Кавказскихъ турокъ. Ч. 2. 1844.*

ტექსტი გამოქვეყნებულია XVIII და XIX საუკუნეების ოთხი ხელნაწერის საფუძველზე. მომდევნო გამოცემები: ვენეციისა 1901 წ. და თბილისის 1912 წ. პირველის განმეორებას წარმოად-

გენენ. ამ ტექსტიდანაა შესრულებული ფრანგული თარგმანი პრუდომისა — „Histoire d'Arménie comprenant la fin du royaume d'Ani et le commencement de l'invasion des seldjoukides par Aristakès de Lastiverd, traduite par M. E. Prudhomme. Paris, 1864.

1963 წელს გამოქვეყნდა არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულების ტექსტის აკადემიური გამოცემა, რომელიც ემყარება ერევნის „მატენადარან“-ში დაცულ ცხრა ხელნაწერს და აზიის ხალხთა ინსტიტუტის ერთ ნუსხას.

არისტაკეს ლასტივერტეცის შრომამ ფართო გამოყენება პპოვა შემდგომი დროის სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომებში. განსაკუთრებით ხშირად იყენებს აღნიშნულ თხზულებას, როგორც წყაროს, XVIII საუკუნის ისტორიკოსი მიქაელ ჩამჩიანი თავისი „სომხეთის ისტორიის“ II ტომში. შემდეგ კი მას იყენებდნენ ფრანგული თარგმანის დახმარებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არ არის ზუსტი და ამასთანავე ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

1968 წელს გამოქვეყნდა არისტაკეს ლასტივერტეცის ნაშრომის რუსული თარგმანი შესავალი წერილითა და კომენტარებით, შესრულებული კ. იუზბაშიანის მიერ. აღნიშნულ გამოცემაში მოცემულია მხოლოდ ფაქტობრივი მასალის თარგმანი, გამოტოვებულია ლირიკული წიარსვლები და რელიგიურ-საღვთისმეტყველო ექსკურსები, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება არისტაკესის თხზულებაში. რუსული თარგმანის გამომცემელი კ. იუზბაშიანი წერს:

„Перевод „Повествования“ выполнен по тексту нового издания, сочинение переведено полностью, за исключением религиозно-богословских экскурсов, которые лишены реального содержания и, являясь выражением литературной манеры средневековья, сами по себе для понимания авторского замысла ничего не дают“⁷⁴.

ჩვენ კი საჭიროდ მივიჩნით წინამდებარე ნაშრომში მოგვეცა არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულების სრული თარგმანი, მისი როგორც რეალური შინაარსი, ასევე რელიგიურ-საღვთისმეტყველო ექსკურსები. ვფიქრობთ, ეს აუცილებელიცაა ერთი მხრივ ძეგლის საფუძვლიანად შესასწავლად, მისი მრავალმხრივი მნიშვნელობის გასარკვევად, ხოლო მეორე მხრივ ავტორის წერის მანე-

⁷⁴ Повествование вардапета Аристакаса Ластивертци... стр. 46.

რისა და მსოფლმხედველობის გასაცნობად. 1971 წელს ერევანში გამოქვეყნდა არისტაკესის „ისტორიის“ თარგმანი თანამედროვე სომხურ ენაზე.

წინამდებარე გამოცემაში პირველად ქვეყნდება არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორიის“ ქართული თარგმანი, შესრულებული თხზულების 1963 წლის სომხური გამოცემიდან.

თ ა რ გ მ ა ნ ი

მომღვარ არისტაკეს ლასტივირტიცის ნაამბობი იმ უბი-
ღურებათა შესახებ, რომლებიც თავს დაბატყდა მიწობელ
უცხო ტომთაგან

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სომხთა ძველის თავადასავალი

ტანჯვა-წვალების დღეები დაგვიდგა და აუტანელ გაპირებაში
ჩაგვავდო, რადგანაც აივსო და გადმოიღინდა ჩვენი ცოდვების სა-
ზღვარი და ძახილი აღმოგვხვდა ღვთის მიმართ. ყოველმა ადამიანმა
წარყენა თავისი [ცხოვრების] გზა და ქვეყანა აივსო ურჯულოე-
ბით. დაკნინდა სამართლიანობა და გამრავლდა ბიწიერება. ერმა
და მღვდელმა მოატყუეს ღმერთი, რის გამოც უცხო ტომებმა გაგ-
ვაძვეეს ჩვენი სამკვიდროდან. შეიბღალა ჩვენი დიდება, სუნთქვა
შეგვეკრა და დავკნინდით სასოწარკვეთილნი. გახშირდა სიკვდი-
ლიანობა და შთანთქა [ირგვლივ ყოველივე]. დადუმდა ქვესქენელი.
ყველანი თავს დაგვაცხრნენ და ჩვენი აღსასრულის დღეებში
დრომ არ დაინდო სასჯელს გადარჩენილები.

თაობებმა თაობები შეცვალეს. შესუსტდა სასიცოცხლო სუნ-
თქვის გამამხნევებელი ძალა. ქვეყნის მკვიდრნი მეორეჯერ იყვნენ
გაძევებული და გაფანტული უცხო ტომ მეამბოხეთაგან. მახვილს
გადარჩენილ მოყვარულ ადამიანთაგან დაშორებულნი, მოხეტიალე
ვარსკვლავების მსგავსად გაბნეულნი იყვნენ [სხვადასხვა ადგილას].
ჩვენ დროს ბრძოლები ოთხი მხრიდან წარმოებდა: აღმოსავლეთი-
დან მახვილი, დასავლეთიდან ხოცვა-ჟლეტა, ჩრდილოეთიდან ცეცხ-
ლი და სამხრეთიდან სიკვდილი. აღიკვეთა მხიარულება პირისაგან
მიწისა, აღარ ისმოდა ჩანგთა ხმები და დაფდაფთა ხმაური. გაძლი-
ერდა მტირალთა დაღადება. ეს ყოველივე საკმარისია. ხოლო [ახ-
ლა] დროა დავიწყოთ ეს ისტორია, რათა ვასაგები იყოს ჩვენი
თქმული.

გარდაიცვალა დავით კურაპალატი¹, კაცი ძლიერი, ქვეყნის მშენებელი, გულუხვი და ლტაკთა მოყვარე. მან ქვეშაბრტად დაამყარა მშვიდობა, რადგანაც მის ღროს ყოველი ადამიანი, თანახმად წინასწარმეტყველებისა, განისვენებდა ვაზისა და ლეღვის ხის საფარველ ქვეშ. მისი სიკვდილის შემდეგ პორომთა² თვითმპყრობელი მეფე ბასილი³, თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს, დაიძრა მძიმედ შეიარაღებული, გამოემართა და მიაღწია ეკელეაქის გავარს⁴. [ისე, რომ] ბევრ ადგილას არც კი შეჩერებულა. ტაოელ აზნაურთა⁵ ჯარი შეეგება მას. თითოეული მათგანი ღირსეულად იყო მისგან განდიდებული უხვი ძღვენით. მიაღწიეს რა ძღვევამოსილებას, პატივსა და დიდებას, ფრიად განიხარეს. მაგრამ აღსრულდა მათზე სულიწმიდის შთაგონებით მომდერლის, დავითის⁶ წინასწარმეტყველება: „განთიად ვითარცა მწუანე აღმოსცენდენ, განთიად ვითარცა მწუანე მხიარულ იყვნენ და ყუავოდიან, მწუხრი დაქნენ და განქმენ და დაცუივენ“⁷. მეფე გადავიდა ალორის⁸ ქვეყანაში და ჰავაჰიჩის⁹ ციხის მახლობლად დამეგათია. არ ვიცი რა მიზეზით, დასავლეთის ჯარი, რომელსაც რუზები⁹ ერქვა და აზნაურთა გუნდი ერთმანეთს შეეტაკნენ. იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ ტყუილუბრალოდ არ შემთხვევით, რადგანაც მათ დიდ ზუთშაბათს სასიკვდილო წამალი შერიეს სასმელს, შეასვეს მას და მით მოახრჩვეს. ნეტარი არსება. აჟე განაშორეს [დავითი] სიცოცხლეს. მათ მობეზრდათ მისი არსებობა. [ყოველივე ეს გააკეთეს] იმ დაპირებებისათვის, რომელიც მათ მეფემ აღუთქვა. ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზლო [აზნაურებს] სამაგიერო მათი საქმეების შესაფერისად. ამ დღეს ტაოელთაგან არცერთი აზნაური არ გადარჩენილა. მათ ბოლო მოუღო მოულოდნელმა სიკვდილმა და განაშორა სიცოცხლეს. დიდი ესაია¹⁰ კიცხავს, ტუქსავს მათ და ეუბნება: „არნდომისათვის ერისა ამის წყალი სილოამისა¹¹ მავალი მყუდროდ, არამედ ნდომისა ქონებად ძე რააჰინისი¹², და ძე რომაელისი მეფედ თქუა თქუშნ ზედა. ამისთვის აჰა აღმოიყვანებს უფალი თქუშნ ზედა წყალსა მდინარისასა ძლიერსა და ფრიადსა, ასსურასტანელთა მეფისა, და დიდებასა მისსა“¹³. ეს ყოველივე საკმარისია. იმავე ადგილას მოვიდა აფხაზთა მეფე ბაგრატის¹³ და მისი მამა გურგენი¹⁴, რომლებიც თვითმპყრობელმა მეფემ ფრიად განადიდა. [ბასილმა] ბაგრატს უბოძა კურაპალატობა¹⁵. მის მამას კი მაგისტროსობა¹⁶ და მშვიდობით გამოისტუმრა [ისინი]. თვითონ

* ფსალმ. 89, 5—6.

** ესაია, 8, 6—7.

კი წავიდა, გადაიარა პარქი¹⁷ და მანაზკერტი¹⁸, დაბრუნდა ბაგრევანდის [გავარში]¹⁹ და მოვიდა ქალაქ უხტიქში²⁰. მან მრავალი გავარი, ციხე და ქალაქი დაიპყრო. აქ მან დააყენა საქმისგამგებლები, მოსამართლეები და ზედამხედველები. თვითონ კი მშვიდად განაგრძო გზა და მიიღწია თავის სამეფო ქალაქს, კონსტანტინოპოლს. ეს მოხდა 450 წელს*, ქვეყანამ მშვიდად განისვენა 14 წელი.

[ბასილ] მეფე წავიდა და დასავლეთ მხარეებზეც იზრუნა; მან დაიპყრო ბულგარელთა ქვეყანა, მათი გავარები და ქალაქები, რომლებიც თავისი მეფობის დასაწყისიდან დიდი ხნის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლებითაც კი ვერ შეძლო დაემორჩილებინა. ამჟამად კი მას ხელსაყრელი მომენტი დაუდგა: [ბულგარელთა] ქვეყნის მფლობელი, ბრძოლებში მძლეველი გარდაიცვალა თავისი სიკვდილით, ხოლო მისი ვაჟები, ვერ ძლიეს რა ერთმანეთს, დაწებდნენ. [ბასილ] მეფეს და წავიდნენ მასთან, რადგანაც „და უკუეთუ მეუფებაა მეუფებასა განევლთას, ვერ ჰელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი“**. ასე მოხდა ბულგარელთა ქვეყნის დაპყრობა. მეფემ ბულგარელთა თვითმპყრობელი შვილები განდევნა თავიანთი სამემკვიდროდან ტომითა და ძირით და მიუჩინა ადგილსამყოფელი ჰორომთა ქვეყანაში. ხოლო ქვეყნის ჯარი მოტყუებით ერთ ადგილას შეკრიბა, ვითომ მათთვის ძღვენის მისაცემად, ჩაიწერა მათი რიცხვი და გაგზავნა ისინი აღმოსავლეთისაკენ უკან დაუბრუნებლად. მოვიდნენ ისინი და მოაოხრეს ეს ქვეყანა. ვაი მათ მოსვლას აღმოსავლეთში, ვაი [იმ მიწას], სადაც ისინი მიმოვიდოდნენ. აი, ტომი ბოროტი და უღმობელი, ტომი ვერაგი და გესლიანი. [სწორედ] მათ შეეფერება წინასწარმეტყველური მოთქმა: „სამოთხე საშუშბელისა ქუტყყანა პირისაგან მისისა, და უკანანი მისნი ველი უჩინო ქმნისა“***. ეს ყოველივე საკმარისია, ხოლო ჩვენ დაუბრუნდეთ ისტორიის რიგს.

ჩვენ წელთაღრიცხვის 464 წელს**** გარდაიცვალა აფხაზთა მეფე ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი²¹. თვითმპყრობელმა მეფემ ბასილმა ასეთი ბრძანება მოსწერა მას: „რაც კი [დავით] კურაპალატის წილიდან მამაშენს ძღვენად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო“, ხოლო [გიორგიმ] არ მიიღო [ეს ბრძანება], არამედ ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა საწი-

* 1001 წ.

** მარკოზი. 3, 24

*** იოველი. 2, 3

**** 1015 წ.

ნაღმდებო პასუხი გაცა [ბასილ მეფეს]: „რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო“. ეს რომ თვითმპყრობელმა შეიტყო, ჯარი გაგზავნა ქვეყნის ძალით დასაპყრობად. მათ წინაღმდეგ გამოვიდნენ ტაოელი ვაჟკაცები, რომლებმაც ღიდ დაბა-სოფელ უხტიქის მახლობლად უკუაქციეს ჰორომთა ჯარი, ხოლო ქალაქსა და სხვა გაშენებულ ადგილებს ზიანი არ მიაყენეს. ასე მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაცემას.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სომეხთა სამეფოს შესახებ

ამ დროს სომეხთა ქვეყნის მეფედ იყო გაგიკი²² ბაგრატუნიანთა ტომიდან, შვილი აშოტისა²³, ძმა სუმბატისა²⁴ და გურგენისა²⁵, კაცი ძლიერი და ბრძოლებში მძლეველი. მას მშვიდობით ეპყრა სომეხთა ქვეყანა. მის დროს გაბრწყინდა ეკლესიის წესი და რიგი, განათლდნენ წმინდა აღთქმის ყრმანი. მის დროს, თანახმად წინასწარმეტყველებისა, „ალივსო თანა ყოველი ქუჩყანა მეცნიერებითა უფლისათა, ვითარცა წყალმან მრავალმან დარაფარნის ზღვანი“*. მამათავრობის ტახტი ეპყრა უფალ სარგისს²⁶, [რომელიც] ეკლესიის წიაღში ჰიწმინდით აღიზარდა და ბერმონაზნური გარჯით განისწავლა მონასტერში, სევანის კუნძულზე²⁷. იგი ღვთის წყალობით ღირსებისამებრ მოიწვიეს და დასვეს ჩვენი განმანათლებლის ტახტზე. [სარგისმა] მის მსგავსად იცხოვრა და კეთილი საქმეებით დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ამ დროს მოღვაწეობდნენ ბერ-მონაზვნები: სარგისი²⁸, ტირანუნი²⁹ და იენოეკი³⁰, სამუელი³¹, რომელიც კამრჯაც-ძორის მონასტრის³² წინამძღვარი იყო; იოსები³³ — კნძუცის³⁴ მონასტრის გამგებელი, სტეფანოს ტარონეცი³⁵, რომელმაც დაწერა „მსოფლიო ისტორია“ შესანიშნავი სტილით, მას თავისი „ისტორიის“ შინაარსი, დაწყებული პირველი ადამიანიდან მოჰყავს გაგიკის სიკვდილამდე, რომლისთვისაც არის [დაწერილი] ეს ისტორია. იმავე გავარიდან იყო იოანე³⁶, რომელსაც მეტსახელად კოზერნს უწოდებდნენ. მან დაწერა წიგნი .რელიგიის შესახებ, დიდად განსწავლული გრიგოლი³⁷ და სხვანი მრავალნი, რომელთა დროსაც ეკლესიის ძლიერება ფრიად განმტკიცდა მართლმადიდებლური სარწმუნოებით. ხოლო მათ, რომლებიც სიძულვილით გვიყურებდნენ ჩვენ, მათი ბერმონაზნური საქმეებისაგან შერცხვენილებმა თვალები ძირს დახარეს

* ესაია, 11, 9.

და თავგების მსგავსად კედლების ხვრელებში შეიმაღლნენ. ეს ყოველივე საკმარისია.

გაგიკ მეფე დიდხანს განაგებდა თავის სამეფოს, კეთილი მოგონებების ღირსიც შეიქმნა და ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა. ხელისუფლებას კი დაუფლნენ მისი შვილები: სუმბატი³⁸, რომელიც იოანედ იწოდებოდა და აშოტი³⁹ [სუმბატის] მკვიდრი ძმა. სუმბატი იყო ტანად მოსული და ძლიერ მსუქანი, სიბრძნით [და გონიერებით კი იგი] ბევრს აღმატებოდა, ხოლო აშოტი იყო მოხდენილი ტანადი, გულადი და მამაცი მებრძოლი. ისინი ერთმანეთს შეეტაკენ ქვეყნის დანაწილებისათვის, საჭირო შეიქნა სასამართლო. მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. ორი სახელის მქონე სუმბატს [ასაკით] უფროსობის გამო [გიორგიმ] მისცა წილი: ანისის ციხე⁴⁰, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს — ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა. სუმბატი დათანხმდა და დაბრუნდა თავის ქალაქში. იგი გზაზე შეჩერდა სხეულის მოდუნების გამო და უღარდელად დიძინა. [მაშინ] აშოტის მხრიდან ერთი მთავარი საჩივრით მივიდა გიორგისთან და უთხრა, რომ „შატიკი“⁴¹ ჩემი სამკვიდრო ადგილია, რომელიც ჩემგან უსამართლოდ წაიღო სუმბატმა“. ეს რომ გიორგიმ მოისმინა, დიდი რისხვითა და სიბრაზით აღენტო და ჯარი დაადევნა [სუმბატს] კვალდაკვალ. ისინი მივიდნენ და მოულოდნელად თავს დააცხრნენ მას ისე, რომ [სუმბატმა] სხეულის დამძიმების გამო ვერც კი შეძლო ცხენზე შეჯდომა. მასთან მყოფი მთავრები სწრაფად გაიქცნენ. უკან დადევნებულმა [გიორგის ჯარებმა] გზაზე [ქალაქ] ანისის კარამდე გვაგების გროვა დააყენეს, ხოლო იქიდან დაბრუნებისას გაძარცვეს საკათედრო ტაძრის მოკაზმულობა. მოგლიჯეს ჯვრებს ლურსმნები და თან ლანძღვით გაიძახოდნენ: „მოგვაქვს, რათა ცხენების ნალი გავაკეთოთ“-ო. სამართლიანმა ღმერთმა ისინი შესაფერის ღროს ხელთ მისცა ჰორომებს, რის შესახებაც თავის ადგილას მოგიტხრობთ. შეპყრობილი სუმბატი მათ გიორგისთან მიიყვანეს, რომელმაც ბრძანა მისი ჩამწყვდევა. შემდეგ წაართვა სამი ციხე-სიმაგრე და გაათავისუფლა [სუმბატი].

ხოლო აშოტს გარს ეხვივნენ დიდებულები, რომლებმაც მრავალი ადგილი მისგან უსამართლოდ წაიღეს. [აშოტმა] ვერ შეძლო ამის მოთმენა, რის გამოც დატოვა თავისი ქვეყანა, წავიდა და მიაღწია ჰორომთა მეფის კარს. [მეფემ] კარგად მიიღო იგი. [აშოტმა] ჯარი სთხოვა მას დასახმარებლად და მიიღო რა, წამოვიდა თავის ქვეყანაში. ღმერთმა გამარჯვება მიანიჭა [აშოტს], რომელმაც მრავალი

გავარი და და ციხესიმაგრე დაიპყრო. იგი ყველა იმთხე ძლიერი შეიქნა, რომლებიც მასზე აღრე იყვნენ. ბევრმა დიდებულთაგან თა-ვისი მშობლიური ადგილ-სამყოფელი [აშოტს] დაუთმო და საკუ-თარი ნებით დაემორჩილა მას. აქამდე სასიამოვნოა ჩემთვის ეს ის-ტორია.

ჩვენი წელთაღრიცხვის 467 წელს* თვითმპყრობელმა მეფემ გამოგზავნა ერთი ნიკომედიელი⁴² მთავარი, რომელიც მოვიდა და სულადი გადასახადი შეაწერა ქვეყანას. მან შეკრიბა დიდძალი ხალ-ხი და დაიწყო თეოდოსიოპოლის⁴³ ხელახალი აშენება.

468 წელს** უფალი პეტრე⁴⁴ კათალიკოსად დაადგინეს უფალ სარგისის სიცოცხლეშივე. 470 წელს*** თვითმპყრობელი მეფე კვლავ გამოემართა დიდძალი ჯარით, მოვიდა აღმოსავლეთში და შეჩერდა კარინის⁴⁵ ფართო ველზე. მან ელჩი გაუგზავნა ქართველ მთავარს გიორგის, რომ მოსულიყო მასთან მორჩილებით. ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც ქალაქ ვალარშაიერტში⁴⁶ იჯდა. შეეგება მეფეს და დააიმედა იგი, რომ როგორც კი ეკლესიაში ან კარინში ამოხვალ, [გიორგი] შენ გეახლებო. [მეფემ] დაიჭერა [ეპისკოპოსის] სიტყვები და დარჩა [გიორგის] მოსვლის მოლოდინ-ში, ხოლო [გიორგიმ] ვერ გაბედა წასულიყო მეფის დაძახილზე, რადგანაც თავისიანებიდან ბევრი აშინებდა მას: „როცა [მეფე] გნახავს შენ, ან მოგკლავს, ან დაგაპატიმრებს და ვერ მიაღწევ პა-ტივსო“. ხოლო მეფე გადავიდა ბასიანში⁴⁷ და ორი, [შემდეგ] სამი დესპანი გაუგზავნა, რადგანაც ძალიან უნდოდა მშვიდობიანად და-ემთავრებინა თავისი მოგზაურობა და ქვეყანაც აშენებული დარჩე-ნილიყო. მაგრამ როცა ჩაიშალა ელჩობა, მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი⁴⁸ და მის გარშემო მდებარე სოფლები. აოხრდა მიწის საეარგულები, რომლებიც იმ მხარეში იყო. მეფემ ბრძანა ტყვეები წაეყვანათ ქალდიის გავარში⁴⁹, თვითონ კი ბასი-ანისკენ გაემართა და მიაღწია ვანანდის გავარს⁵⁰, კარმირ ფორაკს⁵¹. ხოლო გიორგიმ, ჰპოვა რა შესაფერისი დრო, მიაღწია ქალაქ უხ-ტიქს და უბრძანა ჯარებს გადაეწვათ ლამაზი ნაგებობები. იავარ-ეყოთ მისი მთელი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყე-ნებინათ. ეს რომ მეფემ შეიტყო, უფრო განრისხდა, მისკენ

* 1018 წ.

** 1019 წ.

*** 1021 წ.

ვამობრუნდა. ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ პალაკაციოს ტბის⁵² მახლობლად და საზარელი გრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს. ამიტომაც მახვილთა გაელვარებისა და მუზარადების კაშკაშის დროს ცეცხლის ნაპერწკლები მთებს ეფინებოდა და მახვილთა დარტყმისას ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა და მიწაზე ეცემოდა. თვით მეფე კი, უყურებდა რა ამას, გაკვირვებული იყო მებრძოლთა სიმამაცით, რადგანაც კლდეზე მიხეთქებული მდინარეთა ნიაღვრის მსგავსად მათ დაამსხვრიეს ჰორომთა ჯარები და უკუაქციეს. იმავე ადგილას დაიღუბა დიდი მთავარი რატი⁵³: მისმა ცხენმა, შეხვდა რა ჭაობიან ადგილას, ვერ შეძლო გადასვლა. [მტრებმა] მახვილი დასცეს [რატის] და მოკლეს საქმეობარი პიროვნება, რომლის [დაღუპვამ] დიდი მწუხარება მიაყენა ტაოელთა ქვეყანას. ხოლო გიორგი თავისი ჯარით წავიდა და გამაგრდა აფხაზთა სიმაგრეებში. მეფემ ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა და არც სრულასაკოვანი, არც კაცი და არც ქალი და [საერთოდ] არცერთი ასაკისა. ამგვარად მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი. საწყალობელი და ცრემლის მომგვრელი სანახაობა იყო აქ, რადგანაც მალალი სამეფო სასახლეები და ტაძრები, რომლებიც დიდი ხარჭითა და ხუროთმოძღვართა ოსტატობით იყო ნაშენი მხილველთა განსაცვიფრებლად და მცხოვრებთა სიხარულით დასატკობად, გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა, ხოლო მათი პატრონები მათთან ერთად მახვილით ამოწყდნენ. ვაი ამ ისტორიას, ვაი ბოროტ საქმეებს. როგორ შევძლებ მე, ცოდნით ღარიბი და ყველაზე უმეცარი, აღვწერო იმ დროის ამბები, ან ღირსეულად დავიტყო ჩვენი უბედურება. ეს მოითხოვს ერემიას⁵⁴ სულისკვეთებას, რომელსაც შეუძლია დაიტვიროს ეს უბედურებები. ხოლო ჩვენ მოკლე სიტყვით აღვწერთ ამ გრძელ ისტორიას მომავალი თაობისათვის გასაგებად, რათა შეილებმა, რომლებიც დაიბადებთან, უამბონ თავიანთ შვილებს ეს; დე, მათ არ დაივიწყონ ღვთის საქმეები. ღმერთი სამართლიანი საზომით მიუზღავს ყველა იმათ, რომლებიც გაურბიან მის კანონებს. იობის⁵⁵ სიტყვების თანახმად „და მიაგის პირისპირ მისაგებელი და მოსურვა მოძულეთა მისთა, და არა აყოვნის მოძულეთა, პირსამიგებად მათთა“*.

აწ კი მოდი და ჩამომითვალე იმ დროის ბოროტმოქმედებანი: სისხლში ამოსვრილი მოხუცთა საპატიო ჭაღარა, მახვილით ამოწყვეტილი ახალგაზრდები, ურიცხვნი უსინათლონი, რომელთაც თვა-

* 2 შტელისა, 7, 10.

ლები [უსამართლოდ] დაუბნელეს. ვფიქრობ, ყოველივე ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმინდა კათოლიკე [ეკლესიის] კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯერის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ: ცხენებისათვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ თავს დაატყდა [უბედურება], რაც საზარელ სანახაობას ქმნის. აზნაური ქალები მოედანზე გამოიყვანეს, მოხადეს თავსაბურავები. [ისინი] მოურიდებლად მზის სინათლეზე სირცხვილში ჩაცვივდნენ. ისინი, რომლებიც ავადმყოფთა სანახავად ან, აღთქმის ადგილებში ფეხით ძლივს მიდიოდნენ, ახლა თავშიშველნი და ფეხშიშველნი, სამკაულებისაგან გაძარცულნი, პატივყარილნი, უმარავი დამცირების განმცდელნი დამპყრობელთა წინ მიდიოდნენ. ხოლო ძუძუმწოვარა ყრმებს, ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით და დედის რძეს ყრმების სისხლს ურევდნენ, სხვებს გზაჯვარედინებზე ცხენების ჩლიქებში აგდებდნენ და მით ხოცავდნენ. ვაი ღმერთო. შენ მოწყალეხარ იმ დროს. ვაი მეფის შეუბრალებელ ბრძანებას. მაგრამ ყოველივე ამით არ დამცხრალა მისი რისხვა, არამედ მან კვლავ აღმართა ხელი, რათა [თავისი მოქმედებით] ყველა ბოროტებისათვის გადაეჰარებინა. ასეთი საქმიანობით გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა. ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაცარიელდა [ირავლივ ყოველივე].

მაგრამ არ ვიცი რისთვის შეემთხვა მათ ყოველივე ეს, კჳუის დარიგებისათვის, თუ ქვეყნის მოსახლეობის აუტანელი აღვირახსნილობის გამო, ან ბარბაროსი ტომებისაგან შეკრებილი დასავლეთის ჯარების მხეცური ქცევისათვის. ხოლო მეფე დაბრუნდა პონტოს⁵⁶ შესანიშნავ საზამთრო ადგილას, გადმოვიდა ქალდიის გავარში და იქ ღამე გაათია.

მის კვალდაკვალ მოვიდა პეტრე მამამთავარი, შეხვდა მას გამოცხადების დიდი დღესასწაულის დღეს და პატივით იყო მისგან განდიდებული.

ნათლისღების დღეს წესია, რომ ღვთისმოსავი ქრისტიანი მეფენი და მთავრები, ეკლესიის წინამძღვრებთან ერთად ფეხით გადიან წყალში და იქ აღასრულებენ ნათლისღების საუფლო საიდუმლოებას. სწორედ ამ დღეს მეფემ უბრძანა პეტრე მამამთავარს ეკურთხებინა წყალი ჩვენი კანონის თანახმად, ხოლო ჰორომთა ეპისკოპოსებს, რომლებიც შემთხვევით იქ იყვნენ — თავიანთი კანონის მიხედვით. როცა მამამთავარმა საუფლო მირონი წყალს შეურია, უეცრად წყლიდან აირეკლა მზის სხივები, რაც ყველამ დაინახა და აღიდეს ღმერთი. განმტკიცდა ჩვენი სარწმუნოების ძლიე-

რება. პეტრე ნამამთავარი კიდევ უფრო განდიდდა პატივით მეფისა და სხვათაგან და დაბრუნდა თავის სახლში. მაგრამ აქ დაიწერა სომხების დაღუპვის წერილი. იოანემ უბრძანა მამამთავარს: „დაწერე წერილი და აღთქმა მიეცი მეფეს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მიწას და ქალაქებს მას დაეუტოვებ სამემკვიდრეოდ“; თვით მას არ ჰყავდა ვაჟი, სამეფოს მემკვიდრე, რადგანაც მისი ვაჟი ერკათი⁵⁷ აღრე გარდაიცვალა და ველარ მიაღწია პატივს. მეფე წავიდა და მივიდა ზემოთხსენებულ საზამთრო ადგილას. ჭარებმა ტყვეები მონებად მიჰყიდეს შორეულ ტომებს.

იმ დროს გარდაიცვალა წმინდა და ღირსეული მამამთავარი უფალი სარგისი. მისი საფლავი პორომოსის მონასტერშია⁵⁸.

თავი მესამე

ბაილთა მამათავარი [ბასილ] მიჰყავდა მთავარსა და მართველთა ჯარების დამარცხება

თვითმპყრობელმა [მეფემ] ზამთარი გაატარა პონტოს ხეობაში. გაზაფხულის დადგომისთანავე კი გამოემართა და კვლავ მოვიდა ტაოს. გაიარა ბევრი გადასასვლელი და დაიბანაკა ბასიანის გავარში. პორომთა მთავართაგან ბევრმა, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მეფის მიერ ჩამოშორებულნი იყვნენ პატივისა და ხელისუფლებისაგან და გალიებში [დამწყვდეული] ლომებივით ღმუოდნენ, ახლა ჰპოვა შესაფერისი დრო, ერთ ადგილას შეიკრიბნენ და განიზრახეს ბოროტება, რაც ვერ შეძლეს განეხორციელებინათ: მათ გადაწყვიტეს მეფის წინააღმდეგ ამბოხება და თავისთვის სასურველი [პიროვნების] გამეფება. როცა გადაწყვეტილება მიიღეს, შემდეგ გამოამყვანეს თავისი განზრახვა და ფართო ველზე დაიბანაკეს. აქ თავი მოიყარა ადამიანთა ურიცხვმა სიმრავლემ და იწყეს სამეფო პატივის ერთმანეთისათვის შეთავაზება. ისინი ერთმანეთთან შეთანხმდნენ და მოიყვანეს ფოკას⁵⁹ ვაჟიშვილი, რომელსაც წრავიზს⁶⁰ უწოდებდნენ და რომელიც მამამისის დანაშაულის გამო დიდი ხნიდან ჩამოშორებული იყო პატივისა და ხელისუფლებას. [მაგრამ] იგი არ დაეთანხმა [მათ] და [ყოველივე ეს] თავს ვერ იღვა. ხოლო მათ ხელი არ შეუშვეს ძიებას, არამედ ძალდატანებით არწმუნებდნენ, სანამ არ დაითანხმეს იგი.

ეს რომ თვითმპყრობელმა შეიტყო, დიდ საგონებელში ჩავარდა, წავიდა და გამაგრდა ერთ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც მაზდატ⁶¹ უწოდებენ. ეს ბერძენთა ქვეყანაში ძველი ჩვეულება არის,

არ ვიცი, საღვთო კანონია ეს, რომ მსახურთ არ მართებთ უფალთა წინააღმდეგ გამოსვლა, თუ იმ დროს მეფის განსაკუთრებული შეწყალება იყო, ის კი დაბეჯითებით ვიცი და საკუთარი თვალთაც ვიხილე, რომ ვინც კი მის წინააღმდეგ წასულა, [ყველას] სამარცხვინო სიკვდილით დაუსრულებია თავისი სიცოცხლე. მისი მეფობის დასაწყისში მას აუჯანყდა ბარდა⁶², რომელიც სკლიაროსად იწოდებოდა; მან თითქმის ყველა პორობი თან წაიყვანა, ასე რომ მეფემ დასახმარებლად ჯარი ქართველთა კურაპალატს⁶³ სთხოვა, მით დაამარცხა დამპყრობელი და გააქცია ქვეყნიდან. იგი წავიდა და გადავიდა ქალდეელთა ქალაქ ბაბილონში. იმავე სენით დაავადდა მისი თანამოსახელე ფოკა, რომელიც შვიდი წელი განაგებდა მთელ აღმოსავლეთს. [მეფე] ოთხი ათასი კაცით ღამით ზღვით გადავიდა, თავს დაესხა ურიცხვ აჯანყებულ ჯარს. ასეთ სიმრავლეში არავინ დაღუპულა. გარდა თვით აჯანყების მეთაურისა. მას თავი მოჰკვეთეს. [მეფემ] ბრძანა [ყველასთვის] მშვილობა ეუწყებინათ. და როგორც კი შეწყდა ბრძოლა, თითოეული ჯარისკაცი თავის საკუთარ სახლს დაუბრუნდა. მეფე კი დიდი გამარჯვებით წამოვიდა და შევიდა თავის ქალაქში — კონსტანტინოპოლში.

ამჟამადაც მათი წამოწყება არ გაგრძელებულა, როგორც ბევრ შუური თამაში; [იგი] სილაზე აშენებული ნაგებობის მსგავსად, ნიაღვრების მოხეტქებისას. უმაღლვე დაეცა და დაინგრა. დავითმა⁶⁴, რომელსაც სენექერიმს უწოდებდნენ, სპარსელთაგან შევიწროებულმა, თავისი სამემკვიდრეო მამული, ვასპურაკანის⁶⁵ ქვეყანა მისცა ბასილ თვითმპყრობელს და სანაცვლოდ მიიღო ქალაქი სებასტია⁶⁶, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ. ყოველივე ეს მოხდა არა დიდი ხნის წინ, არამედ ორი-სამი წლის წინათ და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე პორობნი ბატონობენ აღმოსავლეთში. [სენექერიმი] იმ დროს აჯანყებულთა ერთგული თანამზრახველი იყო. მან ახლად გაღვიძებულსავით ან ძლიერი აღამიანის მსგავსად, რომელიც გამოფხიზლდა სიმთვრალისაგან, დაინახა უხამსი საქმეები. არ იყო სხვა რაიმე საშუალება ბოროტი შეთქმულების ჩასაქრობად, [ამიტომ სენექერიმმა] ერთ დღეს ის, ვინც მეფედ იწოდებოდა, მოულოდნელად ბანაკიდან გარეთ გამოიყვანა, თითქოს საიდუმლო საქმეების გამო. უეცრად [სენექერიმმა] მახვილი დასცა მას და მოკლა, თავი მოჰკვეთა და მისცა თავის მსახურებს. რომ სასწრაფოდ მიეტანათ მეფისათვის.

საქმის ასე დატრიალებისას [შეთქმულების მონაწილენი] ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად წავიდნენ, რათა ფარულად მიეღწი-

ათ თავიანთი სახლებისათვის. მაშინვე დაიმსხვრა მთელი მათი ზრახვები.

ხოლო მეფემ, დაინახა რა თვითმპყრობელის თავი, ბრძანა ზევით აღემართათ, რომ მთელ ბანაკს დაენახა, რადგანაც მათგან მრავალნი თითქოს მეფის მოძხრენი იყვნენ. მაგრამ სიტყვითა და საქმით შეამბოხეს ემხრობოდნენ. ეს მან გააკეთა თავისი დიდი გონიერებით, [იმ მიზნით], რომ როცა 'ყოველივე' ამას დაინახავდნენ, განუღებოდნენ ფუქ განზრახვებს და მეფეს დაემორჩილებოდნენ.

ამის შემდეგ მეფე ჯარით გადავიდა ბასიანის ფართო ველზე და წარმართული ჯარიდან ცხენოსნები გაგზავნა აჯანყებული ფერსის⁶⁷ შესაპყრობად. თვითონ კი დაიძრა და მიაღწია ბასიანის საზღვარს, იმ ადგილს, რომელსაც სალქორას⁶⁸ უწოდებენ, ღრმა ორმოთი ბანაკს გარს შემოარტყა სანგარი და ერთი თვე და მეტი ხანი დაჰყო იქ.

ხოლო მეფისაგან წარგზავნილებმა შეიპყრეს ფერსი და მისი სიძე ანდრონიკე⁶⁹, რომელიც მისი თანამზრახველი იყო და მოიყვანეს ხალტოიარიჭის⁷⁰ ციხესიმაგრემდე. კარინის⁷¹ საზღვარზე. მათ მიაღწიეს ციხესიმაგრის პირდაპირ მდებარე მინდორს, იქ შეჩერდნენ, მოიყვანეს ფერსი და ანდრონიკე და თავები მოჰკვეთეს. ეს მათი მეფისაგან იყო ნაბრძანები, რადგანაც [ფერსი და ანდრონიკე] თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე [მთელი ტერიტორიის] მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს [ადგილები] დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად ჰქონდა მიღებული ერთგული მორჩილებისათვის. [დავითმა] აღთქმა დადო, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ეს გავარი გადაეცემოდა მეფეს. მათ კი ეს ვედარ მოისაზრეს, არამედ გულუხვი იყვნენ იმ ძღვენით, რომელიც არ იყო მათი. ამიტომ მეფემ თავები მოჰკვეთა მათ სწორედ იქ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

საბოლოო ბრძოლის შესახებ, როველიც უღვაში⁷² მოხდა

ხოლო მეფემ სალქორაში ყოფნის დღეებში გიორგი⁷³გან ითხოვა სამი ციხე თავისი მამულებითურთ, რომელიც გურგენს უსამართლოდ ჰქონდა წაღებული კურაპალატის წილიდან. მან ელჩები გაგზავნა [გიორგისთან] და ტყბილი სიტყვებით მიწერა, რომ „ის,

რაც არ არის შენი სამამულო მემკვიდრეობა, დათმე და მშვიდობით იცხოვრე შენ წილში და ნუ გადამელობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდისო“. მან კი თავს არ იღვა [ყოველივე ეს]. [მეფემ] შემდეგ გაუგზავნა მას ვლარშაყერტის ეპისკოპოსი ზაქარია⁷³, რის შესახებაც გაკვრით აღრეც აღვნიშნეთ. [ზაქარია] წავიდა და მლიქვნელური სიტყვებით შეაცდინა გიორგი, რომელიც დათანხმდა და მიწერა მეფეს, რომ მისცემდა მას, რასაც ითხოვდა. [ეპისკოპოსმა] აიღო წერილი და დაბრუნდა სიხარულით.

იგი მოვიდა ერთი დღის [საველელ] გზაზე მდებარე ფუნდუქში, სადაც ღამე უნდა გაეთია. აქ მას სწრაფად დაეწიენ მღევრები წერილის სათხოვნელად, რადგანაც [გიორგიმ] ინანა უგუნური [საქციელი]. [მღევრებმა] აიღეს [წერილი] და უკან დაბრუნდნენ. [ეპისკოპოსი] კი წავიდა, შეხვდა მეფეს და უამბო მას, რაც მოხდა. შემდეგ მეფემ გამოიკითხა ჯარებისა და მათი საბრძოლო სამზადისის შესახებ. ზაქარიამ უპასუხა, რომ „ყველაზე მეტი ჯარი [გიორგის] ჰყავს, ძლიერი და საბრძოლველად მომზადებულიო“. ეს რომ მეფემ მოისმინა, ფრიად განრისხდა და უთხრა [ზაქარიას]: „შენ აჯანყებულთაგან მოხვედი და მაშინებ მეო“. [მეფემ] ბრძანა [ზაქარიას] გაგზავნა კონსტანტინოპოლში, მას კი უთხრა: „წადი, შეისვენე იქ, ვიდრე მე შენთან გამოვიქცევიო“. [მეფემ ზაქარიას] წამყვანებს უბრძანა, რომ მისთვის ენა ამოეგლიჯათ. [ზაქარია] წავიდა და აღარც დაბრუნებულა თავის [სამშობლოში], არამედ დარჩა იქ სიკვდილამდე.

ამის შემდეგ მეფემ დატოვა სალქორის სადგომი და ჯარით წინ წავიდა იმ ადგილისაკენ, რომელსაც შლფა ეწოდება. ეს რომ აფხაზმა გაიგო, ვიდრე ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბანაკებული და გამაგრებული, ასეთ ეშმაკობას მიმართა: თავის ეპისკოპოსთაგან ერთი უფროსი ელჩად გაგზავნა, თვითონ კი ელჩის უკან ჯარით წავიდა, რომ [ბრძოლისათვის] მოუმზადებლებს თავს დასხმოდნენ და შიშით შეპყრობილნი უკუექციათ. ისინი გამოვიდნენ მარდი ცხენებით და თითოეული თავის ამხანაგს წინ უსწრებდა არა საბრძოლო წესით, არამედ ისე, თითქოს ნადავლს იღებდნენ, როგორც ძველად, იორამის დროს მოვაბელნი თავს დაესხნენ ისრაელებს და დაეცნენ მძაფრი მახვილით. ასევე შეემთხვა მათ. [ქართველები] გაბედულად მიეწივნენ [მოწინააღმდეგეს] ცხენებით, რომლებიც ძალაგამოცლილნი იყვნენ ტვირთის, რკინის იარაღის [ტარებისა] და სწრაფი და ხანგრძლივი სვლის გამო. ამიტომ ჰორომთა ჯარებმა დაუყოვნებლივ ადვილად მოიმწყვდიეს ისინი და ამოწყვიტეს ურიცხვი რაოდენობით, ხოლო გადაარჩენილები თავიანთ მეფესთან ერთად გაიქ-

ცნენ და შევიდნენ აფხაზთა ციხესიმაგრეებში. მას უკან მიჰყვენენ ჩარები და ამოწყვიტეს ისინი მზის ჩასვლამდე. შემდეგ კი მეფემ ბრძანა მოკლულთა თავები ერთ ადგილას შეეგროვებინათ და თითოეული თავის მომტანისათვის მიეცათ თითო დრაჰკანი. მათ ყველა საზღვრებში დაძებნეს და მეფის წინაშე ერთ ადგილას თავი მოუყარეს დახოცილთა თავებს. [მეფემ] ბრძანა, რომ [ეს თავები] გზაზე ჭგუფ-ჭგუფად განელაგებინათ მნახველთა განსაცვიფრებლად და შიშის მოსაგვრელად. ამის შემდეგ, როცა გიორგიმ ყოველგვარ იმედი გადაიწყვიტა, სთხოვა მეფეს შერიგება. [მეფემ] მოისმინა რა ეს. შეიწყალა იგი და ასეთი წერილი გაუგზავნა: „ნუ ფიქრობ. რა? [რადგან] გძლიე რა შენ, უფრო მეტს ვითხოვ შენგან, ვიდრე ჰდრე. მომეცი ჩემი სამამულო მიწა, რომელიც კურაპალატმა მიბოძა და შენი ვაჟი მძევლად. მაშინ ჩემსა და შენს შორის მშვიდობა დამყარდება“. [გიორგი] დათანხმდა. მეფემ დააყენა გავარის [ზელამხელველებად] მთავრები, რომლებმაც დაყვეს იგი მამულეზად, სოფლებად და კარმიდამოებად, როგორც ეს წინათ იყო. ბასილ მეფემ მიიღო მძევლები და შეპირდა მათ უკან დაბრუნებას სამი წლის შემდეგ. თვითონ კი წავიდა ჯარით, გარს შემოუარა სომეხთა [ქვეყანას] და შეჩერდა და დაიბანაკა ჰერის⁷⁴ ფართო მინდორზე. მან ჯარებს უბრძანა გაეჩეხათ ქალაქის ხეები. ხოლო ქალაქის მთავარმა ითხოვა [ნებართვა] ხარკის აკრეფით მომსახურებოდა მეფეს და მის მორჩილებაში ყოფილიყო.

ვიდრე იგი ამ ფიქრებში იყო გართული, სპარსთა მთელი ქვეყანა შიშმა და ძრწოლამ მოიცვა და ეძებდნენ ხსნიან საშუალებას: უეცრად ცა ღრუბლებით დაიფარა და მიწას გადმოედინა წვიმის ღვარი. შემდეგ კი დაჰბერა ჩრდილოეთის მძაფრმა ქარმა, წვიმა სეტყვამ შეცვალა; თოვლმა და ყინულმა სქელი ფენით დაფარა დედამიწის ზედაპირი. ეს დრო იმითაც იყო ხელშემწყობი, რომ დადგა მკაცრი ზამთარი. თოვლის სიმრავლისა და მკაცრი ყინვების გახანგრძლივების გამო ცხენებისა და ჯორების გროვა გაშეშდა და ველარ შეძლო მოძრაობა. ხოლო ქვეით ჯარებს მკაცრი ყინვებისაგან ხელებისა და ფეხების ბოლოები როგორც ცეცხლისაგან, ისე დაეწვით და მოკვეთილნი დაცვიფდნენ. კარების თოკები და პალოები, რომლებიც მიწაზე იყო დამაგრებული, გაშეშდა სასტიკი ყინვებისაგან. და ეს, როგორც მე მიმანჩნია, იმ უწყალო მახვილის სანაცვლო იყო, რომელიც მათ ქრისტიანებს მოუტანეს. თუმცა [ქრისტიანები], ცოდვებისათვის დაისაჯნენ, მაგრამ საჭიროა მათი შეწყალება, როგორც ამას ღმერთი ეუბნება ბაბილონელს: „მე მივსცენ იგინი

ქელსა შენსა, ხოლო შენ არა მიეც მათ წყალობა“*. ამისათვის მკაცრი ყინვებით გაიტანჯნენ არა თუ მალალ მთებზე, არამედ ღრმა და საკმაოდ თბილ ველებში, თავიანთი მტრების წინაშე; ასევე მოსეს ღროს, ეგვიპტე დაისეტყვა და თრთვილით დაიფარა, რაც არ იყო შესაბამისი ქვეყნის ბუნებისათვის. ბარბაროსებმა აშკარად შეიგნეს, რომ მათ ებრძოდა ყოვლისმპყრობლის ხელი. [პრორომები]. რომლებიც ასეთ ვითარებაში ძლიერი და ურყევი დარჩნენ. მეფესთან ერთად ცხენებზე შესხდნენ და ყინვისაგან, როგორც მტერთაგან, განდევნილებს აღარც კი უზრუნვით ქონებაზე. [ისინი] გადავიდნენ არწრუნთა⁷⁵ გავარში. ეს რომ ქალაქის [მცხოვრებლებმა] დაინახეს, უმაღვე გროვად თავდასასხმელად გარეთ გამოვიდნენ, დიდი სიხარულით თავს დააცხრნენ და აივსნენ ცხენებით, ჯორებით, კარვებითა და სხვა ქონების ნადავლით, რომლებზეც [გაქცეულ პრორომებს] არ შეეძლოთ ეზრუნათ. ისინი მხოლოდ სიცივისაგან იყვნენ შეძრწუნებულნი. ხოლო მეფე, მძარცველთაგან შეგინებული, აშკარად მიხვდა, რომ მხოლოდ უფლის ხელს შეუძლია მისთვის ქართველების [ქვეყნის] გადაცემა. როგორც მეფეთა წიგნში წერია: „ვერ უძლოს ძლიერმან კაცმან, უფალმან უძლურ ყოს მქდომი თვისი“**. მეფე დაიძრა ჯარით, განვლო მრავალი ადგილი, წავიდა და მიადწია თავის ქალაქ კონსტანტინოპოლს. სამი წლის [შემდეგ] მან დიდი ძლევით გაგზავნა აფხაზის შვილი, თვითონ კი იგი სასიკვდილო სენმა შეიპყრო.

მაგრამ ვინაიდან მისი მკვიდრი [ძმა] და თანამმართველი კონსტანტინე⁷⁶ ნიკიელთა გავარში იმყოფებოდა, მეფემ ბრძანა გაეგზავნათ მღევრები, რათა იგი სწრაფად მოსულიყო მასთან. ხოლო მათ, რომლებსაც [კონსტანტინესათვის] უნდა მიეწვდინათ ეს ბრძანება, სიტყვით თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მეფის ბრძანება დაფარეს, რადგანაც არ სურდათ კონსტანტინეს გამეფება. მრავალი დაჟინებითი გამოძიების შემდეგ თვითმპყრობელმა შეიტყო მათი ვერაგობა და უბრძანა მსახურებს: „მომგვარეთ ცხენიო“. იგი ადგა საწოლიდან, შეჯდა ცხენზე და გამოვიდა სასახლიდან ქალაქის სახაზავად. ბევრნი, დაინახეს რა [მეფე], შიშისაგან წავიდნენ და თავი შეაფარეს ბნელ სახლებს. ხოლო მღევრები გაემართნენ და სასწრაფოდ იქ მოიყვანეს კონსტანტინე, რომელსაც მეფემ სამეფო გვირგვინი დაადგა თავს და მეფედ დაამტკიცა. [მეფემ] უანდერძა [კონსტანტინეს], როგორც დავითმა სოლომონს, რომ სამეფოში მეამბოხენი და ისინი,

* ესაია 47. 6

** მეფეთა წიგნი, პირველი. 2,9—10.

რომლებსაც არ სურდათ მისი გამეფება, ცოცხალი არ დაეტოვებინა. მაგრამ არ დაუმატა, რომ, როგორც დავითი მოითხოვდა, [ახალი] მიზეზი არ მოეძებნა. თვით კი დაწვა თავის საწოლში და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. იმეფა ორმოცდაათი წელი. ხოლო მისი სიკვდილის უამს ციდან გამოჩნდა ერთი საკვირველი ნიშანი, რომელმაც საღამო ხანს, როცა [მეფეს] სული აღმოხდა, მალა ცა გააპო და ცეცხლის ნაპერწკალი ძირს დაეცა. ეს ყველამ დაინახა და ამბობდნენ, რომ [საკვირველმა ნიშანმა ყველას] ამცნო მეფის სიკვდილი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

კონსტანტინეს მეფობა

ბასილის შემდეგ ოთხი წელი იმეფა მისმა ღვიძლმა ძმამ კონსტანტინემ. ვინაიდან იგი მშვიდობისმოყვარე და გულუხვი კაცი იყო, თავისი მეფობის პირველ წელს მშვიდად იმყოფებოდა. ქვეყანამ დაისვენა დიდი უბედურებისაგან. გავარების მთავრები, რომლებიც დიდმა ბასილმა განაწესა, [კონსტანტინემ იმავე სამსახურში] დაამტკიცა. ვინმე კომინოსმა⁷⁷, კაცმა მხნემ და მებრძოლმა, რომელიც მისმა ძმამ ვასპურაკანის გვარის გამგებლად დანიშნა, დიდი საგმირო საქმენი მოიმოქმედა სპარსელთა კარზე და სახელი გაითქვა მთელ აღმოსავლეთში. მან მეფის სიკვდილის უამს ბოროტება განიზრახა, გიორგის დაუკავშირდა აღმოსავლეთში გამეფებისათვის. ეს რომ კაპადოკიელთა ჯარმა შეიტყო, შეერთდნენ და მყისვე თავს დაესხნენ, დაწყვიტეს კარვის თოკები და ძირს დასცეს. შეიპყრეს იგი და მისი თანამზრახველნი, დაატყვევეს ციხე-საპყრობილეში და [ამის შესახებ] აცნობეს მეფეს. ეს მოხდა კონსტანტინეს მეფობის პირველ წელს, როდესაც იყო ჩვენი წელთაღრიცხვით ოთხას სამოცდათხუთმეტი წელი*.

ხოლო მეფემ, როდესაც ეს შეიტყო, იგი მაშინვე სასჯელს არ მისცა, არამედ მთელი წელი მოითმინა, ვიდრე კარგად არ ჩასწვდა საქმეებს. მეორე წლის დასაწყისში კი გაგზავნა ჯალათი, რომელიც მოვიდა და დაუბრმავა თვალები [კომინოსსა] და მასთან მყოფ რვა კაცს; დიდად გულდასაწყვეტია, რომ ამ საპატიო და კეთილი მოგონების ღირსმა კაცმა დაკარგა გონება, რადგანაც მან არქეში⁷⁸ თავისი მამულებითურთ ჰორომებს მისცა ხელთ. მეორე წლის დამდეგს მეფემ ქვეყნის აღმოსავლეთ მხარეში გაგზავნა ზედამხედველად ერ-

* 1026 წ.

თი საჭურისი ნიკიტი, რომელიც მოვიდა ქართველთა გავარში და მაცდური სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და მეფის კარზე გაგზავნა. ეს რომ [მეფემ] იხილა, განიხარა, პატივი სცა მათ დიდი ძღვენითა და ხელისუფლების ჩინით. უბოძა მათ ღირსებისამებრ სოფლები და დაბები ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდრეოდ. ხოლო მესამე წლის დასაწყისში აღმოსავლეთისაკენ დიდი ჯარით დაიძრა სიმონ⁷⁹ საჭურისი, რომელსაც ეპყრა ნახევარი სამეფოს ხელისუფლება და რომელიც ბერძნულ ენაზე პარეკიმანოსად⁸⁰ იწოდებოდა. იგი გადმოვიდა ქართველთა ქვეყანაში, მაგრამ ვერ შეძლო საქმის სისრულეში მოყვანა, ვინაიდან მაშინვე მოვიდა მეფის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. ეს რომ გაიგო, დაუყოვნებლივ ჯარით კვლავ კონსტანტინოპოლში წავიდა.

თავი მეექვსე

რომანოსის გამეფება

ბასილი, მეფეთა შორის ძლიერი და ბრძოლებში მუდამ მძლეველი, რომელმაც მრავალი ქვეყანა ფეხქვეშ გათელა, ბრძოლების გამო ვერ დაქორწინდა და [ამიტომ] არ ჰყოლია სამეფოს მემკვიდრე ვაჟები, [მემკვიდრის ყოლა კი ყველა] მეფისათვის წესი იყო. მის შემდეგ სამეფოს დაეუფლა ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოხსენებული, [ბასილის] მკვიდრი ძმა კონსტანტინე. ვინაიდან [კონსტანტინესაც] არ ჰყავდა ვაჟი, არამედ ჰყავდა ორი ქალი, [ამიტომ] უფროსი ქალიშვილი ზოია⁸¹ დააქორწინა რომანოსზე⁸², რომელიც ჰორომთა ჯარის ერთი მხედართმთავარი იყო. [კონსტანტინემ რომანოსი] გაამეფა თავის ნაცვლად, თვით კი მალე გარდაიცვალა.

თავისი მეფობის პირველ წელს [რომანოსმა] შეკრიბა ჯარი და დაიძრა ანტიოქიის მხარეებისაკენ. მას სურდა წასულიყო ქალაქ პალზზე⁸³, აელო და აეოხრებინა იგი. იგი მოვიდა სევად წოდებულ მთასთან⁸⁴ და იქ იხილა მონასტრების სიმრავლე და განდევილთა სადგომები. ისინი სხეულით კი არსებობდნენ, მაგრამ უხორცოთა (ანგელოზების) მსგავსნი იყვნენ. ისინი მხოლოდ თხის ტყავით, ან კამზოლით კმაყოფილდებოდნენ იოანეს⁸⁵ მსგავსად. მაგრამ იგი მხოლოდ კალიითა და გარეული ყურძნის ნაწურით იკვებებოდა, მათ კი ხელი მოჰკიდეს რკინის ბარს, დაუსვენებლად მუშაობდნენ და ქერის მარცვლეულისაგან იმზადდნენ დღიურ საკვებს. ხოლო სხვადასხვა საქმელები და გემრიელი საკვები გამამხიარულებელ

ღვინოსთან ერთად, რომელიც ვენახებმა მისცეს, მიწიერი ცხოვრების მოყვარულთ დაუტოვეს. ისინი ავიდნენ მთის წვერზე და იყვნენ რა პირველი წინასწარმეტყველის თანამოსაუბრენი. მუდამ ღმერთს ესაუბრებოდნენ.

ეს რომ მეფემ დაინახა. თავის დიდებულებს ჰკითხა: „ეს ერეტიკოსთა რა სიმრავლეა?“. მათ უპასუხეს: „ისინი ყველანი მლოცველები არიან, რომლებიც მუდამ ევედრებიან [ღმერთს]. ქვეყნის მშვიდობას და თქვენ ჯანმრთელობას“-ო. [ამაზე] მეფემ უპასუხა: „მე არ მკვირდება მათი ლოცვები, არამედ ყველა მონასტრიდან ტყვედ წამოიყვანეთ მშვილდოსანნი ჩემ სამეფოში სამსახურისათვის.“ ვინაიდან ძლიერ სწამდა ქალკედონური კანონები, ამიტომ მისთვის საძულველი იყო სხვა მართლმადიდებლური წესები. [რომანოსმა] ასურელთა ეპისკოპოსი წაიყვანა კონსტანტინოპოლში, დასცინა და მასხარად აიგდო იგი, ბრძანა მისთვის წვერი მოეკრიჭათ და სახედარზე შემჭდარი შემოეტარებინათ მოედნებსა და ქუჩებში, ფურთხით გაესვარათ, შემდეგ კი ბრძანა ჩაემწყვდიათ საპყრობილეში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ასეთი ჰკუთანაკლები იყო მეფე. იგი არც კი იხსენებდა თავის წინამორბედ მეფეებს, რომლებიც მფარველობდნენ ხელქვეით ხალხებს. [რომანოსს] კი თვითნებურად სურდა სახე ეცვალა ღვთის ეკლესიისათვის, არ გაიხსენა რა საუფლო ჰემარიტი ბრძანება: „რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაბნიოს იგი“* ამისათვის მასზე მალე მოაწია ღვთის ღირსეულმა განაჩენმა. [ჰორომთა] აურაცხელ სიმრავლეს თავს დაესხა რვაასი თუ ათასი ტაქიკი⁸⁶ და უზომოდ ამოწყვიტეს [ისინი]. მათ გაძარცვეს მეფისა და ჯარების განძები და საკუთარ ქალაქში დაბრუნდნენ.

ხოლო მეფე სამარცხვინოდ გაიქცა და ცხენების ჰენებით თავის სამეფო ქალაქში დაბრუნდა. შემდეგ კი დაცხრა სასტიკი ამპარტანობისაგან და შეძლო გაეხსენებინა დავით [წინასწარმეტყველის] სიმღერის სიტყვები: „კეთილ არს სასოებაჲ უფლისაჲ ვიდრე სასოებასა მთავართასა“**⁸⁷, რადგანაც ვერავითარი სიმდიდრე ვერ დაეხმარა რისხვის ემს. ამის შემდეგ იგი მომავალშიც სიკვდილამდე აღარ გამოსულა თავისი სამეფო ქალაქიდან.

* მათ. 21, 44

** ფსალმ., 117,9

ქალაქ ურპას მთავარი, რომელსაც ამირას უწოდებდნენ და რომელსაც წინაპართაგან ჰქონდა სამემკვიდრეოდ ეს ადგილი, უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა, ხოლო მისმა ცოლმა ავხორცი სურვილით შეიყვარა ერთი თავისი მსახურთაგანი, სახელად სალამა და თავისი ქმრის ნაცვლად ქალაქის გამგებლად დანიშნა.

ხოლო [სალამამ], ქალაქის დიდებულთაგან შეშინებულმა, რომ მას არ დაემორჩილებოდნენ, ერთი თავისი ერთგული მსახური გაგზავნა მანეაკთან⁸⁸, რომელიც იმ დროს ჰორომთა გავარის საზღვარზე იყო გამგებლად; იგი იჭდა ქალაქ სამუსატში⁸⁹, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ძველად სამოსნმა⁹⁰ ააშენაო. მან [მანეაკის საშუალებით] თხოვა მეფეს ებოძებინა მისთვის ჰორომთა ქვეყანაში თანამდებობა და მემკვიდრეობა სამარადისოდ წერილობით და ბეჭდით [დამტკიცებული]. „მე, — ამბობდა იგი, — ბრძოლის გარეშე მივცემ მას ქალაქს“—ო. ეს რომ მეფე რომანოსმა შეიტყო, თანხმობის წერილი გაუგზავნა [სალამას], დანიშნა, იგი ანთიპატოს პატრიკიოსად⁹¹, მისი ცოლი კი დიდი და თვალსაჩინო პატივით განადიდდა.

ხოლო მოქალაქეებმა, როდესაც გაიგონეს შეძახილები და საყვედურთა ხმები, აცახცახებულნი და შეშინებულნი გარეთ გამოვიდნენ და ზღვის ტალღების მსგავსად თავმოყრილნი ერთმანეთზე გადადიოდნენ. მათ ვერ შეძლეს საქმის ვითარების გაგება. აღზრდილნი მაჰმადიანური კანონებით ღამით გამოვიდნენ, მიაღწიეს მახლობელ ქალაქებს და იქ ყვებოდნენ მათ თავზე უეცრად დამტყდარი უბედურების შესახებ. ხოლო როცა მათ ეს შეიტყვეს. მოიხმეს და ერთ ადგილას შეკრიბეს ჯართა სიმრავლე: [ჰორომები] ქალაქს თავს დაესხნენ, დაანგრიეს მისი გალავანი, შევიდნენ შიგნით და მრავალი [კაცი] ამოწყვიტეს. ამიტომ ბევრი მოქალაქე დიდ კათოლიკე [ეკლესიაში] შევიდა და იქ გამაგრდა, სხვებმა კი გამაგრებულ ადგილებს ან კოშკებს [შეაფარეს თავი]. ხოლო ალყაშემორტყმულებმა ბევრი ადგილი ცეცხლით მოსრეს და თვით კათოლიკე [ეკლესიაც] ცეცხლს მისცეს. შემდეგ გახსნეს სიწმინდის სახლის საგანძურები, რომლებიც სომეხთა პირველი მეფეების მიერ უფლის ტაძრის ქურქელ-სამსახურებლით იყო ავსებული. ყოველივე ეს დიდი სისწრაფით გამოიტანეს და წავიდნენ თავიანთ ადგილებში. იმ დღიდან აქამდე ქალაქი ჰორომებს აქვთ დაპყრობილი.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე
რომანოსის სიკვდილი

მეფე [რომანოსი] არ გახდა ღირსი არავითარი კეთილი მოგონებისა. დიდ ხუთშაბათს იგი სასახლიდან ორატორობდა თავის ჯართან. შუაღამედვე გასცა სამეფო საჩუქრები ხელისუფლების [ღირსებისამებრ]. მოათავა რა ეს საქმეები, ბრძანა ოქროს აბაზანაში წყალი მოემზადებინათ საბანაოდ. ხოლო როდესაც იგი შევიდა თბილი წყლით სავსე ოქროს აბაზანაში, მსახურები წვდნენ მას თმებში. ჩააყურყუმალეს წყალში და მოუსწრაფეს სიცოცხლე. დედოფალი ამ საქმის მონაწილე იყო. [რომანოსმა] შეიდი წელი იმეფა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე
გიხილიც⁹² გეფოცა

• დანიელმა⁹³ თავის წინასწარმეტყველებისას იხილა [სამეფოები]. რომლებსაც ჰქონდათ ოქროს თავი, ვერცხლის ზურგი და ხელები, სპილენძის გვერდი და წელი. ისინი მოისპნენ. ხოლო [სამეფო] რკინის წვივებითა და ფეხებით, თიხასთან შერეული — ჰორომთა სამეფოა. მას ისე არ განაგებდნენ, როგორც სხვა ხალხებთან განაგებს მეფე ან მეფის ძე. ის მეფე, რომელსაც მამა-პაპათაგან აქვს მთავრობა — რკინაა, ხოლო უცხოელი, რომელიც არ არის სამეფო ტომიდან — თიხაა. ასეთ [ამბავს] ხშირად ჰქონდა ადგილი მათთან, რასაც ამჯერადაც ვხედავთ ახლანდელ მეფესთან. იგი არც სამეფო ტომიდან იყო, არც მეფის ვაჟი და არც სპათაგან რომელიმე გამოჩენილი მთავარი. არამედ იგი იყო ერთი უმნიშვნელო პიროვნება, სასახლის მსახურთაგან, რომელსაც დედოფალი ეტრფოდა ავხორცი გახლებული ვნებით და მისი მიზეზით მან თავისი ქმარი დააბრჩო. როგორც ამბობენ, ერთ-ერთი მკვლელთაგანი სწორედ [ახლანდელი მეფე] იყო. ამ სატანური საქმის სისრულეში მოყვანის შემდეგ დედოფალმა ბრძანა ქალაქის ღიდებულების თავისთან მოხმობა, უჩვენა მათ გარდაცვლილი მეფე და გამოაცხადა, რომ მეფე უეცარი სიკვდილით გარდაიცვალაო. შემდეგ კი მალე ეს მიხეილი მოიყვანა, გაამეფა და ქმრადაც გაიხადა. ამით ყველასთვის გამოაშკარავდა საქმის [ვითარება]. რადგან [მიხეილს] ბევრი ნათესავი და ძმები ჰყავდა, უმადლესი ხელისუფლება მათ მისცა. ერთი ძმა მაგისტროსად დანიშნა, მისცა ხელთ თესალონიკი⁹⁴ და მიანდო მას ბულგარელებსა და დასავლეთის მხარეებზე ზრუნვა. ერთი დანიშნა დემესლიკოსად⁹⁵ და გაგზავნა დიდ ანტიოქიაში ტაქიკებსა და 'სამხრეთის მხარეებზე სამეთვალყურეოდ. ხოლო მესამე ძმა, რომელიც

იყო საჭურისი და ბერი, ორთანოროსი⁹⁶, სამეფო ქალაქ კონსტანტინოპოლში განაწესა, დანიშნა იგი სინკლიტოსად და სასახლის ყოველგვარი ზრუნვა და უფლებები მას ჩაუგდო ხელთ.

თვით კი გაბოროტდა და გაცოფდა და ეკლესიასა და წმინდათა განსასვენებელში წავიდა. მხოლოდ არ ვიცი, ეს შურისძიება იყო რომანოსის სიკვდილისათვის, რომელიც უსამართლოდ მოკვდა, თუ თავიდანვე ჰქონდა ეს სიციოფე, მაგრამ სხვა მიზეზებზეც ამბობდნენ. ვინაიდან ეს სამეფო მისი არ იყო, ამიტომ იგი წავიდა თესალონიკელთა ქალაქში ერთ ჯადოსან ქალთან. როგორც მოგვითხრობენ ძველად ბასილის დროს, ერთმა ახალგაზრდამ [მოავგარა] საქმეები ჯადოსნის საშუალებით და თავისი თავი ყოველგვარი ბოროტების მამას მიანდო. სიძვის სიშმაგით აღენტო დედოფალი, რომელმაც [მიხეილი] თავისთან მოიყვანა და ქვეყნის მეფედ დაადგინა. ხოლო საქმის დამთავრების შემდეგ, მეფეთა კანონის თანახმად, საუფლო დღესასწაულების დროს, როცა აუცილებლობის გამო ეკლესიაში უხდებოდათ სიარული, [მიხეილს] არ შეეძლო აეტანა ბოროტი სულისაგან [მიყენებული ტანჯვა]. ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეს აცოფებდა მას. ეს იმით მტკიცდებოდა, რომ როგორც ამბობდნენ, ხშირად მეფე თესალონიკში იმყოფებოდა, ჯადოსნის ახლოს. ხოლო ასეა თუ ისე, სიკვდილამდე არ განშორებია ეს [სიციოფე], რომელიც აწვალებდა მას.

მისი მეფობის დროს დიდი რაოდენობით ამოწყდა ჰორომთა ჯარები არწრუნთა ქვეყანაში ბერკრის ციხე-ქალაქში⁹⁷, რომელიც თავისი მამულებითურთ დიდი ხანია რაც მიიტაცეს სპარსელებმა და მიისაკუთრეს. მათზე დიდი ჯარით წამოვიდა ვასპურაკანის გავარის თავი, ვინმე კავასილასი, აიღო ქალაქი და მის მცველად დააყენა ცხენოსანთა გუნდი. ამ დროს ერთმა [პიროვნებამ] ხელთ იგდო [კავასილასის] ხელისუფლება, აიყვანა სხვა ჯარი, წავიდა და დადგა მოშორებით. ერთ ადგილას, რომელსაც არწაკი ეწოდებოდა. [იგი აქ შეჩერდა] საკვების სიუხვისა და ცხენოსანთა ჯარის სხვა საჭიროებებისათვის. ხოლო ქალაქის უფალმა, სახელად ხტრიკმა, რომელიც ციხეში იყო დაპატიმრებული, აცნობა სპარსელთა ქვეყნის მეთაურებს. მათ ერთმანეთს მოულოდნელად ხმა მიაწვდინეს. ერთ ადგილას შეგროვდნენ, მიაღწიეს ქალაქს და ალყა შემოარტყეს მას. ხოლო ჰორომთა ჯარებმა, რომლებიც მოდუნებულნი იყვნენ თავაშეგებული საქმეებისა და ღვინისაგან, ვერ შეძლეს თავის დაცვა. ისრაელის მფარველმა განაშორა მათ თავისი დახმარება. [სპარსელებმა] მახვილი აღმართეს მათზე და ამოწყვიტეს ოცდაათი ათასი კაცი. ეს მოხდა არა სპარსელთა სამართლიანობისათვის, არამედ ჩვენი

ჯარების უკანონობის გამო, რომლებიც ამოწყდნენ მძაფრი მახვი-
ლით უფლის სიტყვის თანახმად: „ბოროტნი იგი ბოროტად წარწყ-
მიდნეს“*. ხოლო არწყავი მყოფმა ჯარებმა ვერ მიაღწიეს მათ და-
სახმარებლად. სპარსელთა ჯარებმა მიიტაცეს მოკლულთა ქონება
და საკუთარ ქვეყანაში წავიდნენ. მაგრამ ვინაიდან ბევრი პატიმარი
ჰყავდათ, გზაზე შეჩერებისას ხტრიკმა უბრძანა ყოველ მათგანს მი-
წა გაეთხარა და შეპყრობილები იმ ორმოზე დაეკლათ. ისე რომ
[სისხლით] აევსოთ იგი. შემდეგ იგი თვით შევიდა [ამ ორმოში] და
იბანავა ამ მოკლულთა სისხლით თავისი გულის რისხვის დასამშვი-
დებლად.

მეორე წელს მეფემ კვლავ გაგზავნა სხვა ჯარები, რომლებიც
მოვიდნენ. დადგეს მანქანები და ურნალები და მით იწყეს ციხის
ზღუდის ნგრევა. ციხეში მყოფებმა დაინახეს, რომ გადარჩენის
საშუალება არსაიდან იყო, მრავალი მათგანი ამოწყდა. ამიტომ ჯა-
რის მეთაურებს სთხოვეს, რომ გაეშვათ ისინი თავიანთ ქვეყანაში
ზიანის მიყენების გარეშე და თვითონ დაპატრონებოდნენ ციხესი-
მაგრესა და მამულებს. ეს რომ მათ მოისმინეს, ისე მოიმოქმედეს,
როგორც ისწავლეს. ამიერიდან სამუდამოდ აღიკვეთა სპარსთა ბა-
ტონობა ამ ადგილიდან.

[მიხეილის] მეფობის დასაწყისში მზე დაბნელდა არაკის თვე-
ში, პარასკევს, დღის დასასრულს, ჩვენი წელთაღრიცხვის ოთხას
ოთხმოცდაორ წელს**. სწავლულთაგან ბევრმა. იხილა რა ეს, იფიქ-
რა. რომ ამ დღეს უნდა დაბადებულყო ანტიქრისტე, ან იგი უნდა
ყოფილიყო მათუწყებელი დიდი უბედურებისა. ეს ნამდვილად მოხ-
და ჩვენ დროს, როგორც ამას თანდათანობით გვიჩვენებს ისტორია.
ჩვენი თვლით ვიხილეთ ღვთის რისხვით [მოვლენილი] უბედურება
და საშინელი სასჯელი, რომელიც თავს დაატყდა სომხეთის ქვეყა-
ნას ჩვენი ცოდვების გამო. უფრო აღრე ერთი სხვა დიდი ნიშანი
გამოჩნდა, რომელმაც განაცვიფრა მხილველნი. იგი მსგავსი იყო
იერუსალიმის უკანასკნელი აოხრების ნიშნებისა, რის შესახებაც
მაცხოვარი მუქარით ამბობდა: „რამეთუ იყვნენ დღენი იგი. ჰირი-
სანი, რომელი არასადა იქმნა ესევეთარი დასაბამითგან, რომელ
დაჰბადა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე, არცალა იყოს“***. პასუხად
ისინი გაცოფდნენ, ჩათვალეს რა ღმერთი და შემოქმედი კაცად.
ერთი კაცი, სახელად ანანია, ქალაქ იერუსალიმში დარჩა, მალაღ-

* მათე. 21, 41

** 1C33 წ.

*** მარკოზი, 13, 19.

ხმით მოიქცემდა და ამბობდა: „ვთხერხალინო, ვი სისხლის ქალაქო, მოაღწია შენმა შურისძიების დღეებმა“ და [იმეორებდა სხვა] სიტყვებსაც. რომელსაც დიდი ევსებიოზი⁹⁸ თავის ეკლესიის ისტორიაში წერს. სწორედ ასევე ჩვენ დროს, მისი მსგავსი, ერთი ყველასათვის უცნობი, უთვისტომო, უსახლკარო კაცი მოვიდა აღმოსავლეთის მხარიდან. განვლო აპაჰუნიქის⁹⁹, პარქისა და მანანაღის¹⁰⁰ გავარები და შევიდა ეკლესიის გავარში გზით, რომლითაც არ დაბრუნებულა. იგი დღისით და ღამით, განუწყვეტლივ, მაღალი ხმით ამ სიტყვებს გაიძახოდა: „ვი მე, ვი მე!“ სხვას იგი არაფერს არ ამბობდა. და თუ ვინმე შეეკითხებოდა მას: „საიდან, რომელი გავარიდან ხარ, ან რისთვის ამბობ ამას“-ო, იგი პასუხს არ იძლეოდა, არამედ ყოველთვის იგივე სიტყვებს ამბობდა და არ ჩერდებოდა. როცა იგი უგუნურმა ხალხმა იხილა, სულელად მიიჩნია, ხოლო გონაერნი [მის დანახვაზე] ამბობდნენ. რომ „ეს ვი მთელი ქვეყნისათვის არის მოსალოდნელიო“. ამჟამად კი ეს [სიტყვები] აქ შეწყდა, ხოლო ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ზემოთ მოხსენებული მეფის ამბებს.

[მიხეილი] თავის დისშვილს კეისარს უწოდებდა. იმეფა შვიდი წელი და რვა თვე. დაავადდა და გარდაიცვალა. ხოლო დედოფალმა კეისარი¹⁰¹ იშვილა და თავისი ქმრის ნაცვლად გაამეფა. ხოლო მან, ნაცვლად იმისა, რომ მადლიერი ყოფილიყო დედოფლის მიერ მისთვის გაწეული სიკეთისათვის, განიზრახა შორეულ კუნძულზე გაესახლებინა დედოფალი მთელი თავისი ნათესაობით, რათა ხელი-პუფლება საკუთრად მას დარჩენოდა. [განზრახული] მან სისრულეში მოიყვანა. ხოლო დედოფლის დამ, რომელსაც თეოდორა¹⁰² ერქვა, მოიხმო ქალაქის დიდებულები და ამცნო მომხდარი ამბავი. [დიდებულებმა] მოისმინეს რა ეს, მოუხმეს დასავლეთის ჯარებს, თავისთან მოუყარეს მათ თავი. ისინი ერთიანი ძალით თავს დაესხნენ [კეისარს] და მოითხოვდნენ: „გვიჩვენეთ ჩვენი პორტირით მოხილი დედოფალი, რომელსაც მამა-პაპათაგან აქვს სამეფო მემკვიდრეობა, ვინაიდან ბევრი ფიქრობს, რომ [დედოფალი] უკვე მკვდარია“. ხოლო როცა [კეისარმა] იხილა მათი ძალი და ერთსულოვნება, შიშმა შეიპყრო და ბრძანა სასწრაფოდ გადასახლებიდან უკან დაებრუნებინათ დედოფალი. როდესაც თეოდორამ იხილა თავისი და, მაშინვე ბრძანა შეეპყროთ მეფე თავისი ნათესაობითა და ერთგული [ადამიანებით]. ხოლო მეფე გაიქცა, სურდა მთავარ ეკლესიაში შესვლა. რათა საკურთხევლის ქვეშ დამალულიყო და მით ეხსნა თავი. მაგრამ ვერ შეძლო ამის განხორციელება, რადგანაც მღებრებმა სწრაფად მოაღწიეს და შეპყრობილი [მეფე] უკან და-

აბრუნეს, ერთ კუჭყიან ადგილას მიწაზე დაანარცხეს და თვალები დასთხარეს, ასევე [მოექცნენ] დემესლიკოსად წოდებულსა და სხვებს. მან ბრძანა მათი სახლების გაძარცვა, დანგრევა და აოხრება. მთელი ქალაქი შეიძრა, მრავალი ნაძარცვი წაიღეს. დიდებული და ლამაზი სასახლეები საფუძვლითურთ დაინგრა და აოხრდა. გაიზარდა გაძარცვის [სურვილით] აღგზნებული აღელვებული ბრბო; მათ დაანგრიეს სასახლის კედელი და მრავალი განძი გარეთ გაზიდეს სამეფო საგანძურებიდან. ქალაქის დიდებულებმა ძლივს შეძლეს ამბოხების ჩაქრობა. მათი დამხმარე იყო მზე, რომელმაც დამალა სხივები, [გამეფდა წყვდიადი]. ხოლო მეფე, რომელიც ოქროს ტახტზე მჯდომი ბრძანებას აძლევდა მთელ სამყაროს, დღეს დაბრმავებული დაჯდა ამაოებისა და უპატიობის ტახტზე. ხოლო მათ, რომლებიც ფიქრობდნენ ზღვასა და ხმელეთზე სამარადისოდ გაბატონებას, ერთ წამში დაკარგეს ხსნის [შესაძლებლობა]. ჭეშმარიტად, თანახმად წინასწარმეტყველისა, ისინი ემსგავსნენ ერდოს თივას; რომელიც ჯერ კიდევ ხელის შეხებამდე გახმა. მისგან არ აივსო მომკალის პეში და არც ძნების აღმმართველთა წიაღი. ასევე არც გამვლელთა ლოცვა-კურთხევა არ ჩაეწვეთა მათ სასმენელთ.* ეს არის რამდენიმე დღის ისტორია კეისრისა, რომელმაც იმეფა ექვსი თვე.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

გეფრობა თმოღოუსა მის კონსტანტინესიოზ, რომელიც მოწოდებად იწოდება

წინასწარმეტყველის წინასწარხედვის თანახმად [კონსტანტინე] თიხის ნაწილისაგან იყო; მამამისს სასახლეში ეპყრა მთავარი მსაჯულის თანამდებობა და მის მიერ ინიშნებოდნენ ქვეყნის მსაჯულები. კეისრის მცირე ხნის მეფობის შემდეგ ძუ ლომი თავის ბუნაგში აღრიალდა თანამოზიარეზე; იგი შეიპყრო დიდმა ექვებმა, რადგანაც მისიანებიდან არავინ იყო მეფობის ღირსი. ხოლო [კეისარმა], რომელიც [დედოფალმა] იშვილა და ქვეყნის უფლად და მეფედ განაწესა, სანაცვლოდ მას მიაგო ის, რის შესახებაც ცოტა ხნის წინ აღვნიშნეთ. შემდეგ რა გააკეთა მან? კანონიერი წესების დარღვევით [დედოფალმა] მოიყვანა ეს კაცი, დაქორწინდა მასზე და დასვა იგი სამეფო ტახტზე. ბევრნი მას [დედოფლის] სატრფოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ მე არ ვიცი, ასე იყო, თუ არა. თვით [იგი] კი წერდა თავის წერილში, რომ „ქვეყნის სასიკეთოდ, ქვეყნის მშვილობისათვის არ დავზოგე ჩემი თავი და ამისათვის გავბედე ჩამე-

* შტრ. ფსალმ., 128, 6-7.

დინა ეს უღირსი საქმეო“. პირველ წელს აჯანყდა [მანუაქის] შვილი მანუაქი, კაცი მხნე და სახელოვანი, რომელიც ფლობდა დასავლეთის მხარეს. მან შემოიკრიბა მრავალი [კაცი] და დიდძალი ჯარით სამეფო ქალაქის კარს მოადგა. იგი ისეთი სიძლიერით დაატყდა მათ თავს, რომ ბევრნი ნება-უნებლიეთ დაემორჩილნენ მას, ისინი ფიქრობდნენ, რომ ის იქნებოდა მეფე იმ წარმატებებისათვის, რომლებიც მას ხვდა წილად. მეფის ჯარები ორჯერ-სამჯერ გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, შეებრძოლნენ და მისგან დამარცხებულნი, დიდად შერცხვენილნი კვლავ მეფესთან დაბრუნდნენ. ხოლო ბოლო ბრძოლის დასაწყისში ყველანი ფიქრობდნენ, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ყველანი მას დაემორჩილებოდნენ და გაამეფებდნენ კიდევ. მაგრამ მას არ უფიქრია ღვთის [ნებით] გამეფება, არამედ დაეყრდნო თავისი საკუთარი ძალის სიძლიერეს და აბესალომის მსგავსად დაძაბუნდა შორეულ მხარეში, დათერა ამპარტავენობით, რისთვისაც [ღმერთმა] მას სასჯელი მიაგო. იგი იპოვნეს ბრძოლაში დაცემული, ვინმესთან შებმის გარეშე. ძლიერმა ანგელოზმა მიიბარა მისი სული. ყოველივე ეს ბრძნულად მოიმოქმედა ყველას უფალმა და შემოქმედმა, რომელსაც ძალუძს მთავართათვის სულის ამოხდომა და ქვეყნის ყველა მეფეზე უფრო ძლიერ [ქმნილებად] გადაქცევა, რომ „ნუ იქადინ ძლიერი ძალითა თვისითა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თვისითა; არამედ ამას ზედა ქებით, იქადოდენ, რომელი იგი იქადოდეს გულის ხმის ყოფასა და ცნობასა უფლისასა და ყოფად საშჯელსა და სამართალსა. შორის ქუჭყანისა“*.

ეს [კაცი] ჭეშმარიტად ღირსია დიდებისა და ქებისა, მისი ხსენება სამარადისოდ დარჩება და „რქაჲ მისი ამალღდეს“ დიდებითა**², როგორც ეს წერია ფსალმუნში. ასეთი იყო დიდი დავითი, რომელიც წინასწარმეტყველიდან მეფედ ეკურთხა და ზეთის ცხებასთან ერთად მიიღო ძლიერებისა და წინასწარმეტყველების სული, რომელმაც დათრგუნა ნადირნი და თიკნების მსგავსად დაგლიჯა. იგი [თავის ძალაზე] დანდობილი შეებრძოლა უძლეველ გოლიათს, მას თავი გაუტეხა შურდულით და მიწას დაანარცხა, განიშორა ისრაელთაგან შეურაცხყოფა, მაგრამ მრავალჯერ იყო დევნილი საულისაგან, იწყნარებდა მას და ემორჩილებოდა მის ბრძანებას. და არა თუ ცდილობდა ძალით დაუფლებოდა მეფობას, არამედ³ ორჯერ, როდესაც ხელით დასცა მღევარი, შეიბრალა იგი, როგორც სიკე-

* პირველი მეფეთა, 2, 10. ერემია, 9, 23—24.

** ფსალმუნი, 111, 9.

თის მოქმედება. მისი მოკვლის მსურველს გაკიცხვით უთხრა: „ნუ-
რა... აღვიღო ჯელი ჩემი მას ზედა, რამეთუ ცხებული არს უფლისა
ესე“*. რას განაოც კმაყოფილი დარჩა ღმერთი და უთხრა: „ვპო-
ვე... კაცი გულითადი ჩემი, რომელმან ყოს ყოველი ნებაჲ ჩე-
მი“**. ხოლო მანუაჲ ასე არ იფიქრა და არც დაემორჩილა
ღვთის ბრძანებას. არამედ მოისურვა თვით ღვთის გარეშე გამეფე-
ბა. დაიფიწყა რა საღვთო ბრძანება, რომელიც წინასწარმეტყველის
საშუალებით კიცხავს ისრაელის მეფეებს და აცხადებს: „ვაი მათ,
რომლებმაც ისურვეს ჩემ გარეშე გამეფებაო“ და სხვა.

აწ კი ეს მეფე არა მარტო რაიმე ქების ღირსი შეიქმნა და ამისა-
თვის ღმერთმა შეიბრალა იგი, არამედ ტახტი უბოძა მას და დაახ-
შო ანპარტავენობის წყარო; როგორც [ჩვენი] მხსნელი დამრძღვრით
ეუბნებოდა ებრაელებს: „საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნო-
ბარნი და ფარსეველნი“***. თუმცა ისინი ფარისევლები იყვნენ,
მაგრამ ტახტისათვის მან ბრძანა მორჩილება. ამიტომაც დიდმა პავ-
ლემ. რომელიც გაფრთხილებული იყო ნეტარი ხმით, შემდეგი მის-
წერა ჰორომებს: „ყოველი ჯელმწიფებასა მას უმთავრესისასა და-
ემორჩილენ, რამეთუ არა არს ჯელმწიფებაჲ. გარნა ღმრთისაგან“****.
მთავრის შესახებ არაფერს ამბობდა, არამედ მთავრობის, ე. ი. ტახ-
ტის შესახებ. რადგანაც ღმერთმა ყველა მთავარი არ აღადგინა და
ამას დაუმატა: „ამიერითგან რომელი ადგებოდის ჯელმწიფებასა,
ღმრთისა ბრძანებასა ადგების. ხოლო რომელნი — იგი ადგებოდინან,
თავისა თვისისა სასჯელი მიიღონ“*****. როგორც მას შეემთხვა. იგი
არა თუ რომელიმე კაცისაგან იყო დასჯილი, არამედ სამართლიანი
ღვთის მსჯავროსაგან. რომელიც ყოველივეს სიზუსტითა დასიმართ-
ლით სჯის, ვინაიდან მას აქვს ფხიზელი თვალი და ჩვენი საიდუმ-
ლოებანი ცნობილია მისი ყოვლისმხედველი განსწავლულობის წი-
ნაშე. ნეტარი დავითი ფსალმუნის გალობით აღიარებდა ღვთის წი-
ნაშე: „აჰა, უფალო, შენ სცან პირველი ჩემი და შემდგომი ჩე-
მი“*****. ასევე მოციქული წერდა ებრაელებს: „არარაჲ არს დაბა-
დებული დაფარულ წინაშე მისსა“*****. ყრმები კი ქებით ამბობ-
დნენ: „კუთხეულ ხარ მხედველი უფსკრულთა მჯდომარე ქერაბინ-

* პირველი მეფეთა, 24, 7.

** საქმე მოციქულთა, 13, 22.

*** მათე, 23, 2.

**** რომაელთა 13, 1.

***** რომაელთა 13, 2.

***** ფსალმ., 138, 5

***** ებრაელთა, 4, 13.

თა ზედა, და ზეშთა ქებულ და ზეშთა ამაღლებულ საუკუნეთა*^{*}, რადგანაც მაღლიდან მისი ქვეშარიტი მოძღვრება იქადაგეს ფსალმუნის თანახმად: „უფალმან ზეცით მოხედნა ყოველთა...“^{**}. ასევე ამბობს დიდი ესაია: „რამეთუ თუაღნი უფლისანი მაღალ, ხოლო კაცი მდაბალ, და დამდაბლდეს სიმაღლე კაცთა, და ამაღლდეს უფალი მხოლო მას დღესა შინა, რამეთუ დღე უფლისა საბაოთისა მოიწიოს ყოველსა ზედა მაგინებელსა, და ამპარტავანსა, და ყოველსა ზედა მაღალსა, და განსაცხრომელსა, და დამდაბლდენ“^{***}. ეს მოხდა კონსტანტინეს მეფობის დასაწყისში, ჩვენი წელთაღრიცხვის ოთხას ოთხმოცდაათ წელს^{****}. ხოლო სამი წლის შემდეგ მოაღწია სომეხთა სახლის აღსასრულმა; რადგანაც ერთ წელს გარდაიცვალა ორი ღვიძლი ძმა — აშოტი და იოანე, რომელთაც ეპყრათ ჩვენი ქვეყნის მეფობა. [ამ წელს] შეირყა მათი მტკიცე ტახტი და მეტი აღარც განმტკიცებულა. მთავრებმა დაკარგეს მშობლიური მემკვიდრეობა და გაძევებულ იქნენ უცხო ქვეყნებში.

აოხრდა გავარები და იქცა ბერძენთა ქვეყნის [მუღმივი] აოხრების საგნად. ნაშენი დაბა-ქალაქები ამყამად მხეცების სადგომებს წარმოადგენენ. მათი მინდვრები კი — პირუტყვთა საძოვრებს. მათი სასიამოვნო, მაღალი და დიდი სახლები ურჩხულთა სადგომად იქცა, როგორც გოდებენ წმინდა წინასწარმეტყველნი ისრაელის [ქვეყნის] გაუკაცრიელებას. „მუნ დაიბუდა გრძობამან, და დაჰმარხნა ქუჭყანამან ყრმანი მისნი კრძალულებით“^{*****}. მონასტრის დიდებული ადგილები ავაზაკთა ბუნავს დაემსგავსა. იქ არსებული ეკლესიები ცაქ ემსგავსებოდნენ თავიანთი ნათელი ნაგებობებით, ღამაში სამკაულებით, ჩაუქრობელი კანდელებით, რომელთა სინათლის ბრწყინვალება, ჰაერში გავრცელებული, აქა-იქ რხევით, ზღვის ტალღების მსგავსი იყო. [ეს სხივები] მშვიდ ამინდში საამო ჰაერის ტალღების რხევით ზვირთებად ერთმანეთს გარს ერტყმოდნენ. გულუხვ მსხვერპლშემწირველთა მიერ დანთებული საკმევლის საამო კვამლი ემსგავსებოდა გაზაფხულის ღროის ბლების ფერს, რომლებიც მთების წვერზე აღმოცენებულნი წინ ელობებოდნენ მზის სხივებს. ხოლო [ამ ეკლესიების] მცხოვრებთა შესახებ რა სიტყვას შეუძლია მოგვითხროს. [ისმოდა იქ] ტაბილზმოვანი სიმღერები და

* დანიელი, 3, 54.

** ფსალმ., 13, 2

*** ესაია, 2, 11—12.

**** 1041 წ.

***** ესაია, 34, 15.

ფსალმუნთა შეუწყვეტელი გალობა. საღვთო წიგნთა კითხვა, ნახავდით საუფლო დღესასწაულთა ზეიმსა და წამებულთა პატივისცემას. ერთსულოვან მზრახველთა ნება-სურვილებს და საღვთო [სამსახურში მყოფთა] გულმოდგინეობას და სხვ.

ასე იყო წინათ. ამჟამად კი ნახავთ მათ ყველაფრისაგან დაცარილებულებსა და გაღატაკებულებს. ყოველგვარ დიდებას მოკლებულებსა და გაძარცვულთ. გაქრა ტკბილხმოვანი სიმღერები. ამჟამად ბუები და მყვირალა ფრინველები არიან. [მომღერალთა] დასის მეთაურნი. ფსალმუნთა გალობის ნაცვლად გვრიტებისა და მტრედების სიმღერა ისმის. წინასწარმეტყველის თანახმად ისინი ტკბილი ხმით მოუხმობენ თავიანთ პირმშობებს. კანდელები ჩამქრალი. საკმეველთა საამო სურნელება გამქრალი, წმინდა საიდუმლოების საკურთხეველი, რომელიც ერთ დროს პატარძლის მსგავსად მომხიბვლელი სამკაულით იყო შემკული, ჰქონდა რა დიდების გვირგვინი, ამჟამად საცოდავ სანახაობას [წარმოადგენს] და მრავალი ცრემლის ღირსია — სამკაულთაგან გაძარცვული, მტვრით სავსე, ყვავების სადგომად ქცეული. ყოველივეს მოსათხრობად საჭიროა ბევრი სიტყვა, აგრეთვე ზეციური დახმარების წყალობა, რომ შეეძლოთ ამბის დასრულება. აწ კი დასასრულისკენ უნდა წავმართოთ ისტორიის თხრობა.

როცა დიდი კონსტანტინე დაავადდა სენით, რომლითაც ვარდაიცვალა კიდევ, უბრძანა თავის ახლობლებს: „წადით, მოძებნეთ სომეხებს შორის ვინმე კაცი, ვისაც კი იპოვნით და აქ მოიყვანეთ“. მაძიებლები წავიდნენ. იპოვნეს ერთი მღვდელი. სახელად კირაკოსი¹⁰⁴, რომელიც საკათალიკოსო სახლში სტუმრებზე მზრუნველად იყო [გაწესებული] და მოჰგვარეს მეფეს. მეფემ, იხილა რა იგი, გადასცა მას სიგელი სომეხთა ქვეყნის შესახებ და უთხრა: „წაიღე ეს ბარათი, გადაეცი სომეხთა მეფეს და უთხარი, რომ ვინაიდან ყველა მიწიერის მსგავსად სიკვდილმა ჩვენამდეც მოაღწია, [ამიტომ] აიღე შენი სიგელი და მიეცი შენი სამეფო შენ ვაჟს, ხოლო შენმა ვაჟმა თავის ვაჟებს [მისცეს] სამარადისოდ“. თვითონ კი დაწვა საწოლში და გარდაიცვალა. [კირაკოსმა] სიგელი თავისთან შეინახა მიხეილის გამეფებამდე და მიჰყიდა რა მას ის, მიიღო დიდძალი განძი. ვაი იმ მწარე ვაჭრობას. რამდენი სისხლი ვალად დაიდო თვით მან, რამდენი ეკლესია აოხრდა ამგვარი ვაჭრობის წყალობით. რამდენი გვარი უკაცრიელ და დაუსახლებელ [ადგილად] იქცა. რამდენი დიდი დაბა-ქალაქი დაცარიელდა მცხოვრებთაგან. მაგრამ ყოველივეს სრულად თავის ადგილას მოგიბრუნებთ. ჩვენ კი როგორც დავიწყეთ, ისევე მივყვეთ ისტორიის რიგს.

[სომეხთა] მეფის სიკვდილის ამბავმა ჰორომთა თვითმპყრობელამდისაც მიაღწია და მიიღო რა სიგელი სომეხთა შესახებ, როგორც საკუთარ მემკვიდრეობაზე, ისე იზრუნა ქალაქ ანისისა და იმ ქვეყნის დასაპყრობად. ხოლო სომეხ მთავარ აზნაურთაგან ერთ-ერთმა, სახელად სარგისმა¹⁰⁵ ღირსად ჩათვალა თავისი თავი გამეფებულიყო შირაკსა¹⁰⁶ და მის გარშემო არსებულ გავარებში და მეფე იოანეს სახლში არსებულ ყველა განძს თავისთან მოუყარა თავი, რადგანაც [მეფის] სიკვდილის ჟამს იგი იყო მასზე მზრუნველი [პიროვნება]. ხოლო ვაჰრამ პაპლაფუნი¹⁰⁷, რომელიც ძლიერი, სახელოვანი და ფრიად კეთილმსახური კაცი იყო, ისე რომ არავინ არ მოიძებნებოდა მისი თანასწორი, თავის ნათესავებთან, ვაჟიშვილებთან და ძმისშვილებთან ერთად, ოცდაათი აზნაურით არ მიემხრო [სარგისს];

მათ თავისთან მოიხმეს აშოტის ვაჟი გაგიკი¹⁰⁸, გაამეფეს იგი და კეთილგონიერებითა და მოხერხებით შეიყვანეს ქალაქში.

ხოლო სარგისმა იხილა რა ყოველივე ეს, აიღო სამეფო განძი და შევიდა ანისის მიუვალ შიდა ციხეში. გაგიკი ვაჟკაცური სიმაძაქით მარტო წავიდა მასთან და ტკბილი სიტყვებით დაარწმუნა იგი [ისე, რომ სარგისი] გამოვიდა ციხიდან და წავიდა ციხე-ქალაქში, რომელსაც სურმარი¹⁰⁹ ეწოდებოდა. ხოლო ის ციხეები, რომლებიც მას ემორჩილებოდა, [სარგისმა] არ მისცა გაგიკს. [სურმარში] წასვლის შემდეგ [სარგისმა] კვლავ ბოროტება განიზრახა — ყოველივე, რაც კი გააჩნდა, მიეცა ჰორომთათვის და წასულიყო მათთან. ხოლო გაგიკი რამდენიმე კაცის თანხლებით წავიდა და შევიდა კარავში, სადაც იმყოფებოდა სარგისი, შეიპყრო იგი და შევიდა თავის სამეფო ქალაქში. საჭირო იყო აჯანყებული [სარგისის] მოკვლა, მაგრამ [გაგიკმა] საულის მსგავსად გადაწყვიტა: შეიბრალა მეორე ავაგი, თავისთან ეტლში ჩასვა. მისთვისაც საულის სასჯელი გამოიტანა. მისი სიცოცხლე სიკვდილზე უფრო მწარე იყო.

ამ დროს ჰორომთა ჯარები დაიძრნენ ერთმანეთის მიყოლებით, ოთხჯერ¹¹⁰ შეიჭრნენ სომხეთში, ისე რომ გააუჟაცრიელეს მთელი ქვეყანა მახვილით, ცეცხლითა და ტყვეთა წასხმით. როდესაც ვფიქრობ [მომხდარ] უბედურებებზე. ჭკუას ვკარგავ, განცვიფრებული ვარ და საშინელი შიშისაგან ხელები მიკანკალბს ისე, რომ სტრიქონიც არ შემიძლია [დავწერო], რადგანაც მწარეა ისტორია და მრავალი ცრემლის ღირსი.

ქვეყანა, ერთ დროს ხეებით მდიდარი, ბალის მსგავსად მწვანით მოკაზმული, ფოთლოვანი, ნაყოფიერი, ლამაზი და საამო იყო

მგზავრთათვის. მთავრები მხიარული სახით ისხდნენ საგამგებლო ტახტზე და [მათი] ჯარი გაზაფხულის ღამაზე, ფერადოვან ყვავილ-წართა მსგავსად მხოლოდ სამხიარულო სიმღერებს გაიძახოდა. საყვირებისა და სხვა საკრავი ინსტრუმენტების ხმები სიხარულითა და სიამით ავსებდნენ მსმენელთ. იქ, მოედნებზე სხდებოდნენ სა-პატიო ჭადართ მოსილი მოხუცები, ხოლო დედობრივი სინაზით თანაგრძნობით გამსჭვალული დედები, რომლებსაც მკერდზე მიეკ-რათ ყრმები, დიდი სიხარულის გამო ივიწყებდნენ სამშობიარო ტკივილების მწუხარე დროს. ისინი მსგავსნი იყვნენ მტრედებისა, რომლებიც თავისი ახლადშეუბმლული ბარტყების გარშემო მუდამ დაფრინავდნენ. რა ვთქვა საქორწინო ფარდის იქით [მყოფ]. სიძვ-პატარძლის სიყვარულით აღსავსე სურვილთა აღგზნებისა და ლტოლვის შესახებ. უნდა განვაგრძო თხრობა სამამამთავრო ტახტი-სა და სამეფო პატივის შესახებ; პირველი მათგანი მსგავსი იყო ღრუბლისა და მოძვართა წყალობის მეშვეობით [წმინდა] სულის სიუხვით გამკვირვებული ცხოველმყოფელ ცვარს აფრქვევდა [ირ-გვლივ]. რითაც განოყიერდა და უხვი ნაყოფი გამოიღო ეკლესიის ბაღმა; მისგან ხელდასხმული ფხიზელი მცველები დააყენეს [ეკლე-სიის] ზღუდეებზე, ხოლო მეფე დილით ქალაქიდან გარეთ გამოსვ-ლისას, საქორწინედან გამოსული სიძის, ან ცისკრის ვარსკვლავის მსგავსად. რომელიც ყველა ქმნილებაზე მალლა დგომით ყველას ყუ-რადლებას იპყრობდა, ბრწყინავდა ბრჭყვილა სამოსელითა და მარ-გალიტებით შემკული გვირგვინით. იგი ყველას ყურადლებას იპ-ყრობდა და განცვიფრებას იწვევდა. მოოქრული სამკაულით შემ-კულ თეთრ ცხენს, რომელიც წინ მიდიოდა, ეცემოდა მზის სხივები და მნახველთ თვალს უბნებდა. ხოლო მის წინ მიმავალი ჯართა სიმრავლე ზღვის ტალღების მსგავსად ერთმანეთს ეხლებოდა. უდა-ბური ადგილები აივსო ბერ-მონაზონთა სიმრავლით, ისე რომ სოფ-ლებსა და კარ-მიდამოებს ბერ-მონაზვნები საცხოვრებელ ადგილე-ბად აქცევდნენ ცოდვათაგან განწმენდის კეთილი სურვილით. ასე-თითა და ამის მსგავსით მდიდარი იყო ჩვენი ქვეყანა. ყოველივე ამას იმისათვის ვწერ, რომ როდესაც მათ საწინააღმდეგოს მოგი-თხრობთ, ყველას ცრემლებს აღვუძრავ.

ამჟამად კი მეფე პატივისაგან აღკვეთილი, როგორც ტყვე, შე-პყრობილია შორეულ მხარეში. ასევე საპატრიარქო ტახტი, მკვიდრს მოკლებული, დამწუხრებული გამოიყურება, როგორც ქვრივად დარჩენილი პატარძალი. უპატრონო ცხენოსანი ჯარი დახეტიალობს ზოგი სპარსეთის, ზოგი საბერძნეთის, ხოლო ნაწილი ქართველთა მხარეებში. აზნაურთა სეპუპი გუნდი, სამშობლოდან წასული, ძლე-

ვამოსილებას მოკლებული, დრტვინავს თავის ადგილსამყოფელში, როგორც ლომების ლეკვები. სამეფო სასახლეები აოხრებული და გაუქცარიელებულია. დასახლებული ქვეყანა დაცარიელდა მცხოვრებთაგან. აღარ ისმის ვენახებში რთველის დროს მზიარულების ხმა და აღარც ქება-დიდება, [მიმართული] ყურძნის მწურავებისადმი. აღარც ყრმები თამაშობენ მშობლების წინაშე და მოხუცებულნიც აღარ სხედან მოედნებზე. აღარ ისმის ქორწილის ხმა და აღარც საქორწინება მორთული. დაემცრო და დამდაბლდა ყოველივე და „არღარა ნუ შესძინისა აღდგომაჲ“* ფსალმუნის მაგლობლის თანახმად. გოდებით შეიცვალა ჩვენთვის ყოველივე. ხოლო სამზიარულო სამოსი — უხეში შავი ტანსაცმლით. რომელ სასმენელს შეუძლია აიტანოს თხრობა ჩვენი უბედურებების შესახებ? რომელი ქვის გული არ მოლბება გმინვით და სასოწარკვეთილებას არ მიეცემა კვნესით? დროა ერემიას გოდებას შევეუერთოთ ჩვენი კვნესა. „გზანი სიონისანი იგლოენ არყოფისაგან მომავალთასა დღესასწაულისათჳს“**. ყოველივე ეს იყო თქმული იერუსალიმის აოხრებისას, მაგრამ აღსრულდა ამჟამად.

აწ ყოველივე ეს შეემთხვა სომხებს იმ ვაჭრობის გამო, რომლის შესახებაც ცოტათი ადრე აღვნიშნეთ. ამ ვაჭრობას უფრო მეტ უაღამიანობად მივიჩნევ მე, ვიდრე იუდასი, რადგანაც იქ თუმცა ვაჭარი ლანძღვა-გინების [ღირსი შეიქნა], მაგრამ ეს ვაჭრობა მთელი ქვეყნის ხსნისათვის ჩატარდა. როგორც დიდი პეტრე თავის ეპისტოლეში წერდა: „უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროჲთა იქსნენით თქუენ ამოჲსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარვისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა, ქრისტესითა“***. ხოლო ეს ვაჭარი ძლიერ უსირცხვილო და უაღამიანო [პიროვნება იყო] და მიზეზი შეიქნა ამდენი ბოროტებისა, რადგანაც იმ ბალის ზღუდე. რომელიც უფალმა გააშენა და ჩვენმა განმანათლებელმა თავისი თხოთმეტწლიანი ოფლისმღვრელი შრომით დაამუშავა, [კირაკოსმა] დაანგრია. მან ძირს დასცა კოშკები და გამველთა ფეხქვეშ გასათელად აქცია იქამდე, რომ „განწყუნა ეშუმან მანდარისამან, და ბრანგუმან მძინეარემან მოძოა იგი“****, დავითის სიმღერების თანახმად. აწ კი ყველა ამ ამბავმა დე მიაღწიოს უფალ ღმერთამდე და უფ-

* ფსალმ., 40, 9

** გოდება იერემიასი, 1, 4.

*** I პეტრე, 1, 18—19

**** ფსალმ., 79, 14.

ლისაგან მიეგოს მას სამართალი. ჩვენ კი დაეუბრუნდეთ ისტორიას.

ოთხას ოთხმოცდათოთხმეტ წელს* ხელთ იგდეს ანისი, არა ბრძოლით, არამედ მოტყუებით, რადგანაც [პორომებმა] ფიცითა და ჯვრით დაითანხმეს გაგიკი მეფის ბრძანებით, [რომელსაც თითქოს ეთქვას], რომ „მხოლოდ შენი ხილვის შემდეგ დაგიბრუნებ შენ სამეფოსა და ქალაქს და ქვეყანას სამარადისო მემკვიდრეობით დაგიმტკიცებ“-ო. გონიერი [ადამიანი] ფიცს დებს და უგუნური იჯერებს, როგორც გონიერთა სიტყვები გვამცნობენ, მაგრამ მატყუარათა სიტყვები მწყერის მსგავსად მსუქანია და უგუნურნი შთანთქავენ მას. [გაგიკი] ერწმუნა ფიცსა და ჯვარს, არ ვიცი, გონების მოუმწიფებლობისა, თუ მოშიში ბუნების გამო. მან ქალაქის გასაღები მისცა პეტრეს, რომელიც იმ დროს ფლობდა ჩვენი განმანათლებლის მამამთავრობის ტახტს და ქვეყნის მთელი საზრუნავი მას ჩააბარა პირობითა და აღთქმით. [გაგიკმა] ყური არ ათხოვა ვაპრამსა და სხვა აზნაურებს, რომლებმაც გაამეფეს იგი, არამედ ვერაგი სარგისის შთაგონებით გამოვიდა ქალაქიდან და წავიდა ბერძნებთან დაუბრუნებლად, როგორც ანკესით დაჭერილი თევზი, ან მახეში გამომწყვდეული ფრინველი. მეფემ იხილა რა გაგიკი, არც კი გახსენებია ფიცი და არც ჯვრის შუამდგომლობა, თავისთან დაამწყვდია და მოსთხოვა მას: „მომეცი ანისი და მე სანაცვლოდ მოგცემ მელიტენეს¹¹¹ და მის გარშემო არსებულ გავარებს“-ო, მაგრამ მან ეს თავს არ იღვა.

ამ საქმის ასეთი გაჭიანურების დროს მხნე ვასაკის¹¹² შვილმა გრიგოლმა¹¹², რომელიც იყო ბრძენი კაცი და კარგად მცოდნე საღვთო წერილთა და მისი მსგავსი არავინ იყო, დაინახა, რომ გაგიკს აღარ აბრუნებენ თავის ქვეყანაში. [ამიტომ იგი] წარუდგა მეფეს, გადასცა მას ბიჯნისის¹¹⁴ გასაღები და მთელი თავისი მშობლიური მემკვიდრეობა. მეფემ განადიდა [გრიგოლი], რომელმაც [მიიღო] მაგისტროსის წოდება და საცხოვრებელ ადგილად ხმელთაშუა ზღვის საზღვარზე მდებარე სოფლები და ქალაქები წერილითა და ოქროს ბეჭდით [დამტკიცებულ], თაობიდან თაობაზე [გადასაცემად] სამარადისოდ.

ხოლო ქალაქის მთავრებმა, რომლებიც ანისში იმყოფებოდნენ, დაინახეს რა, რომ გაგიკი საბერძნეთშია დამწყვდეული, გადაწყვიტეს ქალაქი ჩაებარებინათ დავით დვინელისათვის¹¹⁵ (რადგანაც დავითის და [გაგიკის] ცოლი იყო). ან აფხაზთა მეფის ბაგრა-

* 1045 წ.

ტისათვის. პეტრე მამამთავარმა დაინახა რა ამგვარი ძიება, თუ ვისთვის გადაეცათ ქალაქი, აღმოსავლეთ მხარეების მფლობელს. რომელიც ქალაქ სამუსატში იჯდა, (რომლის შესახებაც ამბობდნენ, რომ იგი ძველად სამსონის მიერ იყო აშენებული), [შემდეგი] მისწერა: „აცნობე მეფეს, რას მოგვცემს სანაცვლოდ, თუკი მე მივცემ მას ქალაქა და ქვეყნის სხვა ციხესიმაგრეებს“. ხოლო მან სასწრაფოდ აცნობა ეს მეფეს. მეფემ მოისმინა ყოველივე და დააკმაყოფილა [პეტრე მამამთავრის] სურვილები, უზოძა განძეულობა და სამეფო პატივი. ასე გაბატონდნენ [ჰორომები] ანისსა და მთელ ქვეყანაზე.

ხოლო გაგიკი უმწუოდ. დარჩა მეფესთან, მან კაცთმოყვარეობის გამო თავისი სურვილით მისცა მას ადგილები, რომლებიც გაცილებით ნაკლები ღირებულებისა იყო, ვიდრე ანისი და ქვეყნის სხვა ნაწილი. მადლობა გადაუხადეს და საჩუქრები უწყალობეს კათალიკოსს, რომლისგანაც წაიღეს ქალაქი. მეფის ბრძანებით გაგიკმა ცოლად შეირთო სენექერიმის ძის დავითის ქალიშვილი და დაეუფლა მის ნაწილს; დავითი გარდაიცვალა, სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა.

ხოლო ერთი მთავარი სახელად ასიტის¹¹⁶, რომელიც ადრე აღმოსავლეთ [მხარეებს] ფლობდა, მეფემ გაგზავნა ანისის გამგებლად.

იგი მოვიდა, უზომო პატივით განადიდა პეტრე მამამთავარი, დაიპყრო ქვეყანა და თვით დიდძალი ჯარით ქალაქ დვინისაკენ¹¹⁷ დაიძრა. მაგრამ ქალაქის გამგებელი აპუსუარი¹¹⁸ შეებრძოლა მას, უზომოდ ამოწყვიტა [მოწინააღმდეგე] ქალაქის კართან. აქ დაიღუპა სამეხთა დიდი მთავარი ვაპრამი თავის ვაჟთან ერთად, რამაც სამეხები დიდად დაამწუხრა. ასიტის ნაცვლად სამეხების სამეფოს დაეუფლა ვინმე კამენასი¹¹⁹ ჩვენი წელთაღრიცხვის ოთხას ოთხმოცდაცამეტ წელს*. მან მოსვლისას წინანდელივით პატივით არ განადიდა მამამთავარი, არამედ იწყო წერილით მეფესთან მის შესახებ ცილისწამება და მოტყუებით გააძევა იგი ქალაქიდან, უთხრა რა: „მეფემ ბრძანა, რომ შენ უნდა დამკვიდრდე კარინის გავარის დაბა-ქალაქ არწნიში“-ო¹²⁰. მამამთავარი გამოვიდა, მოვიდა ჩვენ დიდ სამეფო ქალაქში და ფრიად გაახარა ისინი, რომლებსაც სურდათ მისი ნახვა. მოახლოებული იყო ქრისტეშობის წმინდა დღესასწაული. დიდი დღესასწაულის დღეს [ხალხის] უზომო სიმრავლე გაემართა უხვად მომდინარე წყლისაკენ, რომელიც მოედინება

ჩრდილოეთ მხარის მთებიდან. აქ მათ დიდებულად აღასრულეს [ნათლისღების] საიდუმლოება, როგორც მას შეჰფეროდა. საუფლო ზეთის წყალში ჩასხმის დროს ხალხთა სიმრავლეს გამოეყო ერთი ტაჭიკი და ითხოვა წყალში მონათვლა. ხოლო [მამამთავარმა] გამოიკითხა მიზეზი მისი ამგვარი თხოვნისა და რა შეიტყო, რომ მას სურდა ქრისტიანობის მიღება, ბრძანა მისი წყალში ჩაშვება. ხოლო მენელსაცხებლემ მის ახლოს დადგა, ხელში აიღო [მირონის] ჭურჭელი. დაარტყა მას ხელით და გატეხა. უხვად გადმოედინა მირონი ახლადმონათლულზე და წყალში. შუშის ერთი ნატეხი მოხვდა [მამამთავარს] ხელში და მძიმე ჭრილობა მიაყენა ისე, რომ უხვად გადმოედინა სისხლი მიწას. ამის ხილვისას, ბევრნი მომხდარი შემთხვევის შესახებ ამბობდნენ: ეს კარგის მომასწავებელი არ არისო, რაც იმავე დღეს აღსრულდა. ჭერ კიდევ სადილობის ემს მოვიდნენ ჯალათები, შეიპყრეს [მამამთავარი], წაიყვანეს და ჩასვეს ხალხთაირიკის ციხესიმაგრეში. შემდეგ წაიყვანეს მისი დისშვილი, სახელად ხაჩიკი და დაამწყვდიეს სეავ ქარად¹²¹ წოდებულ ციხეში. ისინი დარჩნენ იქ აღდგომის [დღესასწაულამდე]. შემდეგ ისინი გამოიყვანეს იქიდან და წაიყვანეს კონსტანტინოპოლში მეფის წინაშე; უფრო აღრე კი ხაჩიკის უფროსი ძმა ანანია თავისთან წაიყვანა ერთმა საჭურისმა, რომელსაც ეპყრა ნახევარი სამეფოს ხელისუფლება.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ბასიანის ბავარსა და სუმბატის მთასთან¹²² მოწინააღმდეგე
ბრძოლის შესახებ

იმავე წელს ციდან რისხვით კარი გაიხსნა ჩვენს ქვეყანაზე-თურქესტანიდან¹²³ დაიძრა დიდძალი ჯარები, რომელთა ცხენები სწრაფმავალნი იყვნენ, როგორც არწივნი, მათი ჩლიქები — კლდესავით მტკიცე, მათი მშვილდები — მოზიდული, ისრები — გამახვილებული. ისინი წელზე მკიდროდ იყვნენ ხმალშემორტყმულნი და ჰქონდათ მტკიცე ფეხთსამოსელი. ისინი ამოვიდნენ ვასპურაკანის გავარში, ეკვეთნენ ქრისტიანებს, როგორც მშიერი, საჰმელს დახარბებული მგლები; მოვიდნენ ბასიანის გავარამდე, დიდ დაბამდე, რომელიც ვალარშავანად¹²⁴ იწოდება. დაანგრეს და ააოხრეს ოცდაოთხი გავარი მახვილით, ცეცხლითა და ტყვეთა წასხმით. შეწყალების, დიდი გოდებისა და ცრემლთა ღირსია ეს ისტორია. ისინი ლომების მსგავსად შეუბრალებლად თავს დააცხრნენ [ქვეყა-

ნას] და მრავალთა გვამები შესაქმელად გადაუგდეს მხეცებსა და ცის ფრინველებს, როგორც ბოკვერებს. მათ სურდათ ასეთი გზით კარნუ ქალაქში მისულიყვნენ, მაგრამ [ღმერთმა], რომელმაც ზღვის საზღვარი დასდო, თქვა რა „აქამომდე მოხვდე, და არა გარდაჰდე, არამედ შენ ზედავე შეიმუსრენ ღელვანი შენნი“*, უკუნეთი წყვილი წარმოქმნა მათ წინაშე და ხელი შეუშალა მათ სვლაში. [ყოველივე] ეს მან მოიმოქმედა თავისი მიუწვდომელი სიბრძნით ისე, რომ მათი შიშით ჩვენც გავფრთხილდით, მათ კი დაისწავლეს, რომ თავიანთი ძალით კი არ მოიმოქმედეს, რაც გააკეთეს, არამედ იმ ხელით, რომელმაც მათ ძლიერი წინააღმდეგობა შეუქმნა. [შემდეგ] კი [ღმერთმა] წასასვლელად გზა მისცა.

აწ კი [მან] თავისი რისხვა ჩვენ გადმოგვადინა უცხო ტომის საშუალებით, ვინაიდან შევცოდეთ მის წინაშე, მაგრამ მან დათმო, რათა აღარ მოეტანა ჩვენთვის განსაცდელი, რადგანაც [ღმერთი] მოწყალეა. [სწორედ] ამისათვის იგი სრულიადაც არ ბრახობს და ღვარძლსაც არ ინახავს [გულში] სამარადისოდ. [ღმერთი] ერთი მხრივ იძულებულია ჰეშმარიტი განაჩენი გამოგვიტანოს ჩვენ, რადგანაც იგი სამართლიანი მსაჯულია, მეორე მხრივ კი ჩქარობს შეწყალებას, რადგანაც მამა მოწყალეა და ნანობს ჩვენ თავზე დამტყდარ უბედურებას, რადგანაც ღმერთი შემბრალებს. აქვე მან ორი რამ გვიჩვენა: ჯერ ერთი, ღირსეული შურისგებით მისი ხელი დაგვიმძიმდა, ხოლო მეორეც ის, რომ მობრუნდა და მყისვე მოგვაშორათვისი რისხვა. რომ სრულიად არ ამოგწყდით. ხოლო ჩვენ დავავადდით ფარაონისა და მის თანამგრძნობელთაგან ყველაზე უგუნურთა უწყალოებით. [ფარაონი] ზოგჯერ ტანჯვისას გამოტყდებოდა და ამბობდა: „თითი ღუთისა არს ესე“**, სასჯელის რისხვის გადავლისას ამპარტავნობით დამთვრალი ამბობდა: „მე არა ვიცი უფალი იგი, და არა განუტეო მე ისრაელი“*** და როცა მას მიეგო უკანასკნელი სასჯელი, თავისი უსაზღვრო ღრმა ერთარსებით ამბობდა, რომ „თითი ღუთისა არს ესე“-ო. რადგანაც ხელი ათი თითით აღასრულებს საქმეს, აქაც ასევე დაიწყო პირველი სასჯელით და ათით დაამთავრა სასჯელთა [რიცხვი], შემდეგ კი გაუშვა ისრაელი.

აწ კი ჩვენ იმავე რისხვით შეპყრობის, ცეცხლის აღგზნებისა და ბოროტ განსაცდელთა აღძვრისას შიშმა შეგვიპყრო, ავცახცახ-

* იობი, 38, 11.

** გამოსვლათა, 8, 19.

*** გამოსვლათა, 5, 2.

დით და შეეძრწუნდით. მაგრამ მოილო მოწყალეა ღმერთმა, წყვდიადით მოიცვა მათი გზა და წინ აღუდგა ურჯულოთა თავდასხმას. საექვოდ მივიჩინეთ ჩვენ ეს სიკეთე და უმადურნი აღმოვიჩნდით მადლობის გადახდისას. ჩვენ ძმებზე [თავს დამტყდარი] სასჯელის მაგალითით გონს უნდა მოვსულიყავით, გვესწრაფა, წინ ვხლებოდით წინასწარმეტყველს და გვესწავლა მისგან მაცოცხლებელი დარიგება: „დასცხერით ბოროტთაგან თქუჭნთა, ისწავეთ კეთილისა ქმნა“* და მათი მომდევნო სიტყვები — [აგრეთვე] ჩვენ სიწრფელით შეგვერიგებინა ღმერთი, დაგვეცხრო ჯოჯოხეთის მსგავსად აღზნებული სასჯელი და ჩვენი პატიებისათვის მოგვეხარა რისხვით აღმართული ხელი. [ყოველივე] ეს დავივიწყეთ და ერთხელაც არ წარმოშობილა ჩვენ გონებაში ამის შეგნება, არამედ ვინც ურჯულოების ჩამდენი იყო, ის უღვთოდ მოქმედებდა და უსამართლონი კი ურჯულოებას სჩადიოდნენ ისე, რომ ტახების მსგავსად მახვილს მივეციით თავი, თვით ჩვენ ვიტვირთეთ რა ყოველივე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი დამნაშავენი იყვნენ და ჩვენ ჩვენი სიმართლისათვის გაეთავისუფლდით. და არ გაგვხსენებია ის საუფლო ბრძანება და გონიერული რჩევა: „ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესევითარი ევნო მათ? გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ“**. ხოლო ჩვენ [მოვიმოქმედეთ] ამოვისი წინასწარმეტყველის სიტყვების თანახმად, რომლებითაც გაკიცხეთ ისრაელნი, ისინი სვამდნენ გაწმენდილ ღვინოს. ნებიერობდნენ სურნელოვანი ზეთით, განისვენებდნენ სპილოს ძელისაგან [გაკეთებულ] ტახტზე და კიდევ სხვა მრავალი. ისინი არ განიცდიდნენ იოსების უბედურებას. ღმერთი მოითხოვს, რომ როცა [აღამიანები] ტანჯვა-წვალებას მიეცემიან, მახლობლები მათი მწუხარების გამზიარებლები უნდა იყვნენ, თანახმად იმისა, რომ „ტიროდეთ მტირალთა თანა“***. მაგრამ მათ ამის საწინააღმდეგო მოიმოქმედეს. ერთი სისხლისანი იყვნენ და არ განიცდიდნენ იოსების ტომის ტყვეობას. სწორედ ამიტომ წინასწარმეტყველი ამხედრდა მათ წინააღმდეგ. ასევე შეგვემთხვა ჩვენც.

ჩვენი წელთაღრიცხვის ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტ წელს****, რომელიც ჩვენი ტყვეობის მეორე წელი იყო, სპარსელთა ქვეყნიდან

* ესაია. 1. 16—17.

** ლუკ. 13. 2—3.

*** რომაელთა. 12. 15.

**** 1048 წ.

კვლავ დაიძრნენ რისხვით აღსავსე და საზარელი ღელვით აბობოქრებული [ჯარები], მოვიდნენ და მოეფინენ კარინისა და ბასიანის ფართო ველებს. თავდამსხმელებმა ქვეყნის ორივე მხარე დაიპყრეს. დასავლეთით — ქალდიის გავარამდე, ჩრდილოეთით სპერამდე¹²⁵ და ტაოსა და არშარუნიქის¹²⁶ ციხესიმაგრეებამდე, ხოლო სამხრეთით ტარონისა¹²⁷ და ჰაშტეანქის¹²⁸ გავარებამდე და ხორქიანის¹²⁹ ტყემდე. ისინი შეჩერდნენ თოთხმეტი დღე და მოზღვავებულებმა დაფარეს მთები და ბუჩქოვანი ადგილები, დაიპყრეს მთელი ქვეყანა. მე მიმაჩნია, რომ ეს აღსრულდა იმ წმინდა ღვინისაგან, რომელიც ყრმა ერემიამ თავის წინასწარმეტყველებაში ოქროს სასმისით დაარიგა და შესავა მეფეებს, ტომებს, ქალაქებს, მთავრებსა და მათ ჯარებს*, ყველა ამათ შემდეგ კი სისაკოს ქვეყანას. აი ეს წინასწარმეტყველება ცხადად აღსრულდა. ვინაიდან სომეხთა ქვეყანამ შესვა ეს ღვინო, ძლიერ დათვრა, შესვა და დაკარგა გონება. დათვრა იმდენად, რომ მთელი სასჯელი თვით იტვირთა. ამჟამად კი ყველა გზების ჯვარედინზე გდია შიშველი და შერცხვენილი და გზებზე გამვლელნი შეურაცხყოფით ფეხქვეშ თელავენ მას. მშობლიურ სამკვიდრებელს, ნაცნობებს, ოჯახებსა და ნათესავებს მოშორებული იგი ყველა ხალხის ტყვედ და პატიმრადაა ქცეული.

აწ დროა წარმოეთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ „ნეშტნი მგრაგნილისანი შექამნა მკალმან, და ნეშტნი მკალისანი შექამნა ბუზმან, და ნეშტნი ბუზუკანი შექამნა გესლმან**“. ყოველივე ეს მეც შემეხება, ვინაიდან ჩვენზე აღსრულდა წინასწარმეტყველთა ყველა სიტყვა. ამჟამად ეს კალია და მუხლუხი გაქრნენ, ხოლო ხოჭო და კუტკალია ესენი არიან, რომელთათვისაც დაევიწყებოდა. პირველად, როდესაც მოვიდნენ სპარსელები და სხვა წარმართი ბარბაროსი ტომები, ხალხთა ამოჟლეტით გააუკაცრიელეს მრავალი გავარი და დიდძალი ნაძარცვითა და ტყვეთა წასხმით საკუთარ ქვეყანაში წავიდნენ, ახარეს [ამის შესახებ] თავის ხალხებსა და სამეფოებს და მოიწვიეს რა ისინი, წინასწარმეტყველისამებრ განუცხადეს, რომ „მოვედით ჰამეთ ყოველთა მწეტთა მალნარისათა“***. მეორე წელს მშვილდოოსანთა და მახვილოოსანთა ურიცხვი ჯარები შეგროვდნენ, როგორც არწიენი საკმელზე და დიდი გამბედაობით სწრაფად შეიჭრნენ ჩვენ ქვეყანაში, სექტემბრის თვის ოთხშაბათ დღეს, წმინდა ჯვრის დღესასწაულისას.

* შტრ. ერემია, 25, 15—20.

** იოველ. 1, 4.

*** ესაია, 56, 9.

აქ კი მოთქმა-გოდებისა და მწუხარების ისტორიაა ჩვენთვის და ჩვენი ისტორიის წიგნები ქვითინს იწვევენ. ნინევიელი, წინასწარმეტყველის მუქარით, მით უფრო როცა ქალაქში შევიდა ერთი უცნობი და უმნიშვნელო კაცი, ისე შეშინდნენ, რომ მეფედან დაწყებული მეწისქვილემდე ერთნაირად გოდებდნენ, ყველანი თალხებით იყვნენ. მოსილნი, მოკლებულნი საკვებს, თავიანთ თავს აიძულებდნენ გაეძლიერებინათ მოთქმა-ტირილი და მომტირალ ქალებს უხმობდნენ, ჭათა ერთხმად [ეტირათ].

ჩვენი ცხოვრება კი რაოდენ მეტი გლოვის ღირსია, რომ არა მარტო მუქარამ, არამედ მრისხანე სასჯელმა მოაწია და აღსრულდა [ჩვენზე]. გავიტანჯებით, გავნადგურდით და ჩვენ შემდგომ ხალხებს მწუხარე ისტორია დაუტოვეთ. ჩვენი ქალაქები დაინგრა, სახლები და სასახლეები გადაიწვა, სამეფო ნაგებობათა წინკარები ფერფლად იქცა. მამაკაცები მოედნებზე ამოწყდნენ, ქალები კი სახლებიდან ტყვედ წაიყვანეს, ძუძუმწოვარა ბავშვები ქვით ჩაქოლეს და ყრმებს ლამაზი, მომხიბვლელი სახეები გაუფითრდათ. ქალწულნი შეურაცხვეს მოედნებზე, ახალგაზრდები კი ამოწყდნენ მოხუცთა წინაშე. მოხუცთა საპატიო ქაღარამ, სისხლში [ამოსვრილმა] გულშეშარავი სახე მიიღო და მათი გვამები ძირს ეყარა. მტრების მახვილები დაიბლაგვა, მათ ხელებს ძალა გამოეღიათ [ამდენი მკვლელობისაგან]. დაწყდა მათი მშვილდისრების ლარები და დაიხარჯა კაპარქებიდან ისრები. თვითონ ისინი დაუძღურდნენ, მაგრამ მათ გულებში მოწყალებამ ვერ დაისადგურა.

ვაი შენ შეწყალებას, ღმერთო, რომელმაც ესოდენ აპატიე ურჯულოებს გამოეჩინათ ზვიადობა შენი ეკლესიის სამწყსოზე. გაიხსენე შენი ხალხი, რომელიც შენი მხოლოდშობილი შვილის მოსვლისთანავე მიიღე და სისხლის წასმით იხსენი იგი. რისთვის მოგვიშორე ჩვენ საცხებით, ღმერთო, განგვირისხდი და მიგვეცი ჩვენ ურჯულო, მკაცრსა და მემამოხე ხელთ? ნუ გაიხსენებ ჩვენ ცოდვებს და ნუ მიიბრუნებ შენ სახეს ჩვენგან ჩვენი ცოდვების გამო, არამედ მოიგონე შენი ძლიერი ხელი და შენი აღმართული მკლავი, რომლითაც ბატონობდი ჩვენზე და შენი სახელი გაისმოდა ჩვენს შორის. ამჟამად კი შენ რისხვით ხარ ანთებული და ჩვენც შევეცოდეთ, რისთვისაც ტყვედ წაგვასხეს მრავალ ტომთა შორის და ყველანი დავემსგავსენით ბილწ [ადამიანებს]. ქარებმა გაგვფანტეს ჩვენ და არც ერთი არ იყო, რომელიც დალოცავდა შენს სახელს და იმედს დაამყარებდა შენზე, ვინაიდან იბრუნე შენი სახე ჩვენგან

და გავგწორე ჩვენი ცოდვებისათვის. სამარადისოდ ნუ განრისხდები ჩვენზე და ღროებით ნულარ გაიხსენებ ჩვენ ცოდვებს.

ვაი იმ დღის გათენებას, ვინაიდან ის სინათლე, რომელიც პირველ დღეს უსხეულო სახით ღვთის სიტყვით შეიქმნა და მეოთხე დღეს სხეულს შეუერთდა, დაიყო მნათობებად, რომლებიც დღისა და ღამის გამგებლად იქცნენ და მუდმივად იწყეს ტრიალი დედამიწის გარშემო. ერთი მოუწოდებს ადამიანებს შრომისაკენ, მეორე კი მხეცებს აძლევს გამბედაობას. დღე შეადლის წყვილია დამა შეცვალა და დაბნელდა [ირგვლივ]. წარმართული ტომები, რომლებიც დიდხინიდან [მოყოლებული] თავიანთ ადგილსამყოფელოებში ღრტვინავდნენ წინასწარმეტყველის ნათქვამისამებრ და ღვთის ხალხისაგან ეძიებდნენ საკვებს, ამ დღის დაბნელებისას გამოვიდნენ და მოეფინენ დედამიწის ზედაპირს. მათ დიდძალი ნანადირევი იგდეს ხელთ, დანაყრდნენ საკვებით და მრავალი წლის [სამყოფად] თავიანთ ვაჟებსაც დაუტოვეს. ამჟამად ყველგან მათ საკმაო [რაოდენობით] მზად დახვდათ გარეული ფრინველი, სიტკბოების სამოთხის მსგავსად ქვეყანა უხვად სავსე იყო ნაყოფით; მაგრამ ყველაზე მეტი [ჰპოვეს] მანანალის გავარის იმ მთასთან, რომელიც სუმბატის ციხედ იწოდება, ვინაიდან აქ თავმოყრილი იყო უამრავი გაქცეული და ურიცხვი საქონელი. ურჯულოები თავს დაესხნენ მათ, ააოხრეს მათი ციხეები, შეიპყრნენ შვიგნით და ყველანი ამოწყვიტეს.

შეწყალებისა და მრავალი ცრემლის ღირსი იყო ის სანახაობა, ვინაიდან მათგან ზოგიერთი, რომლებიც შეიპყრეს, მახვილით ამოხოცეს. ისინი, რომლებიც კლდოვან ადგილებში შევიდნენ და გამაგრდნენ, ისრებით დაჭრეს და ამოწყვიტეს. ბევრნი კი, კლდის გამოქვაბულებში ასულნი, დიდი ქვებით ამოხოცეს და მათი გვაშები შეშის ნაფოტთა გროვების მსგავსად ერთმანეთზე დაახვევეს და ხევი აავსეს. ვაი იმ დღის მწუხარე სიმართლეს. მხნე მამაკაცები იარაღით აღიჭურვნენ და რისხვით აღენთნენ, მხდალები დაძაბუნდნენ და ქალებმა გონება დაკარგეს, ახალგაზრდებს ვაჟკაცურად ეჭირათ თავი, მაგრამ ვერავითარი გამოსავალი ვერ იპოვეს. მტერი ყოველი მხრიდან ერტყმოდა მათ. აქ არ ჰქონდა ადგილი საყვარელ ადამიანთა სიყვარულსა და მეგობრობის გახსენებას. მამამ დაივიწყა შვილების მიმართ თანაგრძნობა, დედამ კი ახლადშობილ ყრმათა სიყვარული. აქ არ შეიძლებოდა ფიქრი ახალ სიძე-პატარძლის სიყვარულზე და ვერც კაცი ფიქრობდა თავისი მეუღლის სანატრელ სილამაზეზე. შემცირდა ეკლესიის მსახურთა სიმღერები და დადუმდა ფსალმუნის მთქმელთა ხმები. საერ-

თოდ ყველა შიშმა და ძრწოლამ მოიცივა. დიდი უბედურებისაგან ფეხმიანე ქალები იშორებდნენ თავიანთ პირმშობებს. ამრიგად მთელი [ჯარი] მთას მკიდროდ შემოერთდა, მონადირეთა მახის მსგავსად, სანამ [აღსაშემორტყმულნი] არ დასუსტდნენ და არ დაუძლურდნენ.

ხოლო საღამოს [მტრებმა] ხელთ იგდეს რა ნაძარცვი, ტყვეები და მოკლულთა ქონება. განშორდნენ ამ ადგილს. მაგრამ მათი წასვლის შემდეგ აქ იხილვებოდა სამწუხარო და აღრინდელზე უფრო დიდი მოთქმა-გოდების ღირსი სანახაობა. მრავალნაირი იყო სიკვდილის [მოლოდინის] განცდები, რადგანაც დავარდნილთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ სუნთქავდა, მათ ენები წყურვილისაგან გაუშრათ და სუსტი, ძლივს გასაგონი ხმით წყალს ითხოვდნენ, მაგრამ მიმწოდებელი არსად იყო. ხოლო ნაწილი მძიმედ დაჭრილი, ხმაჩაწყვეტილი, მძიმედ სუნთქავდა. სხვები კი ყელგამოღარულნი, ნახევრადცოცხალნი. ძლივს ხრიალებდნენ. ზოგიერთი, რომლებიც მძიმე კრილობებისაგან დიდ ტკივილს განიცდიდნენ, ფეხებსა და ხელებს მიწას ურტყამდა და თხრიდა. მაგრამ მათ ახლოს სხვა საზარელი სანახაობა იხილვებოდა, რომელმაც ქვეები და სხვა უსულო საგნებიც კი აატირა და ააკვნესა: როდესაც ურჯულოებმა ტყვეები კლდიდან გადაყარეს, ყრმები, მშობლების მკერდიდან მოწყვეტილნი, მიწაზე განართხეს ისე, რომ მათი სიმრავლისაგან მთელი სადგომი ადგილი აბობოქრდა. მათგან ზოგიერთი ქვების დარტყმით ამოხოცეს, ნაწილს ფერდები ჩაუღეწეს, ნაწლავები მიწაზე დააყრევინეს. ხოლო ცოცხლად დარჩენილთა კვნესა-გოდება რომელსა მენელს შეუძლია მოისმინოს და აიტანოს. რომლებსაც შეეძლოთ ფეხით სიარული, აქეთ-იქით რყევით, თავიანთ დედებს ეძებდნენ. მათი მაღალი ხმით ტირილს მთის გამოძახილი უერთდებოდა. ხოლო სხვები, რომლებსაც არ შეეძლოთ ფეხზე დგომა, მუხლებზე ხოხვით სასტიკად გმინავდნენ. მაგრამ უკანასკნელთაგან უფრო მცირე ასაკისანი ფეხებს ურტყამდნენ მიწას და ხოხვისაგან ხმაჩაწყვეტილებს აღარ შეეძლოთ სუნთქვა. ამგვარი მწუხარე ხმებით და დაუსრულებელი შეძახილებით ისინი ემსგავსებოდნენ იმ თიკებს, რომლებიც ჯერ ახლად შობილნი დედებისაგან მოშორებულნი, მგრძნობელობის გამოხატვისაგან მოუთმენლად ზევით-ქვევით დარბოდნენ. ისინი განუწყვეტლივ ხმით ჰაერს კვეთდნენ და მსმენელთ თავს აბეზრებდნენ.

ეს არის შენი მწარე ისტორია, [სუმბატის] მთაო, რომელზეც არ ინება ღმერთმა დამკვიდრება, მთაო სისხლისა, ფეხქვეშ გათელვისა და ამოწყვეტისა. ღირსი არა ხარ შენ მთა გიწოდონ, შენ ხარ

ქვეყნის ყველა მცხოვრებთა დამღუპველი შლამიანი უფსკრული-შენზე მხეცები ითევენ ღამეს და სახლობენ ლეშის მკამელი ძერები და სვაეები. შენზე თავმოყრილი მელიები მხიარულობენ საქმლით დანაყრებულნი. ოჰ, მთაო, ჰერმონის მსგავსად არ განოყიერდები ციდან გადმოდენილი ნამით, არამედ დასველდები ამოწყვეტილთა გვამების სისხლისა და ცხიმისაგან. ოჰ, მთაო, სინას მსგავსად ღმერთთან მოსეს საუბრის შუამავალი არ იქნები; მრავალი მღვდელი დაადუმე ფსალმუნთა თქმის [აკრძალვით], რომლებიც ლოცვა-ვედრებით მუდამ საუბრობდნენ ღმერთთან. ელაჲ. სიკვდილის შიშით იზაბელისაგან გაქცეულმა, ქორების კლდეს [შეაფარა თავი] და ამით იხსნა თავი. ხოლო ისინი, დაიბანაკეს რა შენზე, მახვილს მიეცნენ და მელიების საჭმელად იქცნენ. ოჰ, მთაო, შენი მსგავსია გელბუჟს ის მთა, რომელზეც დაიღუპნენ ისრაელები. დ'როა დავითის მიერ იმ მთის მიმართ წარმოთქმული სიტყვები შენს მიმართაც გავიმეოროთ. სუმბატის მთაო, დე, ნუ გადმოედინება შენზე წვიმა და ნამი, ვინაიდან შენ შესვი შენი იმედის მქონე კაცთა და ქალთა სისხლი. დაე, დადუმდეს იმ მთის შესახებ სამწუხარო ამბების [გადმომცემი] ეს ისტორია, თუმცაღა მრავალთაგან [მხოლოდ] მცირეოდენი გადმოგეცით. აწ კი უნდა მივმართო ამ ისტორიის გაგრძელებას, შეძლებისდაგვარად არ ავჩქარდე, რომ ყველას აღვუძრა ცრემლი. ერემიასთან ერთად მოვუხმობ მომტირალ ქალებს, რომ ჩემთან ერთად წარმოთქვან გოდება, ვინაიდან არ ვთხზავ იმ მთების, გამოქვაბულების და უდაბურ ადგილთა ისტორიას, სადაც წავიდნენ და დამკვიდრდნენ გაქცეული მშვიშარა კაცები.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

მალაჲ არწინს უწყალოჲ განადგურობის ამაჲჲ

ქალაქი [არწინი], როგორც დიდებული და მთაზე გაშენებული ქალაქი, განთქმული და სახელოვანი იყო მთელ ქვეყანაზე. ზღვა და ხმელეთი შეეცადა, რომ აქ თავი მოეყარათ მთელი თავისი ძალები-სათვის, როგორც დიდმა ესაიამ იწინასწარმეტყველა იერუსალიმის შესახებ. ადრეულ პერიოდში, როდესაც აღსავსე იყო სიკეთის სიუხვით, იგი ყველასათვის სანატრელი იყო. იგი მსგავსი იყო ახლად დაქორწინებული ქალის, რომელიც თავისი სილამაზითა და სამკაულებით ყველასათვის სასიამოვნო იყო. მისი მთავრები კაცთმოყვარენი იყვნენ, მსაჭულნი კი — სამართლიანი და უანგარონი; ვაჭრები — ეკლესიის მაშენებელნი და მომკაზმველნი, ბერ-მონაზონთა შემ-

ფარებელნი და პატრონნი, ლატაკთა შემწყალენი და მზრუნველნი. საქონელში არ იყო მოტყუება და არც ეშმაკობა აღებმომცემთა შორის. გაიციხული იყო გამორჩენით სარგებლობა. მიუღებელი და გაიციხული იყო ძღვენები და შესაწირავი. ყველანი კეთილმსახურების მოყვარული და საქმიანები იყვნენ; მათი მღვდლები — წმინდანები. ლოკვის მოყვარულნი და საეკლესიო მსახურების ერთგულნი და მორჩილნი. მისი ვაჭრები, დიდებისა და პატივის მქონენი, ხალხთათვის მეფეებივით იყვნენ. და ერთი ძვირფასი თვალის მსგავსად, სხივოსანი ბრწყინვალეობით მშვენიერი, მორთულ-მოკაზმული ანათებდა ჩვენი ქალაქი ყველა ქალაქებს შორის.

მაგრამ როდესაც სექსტაელები და პირონელები¹³⁰. შევიდნენ ჩვენს ეკლესიებში, სამართლიანობა უსამართლობით შეიცვალა. ანგარება უფრო დაფასდა, ვიდრე ღვთისმოყვარება და მამონი უფრო, ვიდრე ქრისტე. იმ დროს ყველა წეს-ჩვეულება და მორიდებულობა უწესრიგობით შეიცვალა. მისი მთავრები ქურდების თანამოსაქმენი. შურისმაძიებელნი და ვერცხლის მსახურნი შეიქნენ: მისი მსაჯულნი — მექრთამენი, ქრთამისათვის სიმართლის დამფარველნი, არ ასამართლებდნენ ობოლთ და ქვრივთა სამართალს არ ადგენდნენ. უსამართლო მოგებებმა და სარგებელმა კანონების სახე მიიღო. მომრავლდა უხეირო ხორბალი, რითაც მიწა წაიბილწა და ხელი შეუშალა, რომ დროულად გამოეღო ნაყოფი და გამოეკვება ხალხი. ამხანაგების შემცდენი ტრაბახობდა, რომ ჭკვიანია და მიმტაცებელი ამბობდა: „მე ძლიერი ვარო“. ლატაკთა სახლები და ველ-მინდვრების საზღვრები მიიტაცეს მდიდრებმა. ღვთისმსახურის მოსეს ხელით ნაწერი ღვთის წყევლა-კრულვა არ ჩაეწვეთა მათ სასმენელთ: „წყვეულ იყავნ, რომელმან ცვალნეს საზღუარნი მოყუსისა თვისისანი“*. მე დაგინდობ თქვენ და არაფერს ვიტყვი დიდი ესაიას შესახებ, რომელიც გმობს ასეთებს: „ვაჟ რომელნი შეაყოფენ სახლსა სახლისა მიმართ, და აგარაკსა აგარაკისა მიმართ შეაახლებენ, რათა მოყვასსა მორამე ჰხუჭკონ, ნუ მარტონი დაემკვდრნეთა ქუჭყანასა ზედა, რამეთუ ისმინეს ყურთა უფლისა საბაოთისთა ესენი, რამეთუ უკეთუ იქმნენ სახლნი მრავალნი“**. მათ არც კი მოგონებიათ ნაბოვთის ბალი და იზაბელი, რომელმაც ის მიიტაცა და რაც კი იტვირთა, დღემდე საყვირივით გაისმის ყველას სასმენელში. დაკარგეს მღვდლებმა შიში, მოკრძალება და სიწმინდის არჩევანი. ისინი იძულებით მიდიან საკურთხეველთან და ენით გამოუთქმელ საიღუმ-

* პეორე სჯულსა, 27, 16.

** ესაია, 5, 8—9.

ლოებას აღასრულებენ, რაც შემადრწუნებელია ანგელოზთათვის, რომ არ ვილაპარაკოთ ადამიანზე და ამას სჩადიან ვერცხლისა და არა ღვთის საშუალებით. დავიწყებულ იქნა ფსალმუნი, რომელიც ამბობს: „რაჯთა მოდრკენ იგინი, რომელნი გამოცდილ არიან ვეცხლითა“*.

ქალთა განკიცხვის შესახებ რა უნდა ვთქვა? საკმარისია ესაია წინასწარმეტყველის ნათქვამი. ჩვენი სიტყვები საჭირო არ არის, ვინაიდან მან იერუსალიმის ქალები თავხედობისათვის ამგვარად გაკიცხა: „ამათ იტყვის უფალი მათ წილ რომელ ამალღეს ასულნი სიონისანი და ვიდოდეს ქედითა მალლითა“**. პირველად ყველაფერი ბოროტების ძირიდან იწყება, ე. ი. ამპარტავნობისაგან. რადგანაც იგია ყოველგვარი ბოროტების დედა და საწყისი, რომელიც კაცთაგან ატსულებს წარმოქმნის და მათი ტანჯვის თანამონაწილედ ღდის. ყველასათვის საზიანოა ამპარტავნობის სენი. მაგრამ უფრო მეტად ქალთა სქესისათვის, რისთვისაც პირველად მათ განსჯის და შემდეგ რიგით გაიხსენებს: საყურეებს, ბეჭდებს, სამაჯურებს და ქალთა სხვა მრავალნაირ სამკაულს. იხილე, მსმენელო, მათი სასჯელი: „ნაცვლად თავის სამკაულისა ოქროანისა სიმტიერე გაქვდეს“***. ვინაიდან თავი გაძარცულია სამკაულთაგან, თმები გაკრიკეს და დასცინეს მათ: „ნაცვლად სარტყლისა საბელი მოირტყა და ნაცვლად თავის სამკაულისა ოქროანისა სიმტიერე გაქვდეს საქმეთათჳს შენთა, და ნაცვლად შესამოსლისა შუაპორფირიანაა გარე მოირტყა ძაძა“****, ვინაიდან როდესაც ტყვეობისათვის განემზადნენ წარმტყვევნელებმაც ის უწყალობეს მათ.

ყოველივე ეს ტყუილუბრალოდ არ გადმომიცია მე, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ჩვენი ცოდვებიც მათი მსგავსია და მათი მსგავსი, ან უფრო მეტი სასჯელი უნდა მივიღოთ ჩვენ. თუ კი მათ ამ მაგალითის გარეშე ეს სასჯელი მიიღეს, ჩვენ რაოდენ უფრო მეტი სასჯელის ღირსი ვიქნებით, მათი მაგალითისა და ქრისტეს ზესთაგონების შემდეგ, რომელიც ღალადებს და ამბობს: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლჳს თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“****. და ჩვენ არა თუ სამართლიანობაში, არამედ ცოდვებში უფრო აღმოვჩნდით და რა პატიება უნდა მივიღოთ!

* ფსალმ., 67, 31.

** ესაია, 3, 16.

*** ესაია, 3, 24.

**** ესაია, 3, 24.

***** მათე. 5, 20.

აწ კი იხილე სამართლიანი და ღირსეული მისაგებელი. სპარსელები თავს დაესხნენ იერუსალიმს, თავს დაგვესხნენ ჩვენც. ააოხრეს იერუსალიმი, ააოხრეს ჩვენი ქალაქებიც, წარმართნი შეიპყრნენ იერუსალიმის წმინდა ტაძარში, გაძარცვეს მისი სამკაულები და წაბილწეს წმინდა ტაძარი. შეიპყრნენ ჩვენს ეკლესიებშიც, ბილწი ფეხებით წაბილწეს მათი სიწმინდე და გაძარცვეს მათი სამკაულები. გადაწვეს [იერუსალიმის] წმინდა ტაძარი. [ხოლო] ჩვენთან ერთი სახლის სანაცვლოდ გადაწვეს მრავალი ეკლესია. მათმა მღვდლებმა მახვილით ამოწყვიტეს ურიცხვი რაოდენობით ჩვენი მღვდლები. ვინ მოთვლის მათ რიცხვს. დროა მივსდიოთ დავითის სიტყვებს და მისი სმით წარმოვთქვათ გოდება: „რად-მე, უფალო, დასდეგ შორს და უგულებელსმყოფ ჩუენ ჟამსა ოდენ ჭირისასა“*. შენ წმინდა ადგილებში უგუჟურის მიერ უსამართლობის ჩადენისა და სადღესასწაულო დღეებში შენ მოძულეთა ყოყლოჩინობის დროს წარმართნი შევიდნენ შენს სამემკვიდროში და წაბილწეს შენი წმინდა ტაძარი. გადაწვეს შენი სიწმინდეები და შენი ეკლესიის დიდება ფეხქვეშ გათელეს. შენი მსახურთა სისხლი დაიდვარა წყლის მსგავსად არა მხოლოდ იერუსალიმის გარშემო, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა აივსო მოკლულთა სისხლით. ხოლო მათ მიერ დაფლულთა რიცხვს ვინ მოთვლის.

მაგრამ ჩვენი ქალაქის მრავალნაირი და აუტანელი ბოროტება ვის შეუძლია აღწეროს? ვინაიდან როგორც სოდომის შესახებ წერია, „მზე აღმოვიდა ქუშყანასა ზედა და ლოთ შევიდა სეგორს და უფალმან აწკმა სოდომს ზედა და გომორსა, წუნწუბა და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით“**. ასევე აქაც, მზის ამოსვლის ჟამს, უღმრთონი დამშეული ნაგაზებივით თავს დააცხრნენ ქალაქს და ალყა შემოარტყეს, შეიპყრნენ პურის ყანის მომკელთა მსგავსად და მახვილით ამოწყვიტეს [ყველანი] ისე, რომ ცოცხალი კაცი არ დარჩენილა ქალაქში. ხოლო სახლებსა თუ ეკლესიებში თავშეფარებულები უწყალოდ გადაწვეს და კეთილ საქმედ მიიჩნიეს ეს მოქმედება, როგორც წინასწარ აღნიშნა მაცხოვარმა: „მოვალს ჟამი, რაჟთა ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰკონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“*** და მიზეზი თვითვე ცხადჰყო:

* ესაღმ. 9, 22.

** დაბადებ., 19, 23—24.

*** იოანე, 16, 2.

„არამედ ესე ყოველი გიყონ სახელისა ჩემისათვის, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი“*.

ჰაერიც ხელშემწყობი იყო ამ აოხრების დღეს, ვინაიდან დაჰბერა სასტიკმა ქარმა, აგიზგიზდა ალი ისე, რომ კვამლი ზეცას აღწევდა და ცეცხლის ალის ნაპერწკლებმა დაფარეს მზის სხივები. აქ იყო სამწუხარო და შემადრწუნებელი სანახაობა, რადგანაც მთელი ქალაქი — სავაქრო ქუჩები, ვიწრო ქუჩები, თუ სასტუმრო-ბაკები აივსო მოკლულთა გვამებით. დამწვართა რიცხვის დამდგენი არავინ იყო, ვინაიდან რომლებიც გაექცნენ ელვარე მახვილს და დაიმაღლნენ სახლებში, ყველანი გადაწვეს. ეკლესიებში შეპყრობილი მღვდლები ცეცხლით მოსპეს. ეკლესიის გარეთ მყოფნი კი ამოხოცეს და ღორის დიდი ნაპრები მისცეს მათ ხელში ჩვენი შეურაცხყოფისათვის და მასხარად ასაგდებად. ხოლო იმ მღვდელთა რიცხვი, რომლებიც ხალხისა და ეკლესიის უფალნი იყვნენ და რომლებიც მახვილითა და ცეცხლით დაიხოცნენ, 150-ს აღემატებოდა, ხოლო უცხოთა, სხვათა ქვეყნებიდან აქ მოსულთა რიცხვი უცნობი იყო.

ეს არის შენი ტანჯული ისტორია, ქალაქო, [ოდესღაც] ბედნიერო, სიმდიდრით სავსე და ქვეყნებს შორის განთქმულო. აწ კი აღაპყრე თვალნი შენნი და იხილე შენი ტყვედ წაყვანილი შვილები, უწყალოდ ქვით დაჩეჩქვილი ყრმები, გადამწვარი შენი ახალგაზრდები, მოედნებზე მოკლული დიდად საპატიო მოხუცნი, ნაზი ქალწულნი და ქალები შეურაცხყოფილნი და ფეხით ტყვედ წასხმულნი. ჩვენზე აღსრულდა დავითის გოდება: „მისცა ტყუედ ძალი მათი და სიკეთე მათი ჴელთა მტერისათა“**. მაგრამ ქრისტე იგვიანებს გამოფხიზლებას.

დე, აქ შეწყდეს სამწუხარო ისტორია ქალაქ არწინისა, ვინაიდან ყველა უბედური შემთხვევა არ შეგვიძლია აღვწეროთ, მაგრამ ჩვენ მიერ აღწერის გარეშე დატოვებული [ამბები] მსურველს შეუძლია შეისწავლოს. ნანგრევებიდან. ჩვენ მხოლოდ აღწერეთ მთისა და ქალაქის სამწუხარო ისტორია, რომელიც ჩვენი თვალთ ვიხილეთ და ჩვენს თავზე გადატანილი უბედურებანი. ხოლო სხვა გავარებისა და ქალაქების უბედურ შემთხვევებს ვინ აღწერს? [ამ ამბების აღწერას] სჭირდება ბევრი სიტყვა და ხანგრძლივი დრო. ჩვენ კი ჩვენი შესაძლებლობის საზომით მოკლედ აღვწერეთ.

* იოანე, 15, 21.

** ფსალმ., 77, 61.

ბაიანის ვალზე [მოხსნარი] დიდი ბრძოლის შესახებ, რომელშიც
დაგარცხდნენ ჰოროვები

ესაია წინასწარმეტყველი, როცა ეგვიპტელთა განადგურებას წინასწარმეტყველებდა, ამბობდა: „და სულელ იქმნეს მთავარი ტანეოსსა ბრძენი თანამზრახველნი მეფისანი“*. ასევე შეგვემთხვა ჩვენ. ჰორომთა ცხენოსანი ჯარი, რომელთა რიცხვი მცირე არ იყო, როგორც ამბობენ, 60 000-ს აღწევდა, ქვეყნის აღმოსავლეთ მხარეში იდგა მცველად. მისი მეთაური იყვნენ კამენასი, რაც ნიშნავს ცეცხლს და რომელიც განაგებდა სომეხთა სამეფოს, ბულარის შვილი აპარონი, რომელიც ვასპურაკანის მხარეს ფლობდა და გრიგოლი. სომეხთა ძლიერი მთავარი, რომელსაც ეპყრა მაგისტროსობის პატივი. წმინდა წიგნში აღნიშნულია, რომ მრავალხელისუფლებიანობა იწვევს ამბოხსა და არეულობას და აახლოებს დანგრევას. ასევე შეემთხვა მათ. საჭირო იყო, რომ მათ ერთხმად მიემართათ დახმარებისათვის გამარჯვების მომნიჭებელი ღვთისათვის, როგორც ძველად ჩვეულება ჰქონდათ მებრძოლებს. „რამეთუ ვერ უძლოს ძლიერმან კაცმან, უფალმან უძღურ ყოს მქდომი თვისი“**.

ხოლო ისინი ასე არ ფიქრობდნენ. არამედ უკანონობას სჩადიდებდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ადამიანური მოხერხებულობით შეძლებდნენ საშინელი ცეცხლის ალის ჩაქრობას. ისინი თვითონვე ჩაცვივდნენ შფოთში და არც ერთის სიტყვებს არ ენდობოდნენ, ვინაიდან ღმერთმა მოაშორა მათ ჰკუა და გონება, რადგანაც მათ არ მიმართეს მას; ისინი ლიპარიტს¹³¹ შესთხოვდნენ დახმარებისათვის მოსვლას. როგორც ცნობილია, ჯადოსანთან წასულები დაავადდნენ საულის სნეულებით. მათი შედარება შეიძლება ურიებთანაც, რომლებმაც აქლემებს აკიდეს რა თავიანთი საუნჯეები, წაუღეს ერთ ტომს, რომლისგანაც დახმარების არავითარი იმედი არ იყო. მათ არც მოჰგონებიათ დავითის გოლიათთან შებმის შემთხვევა. მან დიდი თავხედობით გაკიცხა ისრაელი, რომლის მხოლოდ ერთი შურადული საკმარისი აღმოჩნდა მისი თავის გასატეხად. მათ არ გახსენებიათ ეზეკია, რომელმაც მხოლოდ ლოცვით ასურელთა 180 000-იანი ჯარი ანგელოზის მეშვეობით უხილავი მახვილით მიწაზე ძირს დასცა.

* ესაია, 19, 11

** 1 მეფეთა, 2, 9-10.

დიდი ხვეწნა-მუდართა და უხვი განძებით მოვიდა ლიპარიტი და მით ვერაფერი გადაწყვიტა; ვინაიდან ვერ შეთანხმდნენ. ბრძოლის დროს ბულღარის შვილი გაიქცა და მით გააბედვინა მტრებს დიდი შეძახილებით გარს შემორტყმოდნენ ლიპარიტს და მის მხნე თანამებრძოლებს: ზოგი მოკლეს, [ლიპარიტი] კი შეიპყრეს, მახვილით დაუკვეთეს რა მის ცხენს ძარღვები. ჰხვა ჯარები ამის დანახვის-თანავე გაიქცნენ. მტრები მათ მიჰყვნენ უკან და ურიცხვი [ხალხი] ამოწყვიტეს. ზოგი მახვილით მოკლეს. ბევრი კი, ვინაიდან უკვე ბნელოდა, ზღუდეებიდან და მაღალ ადგილებიდან გადმოაგდეს. ხოლო დანარჩენნი, გაშიშვლებულნი, გაძარცულნი ფეხით წავიდნენ სადაც კი შეძლეს. ხოლო მტრებმა ხელთ იგდეს რა აურაცხელი ნადავლი, ფრიად გაიხარეს. ჩვენები კი გოდებამ მოიკვა. იმ დღიდან დღემდე ლეშის მჭამელი ძაღლების, ან არაბი მგლების მსგავსად ვერ გაძლნენ ქრისტიანთა სისხლით, ვიდრე არ მოსპეს ისინი. მთელი ქვეყანა მკის [პერიოდს მიღწეულ] ყანებს დაემსგავსა. ძნების ამღებნი მომკალთა უკან მიდიოდნენ და დარჩენილ თავთა-ვებს და ნაფეტვარსლა ტოვებდნენ პირუტყვთა საძოვრად.

ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მტრები, ხელთ იგდეს რა ნაძარცვი და ტყვეები, დაბრუნდნენ სამშობლოში და ურიცხვი ნადავლით აავსეს მთელი ქვეყანა. ხოლო ქართველთა მთავარი წაიყვანეს და მიჰგვარეს ხალიფას, როგორც დიდი განძი და ტყვეთა შორის ყველაზე უფრო სასიამოვნო. მან მადლობით მიიღო რა [ლიპარიტი], დიდი ძღვენით მშვიდობით გამოისტუმრა თავის ქვეყანაში. ამის შესახებ აქამდე [საკმარისია];

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

კონსტანტინოპოლში აბტრამ მამამთავრის გამგზავრება და უკან
დაბრუნება

მეფემ იხილა რა [პეტრე მამამთავარი], დიდი პატივითა და მოწიწებით მიიღო იგი და ბრძანა მისთვის უხვი ულუფის მიცემა. მაგრამ თავისთან იგი 3 წელიწადს შეინახა, ვინაიდან ყოყმანობდა მის სომხეთში გაშვებას. [მას ეშინოდა, რომ მამამთავარს] არ აეჯანყებინა ანისის მცხოვრებნი. ხოლო სენექერიმის შვილმა ატომმა¹³² აიყვანა იგი თავდებქვეშ. მოიყვანა ქალაქ აებასტოპოლისში და მისცა მას საცხოვრებლად ლამაზი, შესანიშნავი სამკაულებით მდიდარი წმინდა ჯვრის ნაგებობა, რომელიც თვითონ ააშენა. აქ

იცხოვრა [მამამთავარმა] ორი წელი და გარდაიცვალა. მისი ადგილი დაიკავა მისმა დისშვილმა ხაჩიკმა, რომელსაც დიდი ხანია მიეღო სამამამთავრო ხელდასმულობა. როცა მეფემ ეს შეიტყო, ელჩები გაგზავნა. მოაყვანინა [ხაჩიკი] და მოატანინა თავისთან იქ, თუ სომხეთში არსებული განძები; პეტრეს ძალიან უყვარდა განძი, რისთვისაც მას ბევრი კიცხავდა. მაგრამ 3 წლის შემდეგ უფალმა ხაჩიკმა დასტოვა სამეფო ქალაქი და მოვიდა რა სომხეთის¹³³ საზღვარზე მდებარე ტარნტის გავარში¹³⁴, აქ შეჩერდა, ვინაიდან [მეფემ] უბრძანა იქ დამკვიდრებულიყო.

ხოლო მისი კონსტანტინოპოლში გაჩერების მიზეზი ის იყო, რომ სურდათ დაეხარკათ მამამთავარი. მან კი თავს არ იღვა ამის გაკეთება [და განაცხადა]: „რაც ჩემ დრომდე არ ყოფილა, მასზე მე არ შემიძლია პასუხი ვაგო“. მას გამოძიება მოუწყვეს და დაემუქრნენ, რომ ამ ადგილიდან ვერ წახვალ, სანამ ჩვენ ბრძანებას არ შეასრულებო. ხოლო ნეტარი კაცი და ჩვენი განმანათლებლის მოადგილე სრულიადაც არ შეუშინდა მათ სიტყვებს და მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ამის შემდეგ ჰორომთაგან ორი კაცი, ერთი მთავარი და მეორე მოძღვარი, მისი გამოცდის თუ გაღიზიანებისათვის, თუ, სიმაართლე რომ ვთქვათ, არ ვიცი [რატომ], მოვიდა და მოითხოვა მათთვის [მიენდოთ] ეკლესიის ზედამხედველობა, თან აღუთქვა დაკისრებული ხარკის გადახდა. მათ ორივეს მწარე სიკვდილით აღმოხდა სული. [მეფემ] ინანა [თავისი] მოქმედება და გაუშვა [ხაჩიკ მამამთავარი] ხარკის გადახდის გარეშე, თან მისცა მას წერილითა და ოქროს ბეჭდით [დამტკიცებული] თავისი კუთვნილი ადგილები სომხეთში და ორი მონასტერი ტარნტის [გავარში].

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

მდიდარი ქალაქის კარის¹³⁵ სასტიკი ანონიმის შესახებ

ქალაქ [კარს] ადრინდელი დროიდან უბედურება არ გადაუტანია. ამის გამო [მისი] მოსახლეობა უზრუნველად და უდარდელად ცხოვრობდა ზღვიდან და ხმელეთიდან მოპოვებული სიუხვით გამდიდრებული. ჩვენი უფლის გამოცხადების დიდი დღესასწაულის იმ დამეს, როდესაც მღვდლების დასი მრავალრიცხოვან ხალხთან იმ დღის მსახურებას აღასრულებდა მხიარული ხმით, უეცრად მათ თავს დააცხრნენ ურჯულოთა ჯარები. ვინაიდან ქალაქს დამის მცველები

არ ჰყავდა, ისინი შიგნით შეიჭრნენ, მახვილი აღმართეს და ყველა უწყალოდ ამოწყვიტეს; დიდი გოდების ღირსია ეს ისტორია. ქალაქების წესია, რომ საუფლო დღესასწაულებისას კაცი, ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა თავისი შესაძლებლობის შესაბამისად, გაზაფხულის წალკოტთა მსგავსად ნაირნაირი სამკაულებით იკაზმებიან. მტრებმა ასე [მორთულ-მოკაზმულნი] პოვეს ისინი და მყისვე ტირილითა და გოდებით აივსო ქალაქი. მღვდლებმა შეწყვიტეს თავიანთი მსახურება, მეფსალმუნებმა — ფსალმუნთა გალობა, კურთხევის სიმღერა დადუმდა. სამწუხარო სანახაობა იყო აქ. ქვისა და უსულო ქმნილებებსაც კი აღუძრავდა იგი ცრემლსა და გოდებას, არა თუ მგრძნობიარებსა და ცოცხლებს. პატივცემული და სახელგანთქმული ვაჭრები ტანჯული სიკვდილით ამოწყდნენ, ახალგაზრდები და მებრძოლნი ქუჩებში ეყარნენ, მახვილით განგმირულნი, იქვე [მოჩანდა] მოხუცთა საპატიო ქაღარა, სისხლში ამოსვრილი. ასე ამოწყდა ქალაქის მთელი მოსახლეობა. ხოლო ვინც შეძლო ქალაქის ზევით მდებარე ციხეში აღწევა, მხოლოდ ის გადარჩა. მტრები კი მთელი დღე დარჩნენ იმ ადგილას. მათ დაანგრიეს სახლები, შემდეგ ცეცხლს მისცეს და გადაწვეს მთელი ქალაქი, თან წაიყვანეს ტყვეები, წაიღეს ქალაქის ნადავლი და დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში.

თ ა ვ ი მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე

სულთნის მოსვლის შესახებ

ამ ისტორიის შემდეგ წელს, ჩვენი წელთაღრიცხვის ხუთას სამ წელს*, იმავე თვესა და იმავე რიცხვში, როდესაც ჩვენი ქვეყანა პირველად ტყვედ წაასხეს, გადაწვეს არწინი და სხვა ქალაქები და დაბასოფლები, დაიძრა სიკვდილის მომტანი, სისხლის მსმელი და კაცის-მკვლეელი მხეცი — სულთანი ურიცხვი ჯარით, სპილოებით, ეტლებით, ცხენებით, ცოლებით. ვაჟებით და დიდძალი ქონებით. მან დასტოვა არქეში და ბერკრი¹³⁶. მოვიდა და დამკვიდრდა აპაჰუნჩის გავარის ქალაქ მანაზკერტთან და ყველა ფართო ველ-მინდვრებს დაეპატრონა. მან მარბიელი მოჰფინა ქვეყნის სამ მხარეს. ჩრდილოეთით — აფხაზთა ციხემდე და პარხარის¹³⁷ მთამდე და კავკასიის მთის ძირამდე, დასავლეთით — ჭანეთის¹³⁸ ტყემდე, ხოლო სამხრეთით

* 1054 წ.

—სიბის მთამდე¹³⁹. მათ დაიპყრეს მთელი ქვეყანა [და მომკეს ყოველივე] პურის ყანის მარცვლების მომკელთა მსგავსად.

ვის შეუძლია კალმით აღწეროს იმ დროის უბედურებანი, რომელიც შეემთხვა ჩვენს ქვეყანას, ან ვის გონებას შეუძლია აღრიცხოს. მთელი ქვეყანა გვაძებით აივსო: ნაშენი და უშენი, გზები და უდაბური ადგილები, ქვიანი და კლდოვანი, ტყიანი და გაშიშვლებული და ყველა სამოსახლო ადგილი ცეცხლს მისცეს. გადაწვეს სახლები და ეკლესიები, რომელთა ცეცხლის ალი უფრო მალა მიიმართებოდა, ვიდრე ბაბილონისა. და ამგვარი მოქმედებით ააოხრეს მთელი ქვეყანა, არა თუ ერთხელ, არამედ სამჯერ ერთმანეთის მიყოლებით, სანამ სრულიად არ ამოწყდა მოსახლეობა და დადუმდა პირუტყვთა ხმა.

ამის ხილვით ქვეყანა გოდებამ მოიცვა, რადგანაც მოისპო მისი მოსახლეობა. გაქრა პირისაგან მიწისა მხიარულება. ყველგან ისმოდა გოდება და მოთქმა, ტირილი და კვნესა. აღარსად ჟღერდა მღვდლების გალობები და ღვთის განდიდების ხმა. აღარსად არ იხსნებოდა წიგნები დასამშვიდებლად და მსმენელთა ნუგეშის საცემად, ვინაიდან წამკითხველნი მახვილით ამომწყდარნი მოედნებზე ეყარნენ, ხოლო თვითონ წიგნები — გადამწვარი და ნაცრად ქცეული. არსად არ გაისმოდა ქორწილის ხმა და ზარება ახლადდაბადებულ ყრმათა შესახებ. მოხუცები აღარ სხდებოდნენ მოედნებზე და ყრმები არ თამაშობდნენ მათ წინაშე. აღარ გროვდებოდა საქონელი საძოვრებზე. და აღარ ხტოდნენ კრავები მინდვრებში. მომკალნი აღარ ივსებდნენ თავიანთ კალთას ძნებით და მგზავრთაგან არ ისმოდა ქება. აღარ ივსებოდნენ კალოები ხორბლით და საწნახელები ღვინით. რთველის დროს აღარ ისმოდა სამხიარულო ხმები და მარნები არ მძიმდებოდა დოქებით. ეს ყოველივე გაქრა და არსად ჩანს. რომელმა ერემიამ უნდა დაიტყროს ჩვენი აოხრება ისე, რომ მოთქმა-გოდებამ გამოძახილი პოვოს გზებსა და მთებში. და რომელმა ესაიამ არ უნდა უსმინოს ნუგეშისმცემელს, რომ დაკმაყოფილდეს გოდებით. ვაი მე, რომ მოგიტხოვრებთ ყოველივე ამას, ვითარცა ახალგაზრდა იემენელი, სამწუხარო ამბის მომტანი ვარ არა მარტო ერთი რომელიმე სოფლისა და ერთი ქალაქისათვის, არამედ ყველა ქვეყნისათვის ისე, რომ იგი გადაეცეს ტომიდან ტომს სამარადისოდ. ვერც დრო და ვერც საქმე ვერ გაცვეთს ჩვენ [ისტორიას], როგორც ამას გვამცნობს წმინდა წიგნი უდაბნოს უწმინდურის შესახებ.

ახლა რა ვქნა? თქვენი შებრალებისათვის მოგიტხოვრებთ იმ აუტანელი უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა ქრისტიანებს? თუ მოგმართოთ ცრემლებითა და ვაი და ვიშით თქვენ, ამ სამწუხარ-

რო ისტორიის მონაწილეებს? მაგრამ ვიცი, რომ თქვენ ისურვებთ ამის მოსმენას, რის გამოც მე თავს ვანებებ რა მერყეობას, დაწვრილებით აღწერ იმ აუტანელ უბედურებებს.

როდესაც ვიხსენებ ხორძიანსა და ჰანძეთს¹⁴⁰ და იქ ჩადენილ საქმეებს, ცრემლები მახრჩობს, გული მეკუმშება, გონება მებნევა, ხელები მიკანკალებს და არ შემიძლია ისტორიის [გადმოცემის] გაგრძელება. ურიცხვი რაოდენობით ხალხმა ზედა გავარებიდან აქ მოიყარა თავი ადგილის სიმტკიცისა და [უშიშროების] გამო. შუარისმაძიებელ მხეცთა მსგავსად, უწყალო სიცოფით ანთებული ურჯულოები სწრაფად, როგორც ფრინველნი, თავს დაესხნენ მათ, მოძებნეს ისინი გამოქვაბულებსა და ხშირ გაუვალ ტყეებში და შეუბრალებლად ამოწყვეტეს. მკოკლულთა გვამების სისხლი, გაზაფხულის ქაშს ჰაერის სითბოსაგან გამდნარი, მომდინარე თოვლის ნაკადულების მსგავსად მოედინებოდა და მიწას თხრიდა დამრეც ადგილებში.

ხოლო შენ გაიხსენე იმ დროს მომხდარი [ამბები]: რაც შეემთხვა ბერ-მონაზონთა და სამღვდლო დასს, მოხუცებულებს, მრავალ ახალგაზრდას, რომელთა ახლად ამოზრდილი წვერი ლამაზი ნახატის მსგავსად ამკობდა სახეებს და თმების დახვეული ლოკნები ვარდის მსგავსად შუბლზე ბრწყინავდა და სახეთა გამომეტყველებას სინათლეს ჰფენდა. [ისინი] მტრის მახვილისაგან, როგორც სეტყვისაგან უმაღვე ამოწყვეტილნი, მიწაზე იყვნენ გართხმულნი. გაიხსენეთ აგრეთვე ყრმების რიცხვი, რომლებიც მშობლების მკერდიდან მოწყვეტილნი მიწაზე ეყარნენ. ისინი გულის მომსვრელი ტირილით მშობლებს ეძებდნენ, ხოლო მშობლებს ცემით სწრაფად ამორებდნენ მათ. რომელი ქვის გული არ აივსება ცრემლებით მრავალნაირი მძიმე უბედურების მოსმენით: ქალწულნი შეურაცხყოფილნი, ახალი პატარძლები მეუღლეთაგან განშორებულნი და ტყვედ წასხნულნი. ერთი თვალის დახამხამებაში ქვეყანა, რომელიც ხალხმრავალი ქალაქის მსგავსად სიმდიდრით იყო სავსე, გაუკაცრიელდა. [მისი მოსახლეობა] ორ ნაწილადაა დაყოფილი: მახვილით მოსპობილი ან ტყვედ ქმნილი. ოპ, ქრისტევ, შენი იმდროინდელი შეწყალება. ვაი ჩვენს უბედურებას. რაოდენ მწარე სიკვდილს მივეცი თავი.

ხოლო დერჯანისა¹⁴¹ და ეკელეაცის გავარებში და მათ საზღვრებში ამომწყდართა შესახებ არავის ძალუძს დაწერა. შენ ჩემს მიერ მონათხრობის მიხედვით განსაზღვრე იგი. [მტრები] შეიჭრნენ ტაოში, დაიპყრეს მთელი ქვეყანა, მივიდნენ მდინარე ჭოროხამდე¹⁴², გადალახეს იგი, უკან მობრუნდნენ და წავიდნენ ქალდიის ქვეყანაში. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის ტყვე და ნადავლი, უკან მობრუნდნენ

და მოვიდნენ ბაბერდის¹⁴³ ციხე-ქალაქამდე. იქ მათ შეხვდა ჰორომთა ჯარის ერთი გუნდი, რომელიც ვარიაგებად¹⁴⁴ იწოდებოდა; ისინი შეებრძოლნენ მტრებს. ღვთის წყალობით ჰორომთა ჯარებმა დაამარცხეს მტრები და მათი სარდალი მრავალ სხვა [მებრძოლთან] ერთად მოკლეს. სხვები კი გაიქცნენ; მათ მთელი ნადავლი და ტყვეები წაართვეს [მოწინააღმდეგეს], მაგრამ გაქცეულთა კვალდაკვალ დიდ მანძილზე დადევნება ვერ გაბედეს, რადგანაც შეშინდნენ, რომ შესაძლებელი იყო მრავალრიცხოვან ჯარებს შეხვედროდნენ. ხოლო ტყვეებმა, რომლებიც განთავისუფლდნენ, განადიდეს უფალი ღმერთი და დაბრუნდნენ შინ. [მტრების ერთი ნაწილი] თავს დაესხა სომხებს და ვინც კი იპოვეს, ამოწყვიტეს ან ტყვედ წაასხეს. ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, კვლავ უკან მობრუნდნენ და მოვიდნენ ვანანდის საზღვრებთან. აბასის¹⁴⁵ შვილის გაგიკის¹⁴⁶ მხნე მთავრები შეებნენ მათ და იმავე ადგილას მრავალი ამოწყვიტეს. ურჯულოთა ჯარები თავს დაესხნენ მათ და გარს შემოერთყნენ და ვინაიდან ბრძოლის გახანგრძლივებისა და იმ სასტიკი ამოწყვეტის გამო [სომეხთა ჯარებსა] და მათ ცხენებს ძალა გამოელიათ, ამიტომ ვერ შეძლეს მტრის საფარის გარღვევა და წასვლა. მტრებმა მახვილს მისცეს და ამოწყვიტეს აზნაურთაგან ოცდაათი კაცი.

ხოლო აზნაურთაგან ერთი, სახელად თათული¹⁴⁷, კაცი მხნე და მებრძოლი, შეიპყრეს და მიჰგვარეს სულთანს. ვინაიდან [თათულიმ] სასტიკად დაჰრა სპარსთა ამირას არსუბანის შვილი, ამიტომ სულთანმა იხილა რა იგი, უთხრა [თათულის]: „თუ ეგ გადარჩა, შენ გაგათავისუფლებ, თუ კი მოკვდება, ვბრძანებ, რომ შენ მას მსხვერპლად შეგწირონ“. [თათულიმ] უპასუხა: „თუ ჩემგანა ნაგვემი, არ იცოცხლებს, ხოლო თუ სხვისგან, ეს' მე არ ვიცი“. იგი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. სულთანმა შეიტყო რა მისი სიკვდილის შესახებ, ბრძანა [თათულის] მოკვლა და მისთვის მარჯვენა მკლავის მოკვეთა, [რომელიც] გაუგზავნა არსუბანს დასამშვიდებლად, რომ შენი ვაჟი მხნე კაცის ხელით მოკვდაო.

აწ რა საჭიროა აღვწეროთ ქრისტიანების ის აღუდგენელი ნგრევა, რომელიც როგორც სასტიკი ქარისაგან აღელვებული ზღვა, საშინელი ტალღებით და აქაფებული ზვირთებით ყოველი მხრიდან მოდის. ასევე შეგვემთხვა ჩვენც. მთელი ჩვენი ქვეყანა უეცრად შფოთმა და არეულობამ მოიცვა და აღარ იყო არც ერთი საიმედო ადგილი, ვინაიდან აუტანელი უბედურებების გამო ყოველ ადამიანს გადარჩენის იმედი დაეკარგა. ეს ჯერ კიდევ ადრე გვამცნო წინასწარმეტყველმა, მიაშვავსა რა საშინელი უბედურებები

ზღვის მღელვარებას, როდესაც ბევრი ღონემიხდილი ადამიანი თავს ვერ იმაგრებს შიშისა და მოსალოდნელი [რისხვისაგან].

შენ კი მოშორდი ამას, მოდი, განცვიფრდი სულთნის უგუნურობით და ღვთის დიდი სიბრძნით. [განცვიფრდი სულთნის] სისულელით, რადგანაც მან უძლეველად [წარმოიდგინა თავი] და თან ზღვის მემკვიდრედ. [განცვიფრდი] ღვთის სიბრძნით, რადგანაც [ღმერთი] მხოლოდ ერთი დასახლებული ადგილით შეებრძოლა მას და სირცხვილუული უკუაქცია თავის ქვეყანაში. აწ კი შენ ყური უგდე ჩემს სიტყვებს. როდესაც [სულთან] პირველად მოვიდა ურიცხვი ჯარით და ალყა შემოარტყა ქალაქს, ალყაშემორტყმულებსა და პირუტყვს არ ჰყოფნიდათ საკვები; ათი დღე რომ დარჩენილიყო [სულთან], აიღებდა ქალაქს. მაგრამ ღმერთი არ განრისხდა საბოლოოდ. იგი სამარადისოდ კი არ იმახსოვრებს წყენანს და ჩვენი ცოდვების სანაცვლოს კი არ მიგვიზღავს. მან [სულთანს] ჩაუნერგა უგუნური აზრი. სამი დღის შემდეგ [სულთან] მთელი თავისი ჯარით დაიძრა ადგილიდან და გამოემართა ტუარაწა ტაფისაკენ¹⁴⁸. იქიდან კი გადავიდა ბასიანის ფართო ველზე და მივიდა ერთ მიუდგომელ ციხესთან, რომელსაც ავნიკი¹⁴⁹ ეწოდება. მან იქ ნახა უამრავი ხალხი და პირუტყვი, მაგრამ ვერ გაბედა [მათზე] თავდასხმა], რადგანაც ერთი შეხედვითაც კი მიხვდა, რომ [ციხე] მიუვალა იყო. [ამიტომ სულთანმა] გვერდი აუარა მას და მივიდა ბასიანთან, ერთ სოფელთან, რომელსაც დუ¹⁵⁰ ეწოდება. იქიდან იგი რამდენიმე კაცის თანხლებით ავიდა ამაღლებულ ადგილას, კარინის მახლობლად და დიდხანს ათვალეირებდა კარგად გამაგრებულ ქალაქს. [შემდეგ სულთან] უკან გამობრუნდა. ხოლო მანაზკერტის მცხოვრებლები მშვიდად გამოვიდნენ ქალაქიდან და ბლომად მოიმარაგეს საკვები ადამიანებისა და საქონლისათვის. თიბვის დრო იყო. ვიდრე სულთან უკან დაბრუნდებოდა, ქალაქის მცხოვრებლებმა [მოათავეს საქმეები] და უზრუნველად იყვნენ. [სულთანმა] საშინელი რისხვით ბრძოლა გააჩაღა ქალაქის წინააღმდეგ. ხოლო ქალაქის ზედამხედველმა მთავარმა, რომელიც კეთილმსახური კაცი იყო და მარხვითა და ლოცვებით წრთვნიდა თავის თავს, დახმარებისათვის მოუხმო ღმერთს და რწმენით გამხნევდა. მან ფსალმუნთა გალობით ღმერთს მიმართა: „არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემთანა ხარ“* და მეორე „არა შემეშინოს მე ბევრეულისაგან ერისა ყოველთა, რომელთა გარე-

* ფსალმ. 22, 4.

მომიცევს მე“*. რაც წესია. მან განამხნევა რა ქალაქის მცხოვრებნი და ჯარები, უთხრა: „განმხნევლით ჩემო მეგობრებო და ძმებო, განმხნევლით და ნუ გეშინიათ. იოლი საქმეა ღმრთისათვის [ჩვენთვის დახმარების აღმოჩენა]. ისინი წამოვიდნენ ჩვენზე ეტლებით და ცხენებით. ჩვენ კი მოვიხსენოთ ჩვენი უფლის სახელი და ღვთით ვიპაყოთ სამარადისოდ და მისი სახელი ვაღიაროთ, რადგანაც ის მისცემს ძალასა და სიმტკიცეს თავის ხალხს, რომელიც კურთხეულია სამარადისოდ“. მან გაამხნევა მღვდლები ლოცვისა და ფსალმუნთა წარმოთქმისათვის და [ისინიც] განუწყვეტელი შეძახილებით დღე და ღამე ღმერთს მოუხმობდნენ და ჯვრითა და ზარების მაღალი ხმით რეკვით, ზღუდეებზე [მყოფნი] შესთხოვდნენ ღმერთს მოსულიყო განსაცდელში ჩაცვენილთა დასახმარებლად. [ეს ხმები] მოხეზრდა ტირანის სასმენელთ და გამოიკითხა, თუ რა არის ეს შეუწყვეტელი შეძახილებიო. მცოდნეთაგან შეიტყო. რომ [მღვდლები] ღმერთს ევედრებოდნენ.

[სულთანს] ერთი თვის განმავლობაში ქალაქზე ალყა ჰქონდა შემორტყმული და ყოველდღე ორჯერ, ერთხელ დილით, ხოლო მეორედ საღამოთი ებრძოდა ქალაქს. მაგრამ შენ იხილე ღვთის გონიერება, თუ როგორ იცის მოწინააღმდეგეთაგანაც კი სარგებლის მიღება. ვიდრე ქალაქი ასეთ გასაჭირსა და საფრთხეში იმყოფებოდა, მან კეთილი განზრახვა ჩაუსახა გულში მთავარს, რომელიც ერთ-ერთი იყო სულთნის მრავალ ერთგულთაგან. მისგან [სულთნის] ნააზრევი გაუძედა ქალაქს სიტყვით თუ წერილობით. ქალაქზე ნაწერი მშვილდ-ისარზე დაამაგრა და ბრძოლისას მიუახლოვდა რა ქალაქს, ისრები მიმართა ქალაქზე და მით ბრძოლის მთელი გეგმა აშკარა გახდა მოქალაქეებისათვის; „ხვალ ასეთი თუ ისეთი სახით იქნება ბრძოლა, ღამით ამა და ამ ადგილას სურთ კედლის გამოთხრა და შიგ შესვლა. ხოლო თქვენ მტკიცედ იდექით და ამ ადგილებს თვალყური ადევნეთ“-ო.

ყოველივე ეს შეასრულა ღმერთმა, რომელმაც იცის შორიდან დიდი საქმეების საფუძვლის ჩაყრა, რომელმაც ბალაში ბალაკთან წინასწარმეტყველად აქცია, უტყვი პირუტყვი კაცის ენით აამეტყველა, ეღია ქერიათის ხევში შიმშილის ეამს 3 წელი ყვაევებით გამოკვება. რაღა გასაკვირია, რომ მან მოწინააღმდეგეთა ხელით იხსნა ქალაქი?

[ამგვარი ამბების შემდეგ], რომელ მხარეშიც კი დაიწყეს მათ ბრძოლა, დღისით, თუ ღამით, მოქალაქეები ყველგან შეიარაღებუ-

* ფსალმ. 3, 7.

ლი და მზადყოფნის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ [მტრებმა] გამართეს [საბრძოლო] მანქანები და მით დაიწყეს ბრძოლა. ხოლო ჩვენიანთაგან ერთმა ხნიერმა მღვდელმა, რომელიც კარგად იყო გაცნობილი [სამხედრო] ხელოვნებას, თავისთვის ერთი ფილიკვანი¹⁵¹ გაამზადა და როდესაც მათ ქვეები დააწყვეს მანქანის შურდულზე და მიმართეს ქალაქზე, მღვდელმა პირდაპირ მათ ქვეს სტყორცნა თავისი ქვა, რომელიც მოხვდა ურჯულოთაგან გამოსროლილ ქვას და მათვე დაეცა. ურჯულებმა 7-ჯერ მოიმოქმედეს ასე, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ, ვინაიდან მღვდლისაგან გასროლილი ქვა მათ ქვაზე ბევრად უფრო ძლიერი იყო.

შემდეგ მათ სხვა საბრძოლო იარაღიც გაამზადეს, რომელსაც ბაბანს უწოდებდნენ.

იგი ძალიან დიდი იყო. ისე, რომ, როგორც ამბობდნენ, მას ედგა ოთხასი მსახური, რომლებიც თოკებს ჭიმავედნენ: 60 გირვანქა ქვა დადევს მის შურდულზე და ქალაქს დაუშინეს. მტრებმა მის წინ კედელი აღმართეს ბამბის ტვირთითა და სხვა მასალით, რომ მღვდლის მიერ გამოსროლილ ქვას [მტრებამდე] არ მიეღწია. და როცა ყოველივე ასე მოამზადეს, ერთი ქვა ტყორცნეს, რომელიც ძლიერად ეკვეთა ზღუდეს, დაანგრია და გახსნა შესასვლელი. ეს რომ ქალაქის მცხოვრებლებმა დაინახეს, სასტიკად შეშინდნენ და დიდი გოდებით, ვედრებით მიმართეს ღმერთს, რომ მოსულიყო მათ დასახმარებლად. ხოლო ურჯულებმა ფრიად განიხარეს. მეორე დღეს, გათენებისას, ერთი სარდალი, რომელიც დეილემიტის¹⁵² ჯარს განაგებდა, თავისი ჯარით მოვიდა და შეებრძოლა ჩვენებს; მან მოინდომა ძალით შიგ შესვლა და უეცრად დაეცა. ხოლო ზღუდეზე მყოფებმა ესროლეს მას რკინის კაუჭი, შეიპყრეს და შეიყვანეს ზღუდის შიგნით; ამის მხილველი ჯარი, დიდად დამწუხრებული, კვლავ თავის ბანაკში დაბრუნდა, ხოლო ქალაქი დიდმა სიხარულმა მოიცვა.

იმ დროს ჰორომთა ჯართაგან ერთმა მებრძოლმა ნავთითა და გოგირდით ცეცხლი დაანთო შუშის ქურქველში, შეჭდა მხნედ ფეხმარდ ცხენზე, მხოლოდ ზურგი გაიმავრა ფარით, ქალაქიდან გარეთ გამოვიდა და შეიჭრა უცხოტომთა ბანაკში, უწოდებდა რა თავის თავს მანდატორს, ე. ი. შიკრიკს. ბაბანთან ახლოს გავლისას მან უეცრად ზევით აღმართა მინის ქურქველი და დაღვარა ბაბანზე. უმაღლვე აგიზგიზდა ცეცხლი. წითელი ალი გარეთ გამოვიდა, თვითონ [მებრძოლი] კი სწრაფად კვლავ უკან დაბრუნდა. ურჯულებმა დაინახეს რა ეს, განცვიფრდნენ, შემოასხდნენ ცხენებს და უკან დაედევნენ, მაგრამ ვერ შეძლეს დაწევა. იგი უვნებლად შევი-

და ქალაქში. ღვთის დახმარებით მას ერთი კურილობაც კი არ მიუღია. ხოლო სულთანმა, იხილა რა მომხდარი [ამბავი], დიდი რისხვით ბრძანა მცველთა მახვილით ამოწყვეტა. ხედავ ღვთის კაცთმოყვარე მზრუნველობას? როგორ ახლოს არის თვით ღვთის მოშიშეებთან მისი ხსნა. ხედავ, როგორ იცის მცირედით დიდთა ძლევა? როგორც დაძლიეს მოსეს დროს ოგი, რომლის სიმაღლე ცხრა იდაყვი იყო, ან ყრმა დავითის ხელით — გოლიათი. ან სისარამ — უცხო ტომთა გოლიათი, ქაბერის ცოლი — იაიელის ხელით, ან ჰოლიეფერნესი — ერთი სხვა ქალის ხელით. ეს ვთქვი, რომ არ დავმწუხრდეთ, როდესაც აუტანელ განსაცდელში ჩავცვივდებით. ღმერთი ჩვეულია დატოვოს [ადამიანები] დროებით განსაცდელსა და გაჭირვებაში, რომ ამის ამტანნი ღირსი შეიქნენ დიდების გვირგვინისა და ურჯულოებმა მიიღონ ბოროტების სახლადური სამართლიანი სამსჯავროდან. როგორც ხედავთ, ეს ყოველივე აღსრულდა ყრმებზე. ვინაიდან ღმერთმა მიუტევა იქამდე, რომ მეფემ გამოამჟღავნა თავისი დიდი რისხვის ყველა გამოვლინება, მომზადდა კოცონი, რომლის ალი 49 იდაყვის სიმაღლეზე აღიმართა. იგი დიდი რისხვით ამბობდა: „ვინ არის ღმერთი, რომელიც გვიხსნის ჩემ ხელთაგან“. იხილე მასთანაც ყრმების მტკიცე რწმენა; მხეცთან სამსჯავროში მდგომნი, რომლებსაც ძლიერ სძულთ მოძალადე, როგორ აძლევენ მას უფრო გაბედულ პასუხს: „არ არის საჭირო. — ამბობს, — რომ ამისათვის შენ პასუხი მოგცეთ. შემდეგ კი რა იქნება“. როდესაც დამთავრდა მეფის მუქარა და ისინი ბორკილებით წარეკეს ცეცხლისაკენ, მაშინ [ღმერთი] მზეებერ აღმობრწყინდა დასახმარებლად, რომელმაც არ დატუქსა მის მიმართ წრფელი რწმენით მვედრებელნი. იხილე აქ ღვთის გონიერების სიდიადე, რომლის მიღწევა არავის ძალუძს, ვინაიდან ცეცხლმა ქალღვეველნი ორად დაყო, და რომელიც კი ჰპოვა, დაწვა. ხოლო ყრმებს [ცვარი] დააპყრა ანგელოზმა, რომელმაც სრულიადაც არ მიუახლოვა ცეცხლი, არ დაანადვლიანა და არ შეაწუხა. და ამან ის ბარბაროსი გამოაფხიზლა, რომელმაც ირწმუნა რა ღვთის ის ენით მოუთხრობელი სასწაულები. თქვა: „გარეთ გამოდით, ღვთის მსახურნი, რომ თქვენთან ერთად მე დავლოცო ის, რომელიც კურთხეულია სამარადისოდ“. ასევე აქაც ერთი უბრალო კაცის ხელით აჩვენა დიდი საკვირველებანი. აწ კი ეს ჩვენი რჩევა-დარიგებისა და სწავლების [საგანი] იქნება.

ხოლო ქალაქის მთავარმა ბასილმა რამიკებს უბრძანა, რომ ზღუდეებიდან მაღალი ხმით შეურაცხეყოთ და გაეკიცხათ სულთანნი, რომელიც ორი დღის შემდეგ მთელ ბანაკით დაიძრა, გაშორ-

და ამ ადგილს, წავიდა და მივიდა ქალაქ არწყეში. რომელიც ბზნუნიქის¹⁵³ ზღვის ნაპირზეა. მის მახლობლად ჰქონდა მას ერთი მტკიცე და შეუვალი ციხე. მოქალაქეები იმედს ამყარებდნენ ციხესა და ზღვაზე, [სადაც] უზრუნველად იყვნენ. ხოლო სისხლისმსმელმა მხეცებმა, ჰპოვეს რა ზღვაში წყალმარჩხი ადგილი, რომელიმე მთგანის წინამძღოლობით, თუ საკუთარი მოსაზრებულობით, შეიქრნენ ქალაქში. მახვილით ამოწყვიტეს ყველა, ქალაქი ვაძარცვეს და [მცხოვრებნი კი] ტყვედ წაასხეს. [შემდეგ] წავიდნენ ამ ადგილიდან. [ყოველივე] ეს ეამა სულთნის გულს, მაგრამ დიდად დამწუხრებული წავიდა თავის ქვეყანაში, რადგან რაც სურდა, ვერ შეძლო მისი შესრულება.

თ ა ვ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე

მონომახის მეშობის დასარული

ნეტარი და ღვთიური სოლომონი წერდა, რომ „სამართლიანმა მეფემ მოაწყო ქვეყანა, ხოლო ურჯულომ დაამხო“-ო. იგივე [ამბავი] თვით ჩვენი თვალთ ვიხილეთ. მეფეთა წესია ქვეყნის მშვიდობისა და სიმტკიცისათვის ზრუნვა, ისევე როგორც ღმერთი ზრუნავს თავის ყველა ქმნილებაზე. ხოლო იგი ასე არ [მოქმედებდა], არამედ მუდამ ქამა-სმით იყო გართული და განადიდებდა უწმინდურებას. განძი, რომელიც ყველა ქვეყნის ხარკებიდან შეაგროვო, საჭირო იყო ცხენოსანი ჯარებისათვის დაენაწილებინა და ვაემრავლებინა ცხენოსანი ჯარი მტრების საწინააღმდეგოდ, რომ შეძლებოდათ ქვეყნის მშვიდობიან [ვითარებაში] დაცვა, მტრების დამარცხება, როგორც ამას აკეთებდა ნეტარი ბასილი თავისი 50 წლის მეფობის მანძილზე. მტერთაგან არც ერთს არ ჰქონდა მის ქვეყანაში შესვლის იმედი. ხოლო მან შეგროვილი განძი გარყვნილთა ხარჯებს შეაღია და ზრულებით არ აწუხებდა ქვეყნის აოხრება. იგი იმდენად უზნეო და გარყვნილი [კაცი] იყო, რომ ვერ დაკმაყოფილდა კონსტანტინოპოლის ქალებით, შორეული ქვეყნებიდან მოყავდა ქალები და მთელი დღეები დროსტარებით იყო გართული. ამის გამო გამხნევდნენ მტრები, როგორც მშიერი მგლები, რომლებმაც, როდესაც ჰპოვეს სამწყსო მცველის გარეშე, უწყალოდ ამოწყვიტეს იგი. ასევე ამ დროს ამოწყდნენ ქრისტიანები აღმოსავლეთსა და დასავლეთში, რის [შესახებაც] ზევით ნაწილობრივ აღვნიშნეთ. მან ამგვარი ქცევით წარმართა თავისი ცხოვრება და გარდაიცვალა. იმეთა 13 წელი და არავითარი კეთილი მოგონების ღირსი არ გამხდარა. ხოლო

თეოდორა. კონსტანტინე მეფის ქალიშვილი, დაეუფლა სამეფოს, როგორც თავის საკუთარ შემკვიდრეობას, რაშიც არავის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ტაქიკთა სულთანმა [თეოდორას] ელჩები გაუგზავნა და მისწერა ასეთი ბარათი: „ან მომეცი ქალაქები და გავარები, რომლებიც აღრე შენმა წინაპრებმა წაიღეს ტაქიკთაგან. ან ყოველდღე ათასი დრაჰმანი“. [თეოდორამ] მისცა [სულთანს] ცხენები და თეთრი ჯორები, აგრეთვე დიდძალი განძი და ძოწეული სამოსი გაუგზავნა მას. ხოლო [სულთანმა] აიღო [ყოველივე]. განძის წამლები თავისთან დააკავა და მასთან ერთად გაემგზავრა ბაბილონელთა ქვეყანაში ჩვენი წელთაღრიცხვის 504 წელს*.

ამავე წელს სპარსთა ჯარები მოვიდნენ სომეხთა ქვეყანაში სულთნის სახელით, მაგრამ ამბობდნენ, რომ ჯარები იყვნენ აბუსუარისა, სომეხთა მეფის აშოტის სიძისა, რომელსაც ეპყრა დვინი და განძაკი⁵⁴. მათ მარბიელთაგან ბევრი აიყარა დასახლებული ადგილებიდან და ქალაქ ანისში მოიყარა თავი, მაგრამ ყველამ ვერ შეძლო შიგ შესვლა, რადგანაც მოსალამოვდა და ქალაქის კარები, დაკეტეს. სპარსთა ჯარებმა საბოლოოდ აიღეს ქალაქის კარები, მათ აღმართეს მახვილი და სასტიკად ამოწყვიტეს ისინი, რომლებსაც არ ჰყავდათ დამხმარე. მათ აიღეს ნადავლ-ნაძარცვი, ტყვეები და დაბრუნდნენ სამშობლოში.

თეოდოროსი⁵⁵, შვილი აპარონისა, რომელსაც [სპარსნი] თავიანთ ენაზე ავანს უწოდებდნენ ასოთა ნაკლებობის გამო, ტარონის მხარეებში გავარის მთავრად იყო. მასთან თურქესტანიდან მოვიდა ერთი გუნდი, რომელიც დაემორჩილა მას და სურდა მისდამი ერთგულების გამოჩენა. ისინი შევიდნენ ხლათის⁵⁶ გავარში, დიდძალი ნაძარცვი იგდეს ხელთ და მოიტანეს ტარონში. ხოლო სპარსთაგან და თურქესტანიდან [მოსული] ჯარები ერთად შეიკრიბნენ და თეოდოროსს შემოუთვალეს „ან მოგვეცი ეს აჯანყებულები, ან თუ არა, შენ ქვეყანას ტყვედ წავასხამთ“. [თეოდოროსმა] ეს [წინადადება] არ მიიღო, რის შემდეგაც ორჯერ-სამჯერ შეებრძოლნენ ერთმანეთს. მთავარმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა, შემდეგ კი მძიმედ დაჭრილი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი დიდი შებრალების ღირსი იყო. ასაკით ყრმა, მომხიბვლელი შესახედაობით დავით წინასწარმეტყველის მსგავსი იყო, ბევრს სჯობდა სიმხნით, უდროოდ კი გარდაიცვალა.

* 1055 წ.

ზამთრის დამდევს, ქრისტეშობის დღესასწაულის დღეებში ურჯულოთა ჯარები ღამით გამოემართნენ და მოვიდნენ ჰარქის დაბა-ქალაქში. რომელიც მანკან გომად¹⁵⁷ იწოდება. მათ შეიპყრეს უზრუნველი [მცხოვრებლები] ღამით მსახურების შესრულებისას, მახვილით ამოწყვიტეს ყველა, [ააოხრეს] მათ გარშემო [მდებარე] სოფლები და ადგილ-მამულები. აიღეს ნაძარცვი და ტყვეები და წაივინეს სოფელ არაწანში¹⁵⁸, რადგანაც იქიდან უნდა გადასულიყვნენ. ნაძარცვ-ნადავლი და ტყვეები გამოიყვანეს ყინულზე, რომელიც უეცრად ჩატყდა და ყველაფერი მის ქვეშ მოექცა.

ოპ. რაოდენ სამწუხაროა ეს ისტორია და გოდების ღირსი. ვინმემ შეიძლება დაგვადანაშაულოს: სანამდე გადმოგვცემ სამწუხარო და შემაწყუხებელ ამბებსო. წინასწარმეტყველნი რაოდენ მუქარის სიტყვებს გვამცნობენ, რომლებიც [გარკვეული] დროის შემდეგ აღსრულდებიან. ხალხი ამით შეწუხებულია, ხოლო მე არა თუ მუქარის მკადაგებელი ვარ, არამედ გადმოგვცემთ განვლილსა და თავს გადამხდარი ამბების [შესახებ], რომ ყველა მსმენელს ცრემლები ვაფრქვევინო, თუ რაოდენ მწარე დღეები დაგვიდგასაეკვო გახდა ჩვენი ცხოვრება. და თუ კი ჩვენი მამების ცოდვები ჩვენ მოგვეწევა, როგორც ამას თავისიანების შესახებ გოდებით აცხადებს წინასწარმეტყველი, მაშინ ვაი ჩვენ, რომ ჩვენი მამების ვალი უნდა ვიხადოთ. და სად არის ის, რაც ღმერთმა ეზეკიელთან საუბრისას წარმოთქვა. „ძეო კაცისაო, რაჲ არს თქუშნდა იგავი ესე ძეთა შორის ისრაელისათა მეტყუშლთა, მამათა ქამეს კაწახი, და კბილნი შეილთანი მობრყვლდეს. ცხოველ ვარ მე: იტყვს აღონაი უფალი, უკეთუ იქმნას მერმე თქმული ეგე იგავი ისრაელსა შორის. რამეთუ ყოველნი სულნი ჩემნი არიან, ვითარ სახედ სული მამისა, ეგრეთვე სულიცა ძეთა“*. და ა. შ. განთავისუფლდა ძე მამის ვალებისაგან და თუ კი ჩვენი ცოდვებისათვის ყოველივე ეს თავს დაგვაცხრება, ჩვენ ყველა ადამიანზე მეტად ვიქნებით შესაბრალისი. მთელი ქვეყანა მშვიდად ცხოვრობს, ჩვენ კი ვართ ჭყვედრწასხმული, შეპყრობილი. მახვილით შემუსვრილი, დარბეული და არაფრისმქონენი.

სომხები ფლობდნენ ოთხ სამეფო საგამგებლოს კურაპალატის სამეფოსა და იმ [ტერიტორიის] გამოკლებით, რომელიც ჰორომებისა იყო. [ისინი ფლობდნენ] დიდსა და ყველა ხალხისათვის შესაშურებელ მამამთავრობას, [ჰყავდათ] სიმაართლის მოქმელი მოძღვრები, ძველ მოძღვართა მსგავსად ფრიად განსწავლულნი,

* ეზეკიელი. 19, 1—4.

რომელთა სიტყვებისაგან შერცხვენილი მწვალებელთა მთელი გუნდი მიწას დასცქერის და არ შეუძლია მორწმუნე სამწყსოს ფარეხში შესვლა, ვინაიდან კარისმცველიც, რომელიც ცნობს თავისიანებს და ისინიც ცნობენ მას, მათ არ ღებულობს. ჩვენი ეკლესიები პატარძალივით შემკული იყვნენ ყოველგვარი სამკაულებით უკვდავი სიძის საამებლად. ჩვენი დედის სარას უბიწო მუცლიდან ახლადშობილი ყრმები, მტრედების ბარტყებივით შეგროვილნი, მთელი ხმით ანგელოზთა სიმღერებს გალობდნენ.

აწ მოდი და იხილე ვერაგული და უმოწყალო საზღაური, რაც ჩვენ მივიღეთ. სად არის სამეფო ტახტები? აწ აღარ ჩანან. სად არის ჭართა სიმრავლე, რომელიც სქელი ღრუბლების მსგავსად, გაზაფხულის ყვავილებივით ფერად-ფერადი სამოსლით ბრწყინავდა. აწ კი არ არიან, არსად ჩანან. სად არის ის დიდი და საკვირველი სამამამთავრო ტახტი, რომელიც ღვთის ნეტარმა კაცმა, დიდმა გრიგოლმა¹⁵⁹ დააწესა სამოციქულო ტახტის ადგილას, მას შემდეგ, რაც ორმოში მყოფი 15 წელი ტანჯვას განიცდიდა. ამჟამად კი იგი დაცარიელებული და გაუკაცრიელებულია, სამკაულთაგან გაძარცვული, მტვრითა და აბლაბუდებით სავსე. ტახტის მემკვიდრე იმყოფება უცხო ქვეყანაში, როგორც ტყვე და პატიმარი. მოძღვართა ხმები და ქადაგებანი დადუმებულია. მწვალებელთა ჯგუფი, რომლებიც მათ დროს ხერხელებში მძრომი თავგების მსგავსად აქეთ-იქით იმალებოდნენ, გაძევებულნი მათი საღვთო სიტყვებითა და მართლმადიდებლური აღსარებით, ამჟამად ლომებივით მხნედ და უშიშრად გამოვიდნენ პირდაღებულნი საკუთარი ადგილსამყოფელიდან, რომ ვინმე შეეჭამათ უცოდველთაგან. რა უნდა ვთქვა ეკლესიის შესახებ, რომელიც ადრე ისე მორთული და მომხიბვლელი იყო, ნაყოფიერი, უნეტარესი, რომ წინასწარმეტყველიც კი აღაფრთოვანა, ხოლო ახლა არის უსახელო, უსამკაულო, გაძარცვული ყოველგვარი სილამაზისგან, როგორც უშვილო ქერივი ქალი, მოკლებული სამკაულებს, უპატიო, დაგლეჯილი სამოსით, შეწყალების გარეშე. ასეთი სანახაობაა აქ. კელატრები ჩამქრალი, ლამპრები განადგურებული, საკმეველთა კეთილსურნელება გამქრალი, საუფლო საკურთხევლის გვირგვინი მტვრითა და ნაცრით დაფარული. მისი ყრმები [ადრე] მის კართან იყვნენ დამკვიდრებულნი და დავითის ფსალმუნით ხელში სიმღერებს გალობდნენ, დღეს ეშმაკის საბუდარ სადგომებში, ე. წ. მიზგითებში თავმოყრილნი ცეკვავენ და სწავლობენ მუჰამედის მოძღვრებას. აგრეთვე პატიოსანი და მორიდებული ქალები, რომლებიც ქმრებთან დიდი თხოვნით და ვედ-

რებით ულღებოდნენ, დღეს უხამს და გარყვნილ [ცხოვრებას] მიეჩვივნენ.

და აწ თუ კი ყოველივე ეს, რაც გადმოგვცით ჩვენი ბოროტებისათვის დაგვაცხრა თავს, ხმა მიაწვდინეთ ცას და იქ მყოფთ, ხმა მიაწვდინეთ მიწას და მასზე მყოფ სულიერ არსებებს, აგრეთვე მთებსა და ბორცვებს, ხეებსა და დაბურულ ფიჭვნარ ტყეებს. დე იტირონ და იგლოვონ ჩვენი დაღუპვა.

წინასწარმეტყველნი მხიარულების ქამს მთებსა და ბორცვებს უბრძანებდნენ გამხიარულებას, მდინარეებს — ტაშისკვრას, ზღვასა და ფიქვოვან ხეებს — მხიარულებას, რადგანაც ყველა ისინი ღვიძლნი იყვნენ ჩვენთვის. მხიარულებისას მონაწილეობდნენ ჩვენ მხიარულებაში, მოვალენი იყვნენ მწუხარებაც გაეზიარებინათ, ისევე როგორც ადრე ჩვენთან ერთად დამორჩილებულნი იყვნენ ჩვენი მორჩილებისა და გაჭირვების ქამს, რომელიც ჩვენთვის შეიქმნა. მაგრამ ეს არ არის ჩვენთვის სარგებელი სანუგეშებლად, რადგანაც მკვდარს თუმცა დიდხანს დასტირიან, გლოვობენ და წყყვდიადში კეტავენ, [მაგრამ ყოველივე ამას] არავითარი ხსნა არ მოაქვს მისთვის. რა სარგებლობა მოუტანა ურიებს ერემიას გოდებამ და ქრისტეს — იერუსალემის ან იუდასი, მითხარი მე — არაფერი. ამისათვის ის ვიცით, რომ მოვალენი ვართ პიროვნებათა ერთგულებით შევეურიგდეთ ღმერთს, რადგანაც თუ კი ეს მოწესრიგდება, მტრების მახვილიც საბოლოოდ დასუსტდება, სიძნელები სიადვილით შეგვეცვლება, კლდოვანი [გზა] — სწორი გზით და ყოველი სხეული იხილავს ღვთის ხსნას. თუ კი ღმერთი ჩვენს მხარეს იქნება, ვინ შეძლებს ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევას? ვინაიდან თვით კანონებში ბრძანა, რომ „მტერნი ჩემნი დევნულ ყვენ და მოჰსრენ მოძულენი ჩემნი“*. აგრეთვე „არა დაგიტეო, არცა დაგაგლო შენ“**. მხოლოდ თუ კი ღმერთთან მშვიდობიანად ვიქნებით და მას ალალი გულით მოვუხმობთ, კეთილ საქმეებს მოვიმოქმედებთ, მაშინ [ყოველივე ეს] საწინდარი იქნება იმისა, რომ მოწინააღმდეგეთაგან ვერავინ ვერ შეძლებს ჩვენს შეწუხებას. საუფლო არის ის, რასაც ესაიას წიგნში ვპოულობთ: „და იყოს პირველ ვიდრე ჯობაღმდე მათდა, მე ვისმინო მათი, ჯერეთ თქუმასადა მათსა ვრქვა რაჟ არს“***. ეს სიტყვა გადადის ყველა გულშემატკივარ მამებისაგან. ხოლო ივიწყებს რა უღირსებს, ამბობს: „მე არ უნდა ვიყო მათ-

* ფსალმ., 17—41.

** ებრაელთა მიმართ, 13, 5.

*** ესაია, 65, 24.

თან... ავტორივე „რამეთუ იყო ოდეს მხადლოდეთ მე, ხოლო მე არა ვისმინო თქუშნი, მეძიებდენ მე უკეთურნი, და არა მპოონ“*. და კვლავ „ოდეს განიპყრნეთ ქელნი თქუშნი ჩემდამო, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქუშენგან, და უკეთუ განამრავლოთ ვედრება, არ შევისმინო თქუშნი“**, ვინაიდან რა კავშირი აქვს სინათლეს წყვედიადთან?

გვეზინოდეს, ძმანო, და მოკრძალებით მოვიმოქმედებთ ციურ წინასწარმეტყველებასთან. ნუ ვიქნებით მისი უცნობთაგანნი, რომ არ თქვას: „არა გიცნი თქუენ“***, არამედ ვიყოთ მის მეგობართა რიგში. რომ გვითხრას ჩვენ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო. და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვის. სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ“****.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

მეზოგა თეოლოგასი, რომელიც ითარგმნება: ღვთის მოციანული

მონომახის სიკვდილის შემდეგ ლომისებრი მძვინვარებით აღრიალდა თავის ბუნაგში ძუ ლომი, მსგავსად იმისა, რომელიც ადრე იხილა დანიელმა თავის მოჩვენებაში. [მონომახის მეუღლემ] მოუხმო ქალაქის თავებსა და დიდებულ მთავრებს და უთხრა მათ: „თუ კი რომელიმე თქვენთაგანი გაბედავს ჯარით წავიდეს აღმოსავლეთში, დააცხრობს სპარსელთა ამბოხებას და მშვიდობიანად განაგებს ქვეყანას, მაშინ, დე მოვიდეს გაბედულად და დაჯდეს მეფედ. ღვთის კანონით იგი არის ღირსი მეფობისა. ხოლო თუ კი არავინ არ იკისრებს [ჩემს მიერ] თქმულის [შესრულებას], მე თვით 'შევძლებ გამგებლობას'—ო. ეს რომ მთავრებმა მოისმინეს, პასუხის გაუცემლად წავიდა თითოეული მათგანი თავის ადგილსამყოფელში.

ხოლო დედოფალმა სულთანნი, როგორც დამშეული მხეცი, უხვი საჩუქრებით გააძლო იქამდე, რომ კიდევ დაივიწყა მათი ჩვენზე თავდასხმა. მან კვლავ მიმართა ბაბილონს და მის მიდამოებში გამართა ბრძოლა, რადგანაც ბრძოლის მოყვარე ადამიანი იყო. ხოლო ჩვენი მოსაზღვრე მეზობელი ტომები აღენთნენ [ბრაზით] და ზამთარ-ზაფხულ არ შეუწყვეტიათ სომეხთა ქვეყნის აოხრება. მზე-

* აჯავნი სოლომონისნი, 1, 28.

** ესაია, 1, 15.

*** მათე, 25, 12.

**** მათე, 25, 34.

რაეების [მეშვეობით] გებულობდნენ, სად იყო დასახლებული ადგილები, ღამით მივიდოდნენ იქ, უეცრად თავს დაესხმოდნენ [მცხოვრებთ] და საშინელი აოხრებით უწყალოდ სპობდნენ ყველაფერს. უდარდელად და უშიშრად ისინი დიდხანს რჩებოდნენ იქ, ხანამ არ დაჩხრეკდნენ სახლებს; თუკი სადმე რაიმე იყო გადამალული; ყველაფერი გამოჰქონდათ, ძირფესვიანად და აღმომგზვრელი აოხრებით ანგრევდნენ იმ ადგილს, იღებდნენ ნადავლსა და ტყვეებს და ბრუნდებოდნენ საკუთარ ქვეყანაში.

ბასიანის გავარში წირანის მთის¹⁶⁰ კალთებთან მდებარეობდა ერთი ხალხმრავალი და მდიდარი დაბა, სახელად ოკომი¹⁶¹, რომელსაც ღამით ღვთისგამოცხადების დიდი ღღესასწაულის ღღეს თავს დაესხნენ ურჯულონი. სასტიკი ყინვისაგან ველზე ხელები და ფეხები გაეთოშათ ადამიანის მსგავს ნადირებს; მათ მიღწიეს მახლობელ ნაგებობას, იპოვეს პირუტყვთა გამოსაყვებად შემონახული დიდძალი თივა, რომელსაც ცეცხლი წაუქიდეს. აგიზგიზებულმა ცეცხლმა გაანათა მთელი ველი ისე, როგორც შუადღისას. მასთან დადგნენ და გათბნენ როგორც თვითონ, ასევე მათი ცხენები. შემდეგ მოზიდეს მშვილდები, გააშიშვლეს იარაღი და ეკვეთნენ დასახლებულ ადგილს. მათ [საქმე] გაუადვილდათ, თითქოს ზაფხული იყო. დასცეს მანგილი და ამოწყვიტეს 30 000 კაცი, არ დატოვეს ადგილზე მცხოვრებთაგანი, გზაში მყოფთა გარდა. დაჰყვეს იქ სამი დღე. ხარები, სახედრები, ცხენები დატვირთეს ბეღლების ზორბლითა და სხვა საკვები პროდუქტებით. ცოტადენი საქირო ხივთებიც თან წაიღეს და წავიდნენ საკუთარ ქვეყანაში. ვის შეუძლია აღწეროს ის მრავალნაირი ბოროტება, რომელიც კი მათ მოიმოქმედეს? ამგვარი საქმიანობით მცხოვრებთაგან დაცარიელდა მთელი ქვეყანა, არავინ გადარჩა ცოცხალი, ზოგიერთ ციხე-სიმაგრეში [თავშეფარებულთა] გარდა.

დედოფალს სამეფო ეპყრა 2 წელი, მიღწია ღრმა მოხუცებულობას, დაავადდა სენით, რითაც გარდაიცვალა კიდევ. მასთან მივიდნენ ქალაქის თავკაცები და ითხოვეს: „ვიდრე ცოცხალი ხარ, ვინმე დაადგინე მეფედ, რომ ქალაქი არეულობას გადაურჩეს“-ო. [ამ მოთხოვნაზე] დათანხმდა დედოფალი და ბრძანა მოეყვანათ ქალაქის მთავართაგან ერთ-ერთი, სახელად მიხეილი, რომელიც დედოფლის მშობლების დროს სასახლის ერთ-ერთი თანამდებობის პირი იყო. [მიხეილი] იყო ხანდაზმული, ძლიერ მდიდარი კაცი. [დედოფალმა] ქალაქის თანხმობით იგი მეფედ დაადგინა. თვითონ კი სამი დღის შემდეგ გაემართა იქით, სადაც მეფეები და ლატაკნიც ერთად არიან დავითის გალობის თანახმად. ხოლო ქვეყნების დიდი

და პატარა მთავრები, შეიტყვეს რა მისი გამეფების ამბავი, ყველანი დაემორჩილნენ მას. იგი ვალდებული იყო ტკბილი სიტყვებით და უხვი საჩუქრებით ყველა გაეხარებინა და თავისი ხელისუფლების ქვეშე დამორჩილებული ჰყოლოდა ისინი. მაგრამ იგი უაღმაღლესად აღმოჩნდა. რობოვამივით გაუგუნურდა; მთავართაგან ზოგიერთები დააჯავა, უღირსად [ჩათვალა რა] მათი მთავრობა. ხოლო დიდებულებთან საუბრისას უთხრა მათ: „ან გამოდით სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად და ნუ მისცემთ ქვეყანას ასაოხრებლად, ან თუ არა, თქვენ ხელფასს სპარსელებს ხარკად მიცემ და ქვეყანას მშვიდობიანად დავიცავ“-ო. მას არ დაეთანხმნენ მთავრები, წავიდნენ მეფისაგან პასუხის გაუცემლად, შეკავშირდნენ, გადავიდნენ ზღვაზე და ურიცხვი ჯარი შეკრიბეს. იქ მათი წინამძღოლები იყვნენ კომინოსი, რომელიც გამეფდა კიდეც და კამენასი. ისინი განუდგნენ [მიხეილს] და ფიცი დადვეს, რომ აღარ დაემორჩილებოდნენ მის მეფობას. ეს ამბავი მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 506 წელს*, როდესაც ჰორომთა მე-10 ინდიქტიონი იყო.

ვაი იმ წელს, ვაი ქვეყნის დამანგრეველ გადაწყვეტილებას, როდესაც განადგურდა და აღმოიფხვრა ქვეყნის მოსახლეობა, ვინაიდან ქვეყანა თავდაპირველ უმსგავსოებად გადაიქცა სამყაროს შესახებ მთხრობელის სიტყვის თანახმად: „ქუჭყანა იყო უხილავ და განუშანდებელ... და კაცი არ აიყო მოქმედად ქუჭყანისა**“. კაცის ლამაზი სახე აყვავების ასაკში მომხიბვლელი და სასიამოვნოა მნახველთათვის, ხოლო როდესაც მომრთველ-მომკაზმველი სული სიკვდილით გამოიყოფა მისგან, აღრინდელ დიდებულ და ლამაზ სამკაულებს მოკლებული შიშისმომგვრელი და სამარცხვინოა მნახველთათვის; აგრეთვე თანაგრძობას [იმსახურებს] იგი, ასევე როგორც „დამივიწყეს მე, ვითარცა მკუღარი***“. ასე გამოიყურება დედამიწაც, ვინაიდან, როცა [დედამიწა] აღამიანებით დასახლებული შენობებით მდიდრდება, მაშინ მიწათმოქმედნი ავსებენ ველებს უხვი თესვებით, რომლებიც აღმოცენდებიან და ლამაზი მწვანით ამკობენ ირგვლივ მიდამოს; [ისინი] სწრაფი ზრდით სულ მალლა და მალლა მიიწვედნენ და როდესაც თავთავები გამოჩნდებოდნენ წვერზე, მაშინ ღინღლიანი თავით ღრუბელს მოაგონებდნენ მნახველებს და საამო მშვიდი ჰაერისაგან ირხეოდნენ და ირწეოდნენ ზღვის ტალღების მსგავსად. ასევე მძოველ პირუტყვთა ჯოგები

* 1057 წ.

** დაბადება. 1, 1; 2, 5.

*** ფსალმუნი, 30, 13.

შეჯანით [მორთულ] ხეობებში ცივ წყაროთა სათავეებთან ნავარ-
დობდნენ და თამაშობდნენ და ქვეყანა, როგორც ძიძა, ლამაზად იყო
მით მორთული თანახმად თქმისა: „იხარებდნენ ველნი და ყოველი,
რამ არს მას შინა“*.

ხოლო ახლა მის საწინააღმდეგოს ვხედავთ: ქვეყანა აოხრე-
ბული, მცხოვრებთაგან დაცარიელებული, ქალაქები დანგრეული,
ველები ყამირადა და ნარ-ეკლიან [ადგილებად] ქცეული. [ყოვე-
ლივე ეს] საზარელ და შიშისმომგვრელ სანახაობას ქმნიდა გამე-
ლელთათვის. ტკბილად მგალობელ ფრინველთა გუნდები, რომლე-
ბიც თავიანთი ადამიანისმოყვარე ბუნებით ახლობელი იყვნენ ჩეე-
ნი ხალხისათვის, სასიამოვნო გალობით აცოცხლებდნენ ირგვლივ
მიდამოს; დილაობით კიკვიკითა და მალალ ხმაზე ჟღერტულით ისი-
ნი მომთენთავი ძილისაგან აღვიძებდნენ მიწათმოქმედებს და თი-
თოეულ მათგანს ამზადებდნენ და განაწყობდნენ სამუშაოდ. მაგრამ
ახლა ნაგებობები აოხრებულნი, გაჩანაგებულნი და გაუჟაცრიელებუ-
ლია, [ამიტომ] მათთვის დასამკვიდრებელი ადგილი აღარ არის.
სად უნდა ააშენონ ყარყატებმა ბუდე და ფრინველთა შორის უმ-
წეოებმა იქონიონ მათი იმედი ფსალმუნის თანახმად, ან მერცხალი
სად მოაწყობს ბუდეს თავისი ბარტყების უშიშრად გამოსაზრდე-
ლად? ახლა კი აქ შეეწყვიტოთ ეს სიტყვები და დავიწყოთ ტანჯ-
ვისა და ბოროტების ისტორიის [გადმოცემა].

ორად დაიყო ბერძენთა სამეფო და რკინის ჯოხი ლერწმის ჯო-
ხით განადგურდა, რასაც დაცინვით ადარებდა ასურელი ეგვიპტელ-
თა სამეფოს. ერემიამ იხილა აღულებული ქვაბი, რომელიც ჩრდი-
ლოეთიდან სამხრეთისკენ აფრქვევდა იმ დროს აღულებული [მა-
სის] შხეფებს, ამჟამად კი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ საშინელი
აალებით [კვლავ] აენთო იგი და მოსპო ქრისტიანი ტომები. უფ-
ლის ბრძანების თანახმად დაყოფილი სამეფო ვერ იარსებებდა, არა-
მედ დაიღუპებოდა და მართლაც ასე აღსრულდა. როდესაც სპარსე-
ლებმა შეიტყვეს მათი ბრძოლისა და ერთმანეთთან შეუთანხმებ-
ლობის შესახებ, შეუპოვრად წამოვიდნენ ჩვენზე და განუწყვეტე-
ლი წასვლა-მოსვლით დასასრულამდე მიიყვანეს ქვეყნის აოხრება
და დაღუპვა. იმავე წლის დასაწყისში, რომელიც გოდებითა და
მოთქმით გავიხსენეთ, ისინი ლეშის მჭამელი მგლების მსგავსად
უმწყემსოდ დარჩენილი სამწყსოს საკვებად გამოყენებით კი
არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ ყოველნაირად ცდილობდნენ
სრულიად გაენადგურებინათ იგი. ასევე სპარსთაგან მოსული ჯარე-

* ფსალმუნი, 95, 12.

ბი მხოლოდ ძარცვა-გლეჯას არ ჯერდებოდნენ, არამედ ჩვენ ამოსაწყვეტად დიდ შიმშილს გვიქადადნენ, რადგანაც ვინც კი თვალში მოხვდებოდათ, შეუძლებელი იყო მისი მათი ხელიდან გამოხსნა, დიდ ქველმოქმედებად ითვლებოდა ეს.

პორომთა ბრძოლის დროს ლიპარიტის შვილმა ივანემ, რომელსაც საცხოვრებლად ძღვნად ჰქონდა მიღებული ჰაშტეანქის¹⁶² გავარში დიდი დაბა ერიზა¹⁶³ თავისი მიდამოებით, შეიტყო რა სამეფოს ორად გაყოფის შესახებ. წავიდა და მოტყუებით აიღო ელანც ბერდის ციხესიმაგრე. მან თავის ხელქვეით დაიმორჩილა იგი და დაბრუნდა აღორის გავარში, ჰავაჰიჩის ციხესიმაგრეში. ქალაქი კეთილი განწყობით შეხვდა მას. აღმოსავლეთ მხარეების გამგებელი მაშინ იქ აღმოჩნდა და იხილა რა იგი [ივანემ], ბრძანა მისი დაუყოვნებლივ შეპყრობა. წაართვა მას დიდძალი განძი, ცხენები, ჯორები და აღმოსავლეთში მოხვეჭილი მთელი ქონება, ჩამაწყვდია ელნუტის¹⁶⁴ ციხეში, თვითონ კი იჩქარა და წავიდა გამაგრებულ კარნუქალაქისაკენ. თავდაპირველად იგი შეეცადა მოტყუებით ქალაქის აღებას თან ამბობდა, რომ „მეფისაგან ბრძანება მაქვს, ეს ქალაქი ჩემია. კარები გააღეთ, რომ შიგ შევიდე“-ო. როდესაც [ასეთი გზით] ვერ შეძლო [ქალაქის] დამორჩილება, შემდეგ ბრძოლა გამართა, რადგანაც მით სურდა ქალაქზე გაბატონება. ხოლო [კარნუქ] ქალაქის მთავარმა [ეს ამბავი] დაუყოვნებლივ აცნობა ქალაქ ანისში მჯღომ მთავარს, რომელიც მაგისტროსის ტიტულს ატარებდა. [ამ უკანასკნელმა], როგორც კი შეიტყო [საქმის ვითარება], მთავართაგან ერთ-ერთი ჯარით გააგზავნა [ივანეს დასამორჩილებლად]. ხოლო [ივანემ] გაიგო რა ეს, მარბიელი მოჰფინა ქვეყანას, თვითონ კი თავის ადგილას დაბრუნდა და სპარსეთში გაგზავნა [მოციქული] დასახმარებლად, ჯარების გამოსაგზავნად. ასე მიეცა დასაბამი იმ აუტანელ უბედურებებს, რომლებიც ჩვენ თავს დაგვატყდა. როდესაც ურჯულო [სპარსელებმა] შეიტყვეს [ივანეს მიერ] მათი მიწვევის ამბავი, ერთმანეთს მოუხმეს, დაუყოვნებლივ ერთ ადგილას შეიკრიბნენ და სასწრაფოდ მასთან მივიდნენ, ხოლო როდესაც [ივანემ] იხილა ჯართა სიპრაველე. შიშმა შეიპყრო იგი, რადგანაც არავინ იყო [ამ ჯარისათვის] წინააღმდეგობის გამწვევი; მთავარმა, რომლის მიზეზითაც [სპარსნი] მოვიდნენ, როგორც კი შეიტყო მათი მოსვლით [გამოწვეული] ხმაური, შევიდა ერთ დიდ ციხეში და იქ გამაგრდა. მაშინ მოვიდნენ ჯარები და უთხრეს [ივანეს]: „გვიჩვენე გზა ძარცვა-გლეჯისათვის, ხელცარიელი უკან არ დავბრუნდებით“-ო. ხოლო სასოწარკვეთილმა [ივანემ] მისცა მათ წინამძღოლი თავის კაცთაგან. ისინი გამოვიდნენ და ღამით წავიდნენ დაცა-

რიელებული ადგილებიდან, მიაღწიეს და თავს დააცხრნენ ქალდიის გავარს. უზრუნველად მყოფი მცხოვრებნი, რომლებიც კი შეხვდნენ [სპარსელებს], თავისი სისხლისმსმელი ბუნების შესაბამისად მხვილით ამოწყვიტეს ქანეთის ტყემდე, რომელსაც ხართი ეწოდებოდა. მათ ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და ტყვე და დიდი წარმატებით უკან მობრუნდნენ ბოროტების მოთავესთან და დიდი ძღვენით მადლობა მოახსენეს მას იმ გამარჯვებისათვის. რასაც გზაზე მიაღწიეს. შემდეგ კი ისინი საკუთარ ქვეყანაში წავიდნენ. ვინაიდან ბოროტების მსახურებმა იხილეს ქვეყანა უპატრონოდ და უზედამხედველოდ, სწრაფად მობრუნდნენ; იქითვე გასწიეს; გადავიდნენ მანანალის გავარსში და ორად დაიყვნენ. ერთი ნაწილი წავიდა ეკელეაქის გავარსაკენ და ღამით თავს დაესხნენ ქალაქს, რომელიც იბოვეს მოუმზადებელ და გაუფრთხილებელ [მდგომარეობაში]. იქ [დატრიალებული] უბედურება და საშინელი ბოროტება არ შემოიძლია აღწერო; დილით გათენებისას ცრემლმომგვრელი და აღმაშფოთებელი სანახაობა იყო, რომელიც გმინვასა და გოდებას ჰგვრიდა ქვებსა და უსულო საგნებსაც კი.

ვის არ დაეტანებოდა გული, აუცახცახდებოდა სხეული და წყვილიადით არ დაუბნელდებოდა თვალები გვაშებით სავსე მოედნების, სახლების, ფართო წინკარების, ვიწრო ქუჩებისა და ბაღების ზღუდეების ხილვისას. ქალაქის თითქმის ყველა უბანი შეღებილი იყო დახოცილთა სისხლით. ზოგიერთებს ჯერ კიდევ ედგათ სული და ხმაწართმეულნი ძლივს სუნთქავდნენ. სხვებს, უწყალოდ დაკრილთ, ნახევრად გადმოსცვენოდათ მთელი შიგნეულობა. მათთვის [ბოროტმოქმედებს] ღვიძლი ამოეცალათ, პირთან დაედგათ და ჯერ კიდევ ცოცხლებს აიძულებდნენ ეკამათ იგი. ოჰ, ღმერთო, შენი მაშინდელი შეწყალება და ჩვენი ბოროტებათა სიმრავლე. ცამეტი წელია, რაც ამგვარ აუტანელ ტანჯვა-წყალებას განიცდიან ქრისტიანი ხალხები და არ დამცხრალა ეფლის გულისწყრომა, არამედ მას ჯერ კიდევ აღმართული აქვს თავისი ხელი, რათა ნამდვილი ღვინით სავსე კიქით მწარე სასმელი შეგვასვას ჩვენ. [ღმერთი გვიქადის] არა შეწყალებასა და პატიებას, არამედ კვლავ საშინელ მისაგებელს. ქალაქები და მათ გარშემო მდებარე დაბა-სოფლები ისეთი [უბედურებითაა] მოცული. რომ არც ერთი კაცი არ გადარჩა ცოცხალი, ციხე-სიმაგრეებში [თავშეფარებულთა] გარდა. ხოლო ნადავლით დატვირთულმა და გაუმადლარმა ურჯულოებმა გადაწვეს ქალაქი, აიღეს გავარის ნატყვენავ-ნაძარცვი და კვლავ უკან დაბრუნდნენ. ოჰ, ქალაქო, შენ ხარ არა ქალაქი თავშესაფარი, არამედ მცხოვრებთა დაძლუპველი უფსკრული. ეს ტანჯვა-წყალებ-

ბის ისტორიები ერთი მცირედი [ნაწილია] შენ თავს გადამხდარი მრავალნაირი უბედურებისა.

მოვიდნენ ურჯულონი, შიალწიეს კარინის გავარს, სოფელ ბლურის¹⁶⁵ ახლოს. იმ ადგილის მცხოვრებლებს ზღუდე შემოეკლოთ გორაკისათვის და მიწაზე დაედგათ მისი საფუძველი, საუფლო არაკის თანახმად: აზვირთებული ნიაღვრის მსგავს ურჯულოების მოსვლისას [ამ ზღუდემ] მათგან [მიღებული] დარტყმისას ერთი წუთითაც ვერ გაუძლო წინააღმდეგობას და უმაღვე დაინგრა. მისი დანგრევა საქვეყნოდ გახდა ცნობილი და დაუფიწყარი სამარადისოდ. ამჟამად კი, რასაც ისინი ხსნის იმედად და თავშესაფრად მიიჩნევდნენ, მათ დამლუპველ ორმოდ იქცა, რადგანაც მდინარე ევფრატის ამ მხარეს განლაგებული სოფლებისა და მონასტრების [მცხოვრებნი] იქ იყვნენ თავმოყრილნი. ბევრი იყვნენ დაბა არწნიდანაც. მათ თავს დააცხრნენ მტრები და დაანგრიეს მათი სიმაგრეები. შიგნით შესვლისას ელვარე მახვილითა და მშვილდ-ისართა ლარების ხმისაგან ისინი ყველგან შიშისაგან აცახცახდნენ, თითქოს რკინის ბორკილებით იყვნენ შეკრულნი. მათ არ ჰყავდათ მთავარი და წინამძღოლი, რომელიც დაშინებით და წაქეზებით მხნედ ადაგზნებდა მათ მტრების წინააღმდეგ [საბრძოლველად] და განამხნევებდა თავდადებისათვის, როგორც ეს ყველა მებრძოლის წესია. უპატრონოდ დარჩენილები, დაუძღურდნენ, მოეშვნენ, აღშფოთდნენ, დაკარგეს გონება და იწყეს ერთმანეთისაგან დაძალვა. ზოგიერთი ღამით ზღუდეზე გადავიდა და გაიქცა, სხვები თვითონვე დანებდნენ, ხოლო შიგნით დარჩენილებმა დათმეს საბრძოლო თავგანწირვა, ორმოები გამოთხარეს და მიწით დაიმაღეს თავი. მათ თავს დაესხნენ ურჯულოები და იწყეს მათი ამოხოცვა არა საბრძოლო წესით, არამედ როგორც ბაკში გამომწყვდეული ცხვრებისა. ზოგიერთს იპერდნენ, წინ გამოჰყავდათ და თავს კვეთდნენ მახვილით. თითქოს ორგვარი სიკვდილით კვდებოდნენ ისინი. თავდაპირველად მათ თავზე გაიელვებდა მახვილი, რაც სიკვდილზე უფრო მწარეა და შემდეგ, ხოცავდნენ. ზოგიერთს თავს ესხმოდნენ მახვილით ხელში და შეხვედრისას მხეცურად ეტაკებოდნენ მათ. მახვილით უგმირავდნენ გულს და მაშინვე ხოცავდნენ. ხოლო მსუქან და მხარბეჭვანიერებს მიწაზე მუხლს ადრეკინებდნენ. უშლიდნენ ხელებს, ჰიშავდნენ სარებით და მიწაზე ამაგრებდნენ. [შემდეგ] ტყავს ფრჩხილებთან ერთად ერთი ხელიდან და მხრიდან მეორე ხელის წვერამდე ძალით ეწეოდნენ, აძრობდნენ და აკეთებდნენ მშვილდების ლარს. ოჰ, რაოდენ მწარეა ეს ისტორია!

ხოლო რომელი სასმენელი აიტანს იმ საშინელ უბედურებებს, რომლებიც თავს გადახდით მღვდლებსა და ბერ-მონაზვნებს? მათ მკერდიდან ზევით სახეზე შემოვლით თავის გარშემოც აგლეჯდნენ ტყავს და ამგვარი აუტანელი ტანჯვა-წამების შემდეგ ხოცავდნენ. ამაზე უფრო მძიმე და აუტანელი ტანჯვა-წვალება რა უნდა შეიტყოს [კაცმა]? წმინდანთა წამებებშიც კი არსად ჩანს ასეთი რამ.

ამგვარი საქმიანობით ყველა სიცოცხლეს განაშორეს იქამდე, რომ ეძებდნენ ცოცხლად დამარხულებს და შუბებით საზარელი ჭრილობების მიყენებით ხოცავდნენ. წამებულთა მოთქმა-გოდება გამოძახილს პოულობდა მთებში. როდესაც ყველას განაშორებდნენ სიცოცხლეს, შემდეგ უხვრეტდნენ ჯვარდებს, ულებდნენ ნალველს, ჭურჭლებში აგროვებდნენ, რომლებსაც ტყვე ქალებს აძლევდნენ თან წასაღებად. ასეთი იყო ამ დამანგრეველი ტყვეობის ბოლო. ასე ჩაცვივდით ბოროტი და შეუბრალებელი ადამიანების ხელში. არ მოგვხედა ჩვენ ღმერთმა, რადგანაც არ ვუსმინეთ მას, როდესაც ჩვენთან მშვიდობიანობა სუფევდა. მან მოგვიწოდა ჩვენ ვედრების ხმით წინასწარმეტყველის სიტყვებით: „მოვედით და შევიტყუნეთ, იტყვს უფალი... და უკეთუ გინდესთ, და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქუწყანისანი უკამნეთ...“* ჩვენ არად ჩავაგდეთ მისი სიტყვები. ამიტომ მან არ გვისმინა ჩვენ გაჰირვების ეამს, არამედ სახე გვაქცია. ჩვენ მტრებს ჩაუუვარდით ხელთ. ჩვენმა მოძულეებმა დაგვტანჯეს, ჩვენი სისხლით დათვრა მათი ისარი. მათმა მახვილმა შექამა ჩვენი დაცემული და დაჭრილი მებრძოლების ხორცი, თვითონ კი გამარჯვებულნი საკუთარ ქვეყანაში წავიდნენ. მოკლულთა და ტყვედ წასხმულთა რიცხვი, როგორც თქვეს, შვიდათასს [აღწევდა], ბერ-მონაზონთა კი — სამოცს.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

შუამდინარეთის ძვეყნიასა და მისი ძალაქაზის აოხრებისა და უხორო
ამოწყვეტის შესახებ

ადრე აღვნიშნეთ, რომ როდესაც სპარსნი შეიჭრნენ მანანალის საზღვრებში, ორად დაიყვნენ. ერთმა [ნაწილმა] ის მოიმოქმედა, რაც კი ზემოთ აღვწერეთ. ხოლო მეორემ სწრაფი სვლით ცხენებით ჰანძეთისა და ხორძეანისკენ გასწია ისე, რომ არ შეუხვევია

* ესაია. 1, 18—19.

მარჯვნივ. იგი მშვილდოსანთა ხელთაგან გასროლილი ისრის მსგავსად, (რომელიც ძლიერი სწრაფვით მიდის და აღწევს მიზანს) ძილისა და დასვენების გარეშე ღამით წავიდა და მოულოდნელ დროს უეცრად. როგორც ქვის სეტყვა, თავს დაატყდა ქალაქ ჰარავის მცხოვრებლებს. რადგანაც ქალაქს არ ჰქონდა თავშესაფარი ადგილები, ამიტომ მცხოვრებლები ზღვის ტალღების მსგავსად მღელვარედ მიმოდრიდნენ. მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდნენ. ვაი იმ საქმეებს. რომლებიც იმ დროს. აღსრულდა. ურჯულოებმა მახვილი აღმართეს მათზე და სიცოცხლეს გამოასალმეს დედა ყრმის. შვილი მამის თვალწინ. კეთილმოწყობილი ქალაქი უმაღლვე სისხლის გუბედ იქცა. სასტიკი შფოთისა და უეცარი სიკვდილის გამო დავიწყებული იყო ახლობელთა სიყვარული და თანაგრძნობა ნათესავეებისადმი. თითოეული მათგანი ეძებდა გამოსავალს. რომ ეგებ შეძლებოდა თავი ეხსნა მძვინვარე რისხვისაგან. ამიტომ ისინი გაიქცნენ ქალაქის გარშემო გაშენებულ ბაღებში, იქ გადაცვივდნენ და დაიმაღნენ ხშირფოთლებიან ვაზებში. ეს რომ ურჯულოებმა გაიგეს. მოძებნეს ისინი, შუბებით დაჭრეს და დახოცეს. მათი სისხლით შეიღება ყურძნის მტევნები. გადარჩენილებმა მოძებნეს თავიანთი მიცვალებულები ვაზებში და დამარხეს მიწაში. ისინი უფროთხოდნენ ბაღებს — მოეკრიფათ იქიდან და ეჭამათ ყურძენი, ამბობდნენ, რომ ჰამისას ადამიანის სისხლს [შესვამდნენ]. ურჯულოებმა მოათავეს რა [მოსახლეობის] ამოწყვეტა, დაბრუნდნენ ქალაქში და დაჩხრიკეს სახლები. თუკი ვინმეს თავისი ქონება სადმე ფარულად გადაემალა, [ურჯულოებმა]. დიდი მოხერხებით გარეთ გამოიტანეს, შემდეგ კი ცეცხლს მისცეს ქალაქი, გადაწვეს და წარყვნეს [ყველაფერი], ხელთ იგდეს ნადავლი და ტყვე და გამოვიდნენ ამ ადგილიდან. ასევე მის გარშემო მდებარე ყველა დაბა-სოფელი ააოხრეს მახვილით, ცეცხლითა და ტყვედ წასხმით ისე, რომ არსად არ გადარჩენილა ცოცხალი [არსება], რომელიც პირს გაალებდა და ხმას ამოიღებდა.

თ ა ვ ი მ ე ო ც ე კომინიონის მეფობა

კომინიონმა, რომელიც გულუხვი და მდიდარი კაცი იყო, დიდხალ ჯარს მოუყარა თავი. მეფემ როგორც კი დაინახა. რომ [კომინიონმა] წარმატებებს მიაღწია, ხვეწნა-მუდარით იწყო მასთან მოციქულების გაგზავნა, თან აღუთქვამდა საჩუქრებს და აღმოსავ-

ლეთში კურპალატის წოდების მიცემას. მან შეუთვალა [კომინოსს]: „შევრიგდეთ და ნულარ დავღვრით ქრისტიანების სისხლს“-ო. მაგრამ [კომინოსი] არ დათანხმდა და არ მიიღო [მისი წინადადება]. დესპანებთან მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ მეთვის ერთგული პირები ცდილობდნენ ბრძოლაში დაეძლიათ [კომინოსი]:

მოამზადეს დიდძალი ჯარი და თავს დაესხნენ მას. ისინი შეზღუნენ ერთმანეთს, გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც დიდძალი სისხლი დაიღვარა. ამბობდნენ, რომ ამგვარი ხოცვა-ჟლეტა ჰორომთა [ქვეყანაში] ჯერ არავის უნახავსო. იმ ადგილას ბევრნი დაიხოცნენ ორივე მხარის მეთაურთაგან, მაგრამ გაიმარჯვეს კომინოსის ჯარებმა. ვინაიდან პატრიარქი კომინოსის მომხრე იყო, ქალაქის მეთაურთაგან ბევრი მათ შეუერთდა, [ქალაქში] შეიყვანეს კომინოსი და გაამეფეს. მიხეილი კი ბერად აღკვეცეს და კუნძულზე გაგზავნეს. მაგრამ ამბობდნენ, რომ იგი თავისი ნებით წავიდაო. ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა ქვეყნის დამანგრეველ წელიწადს.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ე რ თ ე

სამეფო ძალაჲ მელიტანის დაცემა

ღმერთმა გამოიყენა თურქესტანი და სპარსთა სამეფო არა დასამოდერად. არამედ ჯოხით დასასჯელად და მათი საშუალებით დაგვსაჯა ჩვენ თავისი სამართლიანი განაჩენის თანახმად. ქუთის დასარიგებელი ჯოხი — მამობრივია, დასასჯელი კი — მსაჯულისა. დავითი ცოდვილთა ტანჯვის შესახებ ამბობს: „მრავალ გუემა არიან ცოდვილთათჳს, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა, წყალობაჲ გარემოდგს მათ“*. ამის თანახმად პავლე წერს ებრაელებს: „და მომეც მე შემწე მაცხოვარებისაჲ და მარჯუენემან შენმან შემიწყნარა მე და სწავლამან შენმან აღმმართა მე სრულიად და მოძღურებამან შენმან ამან განმსწავლოს მე“**.

აწ ღმერთმა თავისი ცხოველმყოფელი ქადაგებით დაგვაახლოვა ზეციურ მამასთან მასთან დანათესაებისათვის და ბრძანა ყველაფრით მას დავმსგავსებოდით და საამო ქცევით მტკიცედ დაგვეცვა ნათესაობა. მაგრამ არ დავემორჩილეთ ჩვენ სასიამოვნო და კეთილ მამას და გავშორდით ნათესაობას, ამისათვის გაქირვებისა

* ფსალმუნ. 31,10.

** ფსალმუნ. 17,36.

და ტანჯვის დროს აღარ მოგვხედა [უფალმა] და უცხო ტომთა ხელთ ჩაგვადლო. გაძლიერდნენ ჩვენზე მტრები და მოძულეებმა აგვაოხრეს. ჩვენ. აღმოვჩნდით დამცირებულნი, მიწასთან გასწორებულინი. მოსეს დროს ათი საცემი ჯოხით რომ აწამეს ეგვიპტელები, ღმერთი იტყოდა: „ეს არის ჩემი დიდი ძალა“. აწ კი ყოველივე ჩვენ შეგვემთხვა. მათი წყალი სისხლით შეიცვალა. ჩვენი მდინარეები, ტბები და თითქმის მთელი ქვეყნის მიწა ჩვენმა სისხლმა შეღება. მათ სხეულზე სიმსივნემ იჩინა თავი. მთელი ჩვენი სხეული მახვილით ასო-ასო დაიჩხა. მათ დაეხვიათ ტკიპა და კოლო, რომლებმაც მბრძანებლური შესახედაობის სახეები ნესტარით დაჩხვლიტეს და დააბრმავეს. ხოლო ჩვენ ისრებით თავდასხმებისაგან ძალიან მძიმე კრილობები მივიღეთ. მათი სამი დღის სინათლე წყვდიადით შეიცვალა, ხოლო ჩვენთვის გაქრა სინათლე, რადგანაც მოკვდა თვით სინათლის მიმღები და ველარ იხილა ღვთის სიკეთე თავის სიცოცხლეში. მათ სახლებში ძნელად სახილველი საზიზღარი კია ცოცვით შევიდა. ერთნატივლი მივლის იმის თქმისას, რომ ჩვენი სახლები და ეკლესიები უწმინდური სიბილწით ამყარალდა და წაირყენა. მათ პირმშობებს მფარველობს სიკვდილის მომტანი ანგელოზი. ჩვენი სახლის ყველა მცხოვრები ამოწყდა. მაგრამ თუ კი განსჯი საქმის მიხედვით, ჩვენთან მომხდარ ამბებსაც დაინახავ. რომელი საშინელი უფსკრულია უფრო ღრმა, ვიდრე თურქესტანი ან სამყაროს კიდე, სადაც გაძევებულნი და განადგურებულნი არიან ჩვენი ტყვეები, თითქოს წითელ ზღვაში, რომელიც მათი ტყვეების სისხლითაა შეღებილი. ისრაელებმა მათგან მოითხოვეს ოქროს სამკაული და ტანსაცმელი მათთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ. ჩვენ გაგვძარცვეს ყველაფრისაგან და ჩვენ მათ წინააღმდეგ არაფერი შეგვიცოდავს. ვაი ამ უნუგეშო ნგრევა-აოხრებას. ეგვიპტელებთან დასჯის ორგვარი სახე არსებობდა, ერთი — მძიმე სამსახურისათვის, რითაც მათ შეაწუხეს ისრაელები. მათ დასასჯელად მოვიდა ღმერთი. მეორე [სახე სასჯელისა ასეთია]: მოემსახურონ შექმნილთ და არა შექმნელს, რომელიც კურთხეულია სამარადისოდ. ჩვენ აღმსრულებლის ენა გვაქვს, თუმცა კეთილ საქმეებს მოკლებული ვართ და ვიტანთ მათ განცდებს. რაოდენ შესაბრალისი ვართ და მოთქმა-გოდების ღირსი. „რად განგვშორებ ჩუენ, ღმერთო, სრულიად?“, „ვიქმნენით ჩუენ საყუედრელ მოძმეთა ჩუენთა, საცინელ და საკიცხელ გარემოხსთა ჩუენთა“**.

* ფსალმუნი. 73,1

** იქვე. 78,4

„აღადგინე ძალი შენი და მოვედ ცხორებად ჩუენდა“*. „შიაგე გარემოჲსთა ჩუენთა შუდ წილად წილთა მათთა ყუედრებაჲ მათი“**.

სხვა ქალაქებისა და გავარების აოხრება დაახლოებით ათ დღეში დასრულდა. ხოლო ეს ქალაქი, რომლის შესახებაც ვლას-რაკობთ, ვიდრე გაშენებული იყო, 3 წლის მანძილზე ძლიერ ძალას ფლობდა; იგი მოვების მსგავსად საამო და სასიამოვნო იყო. ქვეყნის სახელგანთქმული ვაჰრები და მისი შუაკაცები — ტომთა მეფეები სპილოს ძვლის ტახტზე ისვენებდნენ, ყოველთვის სუფთა ღვინოს სვამდნენ და საუკეთესო ზეთს იცხებდნენ. ყოველგვარი ბოროტების დასაბამი აქედან მომდინარეობს, როგორც [ამას ამბობს] მოსე ცილისმწამებელ ისრაელთა შესახებ: „განსუქნა, განსხვა, განზრქნა, დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი“***. ამგვარ ცხოვრებას მიჩვეული სოდომელებიც აუტანელ ტანჯვაში ჩაივიდნენ. როგორც ეზეკიელი ამხილებს მოხიბლულებს პურის სიუხვის და ცხოვრების სიკარბისაგან, ასევე პირველმა ადამიანმა სამოთხეში სიკეთე — ერთი დღე ვერ შეძლო უცოდველად გამოეყენებინა. ვინაიდან ასეთია ბუნების საზღვარი, ამიტომ გაღარიბებისას ვსაყვედურობთ და ვადანაშაულებთ ღმერთს და გამდიდრებისას ვმედიდურდებით და როგორც უკვდავებას სამყაროს ვიპყრობთ. ამისათვის ცვლილებებით ვსწავლობთ ჩვენ, რომ შევინარჩუნოთ ზომიერება და ზღვარს არ გადავიდეთ, რომ ამაზე მეტად არ დავეცეთ. ვინ იცის მიწაზე უფრო ბილწი და მდაბალი რამ? მისგან არის ჩვენი დასაბამი და კვლავ მისად უნდა ვიქცეთ. ჩვენი ბუნების შემოქმედს არ სურს ვინმე დაიკარგოს, ამიტომ თავისუფლად არავის ტოვებს. რამდენი შემთხვევაც კი წარმოიქმნება რჩევა-დარიგების [მისაცემად], ტკბილად და მამობრივად დამოძღვრავს და როდესაც ყურს არ დავუგდებთ რჩევას, მკაცრად დაგვსჯის. ცოდვილთა ნახევარს აქვე გაასამართლებენ, რომ იქ გაუადვილდეს ტანჯვა, ნაწილს კი მომზადებულს ინახავს. არიან ისეთები, რომლებსაც აქაც და იქაც სჯიან, როგორც სოდომელებს. არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ აქ (ასამართლებენ). როგორც ლაზარეს; ზოგს კი მხოლოდ იქ, როგორც შეძლებულს. [ახლა] ეს სიტყვები აქ შევწყვიტოთ და მივყვეთ ისტორიის რიგს.

* იქვე 79,3

** იქვე. 78,12

*** მეთრე შჯულისა, 32,15

იმავე მწუხარებით აღსავე წლის შემოდგომაზე, როდესაც პორტეზი მეფეების შინაბრძოლით იყვნენ დაკავებული, არგვის თვეში სპარსეთიდან კვლავ მოვიდა ჯარები, ოღონდ არ ვიცი პირველთაგანი იყვნენ. თუ ახალი. დაუსახლებელი ადგილებით ისინი ისე ფრთხილად მოვიდნენ, რომ ვერაინ გაიგო, სანამ არ მოაღწიეს კამაის გავარს¹⁶⁶. შემდეგ აქ დაიყვნენ ორ ნაწილად. ერთი ნახევარი კოლონიამდ¹⁶⁷ მივიდა, ჩვეულებისამებრ ქვეყანა გაძარცვა. ჩვენ მხოლოდ დაბრუნებისას შევიტყვეთ მათი გადმოსვლის შესახებ. [ჯარის] მეორე ნაწილმა ყურადღება მიაქცია მელიტენეს და ღამით თავს დაესხა მას. პორტეზიდან ცხენოსანთა ერთი გუნდი ქალაქის მცველად იდგა და [ქალაქის მისადგომებთან] მარბიელთა მიღწევისას უეცრად გარეთ გამოვიდა და დააცხრა [სპარსელებს]. ერთმანეთთან შეხვედრისას დიდძალი რაოდენობით ამოწყდნენ ორივე მხრიდან. ბრძოლის დროს ვინც კი შეწლო ქალაქიდან გამოსვლა, ის გადარჩა. იქ დარჩენილი მებრძოლები გაქცეულებს გაჰყვნენ. ხოლო ქალაქის დამპყრობლებმა მახვილით მოსრეს ყოველივე, დაყვეს მათ [ქალაქში] თორმეტი დღე და ძირფესვიანად მოთხარეს და წარყვნეს ქალაქი და მის გარშემო მდებარე დაბა-სოფლები. ასეთი იყო [მელიტენეს მცხოვრებთა] ქედმაღლობის სამაგიერო, მიგებული მიუდგომელი და მართლმსაჯული ღვთისაგან, რომელიც თითოეულ მათგანს მათი საქმეთა მიხედვით ღირსეულად მიუზღავს.

ხოლო ეკელეაის [გავარის] ქვევით მდებარე გავარების [მცხოვრებლებმა], რომლებიც [მტრებმა] ღამით გაიარეს, გაიგეს რა მელიტენეში მომხდარი უბედურების შესახებ. შეკრიბეს მშვილდოსანთა დიდძალი ჯარი და დაიკავეს გზის გასასვლელები. უსახსროდ დარჩენილმა ურჯულოებმა კი, რადგანაც სხვა გზა არ იცოდნენ და მთები სქელმა თოვლმა დაფარა ხუთი თვე ნავასარდის თვემდე, იქ დაიხამთრეს. მათ სიცოცხლის იმედი წარუკვეთეს ქვეყანას. იმ აუტანელი ბოროტების [ამბები], რომლებიც მათ [ამ ხნის განმავლობაში] მოიმოქმედეს, ტომიდან ტომს [გადაეცა] და დარჩა მახსოვრობაში. ყრმებს და სხვა არასრულწლოვანებს მასხარად იგდებდნენ მახვილებითა და ისრებით თამაშით, აყენებდნენ მათ მწვავე ქრილობებს და ჟლეტდნენ. მათ არსებაში შეწყალება და თანაგრძნობა არ ჩაწვეთებულა. აღარაფერს ვამბობ იმ ყრმების შესახებ, რომლებიც მოგლიჯეს მშობელთა მკერდს და თვით ამოწყვიტეს. აწ რაღა საკირია აღწეროთ [ურჯულოთაგან] დიდებულ ქალთა და სენაკებში აღზრდილი ქალიშვილების შეურაცხყოფის ამბავი? ხედავ, რაოდენ აუტანელი ბოროტება [დატრიალდა], როდესაც ღმერთმა აგვადო ხელი?

ვინაიდან ადამიანთა და პირუტყვთა საკმელი შემცირდა, [მტრები] გაპირვებისაგან შევიწროებულნი იძულებულნი შეიქნენ გამოსულიყვნენ ხორძიანის [გავართ] და ზევითა მიმართულებით [წასულიყვნენ]. რადგანაც მათი შიშით გზები გადაჭრილი იყო და თოვლი ჯერ კიდევ სქლად ფარავდა დედამიწას, [სპარსნი] კვლავ შეუდგნენ სელას. მათ წინ გაიგდეს ცხენებისა და ჯორების ჯოგი და მიჰყვნენ თავისუფალნი. მათ გაკაფეს გზა, შემდეგ კი წარეკეს ტყვეები და ტვირთი. ასეთი სვლით [სპარსელებმა] მიაღწიეს გავარის თავს, სოფელ მორმრეანს¹⁶⁸. ვინაიდან ამ სოფელს ციხე ჰქონდა, მის ყველა მცხოვრებს აქ მოეყარა თავი. ხოლო სპარსელებმა როგორც კი მოაღწიეს [სოფლამდე], იქვე დაიბანაკეს, რადგანაც იფიქრეს, რომ ცხენოსნები ციხეში იყვნენ. მათ აღმართეს თოვლის სიმაგრე და ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგნენ. [სპარსთა] მეთაური მივიდა ციხესთან და დაიწყო მოლაპარაკება ციხის მთავართან. მან ბევრი საფენებით დაფარა თოვლი, ზედ დაჭდა ფარით [შეიარაღებული] და ქედმაღლური ამპარტავნობით უსიამოვნო სიტყვებს ამბობდა. ციხე-სიმაგრის მთავარმა კი, რომელიც შესაფერის დროს ელოდა, მისი უფაროდ დარჩენისას ისრით გაუგმირა ყელი და მაშინვე მოკლა. ჰორომთა ჯარმა, რომელიც უკან მოდიოდა, დაჰკრა ბუქს. ეს რომ ურჯულოებმა გაიგონეს, გაიქცნენ. ხოლო ციხეში მყოფნი გარეთ გამოვიდნენ და ტყვე და ნადავლი, რამდენიც შეძლეს, შიგ ციხეში შეიტანეს. მაგრამ ჰორომები წინ აღარ წასულან. ხოლო როდესაც სპარსელებმა დაინახეს, რომ არსაიდან ჩანს სხვა ჯარი, უკან მობრუნდნენ და ნადავლის წამლებნი, რომლებიც კი შემოხვდნენ, ამოწყვიტეს. დარჩენილი [ხალხი] დაატყვევეს და უკან დაბრუნდნენ. როდესაც მიაღწიეს ელნუტის საზღვრებს, აქაური მცხოვრებნი გარეთ გამოვიდნენ, შეებრძოლნენ მათ, იხსნეს დიდძალი ტყვეები, აივსნენ ნადავლით და რაც კი ხელთ იგდეს, ციხე-სიმაგრეში შეიტანეს. დამნაშავე სისხლისმსმელი მხეცები შემეფოთებამ მოიკვა. მათი ტარონის საზღვრებში შესვლისას სიმის მთიდან, რომელსაც მოსახლეობა ჩვეულებისამებრ თავისი წინაპრის სახელის მიხედვით სანასუნქს¹⁶⁹ უწოდებს, დაეშვნენ ჯარები, ეკვეთნენ [ურჯულოებს], დაამარცხეს და ყველა ამოწყვიტეს, იხსნეს [მტრის ხელთაგან] ნადავლი და ტყვე და ღვთის სახელის განდიდებით სიხარულით უკან დაბრუნდნენ.

იმავე წელს გადაწვეს წმინდა კარაპეტის [სახელობის] სავანე, რომელიც დიდი გარჯით ააშენა ვასაკის შეილის, დიდი გრიგოლის თანამოსაქმეთაგან ერთ-ერთმა. სახელად ჰრაპატმა, ვიდრე ისინი ქვეყნის გამგებელნი იყვნენ. [გადაწვეს აგრეთვე] სამლოცვე-

ლო წმინდა კარაპეტის ეკლესიის წინ, რომელიც გემოვნებით და ლამაზი შემკულობით ააგო დიდი მოწამისა და ქრისტეს წინამორბედის პატივსაცემად და განსაღიღებლად. აშენდა აგრეთვე სხვა ნაგებობანი და ხის ეკლესია გრიგოლის სახელობაზე. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვით 507 წელს*.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ო რ ე

თონდრაქალთა ბოროტი საქმის შესახებ, რომელიც აღმოცენდა
ჰარაპის ბავარში და მრავალი [აღამიანი] შეატყინა

ერთი ეპისკოპოსი, სახელად იაკობი¹⁷⁰, რომელიც ზედამხედველობდა ჰარქის [გავარის] ეკლესიებს, თავის გამგებლობის დასაწყისში კეთილმოქმედად აჩვენებდა თავს: უხეშ ტანსაცმელს იცვამდა, მარხვას ინახავდა და ფეხშიშველი დადიოდა. მან შეარჩია მღვდლები, რომლებიც ყოველთვის მის გარშემო იყვნენ. [ისინი] იცვამდნენ უხეშ ტანსაცმელს სამკაულების გარეშე, მოკლებული იყვნენ გემრიელ საკვებს და ყოველთვის ფსალმუნს გალობდნენ. მისი ასეთი ცხოვრებით განცვიფრებულნი იყვნენ შორეულნიც და მახლობელნიც და ყველას სურდა მისი ნახვა. ისინიც კი, რომლებიც თავიანთი ხელისუფლების წყალობით გაამაყდნენ, გამედიდურდნენ, იმდენად დაემორჩილნენ [იაკობს], რომ თუ კი იგი ბრძანებდა სულის ამონდომას, ვერავინ ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, ვერ გაბედავდა პირის გაღებას და ხმის ამოღებას. მაგრამ მთელი მათი ცხოვრება იყო თვალთმაქცობა და არა ჭეშმარიტება, რადგანაც ნაყოფია ხის [სიკეთისა თუ სიავის] მათუწყებელი, როგორც ეს გავიგეთ ღვთისაგან. მოციქულიც მის თანახმად წერს და ამბობს, რომ „რამეთუ ეგვიპთარნი იგი ცრუ-მოციქულნი, მუშაკნი ზაკულნი, გარდაიცვალნიან მოციქულად ქრისტესად. და არა საკრველ არს, რამეთუ თვთ იგიცა ეშმაკი იცვალისვე ანგელოზად ნათლისა“**.

მათ სასიკვდილო წამლები შინაურ წამლებს შერიეს და ვინც კი აიღო, როგორც საკვები რამ ისე შეჭამა და სასიკვდილო წამლებისაგან მოიწამლა, ასევე მებადღურები საკვებით ფარავენ ანკესს, რომ საქმლით მოტყუებული თევზი დაიჭირონ ანკესით.

* 1058 წ.

** 2 კორინთელთა 11, 13—14

მათი მსგავსნი არიან ურჯულოების მსახურნი, რომლებიც ვერ ბე-
დავენ თავიანთი დამლუბველი უფსკრული ვინმეს ცხადად უჩვენ-
ნონ, ვინაიდან რომელი კჳუანაკლები დათანხმდება ნებით ჩაეარ-
დეს იმ უფსკრულში, რომლიდანაც გამოსვლის საშუალება არ არ-
სებობს? ამისათვის ისინი თვალთმაქცობენ ჩვენი კეთილმსახური
რჯულით გულწრფელ [ადამიანთა] შესაცდენად და ტკბილი სიტ-
ყვით აცდუნებენ უცოდველთა გონებას. მათი სიტყვები კიბოსავით
ვრცელდება და როგორც ეს სნეულება ძნელად განიკურნება, ასე-
ვე მათგან შებყრობილნი ძლივს თუ ახერხებენ არსებობის შენარ-
ჩუნებას.

სწორედ მათთვის ბრძანებს ჩვენი უფალი თავის ცხოველმყო-
ფელ სახარებაში: „ეკრძალენით ცრუ წინაწარმეტყუელთაგან, რო-
მელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა ხოლო
შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“*. ასევე მოციქულიც იმასვე
შთააგონებს ფილიპიელებს საუფლო ბრძანებათა თანახმად: „ეკ-
რძალეობოდეთ ძალთა მათგან, ეკრძალეობოდეთ ბოროტთა მათგან
მუშაკთა, ხედვედით განკუთვითილებასა“**. გარეშე მტრებისაგან თა-
ვის გაფრთხილება ადვილია, ხოლო თანამემამულეთა ბრძოლისაგან
ძნელია გადარჩენა, როგორც ეს შეემთხვათ აბელსა და იოსებს.
და ეხლაც ისინი სხვადასხვა ენაზე [მოლაპარაკე] ტომთაგან რომ
ყოფილიყვნენ, ჩვენთვის ადვილი იქნებოდა თავის გაფრთხილება.
მაგრამ, როგორც წერს ნეტარი იოანე: „ჩუენგან განვიდეს, არამედ
არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ, უკუეთუმცა ჩუენგანნი იყვნეს“***.
ამის გაგება კი ძნელი იქნება. ისინი ერთ ენაზე მოლაპარაკე თანამე-
ტომენი არიან, ერთი წყაროდან ამომდინარე ტკბილი და მწარე
წყალი. თუმცა წმინდა იაკობმა შეუძლებლად ჩათვალა ეს, მაგრამ
ჩვენ დროს აღსრულდა იგი: ამ ტკბილი წყაროდან ჩვენი დიდე-
ბული წინამძღოლი თხუთმეტი წლის ოფლისმღვრელი მუშაობის
შემდეგ გადმოვიდა ქვეყნის სიღრმეში და ეზეკიელის წინასწარ-
მეტყველების თანახმად ამოთხრილი ორმოდან უხვად გადმოგვაფ-
რქვია მჩქეფარე წყარო, ანკარა და სუფთა, რომელთანაც შერევა
და [მისი აღმოფხვრა] ვერ შეძლეს განხეთქილების შემომტანმა და
ცდუნების დამთესავმა ნაკადულებმა, რადგანაც ქეშმარიტების სი-
მაგრე ბოლო დრომდე მტკიცედ იდგა სარწმუნოების ქვაზე. თვით
ჩვენმა განმანათლებელმა წინასწარმეტყველური სულით იხილა,

* მათე, 7, 15.

** ფილიპელნი, 3, 2.

*** 1 იოანე, 2—19.

რომ ბატკნები მგლებად იქცნენ და სისხლი დაღვარეს. ეს მოხდა ქვეყანაზე ადამიანთა უსამართლობის გახშირებისას და ხორბლის მთესავი [კეთილი] მამასახლისის ძილის დროს, როდესაც მტერი მომაგრდა და სახარების თანახმად სარეველა ბალახი გააზნია ამ ხორბალში. მწარე ნალექი შეერია ცხოველმყოფელ წყალს, რომელიც გადმოდინდა უფლის სახლიდან. მაგრამ [ეს ამბავი] ადრევე ნათელი გახდა ეკლესიის მოძღვართათვის, რომლებმაც მანვე სარეველა ბალახი ძირფესვიანად აღმოფხვრეს ჩვენი სარწმუნოების ველიდან. გაწურეს მწარე ნალექი და გაწმინდეს. მათ ქეშმარიტების მარლით გაწმინდეს წყალი წმინდა ელისეა წინასწარმეტყველების თანახმად. ეს ყოველივე საკმარისია, უკვე დროა დაეუბრუნდეთ ისტორიას. რომ ქეშმარიტი იყოს ჩვენ მიერ თქმული.

როდესაც ცხოვრებაში განმტკიცდა თვალთმაქცობით [დაფარული] სიკეთის ამბავი, რაც [იაკობის] შესახებ გაავრცელეს უგუნურმა ადამიანებმა, ყველა ბოროტების პირველმა მსახურმა და თანამოაზრემ ამიერიდან ჩვენ სარწმუნოებას მიზანში მშვილდ-ისრის ტყორცნა დაუწყო წამახვილებული ისრებით. რადგანაც იგი ფრიად მოლაპარაკე კაცი იყო და თავისი მკვერმეტყველებით ბევრის სასმენელი დაიპყრო, ფიქრობდა, რომ ამით საფუძვლივ დაამხოვდა წმინდა ეკლესიას. მას არც კი მოჰგონებია საუფლო ბრძანებები და სანდო აღთქმა პეტრეს წინაშე: „და მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბქენი ჯოჯონეთისანი ვერ ერეოდინ მას“*. მან არ დაიჯერა ეს, არამედ მიიღო როგორც ერთი კაცის განსაკუთრებული სიტყვა. იგი იბრძოდა, ფიქრობდა რა, რომ შეძლებდა ეკლესიის დიდების გათელვას. როგორც ძველად მეძავემა ქალმა თმები მოკვეცა სამსონს, რომ მისი უძლეველი არსება უცხო ტომთ ეგდოთ ხელთ. [ასევე სურდა] ქეშმარიტების მოწინააღმდეგეებისათვის მიეცა წმინდა ეკლესია, რომელიც თავისი საპატიო სისხლით შეიძინა ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, აკურთხა და შეამკო ყოვლისმძლეველი ჯვრით. დაამკვიდრა მასში საიდუმლო საკურთხეველი მსგავსად ედემის მაცოცხლებელი ხისა, რომლის უკვდავების მომცემი ნაყოფი — ქეშმარიტად ცხოველმყოფელი სხეული — შევიცანიოთ. თანახმად მართალი ბრძანებისა, რომ „რომელი ჰამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე

* მათე. 16. 18

მის თანა... ხოლო რომელი ჰამდეს ამას პურსა, ცხოვნდეს უკუნი-
სამდე*“. აწ კი იხილე მისი ბოროტგანზრახულობა და ვერაგობა,
თუ გველის მსგავსი გაიძვერობით როგორ ცდილობდა წარმყენელი
შხამი გადმოენთხია მორწმუნეებზე.

უპირველეს ყოვლისა მან დაიწყო შერჩევა მღვდელთა შორის
ღირსების მიხედვით და უღირსნი დაადუმა. როდესაც ამით ბევრ-
ნი დარჩნენ კმაყოფილნი, ამას ერთი სხვაც დაუმატა: ღირსეულებს
უბრძანა, რომ წელიწადში მხოლოდ სამჯერ შეეწირათ მსხვერპლი.
ნიკეეს¹⁷¹ [კრების] კანონებში წერია: „თუ კი [ადამიანი] ფრიად
ცოდვილია, საჭიროა აღსარების მიღება, საუფლო ხორცისა და
სისხლის შეერთება, მსხვერპლშეწირვისა და ყველა ქრისტიანული
წესების ღირსად ცნობა“. ყოველივე ეს [იაკობს] სრულიადაც არ
გაუთვალისწინებია. იგი ასწავლიდა, რომ თუ ვინმე რაიმე ცოდვას
ჩაიდენს და არ მოინანიებს, მას ვერც მოსახსენებლები უშველის
და ვერც მსხვერპლშეწირვა. იგი და მისი თანამოაზრეები მასხარად
იგდებდნენ და დასცინოდნენ [ამ წესებს]. შათ მოიყვანეს პირუტ-
ყვი საქონელი, წინ დაიყენეს და ასე ამბობდნენ: „ოჰ, საცოდავო
ოთხფეხაე! მან თავის დროს ცოდვა ჩაიდინა და მოკვდა, შენ რა
შესცოდე, რომ მასთან ერთად კვდები?“ ამ სიტყვების გამო ხალხი
ორ ნაწილად დაიყო: ერთმა ნაწილმა მიიღო იგი, სხვებმა კი არა.
მთელი ხალხი შეშფოთდა. იგი ექვებმა შეიპყრო და ეძებდა გა-
მოსავალს. აგრეთვე ისინიც, რომლებიც იმ დროს გამოქვაბულებ-
ში მყოფნი განსაკუთრებული მონაწილეობით მუდამ ღვთის ნება-
სურვილს აღასრულებდნენ, დიდი მოთქმითა და ცრემლმორთოლ-
ვარე ხვეწნა-მუდარით ეძიებდნენ კეთილმოქმედი ღვთისგან მო-
ხედვას. ორჯერ შეიკრიბნენ ბევრნი: მამანი და მამამთავარნი,
მღვდელნი და სხვადასხვა ფენის ადამიანები. უთვალავი იყო მათი
რიცხვი, ხოლო გავარის მთავრები თავიანთი თვალთმაქცური სა-
ხით, თითქოს რკინის ბორკილებით შეკრულნი, საბრძოლო წესით
პირობას დებდნენ, რომ უმაღლესი დავისოცებით, ვიდრე [იაკობს]
ხალხის ხელში ჩაევაგდებთო. იგი კი ნესტორის მსგავსად სახლში
იჯდა, მხნედ შუამავლების საშუალებით პასუხს აძლევდა ხალხს,
იმედს ამყარებდა მთავართა დახმარებაზე და არა ღმერთზე. მას
არც კი მოჰკონებია დავითის ფსალმუნი, რომ „კეთილ არს სასო-
ებაჲ უფლისაჲ, ვიდრე სასოებასა კაცთასა“*. მას ბოროტი განზ-
რახვა ჰქონდა: ხალხის დახმარებით დაემარცხებინა ჰემარიტება.

* იოანე, 6, 56, 58.

** ფსალმუნი, 117, 8.

ხოლო ღმერთი ნებას არ რთავდა ცოდვილთა ჯოხებს რაიმე გაებედათ მართალთა ბედის [გადაწყვეტაში], რომ მართალ [ადამიანებს] ხელები არ აღემატათ ბოროტების წინააღმდეგ. იგი მათ ღვთის მოშიშ ნებას აღასრულებდა და მათ ლოცვებს ისმენდა. ქარიშხლების დროს ქმნის [ღმერთი] სიმშვიდეს და გვალვის დროს მოჰყავს მას წვიმა. მან იმ ერთი ალალ-მართალი ლოცვით მოგვხედა ჩვენ და იხსნა თავისი ხალხი. ღმერთს ძალუძს თავისი ღრმა სიბრძნის წყალობით დიდ საქმეთა საფუძვლის ჩაყრა. მან მოაწესრიგა [ყოველივე]. რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო. ასე მოხდა [ეს ამბავი].

კარინის გავარიდან ერთი ბერი, სახელად ესაია¹⁷², კეთილშობილური გვარიდან, ამ კეთილი საქმისათვის წავიდა და დაუკავშირდა იაკობს, მაგრამ როდესაც [იაკობს] თავს დაატყდა ასეთი არეულობანი და ძიებანი, იგი ყურადღებით დააკვირდა მას. იგი ძალიან ჰკვიანოდა იყო, [იაკობისადმი] დიდი გულახდილობით განწყობილი და ერთი მისი ერთგულთაგანი. როდესაც მან დაინახა და გაიგო მისი ბილწი რწმენის შესახებ, დაუყოვნებლივ წავიდა და მოუთხრო [ამის შესახებ] წმინდა სარგის მამამთავარს. [მამამთავარმა] მოისმინა და გაიგო საქმის ვითარება, ტკბილი სიტყვებით თავისთან მოიხმო საცოდავი პიროვნება და ღირსებისამებრ დასაჯა იგი; იგი გამოთიშა მღვდლების რიგიდან და მას სახე მელიის გამოსახულებით დაუდოდა, მქადაგებელი მას შესძახოდა: „ვინც კი წმინდა განმანათლებლის სარწმუნოებიდან გადადის ურჯულო თონდრაკელთა — ადამიანის სახის მქონე მხეცთა ფარეხში, უერთდება მას, სწორედ ასეთ გასამართლებას მიიღებს“. მან ბრძანა საპურობილეში დაეპატიმრებინათ ეს საცოდავი პიროვნება, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ეგებ მოენანიებინა და გულახდილად ეღიარებინა განდგომა ამ ბილწი სექტისაგან. იგი ძლიერ თანაუგრძნობდა ამ დაღუპულ პიროვნებას. ხოლო ერემიას სიტყვების თანახმად ისევე, როგორც ცეცხლი არ იფიწყებს აალებას, ინდოელი სიშავეს და იაგუარი-სიჭრელეს, ასევე ბოროტი — თავის ბოროტ მოქმედებას. ღამით მან დაანგრია ციხე და გაიქცა, წავიდა ბერძენთა ქვეყანაში და მიაღწია სამეფო ქალაქ კონსტანტინოპოლს. მან დაგმო და გალანძლა ჩვენი რჯული და ითხოვა, რათა მოენათლათ იგი მათი წესების მიხედვით. ხოლო [ბერძენებმა] გონივრულად გამოიძიეს და გაიგეს რა საქმის ვითარება, თავს არ იღვეს [მისი თხოვნის შესრულება], არამედ უთხრეს: „ვინც სომხებს სძაგთ და ეზიზღებათ სარწმუნოების ჯამო, იმის შეწყნარება არც ჩვენ შეგ-

ვიძლია“. როდესაც მან ეს საქმე ვერ მოაგვარა, წამოვიდა და გადმოვიდა აპაჰუნიჩის გავარში, ეშმაკის სამყოფელ, ღვთისაგან განდგომილი ხალხისა და ნადირთა ბუნაგში, რომელსაც თონდრაკი¹⁷³ ეწოდება. აქ იგი დროებით ფარულად დაბანაკდა, მაგრამ ამბობენ, რომ მათ არ მიიღეს იგი გადამეტებული სიბილწის გამო, ამიტომ იგი წავიდა ხლათის მთისაკენ. იქ მან იპოვა თავისიანები, დამკვიდრებულნი ყანებსა და სხვა ცისქვეშა ადგილებში. იგი მათთან დაბინავდა. აქ გაატარა მან თავისი დღეები, შემდეგ წავიდა ქალაქ მუჰარკინში¹⁷⁴ და ტანჯვით მოკვდა იქ. რადგანაც იგი არ მიჰყვა [წმინდა] წიგნის კანონებს და არ შეთანხმებია ქრისტიანებს, მიტოვებული იქნება. სწორედ ამიტომ იგი მოკვდა, როგორც სახედარი, დაეფლო, როგორც ლეში და ბოროტის სახელი დატოვა თავისი [სიკვდილის] შემდეგ. ყველა, ვინც მოისმენს ამ ისტორიას, დასწყევლის მას.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ს ა მ ე

მანანაღის საზღვრებში ცდომილების ხანძრის აბიჯიჯიჯის შესახებ

ერთი ძალღის სახელის მქონე ბერი კუნწიკი¹⁷⁵ დამკვიდრებული იყო ციხე-ქალაქ შირნის¹⁷⁶ მახლობლად, რომლის სახელს დღესაც ატარებს ის მიდამო. იგი საკმაოდ მოხუცებული იყო და თავის არსებობაში ატარებდა სიბილწის საფუარს. [კუნწიკი] განსწავლული იყო ერთი ურცხვი ბერისაგან, რომელიც თავის თავზე ამბობდა, რომ იგი ალბანთაგანია. მაგრამ იგი იყო ეშმაკის პირმშო და მისი აზრების ბუდე: მისი პირიდან ამოდებოდა მუდმივად აგიზგიზებული ჯოჯოხეთის ცეცხლის კვამლი, რომლისგანაც ბევრმა შესვა საწამლავე და ამოწყდა. ეს კუნწიკი ეშმაკის ბეჯით მუშაკად იქცა; მან მოინადირა ერთი ქალი, სახელად ჰრანუში¹⁷⁷, რომელიც იყო რჩეული და მთავარი ტომიდან, მამულისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიის მფლობელი, როდესაც ჰრანუში აღივსო მისი მომაკვდინებელი შხამით. არ დაკმაყოფილდა თავისი დაღუპვით, არამედ ბევრნი თავისი ვერაგობის თანამონაწილედ აქცია. უპირველეს ყოვლისა მან [შეარჩია] ორი ქალი, თავისი თანამეტომენი, ახნი¹⁷⁸ და კამარა¹⁷⁹. იგი ჰეშმარიტად ეშმაკის ნების აღმსრულებელი იყო. ისინი ორივენი კანონიერი დები იყვნენ. მათი ჭგუფისათვის დამახასიათებელი ბილწი გაცოფებული ვნებით და ჯადოსნური ხერხე-

ბით ისინი ეშმაკის მოძღვარნი გახდნენ, რომელთა შორის გაძლიერდა ყოველგვარი ბოროტების მამა. „რომელთა აღილესნეს ვითარცა მახვლნი ენანი მათნი, გარდააცუეს მშუილდსა მათსა საქმითა სიმწარისათა“* გულით მართალთათვის ისრის სასროლად. მათ ჩაასვეს [ისარი] და მძიმე ჭრილობები მიაყენეს მრავალ უღანაშაულო ადამიანს. [ახნი და კამარა] მამისეულ მემკვიდრეობიდან ორ სოფელს ფლობდნენ, რომლებიც თვითნება გველის ბუნაგად და სადგომად აქციეს. თვით დამკვიდრდნენ იქ და სასტიკად გამომოანთხიეს თავისი ღვარძლი. მათ მოიტანეს სასმელი და თავის გარშემო მყოფ მცხოვრებლებს შეასვეს დასალუპავად. სწორედ ამის შესახებ წერს მოსე: „გულის წყრომა ვეშაბთა იყო ღვნო მათი, და რისხვა ასპიტთა განუქარვებელი“**.

ერთი მთავარი, სახელად ვირვერი¹⁸⁰, ამ ჯადოსანი ქალების ობა, მათი ნების აღმსრულებლად იქცა. იგი ადრე მტკიცედ იცავდა სარწმუნოებას, აქტიურობდა საღვთო დღესასწაულებში. მან თავის სამემკვიდრეო მამულში ააშენა მონასტერი, შეკრიბა იქ განდევნილები და შეძლებული მდგომარეობის შექმნით უზრუნველად ინახავდა მათ, რომელთა წინამძღოლი, ანდრეასი¹⁸¹ ფრიად სახელგანთქმული იყო რელიგიურ მოძრაობაში. ეს მთავარი ყოველ წელიწადს მიდიოდა მათთან. დიდი მარხვის შესანახად და დიდი ზატიკის დღეებამდე მათთან ერთად დღესასწაულის მონაწილე იყო. მან კიდევ ბევრი სხვა კეთილი საქმე მოიმოქმედა მათთვის სამსახურის გასაწევად. განსაკუთრებით ბევრს გადააჭარბა [ვირვერმა] ლატაკათვის მზრუნველობის გაწევასა და მღვდელთა დამორჩილებაში. ბოროტმა გამოიმწყვდია იგი ამ ქალების საშუალებით, რომლებიც წარმყვნილი ვნებით წაიბილწნენ მასთან ისე, რომ არ მოჰგონებიათ სისხლით ნათესაობა; [ეს ქალები] იქცნენ [ყველას] დაღუპვის ბუნაგად. იგი თვით არის სოლომონისეული წურბელის მეოთხე ქალიშვილი, რისთვისაც ბრძანებს საღვთო მოცრქული: „ნუ ვნებითა გულის თქუმისათა, ვითარცა — იგი წარმართნი, რომელთა არა იციან ღმერთი“***. ხედავ, როგორი წარმართულია ეს ვნება? ხედავ, როგორ წერს მისთვის ღვთიური ნეტარი სოლომონი? „შვლო, სიბრძნესა ჩემსა ერჩდე, ხოლო ჩემთა მამართ სიტყუათა წინა უპყრენ ყურნი შენნი, რათა დაიცვა გონება კეთილი, და მეცნიერებასა ბაგეთა ჩემთასა გამცნებ შენ. ნუ მიხე-

* ფსალმუნი 63, 4

** მეორე რჯელი, 32, 33.

*** I თესალონიკელნი, 4, 5.

დავ დედაკაცსა ბოროტსა: რამეთუ თაფლი გარდამოსწუჭთიან ბაგეთაგან დედაკაცისა მეძქსათა, რომელმან წუთ. ერთ დაატეპოს სასა შენი, ხოლო უკანასკნელ უმწარეს ნაღულისა ჰპოო, და უმკუჭთლეს უფროს მახვლისა ლესულისა ორპირისა, რამეთუ უგუნურებისა ფერქთა, შთავლენ შემყოფელნი მისნი თანა სიკუდილისა შემდგომად ჯოჯოხეთსა, ხოლო კუალნი მისნი არა დაემტკიცებიან...“*.

ასეთი გზით მოტყუებულმა იმ საცოდავმა ვირვერმა დაკარგა სირცხვილის [გრძნობა], განუდგა რწმენას და ღვთისა და მისი წმინდანების მტრად გადაიქცა. მან მიატოვა უფალი, რომელმაც თავისი სისხლით და ხორციით გამოკვება იგი. [ვირვერი] გამოვიდა სახლიდან, აღიკვეცა პატივისაგან, დაივიწყა საღვთო აღთქმა და თავი ანება განდევილთა წესების შესრულებას. [ეს ადგილი] ერთ დროს ბერ-მონაზონთა სადგომი იყო, დიდი ხარჯითა და ჯაფით აშენებული, სადაც მეფსალმუნეთა და საეკლესიო მსახურთა გუნდები ტკბილხმოვანი სიმღერებით ღმერთს განადიდებდნენ ზეციურ ძალებთან შესმატკბილებით. დღეს კი დაღუპდნენ ეს ხმები. აოხრდა და გაუკაცრიელდა მიდამო. და ამის შემდეგ რა მოხდა? ეს საცოდავი [ადამიანი] წავიდა და დაუკავშირდა ამ ბოროტ და ეშმაკ ქალებს. მათი სამკვიდრებელი ადგილები — კაშე¹⁸² და ალიუსი¹⁸³, რომელნიც ადრე გაკვრით მოვიხსენიეთ, იქაურ მცხოვრებლებთან ერთად თვითონ შემოიერთეს. შემდეგ კი ეშმაკისეული სიციფით აღზნებულებმა ააოხრეს ეკლესიები, რომლებიც დიდი ხნის წინ გველების საცხოვრებელ ადგილებში იყო ნაშენი. დაბა-სოფლებში მათთვის ხელსაყრელი მომენტი შეიქნა: ჩვენი მსხნელი ნიშნითა და ძლევის საღვთო იარაღით დაითრგუნა სიკვდილის გამარჯვება და ჩამოგვეშორდნენ ჩვენ შეუპოვარი მტრის გადაწყვეტილებები. პავლე მოციქული თავს ანებებს ამ ქმნილებებს და იკვებნის მისი სიძლიერით: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა“**.

ისინი შეიქნენ თავიანთი მამის ეშმაკის შურისმგებელნი და ურცხვად ანადგურებდნენ [ამ ნიშანს], მაგრამ ვინაიდან გავიხსენეთ ჯვარი, მოგიტორობთ სხვა საკვირველ ამბავს, რომელიც შეაძრწუნებს ყველა მსმენელს.

პახირის¹⁸⁴ მთის ახლოს, რომელსაც ახლა გაილანახუტი ეწოდება, მდებარეობდა ჩვენი მამების ერთი დაბა-ქალაქი. ბაზმაღბიურად¹⁸⁵ წოდებული. აქ ბრწყინვალებითა და მშვენიერებით აღმართეს

* ივანე სოლომონისნი, 5, 1—5.

** გალატელნი, 6, 14.

საღვთო ჯვარი, რომლის სახელის მიხედვითაც სოფელსაც შეეცვალა სახელი. მას დღემდე ჯვარი ეწოდება. სულიწმიდის მოფენის დღეს, ახალი კვირის ღამეს მოვიდნენ ეშმაკის ნების აღმსრულებელი. ჩაქუჩით დაანგრის ამ საღვთო ჯვრის თავი, ნაკუწებად აქციეს. მიწაზე დაანარცხეს, თვითონ კი ფარულად წავიდნენ და დამკვიდრდნენ გველის საბუღარ ადგილას. ამ [ამბით] ზევით ცა ვანციკვრდა. მთელი დედამიწა შეძრწუნდა და შიშმა მოიცვა. ეს [უბედურება] დაიტირა ცისკრის ვარსკვლავმა და დამწუხრდა ბნელი საღამო. [ამის შემდეგ] ჩვეულებისამებრ განთიადისას წამოდგა მღვდელი, მივიდა და [დადგა] ჯვრის წინ, რათა აღესრულებინა დიდი კვირის მსახურება. იხილა რა საკვირველი სანახაობა, მან ხელი წაივლო საყელოზე, შეიხსნა ტანსაცმელი და ხმამალალი შეძახილებით სასწრაფოდ თავი მოუყარა იმ ადგილის მცხოვრებლებს, რათა მათაც ენახათ [ყოველივე]. მათ იხილეს დიდი საკვირველება, იწყეს მოთქმა-გოდება, მკერდის ცემა; [შემდეგ კი] უკან დაბრუნდნენ. ყველა — კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ყრმა ერთხმად მოთქვამდა. და ვიდრე ისინი ასეთ გაჭირვებაში იყვნენ, უეტრად მათში აღმოცენდა ცოდნა ღვთის აუწერელი სიბრძნით. ღამით, როდესაც ეს [ამბავი] მოხდა, უეტრად მოვიდა თოვლი და გადაათეთრა დედამიწის ზედაპირი. მასზე აღიბეჭდა ურჯულოთა კვალი, რომელიც აღწევდა მათ ადგილ-სამყოფელამდე. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სამუელ მამამთავარს, რომელმაც, მოისმინა რა [ყოველივე], დიდძალი ხალხით იმ ადგილისაკენ გასწია. მან შეკრიბა გავარის ეპისკოპოსები, მღვდლები და მამები და მათთან ერთად წავიდა. [სამუელმა] გადაწვა და ააოხრა ურჯულოთა ადგილსამყოფელი და დასწყევლა მათი ქონება, როგორც იესუმ იერიქონი, რომ არავის გაეებდა რაიმეს წაღება. ამ [ურჯულოთაგან] მან შეიპყრო ექვსი, რომელთა შესახებაც ამბობდნენ, რომ ისინი ბოროტი და ბილწი რჯულის მოძღვარნი იყვნენ. [სამუელი] ხალხთან ერთად მოვიდა დაბა-ქალაქ ჯერმში¹⁸⁶ და ბრძანა მათი სახეების დადაღვა მელიის გამოსახულებით, რომ ეს ნიშანი სამარადისოდ ჰქონოდათ და ყველას ნათლად ეცნო ისინი, რომ უგუნურად აღარავინ დაკავშირებოდა მათ, არამედ ეს ბოროტები განედევნა ყოველ ადამიანს. ამის შემდეგ [სამუელმა] აკურთხა ხალხი. რომელიც მისი საქმიანობის მონაწილე იყო და მშვიდობით გაუშვა ისინი. ზაფხულის დადგომისთანავე მეფემ იქ გაგზავნა მოსამართლე, სახელად ელია, ქვეყნის მართლმსაჯულების მოსაწესრიგებლად. [ელიამ] მიიღწია თუ არა ეკელეაციის გავარს, მას წინ მიეგება უბოროტესი ვირვერი და ცილი დასწამა დიდებულ მამამთავარს

სამუელს და მასთან მყოფ ეპისკოპოსებს: „გაძარცვეს ჩემი სახლი და ააოხრეს და ცეცხლს მისცეს სოფელიო“. დიდძალი განძისა და ქონების ვალებიც მათ მიაკუთვნეს. ეს რომ მსაჯულმა მოისმინა, უფრო მეტად აენთო რისხვით და გაგზავნა მეომრები ნეტარი ეპისკოპოსების სასწრაფოდ მოსაყვანად. ხოლო ამ მეომრების მოსვლისას ეპისკოპოსების მეთაურმა ბრძანებები დაუგზავნა ეკლესიის მსახურთ, მღვდლებსა და განდევილებს, რომ ყოველგვარი ფიქრის გარეშე მასთან შეკრებილიყვნენ. როგორც კი მოაღწია ამ ამბავმა, თითქოს ღვთის მოხილვით ემცნო ყველას, მყისვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ერთ ადგილას. [იყვნენ იქ] არა მარტო მღვდლები, არამედ ბევრნი საერთოაგანაც, რომელთა რიცხვი არ შემოძლია დაეწერო. დიდძალი ხალხი მოვიდა მდინარე ეფფრატის ნაპირამდე, სადაც მას ერთვის მანანალი. ამ დროს წვიმების სიხშირის გამო ეფფრატი აღიდებულყო და ტალღებით მოედინებოდა, ხოლო მეომრებმა მოიტანეს ნავი და ჩქარობდნენ გადაეყვანათ მოხუცი ეპისკოპოსი სამუელი¹⁸⁷ და მისი ძმისშვილი თეოდორე მდინარის მეორე მხარეს მდებარე დაბა კოთერში¹⁸⁸, ვინაიდან იქ იყო მსაჯული. მაგრამ ხალხმა ეპისკოპოსები დააკავა და მეომრებს ხელთ არ მისცა. [მეომრები] კი ამბობდნენ, რომ ჯერ იმათ გადაეყვანათ და შემდეგ ხალხსო. ამ სიტყვებით მათ დაიყაბულეს [ხალხი] და ეპისკოპოსები ნავით გადაიყვანეს მეორე მხარეს. მსაჯულმა დააკავა ნავი და საპყრობილეში ჩასვა ეპისკოპოსები. ხალხი მიხვდა მათ ვერაგობას, რადგან ნავი მიუხედავად დაპირებისა აღარ დაუბრუნეს მათ. მალალი ხმით და გამამხნევებელი სიტყვებით ისინი ერთმანეთს აქეზებდნენ, რომ [უმჯობესი იყო] მომკვდარიყვნენ და გასულიყვნენ წყალში, ვიდრე სარწმუნოების წინამძღოლთა გაკიცხვა ესმინათ. უკვე მოსალამოვებული იყო, მზემ სხივების ანარეკლი თვითონვე დაიბრუნა და ჩავიდა. ხალხი განამხნევა ვარსკვლავების სინათლემ, მათ წინ წაიმძღვარეს მღვდელთა დასი და არათუ ჯვრის სადუმლოებით გააპეს წყალი, არამედ თვით ხელთ ეპყრათ საუფლო ძღვევის ნიშანი. შეადგნენ ერთმანეთს მხრებზე და გაბედული რწმენით გადალახეს წყლის აბობოქრებული დინება, რომელმაც აღვირისაგან შებოქილი შეუპოვარი ცხენის მსგავსად ხალხს გადასასვლელი გზა მისცა. ასეთი დიდძალი [ხალხისაგან] არავინ დაზიანებულა. როცა გადალახეს [მდინარე], ისინი მთელი ღამე ღვთის სადიდებელ სიმღერებს გალობდნენ. ჯგუფის წინამძღოლად მათ ჰყავდათ უცოდველი მარიამი, რომელიც არის წმინდა ეკლესია. ხალხს ხელთ ეპყრა დაფდაფი ანუ ჰემმარიტი რწმენა და არა თუ დადუმებულნი და უძლურნი იყვნენ მწვალებლური წამბილწველი ბიწი-

ერებისაგან, არამედ სულიწმიდის ძალით გაკაჟებულნი და წკრალა სიმღერებით გართულნი დავითის ქნარზე უკრავდნენ და ყველასათვის გასაგებად გაიძახოდნენ: „უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა, რამეთუ საკვრველი ქმნა“*. ამას მოსდევდა სიტყვები. ასეთ მაღალ ხმაზე სიმღერით მათ მთელი ღამე ღვთისადმი ლოცვებში გაატარეს.

მსაჯულმა კი, როცა შეიტყო საღვთო ხილვათა საკვირველებათა შესახებ, შეიგნო, რომ უფალი თანაუგრძნობს ჩვენ ხალხს. ამ საკვირველებისაგან შიშით შეპყრობილი ლოცვებზე ამყარებდა იმედს და ღმერთს მოუხმობდა დასახმარებლად. „უმეცრების გამო,—ამბობს იგი,—არ მინდოდა, უფალო, შენ კანონთაგან გადახვევა“. დილით, კვირა დღეს იგი წავიდა ეპისკოპოსთა სადგომ ადგილას, რომელსაც ფრისი ეწოდება. მან დააწესა სამართლიანი სასამართლო და ხალხის მეთაურები მართლმწაჯულების წამმართველებად განაწესა; [მსაჯულებმა] ბრძანეს, რომ უღირსი დამნაშავე ვირვერი მოსულიყო სამსჯავროში. არსებობს ერთი ცხოველი, სახელად ქამელეონი, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ მონადირეთაგან გადასარჩენად ყოველგვარ ფერს იღებს. ასევეა იგი. ქეშმარიტების ძლიერების ქამს მან დაინახა, რომ არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, რადგანაც გათენებისას დაინთქა ბნელი და ქეშმარიტების გამოძვლავებისას განადგურდა სიცრუე. მაშინ რა უნდა მოიმოქმედოს და როგორ ვერაგობას უნდა მიმართოს? მან აღთქმა დასდო ყოფილიყო ჰორომი და ეპისკოპოს ეპისარატის შვილობილი და ქრთამით დაეპყრო მისი გონება. [ეპისკოპოსი] მოვიდა სამსჯავროს წინ და სთხოვა მათ მისთვის გადაეცათ ვირვერი. მსაჯულსაც იგივე სურდა, რადგანაც ურჯულო [ვირვერის] ძმა ხელისუფლების პატივითა და სიმხნით მეფის რჩეულთაგანი და მახლობელთაგანი იყო, რასაც კარგად ხედავდა მსაჯული. ამიტომაც მან მისცა იგი მძევლად ეპისკოპოსს, როგორც ითხოვდა ამას [ეს უკანასკნელი]. ხოლო სხვები მის ამხანაგთაგან, რომლებიც იქ იპოვეს, ძლიერი ცემითა და წამებით ტანჯეს, [შემდეგ] გააძევეს და ააოხრეს. მათი სახლები ხალხმა ქება-დიდება შეასხა მსაჯულს და მშვიდობით წავიდა.

მაგრამ ღვთის განაჩენმა დაასწრო მას, რომელიც სასჯელს თუმცა გადაურჩა, მაგრამ ყოვლისმცოდნის ხელთაგან ვერ იხსნა თავი, რადგანაც უეცრად სიციხით აღენთო მისი სხეული, როგორც ჰეროვდესი. გაუშეშდა მას ხელებზე თითები და მათ ველარ შესძლეს საკმლით სხეულის მომსახურება. ამ საკმელსაც დიდი ტანჯვით ჰამდა, ვინაიდან საკვების შესასვლელი დახშული იყო და სიკვდი-

* ფსალმუნი, 97. 1.

ლის დღემდე საკვებს უკან აბრუნებდა. შემდეგ კი სხეული კეთ-
რმა მოსპო. მაგრამ მას არ მოუნანიებია ცოდვები და არც მოპოვონე-
ბია თავისი აღრინდელი კეთილმსახურება, არამედ იმავე სატანისე-
ული მწვალებლობით მოქმედებდა, ვიდრე არ დაასრულა სიცოცხ-
ლე. მისი სხეულის ტანჯვა და წვალება მუდამ მოაგონებდა [კაცს]
ჯოჯოხეთს, სადაც უნდა ეწამებინათ იგი.

უაზრობად ვთვლი მათი საზიზღარი საქმიანობის აღწერას,
რადგან ძალიან სამარცხვინოა იგი. და ვინაიდან ყოველ ადამიანს
არა აქვს მაგარი სასმენელი, ბევრი ცოდვების გახსენება აღიზიანებს
მსმენელთ და [ამგვარი] საქმის განხორციელებისკენაც კი მიჰყავს
[კაცი], ამიტომ მოვერიდე ამას. ეს არის, რაც კი ცნობილია მათ შე-
სახებ და რაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ. ისინი სრულიად არ ცნო-
ბენ ეკლესიას და [არ ეთანხმებიან] ეკლესიის წესებსა და კანო-
ნებს. [მათთვის არ არსებობს] არც ნათლისღება, არც მსხვერპლ-
შეწირვის დიდი და შიშის მომგვრელი საიდუმლოება, არც ჭვარი და
არც მარხვის კანონი. ჩვენ კი, წმინდა სამების ჭეშმარიტი მორწმუ-
ნენი, მტკიცედ ვინახავთ ურყევ იმედს, რაც გვისწავლია წმინდა მა-
მათაგან და მათ ღვთისმგობებელ ბრბოს პირს ვარიდებთ და წყევლას
გუგზავნივთ.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ო თ ხ ე

სახელგანთქმული ძალაჲს ანისის განაღვრების ამაჲვი

ადამიანთა მოდგმა დიდ თვალთმაქცობასა და უგუნურებაში
ჩავარდა. აღვირახსნილობით და ქარაფშუტული გონებით ისინი
თავიანთ საქმეებს აფარებდნენ თავს. მხნე და წარმოსადეგ ვაჟკა-
ცებს, შეუპოვრებსა და უძლეველებს ღვთის შვილებს უწოდებდნენ.
ზოგიერთი კი ციხე-კოშკში იყო გამაგრებული და მიუდგომე-
ლად ჰქონდათ ეს სიმაღლე. მათ აღარ სურდათ უფლის სიკეთის
ფაილიდან საკმლის მიღება, ასევე [მოებზრდათ] უგუნურების ის
ადრინდელი ნაგებობა, დიდი ჯაფის გადამტანი და უკვე დაძველე-
ბული. ქალაქ ერიქოვის მცხოვრებნი ციხე-კოშკთა სიმტკიცის გა-
მო თავს აღარ თვლიდნენ ჭანანელებად. მათ ფლობს უფლის მარჯ-
ვენა, ან ყოვლისმპყრობელის მახვილი მიუახლოვდება მათ. უფა-
ლია, რომელიც აშენებს და არღვევს; ციხეებს არყვეს და მაღალ
კოშკებს ანგრევს. სწორედ ამიტომ ის კოშკი, რომელიც ლიბანანის
თავზე იყო დავითის მიერ აშენებული, მახვილითა და ფარით გა-
მაგრებული დამასკოსის წინააღმდეგ. წინ ვერ აღუდგა ედერს, რო-
მელიც დაუჟავშირდა სოლომონის მოწინააღმდეგეს, რადგანაც სიწ-

მინდე არის ციხესიმაგრე და რჩეული ზღუდე—ღვთისმსახურების საქმეები.

აწ კი დაეუბრუნდეთ კვლავ [ისტორიის] რიგს ადრე თქმულის თანახმად. ისინი მცირედად და უმნიშვნელოდ ნუ ჩათვლიან ცოდვებს, რომლებსაც არ ინანიებენ; ისინი თავიდან იშორებენ ახლობლისა და მეზობელთა სასჯელს, რომელიც ცოდვისათვის მიეზღვევათ. მოთქმა [გვმართებს] კვიპაროსთა ტყისათვის და ზეთისხილის ხეთათვის. ყველანი, რომელთაც თავზე დაემხოთ ციხე-კოშკი, არ არიან სიკვდილის ღირსნი ღვთის ბრძანების თანახმად, არამედ [არსებობენ] მახლობელთა და სხვათა ცოდვების გასაგებად და შორეულთა გასაფრთხილებლად და მოსარიდებლად. უბედურება, რომელიც თავს დაატყდა არწინს, არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა. დრომ დავიწყებას ვერ მისცა იგი. ბევრმა თავისი თვალით იხილა და ყურით მოისმინა. მრავალი ქვეყანა და ქალაქი განთავისუფლდა ამ მძარცველისაგან, მაგრამ თავიანთი გონებით არ დაჰმორჩილდნენ და მტკიცედ აუჯანყდნენ არა თუ ადამიანს, არამედ ღმერთს, რომელიც ფეხქვეშ თელავს მალალ კოშკებს და გამაგრებულ ქილაქებს მიწის ბორცვად [აქცევს]. არ შეიგნეს და გულში არ გაივლეს ღვთის შიში და მისგან მომდინარე მუქარა. რისხვისა და ჯავრის ნალექი, რომელიც მისგან მომდინარეობს ცოდვილთა სასმელად, დამთავრებულად ჩათვალეს. განსაკუთრებით ანისის ციხესიმაგრისა და მის გარშემო არსებული [სიმაგრეების მცხოვრებლებმა], უფრო მეტად გაწაფულებმა ამპარტავნობაში, ზეცის წინააღმდეგ აღმართეს ხელი, ვიდრე არ აღძრა თავის ნაცვლად სპარსთა მეფე, რათა ენახა რა ხდებოდა იქ. მტერმა ბრძოლა გამართა სომეხთა ქვეყანაში თავისი სამკვიდროს გასაფართოებლად და სხვისი სამეფოს საზღვარზე გასაბატონებლად. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის ხუთას ცამეტ წელს*.

მეფე წამოვიდა და მოვიდა დიდძალი ჯარით და ურიცხვი შეიარაღებით, შევიდა ჩვენ ქვეყანაში და შიში და ზარი თავს დაატეხა შორეულებსა და მახლობლებს. მან ფეხქვეშ გათელა და ააოხრა მრავალი ქვეყანა, სანამ მიადწვია ქალაქ [ანისს], რომელიც ცოდვებით იყო აღსავსე. [სპარსთა მეფემ] დაიბანაკა ქალაქ ანისის მოპირდაპირე მხარეს და ქვეყნის ფართო სივრცეს მოეფინა. იგი თავს ძალას ატანდა და ცდილობდა, რომ გამოეგვრია რკინის კარი და სპილენძის ურდული, რომელიც დაბრკოლებად იყო აღმართული მისი სამეფოს წინაშე; [ქალაქის] სიმტკიცის გამო იგი იმედდაკარგული

* 1064 წ.

იყო, თუმცა ბრძოლა გააჩნდა, [მაგრამ] უკან დახევა სურდა. მან ის არ იცოდა, რომ უფალმა ზედამხედველთა და მთავართა შორის ჩამოავდო განხეთქილება და უთანხმოება, შინაბრძოლა და გათიშვა. მათ მიატოვეს ბრძოლა და გაიქცნენ. ისინი იმდენად ჩქარობდნენ 'შიშისაგან, რომ არც კი მიუხედავთ ნათესავებისა და მეგობრებისათვის; თითოეული მათგანი შიშით იყო შეპყრობილი. [ქალაქის კედლებს] გარეთ მებრძოლმა შეიარაღებულმა ჯარებმა რა დაინახეს, რომ მათი მოპირდაპირე ზღუდიდან გზა ხსნილი იყო. ზღვის ტალღების მსგავსად ქალაქის შიგნით ჩაცვივდნენ, აამოქმედეს სპარსული მახვილი და არავეინ დაინდვეს. ხოლო კაცთა და ქალთა სიმრავლემ მეფეთა სასახლეს მიაშურა, რომ ეგებ როგორმე ეხსნათ თავი, სხვებმა კი თავი შეაფარეს ნერქინ ბერდად წოდებულ ციხეს. მტრებმა როდესაც გაიგეს, რომ ქალაქში გამაგრებულები მოუშზადებლები იყვნენ (არ იყო მებრძოლი ძალა, არც საკმელ-სასამელი), მყისვე ალყა შემოარტყეს [ქალაქს] და ისე შეაშფოთეს [ყველა], რომ უნებლიეთ [ქალაქიდან] გარეთ გამოიყვანეს.

იქ ნახავდით ყოველი ასაკის [ადამიანის] გლოვას და მწუხარებას, რადგანაც დედებს მკერდიდან აგლეჯდნენ ყრმებს და შეუბრალებლად ქვებს ურტყამდნენ, [ხოლო] დედები სისხლით და ცრემლით ასველებდნენ პირმშობებს. ერთი მახვილი სპობდა მამასა და შვილს. მოხუცებულებმა და ახალგაზრდებმა, მღვდლებმა და დიაკვნებმა ერთი მახვილის სასიკვდილო საკვები მიიღეს. გვამებით აივსო ქალაქი კიდით კიდემდე ისე, რომ გზა მოკლულთა გვამებზე [გადიოდა]. ამოწყვეტილთა სიმრავლისა და ურიცხვი გვამებისაგან [მომდინარე] სისხლით შეიღება წყლის დიდი ნაკადი. რომელიც ქალაქის ახლოს მოედინებოდა. გარეულ და შინაურ პირუტყვთა [საბუღრად] იქცა დახოცილთა სასაფლაო, რადგან კაცი არ იყო, რომელიც დამარხავდა და საჭირო მიწით დაფარავდა ამოწყვეტილთ. იქ მომხდარ კიდევ სხვა დიდძალ ბოროტმოქმედებათა [შედევად] განადგურდა მაღალი და დიდებული სასახლე და ყველა ნაგებობა მიწის ბორცვად იქცა. [ამიერიდან] ბოლო, მოვლო იქ გამეფებულ მფლანგველობასა და ვერაგობას.

ეს არის ხვედრი უსამართლო ქალაქთა, რომლებიც ნაშენი არიან უცხოელთა სისხლით, გამდიდრებული ლატაკთა ოფლით. სახლებს ისინი ამაგრებდნენ გამორჩენისა და უსამართლობის [წყალობით]. ისინი შეუბრალებლად ეპყრობოდნენ ლარიბ-ლატაკებს და მხოლოდ სიტკბოებას და ფუფუნებას მფარველობდნენ. უპატიოსნო საქმეებს არ ერიდებოდნენ, არამედ დამთვრალნი იყვნენ სურვილით, რომ [როგორმე] დაუფლებოდნენ მათ. აწ რა შეემთხ-

ვევათ მათ ღვთის რისხვის მოწვევისას? ისინი ამოწყდებიან და გაქრებიან როგორც სანთელი ცეცხლისაგან, მეფე იქნება თუ მთავარი, როგორც ეს ცნობილია წიგნიდან. ხოლო სპარსთა მეფემ დაიპყრო მრავალი გავარი და ურიცხვი ნადავლით თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ხ უ თ ე

ბერძენთა მეფის შესახებ, რომელიც შეიპყრო სპარსთა მეფემ

აწ კი არ არის საჭირო ჩვენამდე მოუღწეველი და მიუდგომელი ამბების მოთხრობა ან კალმით აღბეჭდვა, როდესაც ჩვენ არა გვაქვს სხვათა ნაშრომები ამ ამბების შესახებ. ჩვენგანაც არავინ მოითხოვს და ჩვენც არ შეგვიძლია ხელი მივყოთ [აღწერას]. ამის გამო ბევრი საჭირო ისტორია, რომელსაც მათთან ჰქონდა ადგილი, სხვა მცოდნე და გონიერ ადამიანებს მივანდევთ [აღსაწერად], რადგან, შეიძლება ვინმემ მოითხოვოს მათგან [ამ ამბების თხრობა]. მით გულმოდგინეობით ამოქმედდებიან შემძლებელნი. დიდ ვნებად ჩავთვალეთ გვერდი აგვევლო ორი მეფის საბრძოლო [საქმიანობის აღწერისათვის]; მოკლე სიტყვით უნდა დავასრულოთ დიდა საქმეების [აღწერა].

მეფე დიოგენემ, რომელიც მეფეთა რიგის მიხედვით დიდი კონსტანტინეს შემდეგ მესამოცე იყო, დაინახა, რომ სპარსთა მეფემ ბევრი ქვეყანა ჩამოაცილა მის სამეფოს, გააქცია ბერძენთა მხედართგამგებელნი, თვით კი დიდი ნადავლითა და ტყვეებით თავის ქვეყანაში დაბრუნდა. ბერძენთა მეფემ 10 წლის შემდეგ დიდი გულმოდგინეობითა და გამბედაობით თავს იდვა საბრძოლო საქმე, რათა შშიშარა და ცუდ [ადამიანად] არ გამოჩენილიყო და თავის შემდეგ ავი სახელი არ დაეტოვებინა. მან ამაყად და დიდი რისხვით გადალახა როგორც ხმელეთი, ისე ზღვა, დაიბანაკა ბითანიელთა ქვეყანაში და [ჯართა] ურიცხვ სიმრავლეს მოუყარა თავი. მას ჯერ კიდევ დიდი და ვრცელი სამეფო ეპყრა ფინიკიელთა ხეობებიდან მოყოლებული. სადაც მდებარეობდა დიდი ანტიოქია, ვანის სიმაგრემდე¹⁸⁹ და რშტუნთა¹⁹⁰ მთელი ქვეყანა ჰერის მოპირდაპირე [მხარეს]. როდესაც მან იხილა ერთ ადგილას თავმოყრილი ჯართა ასეთი სიმრავლე, გაამაყებულმა მედიდურად გაიფიქრა, რომ მიწიერი მეფეები ვერ დაამარცხებდნენ მას. მას არ ჰქონია მხედველობაში წი-

ნასწარმეტყველის სიტყვა იმის შესახებ, რომ ჯართა სიმრავლეს არ შეუძლია მეფის ხსნა და არც მის ძალას — გოლიათისა, არამედ [მას ოხსნის] ყოვლისშემძლეს მარჯვენა და მკლავით.

მან უგუნურად მოიმოქმედა: სპარაპეტთა თანხლებით დიდძალი ჯარი სხვა გზით გაგზავნა, თვითონ კი [ხალხთა] დიდი სიმრავლით აღმოსავლეთისაკენ [მიმავალ] გზას დაადგა, მიალწია დიდ ქალაქ თეოდოსიოპოლს და იქ ცხენოსანთა ჯარი შეადგინა. ბოროტებით [სავსეა] ცოდვები, თუკი [დამნაშავე] აღარ არის [ღვთის] შვილი და კარგავს გონიერებას. მაგრამ უფრო მეტად [ვენების მომტანია] ის ამპარტავნობა, რითაც მოქმედებდნენ მთავრები და მეფეები. მათ ვერ ისწავლეს ჭკუა წინანდელ მედიდურ [ადამიანთა] განადგურების გახსენებით, რომ ბოროტების ეს სენი დამლუპველია ყველა მათთვის. ვისაც იგი შეეყრება და სხვა არავინ არის ამპარტავნის მოწინააღმდეგე, თუ არა ღმერთი, როგორც [ამას ამბობს] მეიგავე. სწორედ ამიტომ მან ნება დართო ჯარებს დასვენებისა; სანამ სხვა ჯართა სიმრავლე მოვიდოდა და მასთან თავს მოიყრიდა, [იმის წინააღმდეგაც წავიდა], რომ მათ ერთმანეთი წაექეზებინათ სიმხნისა და ძალების აღდგენისაკენ და შეექმნათ მტერთათვის თავზარდამცემი [ერთი] დიდი ბანაკი. [მეფეს] სურდა მხოლოდ თავისი ძალებით წარემართა ბრძოლა. მან მყისვე მიალწია მანაზკერტის გავარის საზღვრებს, სადაც დაბანაკებული იყო სპარსთა მეფე. [მეფემ] აქ სპარსთა ჯარის პირდაპირ სამეფო კარავი დადგა, თავის გარშემო გაამაგრა და ბრძოლის დღეც დანიშნა.

ხოლო სპარსთა მეფემ შიშისაგან ვერაგულად მოითხოვა შებრძოლება. რომ არ მოსულიყვნენ [ბერძენთა] დაფანტული ჯარები, არ გაემგზავრებინათ მეფის [საბრძოლო ძალები] და დაუძლეველი არ გამხდარიყვნენ მისთვის. მან უმჯობესად ჩათვალა ორის წინააღმდეგ დგომა, ვიდრე სამისა. [სპარსთა მეფემ] იჩქარა, წამოიჭრა [ადგილიდან] სანამ [ბერძენთა მეფე] ბერძენთა ჯარებს გააწყობდა სპარსთა ჯარების წინააღმდეგ. ისინი გაამაყდნენ, ერთმანეთს შეუტოეს და აბრძოლო წესით ერთმანეთს ეკეეტნენ. ჯერ კიდევ არ იყო აშკარა არც ერთი გუნდის დამარცხება, რომ უეცრად ერთი დიდი გუნდი, რომელთა შორისაც არ არსებობდა ღვთის მსახურება, აუჯანყდა ბერძენთა მეფეს და მტრების მხარეს გადავიდა. ამის გამო დიდძალი ჯარი ამოწყდა. ამის შემდეგ [უკვე] არა თუ მხნედ, არამედ მოღუნებულნი გამოვიდნენ. სპარსნი კი აღენტნენ [გამბედაობით], მხნედ და მკვირცხლად გაემგზავრნენ [საბრძოლველად]. ხოლო ბერძენთა მეფე უმიზეზოდ და საქმის უცოდინრად

რისხვით აღივსო სომეხთა ჯარისა და ხალხის მიმართ და ეკვის თვალთ შეხედა მათ. მაგრამ [მალე] მან დაინახა [სომეხების] ერთგული ბრძოლა და მხნე კაცთა თავგანწირვა, რომლებიც არა თუ შეუშინდნენ სპარსელ მშვილდოსნებს, არამედ მხნედ დადგნენ ბრძოლის პირისპირ და ზურგი არ შეაქციეს; თუმცა ბევრნი მტრულად განწყვნენ მეფისადმი, მაგრამ [სომეხებმა] მაინც თავს იდევს სიკვდილი, რომ მათი სიკვდილის შემდეგ ერთგულებისა და სიმხნის ღირსეული მოგონება დარჩენილიყო. [მეფემ] შემდეგ გამოამკლავნა მათ მიმართ სიყვარული და შეპირდა ხელშეუხებელ ძღვენს.

მეფემ ზევით აიხედა მტრებისაკენ იმ ადგილიდან, სადაც იყო დამკვიდრებული და დაინახა, რომ თავისი ჯარიდან ზოგიერთები აჩქარებულიყვნენ და გაქცეულიყვნენ. მან მყისვე შეიარაღებული მებრძოლის სახე მიიღო და როგორც ელვა მიიჭრა ბრძოლის ველზე. სპარსთა მხნე კაცთაგან ბევრი ამოწყვიტა და მიწაზე დაანარცხა და შიშის ზარი დასცა მათ ჯარებს. ამასთანავე მან ვერ გაიგო, რომ უფლის ჯარების მხედართმთავარი არ იყო მასთან. რომელიც წარმოუდგა იესუს და მიანიჭა გამარჯვება. არ წასულა უფალი ჩვენ ჯარებთან იარაღითა და ფართით და არ აღმართა მახვილი მტრების მიმართ და არ გაუწია მათ წინააღმდეგობა. უფალს ჩვენთვის არ მოუნიჭებია ძალა და არც ხსნის იმედი მოუცია. არამედ მან მთელ ძალას თავის თავში მოუყარა თავი, ჩვენ კი [მოგვაშორა იგი], მტრების ხელთ ჩაგვავლო მეზობლების მიერ ჩვენ გასაკიცხავად და როგორც ცხვრები დასაკლავად მიგვცა. ჩვენი მშვილდები დაიშხვრა, იარაღი გატყდა, ჩვენი ჯარები დაუძღურდნენ და მოეშენენ, რადგანაც უფალმა თავისი ძლიერება და ვაჟკაცური სული ჩამოაშორა ჩვენ მეომრებსა და მთაერებს, წაართვა მათ ხმალი და ძალა და მისცა მტრებს მათი უმსგავსო საქმიანობის [განსახორციელებლად].

ქვეყნის მპყრობელი და დიდი ტახტის მფლობელი. როგორც უძღური ცოდვილი მონა, შეპყრობილი მიჰგვარეს სპარსთა მეფეს. ხოლო ღმერთი, რომელიც კრილობებს აყენებს [აღამიანებს] და თან განკურნავს მათ და რომლის კაცთმოყვარეობის სიტკბო განუსაზღვრელია, მთლიანად კი არ ამარცხებს ძირს [აღამიანს], რომელსაც ჭკუას არიგებს, არამედ მცირეოდენი გაჭირვების [მიყენების შემდეგ] აპატიებს, რომ ჩვენ შევიგნოთ ჩვენი უძღურება. მან დაიცვა თავისი ტახტის მფლობელი და პატივი სცა მას. სპარსთა დაუნდობელი მეფის გულში სიყვარულმა და ყურადღებამ იჩინა თავი [შეპყრობილი მეფის] მიმართ, როგორც საყვარელი ძმისადმი, რომელიც დიდი სიამტკბილობითა და ზრუნვით გაისტუმრა.

მაგრამ [ის პიროვნება], რომელიც ღმერთმა გაათავისუფლა და იხსნა უცხო ტომთა ხელთაგან, მისმა ახლობლებმა მოტყუებით და სამარცხვინოდ დააბრმავეს, მოკლეს და დაუღუგევი სისხლი დაღვარეს იმ სამეფოში. ამის შემდეგ აღიკვეთა მთავართა და მეომართა ძლიერება და ამ სამეფოს აღარ გაუმარჯვია. მთავრები ვერაგობითა და შურით აღივსნენ ერთმანეთის მიმართ და მსაჯულთა მართლმსაჯულებაც აღკვეთეს. ისინი მხოლოდ აოხრებდნენ ქვეყანას და არ იცავდნენ მას, ვიდრე რისხვით არ აღენთო უფალი, რომელმაც მრავალ ტომს მოუყარა თავი შურის საძიებლად. ლუსნალერინქიდან და ინდოეთის ჩრდილოეთ მხრიდან მომდინარე დიდ მდინარედ მოყოლებული ბოროტი უცხო ტომები წყლის დიდი ნაკადის მსგავსად ჩვენს ქვეყანას მოადგნენ, რათა დამკვიდრებულიყვნენ ოკვიანოსის ზღვის ნაპირას. მათ აღმართეს კარგები დიდი ქალაქის პირდაპირ მთელი ჩვენი ქვეყნის სისხლითა და გვაშეშებთ ასავსებლად და ქრისტიანული რაჯულის და წესის აღმოსაფხვრელად.

სპარსთა მეფემ ალფ-არსლანმა, როდესაც დაინახა ასეთი გამარჯვება, სამ ბრძოლაში წარმატება, (თუმცა პირველად ვერ აიღო მანაზკერტი, მაგრამ ბევრი ქვეყანა მახვილითა და ტყვეთა წასხმით დაამხო, მეორედ ანისი მახვილით ამოწყვიტა და ამობუგვით უკაცრიელ და უდაბურ [ადგილად აქცია], უშიშრად და გაბედულად მოვიდა ბერძენთა მეფესთან. მან აღქმა დასდო თავისი თავის წინაშე, რომ თუ შეპყრობილი იქნება [ბერძენთა მეფე], სიყვარულითა და პატივისცემით გავისტუმრებთ მას თავის სამეფოშიო. [სპარსთა მეფემ] ფიცით დადო ხელშეკრულება, რომ სიმშვიდე დამყარდებოდა სპარსთა და ბერძენთა სამეფოებს შორის. მაგრამ როდესაც იგი ამ ბრძოლის შეაგულში აღმოჩნდა, აღსრულდა, რაც მას სურდა და ის, ვის გამოც შიში და ძრწოლა იპყრობდა, ბორკილგაყრილი მის წინაშე იდგა, როგორც ერთი მისი მსახურთაგანი. მაშინ მას მოაგონდა ის პირობა, რომელიც ღმერთთან დადო, წამოაყენა [მეფე] და თავისთან დაისვა მარჯვენა მხარეს, განადიდა იგი, როგორც ერთგული მეგობარი და შეუთანხმდა მას, რომ „ჩვენ შორის ამიერიდან აღარ ექნება ადგილი ჩხუბს, არამედ მშვიდობიანად განაგებ შენ სამეფოსო, მაგრამ რაც კი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს, მე უნდა დამრჩეს, [სამაგიეროდ] მე თავს არ დავესხმი თქვენ ქვეყანას“-ო. [სპარსთა] გამგებელმა იგი დიდი პატივით გაისტუმრა. ხოლო მას შემდეგ, როცა შეიტყო, რომ ბერძენთა მეფე ვერაგულად შეიპყრეს მისმა ნახარარებმა, დააბრმავეს ისე, რომ

იგი ვერც კი ელირსა მეფობას, არამედ ტანჯვით მოკვდა, [სპარსთა მეფე] რისხვითა და აღშფოთებით აღივსო. მან გადაწყვიტა თავისი საყვარელი [ადამიანისათვის] შურისძიება, მაგრამ სიკვდილმა უწია მას და ყველა მიწიერის კვალდაკვალ წავიდა იგი ამ ქვეყნიდან იქ, სადაც ერთად არიან მეფეები და ლატაქნი.

ამ წიგნის ანღერამ-მოსახსენაბელი

საკიროდ ჩავთვალე ჩვენი საყვარელი ძმებისათვის წერილობით გაგვეხსენებინა უკვე ცნობილი საქმეები ისევე, როგორც ისტორიის დასაწყისში მოკლე სიტყვით აღვნიშნეთ ღვთის წინასწარცნობა და მისი უსასრულობა, [აგრეთვე] იმის შესახებ, თუ სწრაფად მავალი და ქვეყანაზე ზევიდან დამყურე, ლამაზი და მანათობელი სხეული შუა ღღეზე, როდესაც სწრაფი მოძრაობით სრულად ანათებდა დედაძიწის ნახევარსფეროს, ისე სქლად დაიფარა ჩვენი ძველთაძველი ცოდვებით მოქსოვილი ფართო სამოსით, რომ მისი სხივების ელვარებაც დაიბინდა. ის, რაც ადვილად საცქერი არ იყო [კაცის] თვალისათვის, ვარსკვლავებზე ბევრად დამცრობილი გამოიყურებოდა და მხოლოდ მისი წრელა ჩანდა. მისი მაგალითით ეკლესიის ბრწყინვალე და დიდებული კეთილმოწყობა წყვედიად დაიფარა, ხოლო სულთა ბრწყინვალეობა და მამაცობის გზის სიდიადე ჩაქრა და დაბნელდა, რადგანაც როგორც აღვნიშნეთ, ამის შემდეგ ე. ი. სომეხთა წელთაღრიცხვის ოთხას ოთხმოცდაორი წლიდან* დღემდე სიწმინდის აღსარება და ეკლესიათა წესი და რიგი გაიხრწნა და წაიბილწა. [ამიერიდან] ველარ ვისმინეთ მშვიდობიანი ამბავი ან სიკეთის ხარება და არ აღმართულა მეფეთა ან მთავართა გამარჯვების არც ერთი ქანდაკება, მაგრამ მხოლოდ ეს როდია. ბერ-მონაზვნებმაც ველარ შეძლეს მებრძოლ უწმინდურათათვის წინააღმდეგობის გაწევა, არამედ დასუსტებულნი, ძალაგამოცლილნი, მოთმინების საზღვარს გადასულნი და ქედუხარელნი მტრებს ჩაუცივიდნენ ხელთ. მტრობამ და არეულობამ მოიცივა მთელი ქვეყანა, რადგანაც ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება თანდათანობით [მზის] დაბნელებით შეიცვალა, ამიტომ ამიერიდან თავს დაგვესხნენ მტრები და შეგვმოსეს ჩვენ მწუხარებისა და სევდის სამოსით. მხიარულება აღიკვეთა მთელი ქვეყნიდან.

აწ კი, როდესაც ამგვარი უბედურება და საქვეყნოდ საგოდებელი ტკივილები მოედვა მთელ დედაძიწას, სამხრეთიდან წარმოქმნილმა ცეცხლმა გადაწვა მაღალი ციხესიმაგრეები და მიუღღგომე-

* 1033 წ.

ლი კოშკები სანთელივით დააღწი და გაანადგურა, შემცირდნენ და დაკნინდნენ მეფე-მთავრები და ჩვენც წარგვეხოცა ხსნისა და თავ-შეფარების იმედი. თავს დაგვაცხრა უფლის რისხვა, რადგანაც დაინგრა ეკლესიები, სიწმინდის ზეთით ცხებული ქვეები უცხო ტომთა სასახლეების საძირკვლად ჩაყარეს. წმინდა ღვთისმომსახურება აღი-გავა [ქვეყნის] შიგნით. ჩვენ კი კერპთაყვანისმცემელთა დაცინვისა და შეურაცხყოფის [საგნად] ვიქეცი. დაუძლურდით და დავკინ-დით და ჩვენი მხრები მიწას შეუერთდა. დავემსგავსეთ გამხმარ ძვლებს, რომლებსაც სუნთქვისა და სიცოცხლის იმედიც არ გააჩ-ნიათ. ჩვენი მამების ცოდვები დაგვაწვა და ჩვენი წინაპრების გამო ჩვენგან უნდა იძიონ შური. შეიდმაგი მისაგებელი მივიღეთ, რად-განაც ქრისტიანობის სახელი შეურაცხყოფისა და დაცინვის [საგ-ნად] იყო მიჩნეული. კანონიერება და მართლმსაჯულება გაგვშორ-და და ჩვენი ცრემლებისა და კენესა-გოდებისათვის ადგილი აღარ იყო. გაძლიერდა ჩვენი დაჩაგვრა, გაჩანაგება და ამოწყვეტა. ბორო-ტებად მიაჩნდათ მათ იმ აუცილებელი ტანსაცმლის ტარება, რომე-ლიც ფარავდა ჩვენ სირცხვილსა და უპატიოსნებას, არამედ როცა კი გვხედავდნენ გაშიშვლებულებსა და სამარცხვინო [მდგომარეო-ბაში], მით უფრო მეტად ხარობდნენ. ჩვენ კი თავს დამტყდარი მრავალი მწუხარებისაგან ძალაგამოცლილნი და გამხმარნი აჩრდილე-ბივით დავდივართ მიწაზე შიშით და ძრწოლით. ჩვენი საკმელი უძარღვოა და სასმელი — მწარე ჩვენი უფლის შიშის გამო, რადგან-აც არ მიაჩნიათ, რომ ჩვენი ღმერთი ცაშია და რომ ჩვენი ლოცვა-ვედრებანი მიაღწევს მას. უფალმა ისურვა ამგვარი ტანჯვით ჩვენი წამება, გაძევება და დატანჯვა ყოველი ასაკის ადამიანისა. ჩვენი მო-შორება, როგორც დამნაშავეთა და სასჯელის ღირსთა და გაძევება უცხო ტომებთან, რომ ეგებ მოედრიკა ჩვენი ურჩი და შეუპოვარი გონება და მოვექციეთ დასასჯელი ჯოხის ქვეშ, როგორც ისრაელი ელიას დროს და სამარია ელისეს დროს. მათში არ არის იმედის ნა-წილი, აღკვეთილია მეფეთა და მთავართა ზედამხედველობა და რაც ყველაზე უფრო მთავარია, დაღუპდა წინასწარმეტყველთა საამო და სასიხარულო სიტყვები, რითაც ძალას იკრებენ და შეუძლიათ განსაცდელისა და გაჭირვების ატანა, რომელიც უფლისაგან მიიღეს. ხოლო ჩვენ უფრო მძიმე და ცუდ მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ყველა სხვა, უმეფოდ და მთავრის გარეშე, უპატიოსნოდ და უზე-დამხედველოდ როგორც სულიერად, ასევე ხორციელად. არ მო-იბოვება ჩვენთვის თავშესაფარი ადგილი, არამედ დაბეჩავებული და დამორჩილებულნი ვართ კერპთაყვანისმცემელთა ძალაუფლების ქვეშ. ყოველდღიურად ვღებულობთ მათი ჯოხის სასტიკ დარტყმას.

ჩვენ არ ვემსახურეთ უფალს, [სანაცვლოდ] მოვემსახურებით უცხო ტომებს. უფლის შიში არაფრად ჩავადგეთ, მათი შიშით კი შეძრწუნებულნი ვიქნებით განუწყვეტლივ და რადგანაც უფლის მსახურება დაუდევრად შევასრულეთ, მათ უნდა ვემსახუროთ დღე და ღამე. ღმერთმა ჩვენი დანაშაულის მიხედვით კი არ დაგვსაჯა, არამედ თანაგრძნობითა და შეწყალებით ჩაგვაგდო სასჯელის ღუმელში ჩვენი ცდუნებიდან გამოსაყვანად და სარგებლობის მოსატანად.

თუკი ჩვენ ცოდვებს დადებ სასწორზე, ისინი უფრო მძიმეა, ვიდრე ჩვენი სასჯელი, რომელიც შენგან მივიღეთ. და უფრო მსუბუქია შენი სასჯელი, ვიდრე ჩვენი ვალი. დე, ტანჯვა-წვალება თავს დაგვატყდეს, მხოლოდ შენგან ნუ გავვაძევებ, უფალო, დე, მოგვიტანე განსაცდელის ტალღა, ოღონდ შენ სიყვარულს ნუ მოგვაკლებ, უფალო. უმჯობესია შენ ხელთ ჩავვარდეთ და მივიღოთ სასჯელი და მისაგებელი, ვიდრე შენს გარეშე დავრჩეთ თვითნებურად. უმჯობესია შენთან ახლოს ყოფნა ტანჯვითა და გაჭირვებით, ვიდრე შენთან განშორება და მშვიდად და თავისუფლად ცხოვრება. ჩვენთვის საკმარისია ის, რომ შენი წმინდა სახელი გვეწოდება ჩვენ, ვითვლებით რა შენ შემკვიდრებებად. შენ კი ახალი აღთქმის ხალხად გვაღიარე ჩვენ პატიოსანი სისხლით. აწ კი ნუ გავვაგდებ შენ ხელთაგან შენი ნებით, რომ საბოლოოდ არ ვეწამოთ საძულველ წარმართთაგან. ეს ყოველივე და უფრო მეტი [უბედურება], ვიდრე ამ წიგნშია აღწერილი, თავს დაგვატყდა ჩვენი ცოდვების გამო.

აწ კი საკმაოდ ჩავთვალეთ ჩვენ დროს მომხდარი მღელვარებინა და არეულობის აღწერა, ნაწილ-ნაწილ დაყოფა [იმ ამბებისა], რომლებსაც ადგილი ჰქონდა თითოეულ ადგილას, ქვეყანასა და ქალაქში და რაც განვიცადეთ კერპთაყვანისმცემელთაგან. არა თუ ერთ დღეს, ან ერთ რომელიმე დროს ვიყავით შეგებასა და ღზენაში, არამედ ჩვენი [ცხოვრების] ყველა დღეები სავსე იყო მოუსვენრობითა და გაჭირვებით. [ჩვენ ცხოვრებაში] ყოველდღიურად ღრმად იკიდებდა ფეხს უბედურება და გაჭირვება. მათგან არც ერთი არ იყო ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი, თუმცა მრავალი წელი ჩვენთან ცხოვრობდნენ. მათი რისხვა, ისევე როგორც გველისა [ვერაფერმა] დააცხრო და ვერ გაძღა მათი სიხარბე, ისევე როგორც ცეცხლისა, რადგანაც ჩვენ შესახებ ყოველი მათი აზრი ბოროტია და მათი სიტყვები ვერაგობითაა აღსავსე. ყოველ დღით ისინი ახალ-ახალ ბოროტებას იწყებენ, ყოველი მათგანის ფიქრი იქითკენაა მიმართული, რომ მოგესპოს და გავგანადგუროს, როგორც დაძველებული ტანსაცმელი, აღგავოს ჩვენი ხსენება თავისიანებიდან, რომ აღარ გვი-

ზილონ ცოცხალი, არამედ უკვალოდ დაიკარგოს ჩვენი საფლავები მათ ფერხთა ქვეშ.

ჩვენ მოკლებულნი ვართ ძველი ქამთაღმწერლების ისტორიებს, ისინი ღირსეულად და შესაფერისი სიტყვებით დაღს დაასვამდნენ ამ წიგნს, რომელშიც აწმყო და წარსული ამბები სარწმუნოდაა ერთად თაემოყრილი. დე, მათ შესახებ დარჩეს მოგონება, როგორც ამას ვხვდებით ჩვენი წინაპრების ისტორიულ თხზულებებში, ხოლო ის, რაც ამ წიგნშია აღწერილი, არ არის სრული, არამედ მხოლოდ დასაწყისია იმის [აღწერისა], რაც ჩვენ შეგვემთხვა. ჩვენ ვერ შევძელით ზაქმეთა სრული სახით გააზრება. ან აღწერა. მიუხედავად ამისა ეს ყოველივე იმ მიზნით გადმოგეცით, რომ თქვენ წაიკითხოთ და იცოდეთ, რომ ცოდვებია ყოველივე იმის მიზეზი, რაც ჩვენ შეგვემთხვა. ჩვენი შეხედვისას თქვენ უნდა ძრწოდეთ და გეშინოდეთ უფლის და თრთოდეთ მისი ძლიერების შიშით. უნდა იჩქაროთ უწინარეს ყოვლისა [ცოდვათა] აღიარება და მონანიება, ვიდრე სასჯელს მიიღებდეთ და წინ აღუდგებოდეთ.

კომენტარები

1. დავით კურაპალატი

ძე ადარნასე III კურაპალატისა, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი (973 წლიდან), კურაპალატი (978 წლიდან), ტაოს მეფე, ოშკის, ხახულის, პარხლის ეკლესიათა მაშენებელი. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან დავითმა პირველმა მიიღო „მეფეთა-მეფის“ წოდება. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში იგი „დიდი კურაპალატი“ იხსენიება (იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა მესამე... ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1949, თბილისი, გვ. 68). ქართველი მემკვიდრე ასე ახასიათებს დავითს: „იყო პირველად ღმრთის-მოყუარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვრ-უქსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვ, კაცთმოყუარე და ფიქოსანთ-მოყუარე, ყოველთათვის კეთილისმყოფელი და სავსე ყოველითა კეთილითა“. (იხ. მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 274).

ტაოს სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა სწორედ დავით კურაპალატის დროს. როგორც XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი წერს: „დიდი კურაპალატი დავითი იყო მშვიდი და ღმობიერი კაცი, რითაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხელმწიფეს აღმატებოდა. მან დაამყარა მშვიდობა და აღმშენებლობას მიჰყო ხელი მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. [დავითმა] შეწყვიტა ომები ყველა მხარეში, გაიმარჯვა მეზობელ ხალხებზე და ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დემორჩილა მას“. (იხ. *სთიქანიოჲი შარისნუცი სთიქჲან შასთიოი-ქიან შიხღერასჲან. ო. შხთერქორჲი*, 1885, გვ. 275).

979 წელს დავით კურაპალატი დაეხმარა ბიზანტიის იმპერატორს ბასილს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში, რომელიც

მიზნად ისახავდა კეისრის ტახტიდან ჩამოგდებას. დავითმა ბასილს გაუგზავნა 12 000 ქართველი ცხენოსანი თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით, რომლებმაც გაანადგურეს ბარდა სკლიაროსის ლაშქარი და იმპერატორი ძველ უფლებებში აღადგინეს. გაწეული დახმარების სანაცვლოდ ბასილმა დავით კურაპალატს დიდძალი მიწები უბოძა: კარინი ანუ თეოდოსიოპოლი (არზრუმი), ხალტოი-არიჭის ციხე და მასთან მდებარე კლესურა, ჩორმაირის თემი, სამხრეთ ბასიანი, ჰარქისა და აპაჰუნიქის ოლქები, ციხე სევეუკი (იხ. „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946, გვ. 17 — 19 *სოსიანოსი შარი-ნხელიკი საიიქან ჟაოთიქიჩი სხიღერასი* გვ. 187—193, 252, 266 — 276). აღნიშნული პერიოდისათვის ვარაუდობენ სწორედ დავითისათვის კურაპალატის წოდების მინიჭებას. 80-იან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანაზკერტი. თავისი წინდახედული და ბრძნული პოლიტიკით დავით კურაპალატმა ხელი შეუწყო ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ გაძლიერებას, მან დიდი როლი ითამაშა აგრეთვე საქართველოს გაერთიანების საძირკვლის ჩაყრის საქმეშიც. დავითმა ისარგებლა აფხაზეთის სამეფო აშლილობით, იქ უძღური და ძმის მიერ დაბრმავებული თეოდოსის მეფობით და თავისი შვილობილი ბაგრატი ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დახმარებით 975 წელს ქართლში მეფედ დასვა, შემდეგ კი 978 წელს იგი აფხაზეთშიც გადაიყვანა. დავითი გარდაიცვალა 1001 წელს. დავით კურაპალატის შესახებ გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა ცნობები სხვა სომეხ ისტორიკოსებსაც შემოუნახავთ (სტეფანოს ტარონეცი, მათე ურჰაეცი, სუმბატ სპარაპეტი, მხითარ აირივანეცი, სამუელ ანეცი). სომეხი ისტორიკოსები ძირითადად მას უწოდებენ „ტაოს კურაპალატს“ (*Կիւրապաղատ Տաօց*) ან „დავით კურაპალატს“ (*Կիւրապաղատ Դաւիթ*) მხოლოდ მათე ურჰაეცი თავის თხზულებაში ერთ ადგილას მას „დავით ქართველთა კურაპალატად“ იხსენიებს (*Դաւիթ Կիւրապաղատի Կլասց*), დანარჩენ შემთხვევაში მათე ურჰაეცი მას „დავით კურაპალატს“ უწოდებს. ასევეა მოხსენებული იგი სტეფანოს ტარონეცისთან, მხოლოდ თავისი თხზულების 266-ე გვერდზე სტეფანოსი დავითს „სომეხთა კურაპალატს“ უწოდებს (*Կիւրապաղատն Հայոց Դաւիթ*). ალბათ, სტეფანოს ტარონეცის ამ ცნობაზე დაყრდნობით პ. აქარიანს თავის „სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში“

სხვა სომეხ სახელმწიფო, პოლიტიკურ თუ კულტურულ მოღვაწეთა შორის მოუხსენებია დავით კურაპალატიც.

2. ჰორომი

სომხური «*ჰიომ*» დამახინჯებული ფორმაა «*ჰიომასიქი*»-სა, რომელიც ბერძნულ *παμσινδ*-რომაელი შეესატყვისება. ამ სახელით იხსენიებენ რომაელებს, ლათინებსა და ბიზანტიელებსაც. არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებაში „ჰორომი“ ბიზანტიელს ნიშნავს.

3. ბასილი

ბიზანტიის იმპერატორი (976 — 1025) მაკედონური დინასტიიდან, ბულგართმელეტელად წოდებული. 1018 წელს მან ბულგარელთა სამეფო დაიმორჩილა და სასტიკად გაუსწორდა ბულგარელ ზალხს. დიდი დაპყრობები განახორციელა ბასილმა აგრეთვე ამიერკავკასიაში. ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით იგი ცდილობდა საკანონმდებლო ღონისძიებებით შეეზღუდა მსხვილ ფეოდალთა საკმაოდ გაძლიერებული ხელისუფლება. ბასილ ბულგართმელეტელის შესახებ იხ. *Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. 2, часть I, Ленинград. 1927. Ш. Диль. Византийские портреты, пер. с франц. Вып. I, М., 1914, Н. С кабаланович. Византийское государство и церковь в XI в., СПб., 1884. В. Розен. Император Василий Болгаробойца, извлечения из летописи Яхи Антиохийского. 1883. М. В. Левчен ко. История Византии; Москва—Ленинград, 1940. Г. Г. Литаврин. Болгария и Византия в XI—XII вв. Москва, 1960.*

4. ეკელეაციის გავარდი

დიდი სომხეთის ერთ-ერთ ნაჰანგის—მაღალმთიანი სომხეთის გავართავანი. თავისი ტერიტორიით ეს გავარი შეესაბამება დღევანდელ ერზინკას (ერზინჯანის) ზეგანს. უძველეს დროს კი იგი ტერიტორიით გაცილებით მეტი იყო. გარდა საკუთრივ ეკელეაციის გავარისა, იგი მოიცავდა დარანლის და დერჯანის გავარებს. ეკელეაციის გავარის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნებოდა წარმართულ ტაძრებს, ხოლო შემდეგში იგი ქრისტიანულ ეკლესიებს გადაეცა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წარმართობის დროს ეს გავარი ხშირად „ანაპიტის გავარად“ იწოდებოდა, ხოლო შემდეგში, როცა წარმართობა ქრისტიანობამ შეცვალა, ზოგჯერ მას „განმანათლებლის გავარსაც“ უწოდებდნენ. ანტიკური ხანის ისტო-

რიკოსებთან „ეკელეაქის გავარი“, „ეკელესენე“ ან „აკილისენე“ ფორმით გვხვდება. სტრაბონი და პტოლემეიოსი „*Αχιλαιοῦ*“ ფორმით წერენ, პროკოპი კესარიელთან „*Αχιλαιοῦ*“ ფორმას ვხვდებით. ძველ სომეხ ისტორიკოსებთან მისი მოხსენიება დადასტურებულია ფავსტოს ბუზანდთან. ლაზარ ფარპეციისთან, მოსე ხორენაცისთან, აგათანგელოსთან, კორიუნთან, ზენობთან, სებეოსთან და სხვ. ეკელეაქის გავარში მდებარეობს ისტორიული მნიშვნელობის ადგილები ერიზა ანუ ერზინკა და თილი. ერიზა XI—XII საუკუნეებამდე დაბას წარმოადგენდა, შემდეგ კი ქალაქად იქცა. იგი წარმართულ პერიოდში ერთ-ერთ მსხვილ რელიგიურ ცენტრად ითვლებოდა. აქ მდებარეობდა სწორედ ანაპიტის ცნობილი ტაძარი. მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მართალია, საქალაქო ცხოვრება საგრძნობლად დაეცა, მაგრამ მთელი რიგი ქალაქები სავაჭრო ურთიერთობის წყალობით საგრძნობლად დაწინაურდნენ. მათ რიცხვს ქალაქი ერზინკაც ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი XIII საუკუნეში ორჯერ ააოხრეს, მაინც თემურლენგის ლაშქრობების წინა პერიოდში საკმაოდ მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა. თემურლენგმა თავის 1394 — 1395 წწ. ლაშქრობებში ქალაქი ერიზაც ააოხრა.

რაც შეეხება ქალაქ თილს, იგი ზოგ სომეხ ისტორიკოსს სოფლად აქვს მოხსენებული, ზოგს კი დაბად.

მოსე ხორენაცის გადმოცემის თანახმად აქ დაკრძალულია კათალიკოსი ნერსეს პირველი და მეფე პაპი. VIII საუკუნეში იგი დაინგრა.

5. აზნაურთა ჯარი

სომხურ ტექსტში შესაბამის ადგილას გვხვდება «*ազատագունք զօրքն Տալոց*» — აზნაურთა ჯარი ტაოსი || თავისუფალთა ჯარი ტაოსი.

აღნიშნული ადგილი ჩვენ ასე ვთარგმნეთ: „ტაოელ აზნაურთა ჯარი“.

6. დაპითი

წინასწარმეტყველი, ებრაელთა მეფე, ფსალმუნთა ავტორი. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X — XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა მზექალა შ ა ნ ი ძ ე მ, I, ტექსტი, თბილისი, 1960.

7. ალორის ბავარი

დიდი სომხეთის, ტურუბერანის, ანუ ტარუბერანის ნაპანგის ერთ-ერთი პატარა გავარი. სომეხ არშაკიდთა მეფობის პერიოდში დიდი სომხეთი VII საუკუნის „სომხური გეოგრაფიის“ (*«Աշխարհացոյց»*) თანახმად დაყოფილი იყო 15 ადმინისტრაციულ ერთეულად. ე. წ. ნაპანგად, რომელიც უფრო წვირილი ერთეულებისაგან — გავარებისაგან შედგებოდა. არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებაში გეოგრაფიული პუნქტები ძირითადად სწორედ იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის შესაბამისად უნდა ვეძიოთ, რომელიც *«Աշխարհացոյց»*-შია წარმოდგენილი.

3. პავაპიჩის ციხესიმაგრე

მდებარეობდა ალორის გავარში. არაბი ისტორიკოსის იბნ ზაფირის ერთი ცნობის მიხედვით პავაპიჩი ტურუბერანის ნაპანგის მარდაღის გავარში მდებარეობდა. იხ. *Ա. Տիր - Անդրյան. Արարական ամիրայութունները Բագրատունյաց Հայաստանում. Երևան, 1965, გვ. 223.*

9. რუმეზის ჯარი

იგულისხმება ვარიაგ-რუსთა რაზმი, რომელიც ბიზანტიის სამეფო კარის სამსახურში იყო. იხ. В. Г. Васильевский. Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI и XII веков. «Труды В. Г. Васильевского», т. 1, СПб, 1908, стр. 200—203. Повествование вардапета Аристакеса Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашяна. Москва, 1968, стр. 143.

10. მსაია

პირველი წინასწარმეტყველი ებრაელთა ოთხ დიდ წინასწარმეტყველთაგან. იხ. დაბადება (ბიბლია). ნაწილი მეორე, თბილისი. 1886, გვ. 370 — 472.

11. სილომი

ძველი ქალაქი პალესტინაში, იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. იხ. Советская историческая энциклопедия, том 12, М. 1969, გვ. 867. Всемирная история, том 1, Москва, 1956, гв. 487—488.

ტაბელის შვილი, ასურელთა მეფე. ებრაელებს სურდათ მისი გამეფება ასურესტანში აქაზის ნაცვლად, ამიტომ ღმერთი ესაია წინასწარმეტყველის საშუალებით დაემუქრა მათ სასჯელით ასეთი სურვილისათვის. იხ. ესაია, 8. 6 — 7.

13. ბ ა ბ რ ა ტ ი

ბაგრატ III, სრულიად საქართველოს მეფე (975 — 1014), გურგენის ძე, შვილობილი დავით კურაპალატისა. ბაგრატის სახელთან დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორცაა საქართველოს გაერთიანება. ბაგრატის ბიძას, აფხაზთა მეფეს, უსინათლო თეოდოსის მემკვიდრე არ ჰყავდა. მმართველი წრის ერთმა გარკვეულმა ჯგუფმა, რომელსაც ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე ედგა სათავეში, ცხადად გაითვალისწინა უსინათლო, უძლური თეოდოსის მეფობით გამოწვეული აშლილობა აფხაზეთის სამეფოს საშინაო საქმეებში და აშკარად დაინახა საქართველოს გაერთიანების აუცილებლობა. იოანე მარუშის ძემ დასახული მიზნის სისრულეში მოსაყვანად მიმართა დავით კურაპალატს. მათი აზრით საქართველოს გაერთიანება ბაგრატ მესამეს შეეძლო განეხორციელებინა, რადგანაც ბაგრატი ჰამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედის მხრივ კი ის აფხაზთა მეფეების მემკვიდრედ ითვლებოდა. ხოლო რადგანაც ბაგრატი დავით კურაპალატის შვილობილი იყო, ამიტომ იგი ტაოს მემკვიდრედაც ითვლებოდა. ჯერ კიდევ 975 წელს დავით კურაპალატმა ქართლში გაამეფა თავისი შვილობილი ბაგრატ III, მაგრამ ვინაიდან მაშინ იგი არასრულწლოვანი იყო, დავითმა მას მზრუნველად მამამისი გურგენი დაუნიშნა, ხოლო 978 წელს აფხაზეთში გადაიყვანა. ასე რომ 980 წლისათვის უკვე სრულწლოვან ბაგრატს საშუალება ჰქონდა მეფის უფლებით სავსებით ესარგებლა. ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე აშკარად იჩინა თავი უთანხმოებამ მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის, რომლებსაც არ სურდათ მეფის გაძლიერება. ბაგრატს კი მიზნად ჰქონდა დასახული მათი თვითნებობის აღაგმვა. როდესაც ბაგრატ მესამემ საქმეების მოსაგვარებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოინდომა გადმოსვლა, საზღვარზე მას დიდგვარიანები დაუხვდნენ და წინააღმდეგნენ. ბაგრატმა შეძლო დიდგვარიანი აზნაურების დამარცხება და გადმოვიდა ქართლში. 989 წელს ბაგრატმა კლდე-ქარის ერისთავთ-ერისთავიც დაიმორჩილა. 1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ კანონით მისი მემკვიდრეობაც ბაგრატს უნდა გადასცემოდა, როგორც შვილო-

ბილს. მაგრამ ბიზანტიის კეისარმა ბასილმა, რომელიც დავითის სიკვდილისთანავე დიდძალი ჯარით ტაოსაკენ წამოვიდა, ტაოს უდიდესი ნაწილი თავისთვის დაიჭირა. 1008 წელს გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატმა შემოიერთა მამამისის კუთვნილი შავ-შეთ-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი. 1010 წელს კი კახეთ-პერეთს დაეპატრონა. 1011 — 12 წელს ბაგრატმა და მისმა სომეხმა მოკავშირეებმა დაიპყრეს რანი, აიღეს ქალაქი შამქორი და რანის მფლობელს ფადლონს მორჩილება და ყოველწლიური ხარკი დააკისრეს. ამრიგად, ბაგრატ მესამემ შეძლო მთელი საქართველოს გაერთიანება თბილისის საამიროს გარდა. იგი გარდაიცვალა 1014 წელს, დასაფლავებულია ბაგრატის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში.

ბაგრატ მეფის შესახებ იხ. მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი, 1955., გვ. 274 — 284. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა ტ ა ო - კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა შესახებ. გამოცემა მესამე ე. თაყაიშვილისა, თბილისი, 1949, გვ. 68 — 69. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეორე. თბილისი, 1948 წ. გვ. 121 — 131. З. А н ч а б а д з е. Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, гв. 162—177.

14. ბ უ რ ბ ა ნ ი

ძე ბაგრატ რეგვენისა, მეფეთა-მეფედ წოდებული. მამა ბაგრატ III-ისა (იხ. შენიშვნა 13). 975 წელს დავით კურაპალატმა ქართლში თავისი შვილობილი გაამეფა და მზრუნველად მამამისი გურგენი დაუნიშნა. 1001 წელს, როდესაც გარდაიცვალა დავით კურაპალატი, ბიზანტიის კეისარი ბასილი ჯარით ტაოსაკენ გამოემართა. აქვე მოვიდნენ გურგენ მეფე და ბაგრატი. მათ იმედი ჰქონდათ დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მიღებისა, მაგრამ ბასილმა დავითის სამფლობელოს უდიდესი ნაწილი თავისთვის დაიჭირა, გურგენს მაგისტროსობა უბოძა, ბაგრატს კი კურაპალატობა. 1008 წელს გურგენის გარდაცვალების შემდეგ მის გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატ მესამის საბრძანებელს შემოუერთდა. გურგენის შესახებ იხ. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა ტ ა ო - კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა შესახებ. გამოცემა მესამე... გვ. 68. მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა. ქართლის ცხოვრება... ტომი I, გვ. 278 — 283. З. А н ч а б а д з е, из истории средневековой Абхазии (V—XVII вв.), гв. 162—170.

15. კურაპალატი — კურაპალატოზა

ბიზანტიის საკარისკაცო ტიტული, რომელსაც ბიზანტიის კეისრები ხშირად უწყალობებდნენ მათთან გარკვეულ დამოკიდებულებაში მყოფ სხვადასხვა სახელმწიფოს მეფეებსა და მთავრებს.

კურაპალატოზა ბიზანტიურ საკარისკაცო თანამდებობათა და პატივთა შორის უმაღლესად ითვლებოდა. იგი მაგისტროსობაზე უფრო მაღალ ტიტულს წარმოადგენდა. კეისრის მიერ კურაპალატობის ან სხვა ბიზანტიური საკარისკაცო პატივის წყალობა ყმობის დამამტკიცებელი არ იყო. საკარისკაცო პატივის წყალობისთანავე ბიზანტიის კეისრები დანიშნულ პირს საგანგებო მოციქულის ხელით შესაფერის ტანისამოსს, სამკაულებსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ. იხ. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке. СПб., 1884, стр. 151—152.

16. მაგისტროსი — მაგისტროსოზა

ბიზანტიაში უმაღლესი სამხედრო ტიტული. ბიზანტიის კეისრები გარკვეულ პირებს ჯერ მაგისტროსობას უწყალობებდნენ, შემდეგ კი კურაპალატობას. მაგისტროსებს ჰყავდათ თავისი ჯარი და საჭირო შემთხვევაში დახმარებას უწევდნენ კეისრის ჯარებს. იხ. Н. А. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, СПб., 1884, стр. 153.

17. ჰარქის ბაჰარი

დიდი სომხეთის ტურუბერანის ნაჰანგის ერთ-ერთი გავართანნი. ამ გავარის სახელთან სომხები აკავშირებენ თქმულებებს თავიანთი ეთნარქის ჰაიკის შესახებ. ამ თქმულებების მიხედვით ჰაიკი აქ დამკვიდრდა და გავარს უწოდა ჰარქი, ან აქ არსებული სოფელი ჰაიკაშენი იმავე ჰაიკის მიერ არის აშენებული და სხვ.

ჰარქის გავარი მდებარეობს ვარაჟუნის სამხრეთით, მდინარე არაწანის ორივე ნაპირზე. იგი IX — XI საუკუნეებში თონდრაკელთა მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

უძველეს პერიოდში ჰარქი უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ჰარქის გარდა ამ გავარში შედიოდა აგრეთვე აპაჰუნიქი, ხორხორუნიქი, ბზუნუნიქი.

ჰარქის გავარში მდებარეობდა ცნობილი ქალაქი მანაზკერტი..

მდებარეობდა ჰარქის გავარში, უფრო ზუსტად, ჰარქისა და აპაჰუნჩის გავართა საზღვარზე. ამის გამო რიგი ავტორებისა მანაზკერტს მიაკუთვნებს აპაჰუნჩის გავარს.

ქალაქ მანაზკერტის დაარსებას ვარაუდობენ უძველესი დროიდან. სახელდობრ ჩვენ წელთაღრიცხვამდე IX საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისში. რიგ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მანაზკერტის სახელი დაკავშირებულია ურარტუს მეფე მენუას სახელთან. მანაზკერტი თავდაპირველად სოფელი იყო და მდებარეობდა ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, აღმოსავლეთ ევფრატის მარცხენა ნაპირზე.

ქალაქს ჰქონდა მაგარი ციხე. მანაზკერტი განსაკუთრებით ხშირად იხსენიება არაბთა და სელჩუკთა ბატონობის პერიოდში. იგი IX საუკუნეში შექმნილ კაისიკთა საამიროს ცენტრს წარმოადგენდა. 968—979 წლებში ბიზანტიამ დაიპყრო მანაზკერტი. სელჩუკთა სარდალმა თოდრულ-ბეგმა 1054 წ. ალყა შემოარტყა ქალაქს და ყველა საშუალებებით ცდილობდა მის დაპყრობას, მაგრამ მისმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. ქალაქის დამცველებმა უკუაქციეს სელჩუკი დამპყრობლები. 1071 წლის აგვისტოში მანაზკერტთან ადგილი ჰქონდა დიდ ბრძოლას, ერთი მხრივ სელჩუკთა, რომელთა მეთაური სარდალი ალფ-არსლანი იყო, ხოლო მეორე მხრივ ბიზანტიის 100 000-იან ჯარს შორის. ამ ბრძოლაში ბიზანტიელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. სელჩუკებმა დაიპყრეს მანაზკერტი, ააოხრეს და მახვილით ამოწყვიტეს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

19. ბ ა გ რ ე ვ ა ნ დ ი ს ბ ა ვ ა რ ი

დიდი სომხეთის აიარაღის ნაპანგის ერთ-ერთი გავართავანი. ბაგრევანდის გავარი გადაჭიმული იყო არაწანის ზემო დინების ფართობზე. ძველ დროში მას გაცილებით მეტი ტერიტორია ეკიარა. მასში შედიოდა აგრეთვე წალკოტის გავარი. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრევანდი იყო ბაგრატიუნიანთა სატომო გავარი და სახელებს „ბაგრევანდი“ და „ბაგრატიუნი“ კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ბაგრევანდის გავარში მდებარეობს ვალარშაკერტი, ბაგავანი და სხვ.

20. ო ლ თ ი ს ი - ო ლ თ ი ს ი

ციხე-ქალაქი ტაოს მხარეში. მდებარეობს მდინარე ოლთისის შუა დინების რაიონში. ქართულ წყაროებში იგი გვხვდება ფორ-

მით „ოლთისი“. „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს: „ხოლო მეშე-
დესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა.
მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ური-
ცხვთა, ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღმდეგო-
მად მისსა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალ-
დღე, და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი
მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი“. (მატიანე
ქართლისა... გვ. 284).

21. ბიოგრაფია

გიორგი I. სრულიად საქართველოს მეფე (1014 — 1027 წწ.),
ძე ბაგრატ III-ისა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის
ისტორია, II.... გვ. 131 — 134.

22. ბაგრატი

გაგიკ I ბაგრატუნი, სომეხთა მეფე (990 — 1020 წ.), შაჰან-
შაჰად წოდებული, ძე აშოტ III მწყალობლის, შაჰანშაჰისა, ძმა
გურგენისა და სუმბატ II-ისა. გაგიკმა 1000 წელს ააშენა წმინდა
გრიგოლის ეკლესია, რომლის წინ აღმართა თავისი ქანდაკება. ეს
ქანდაკება გათხრების დროს აღმოაჩინა ნიკო მარამა (იხ. *Ռո-
բարտանյան. Հայկական ճարտարապետություն* გვ. 271.) სომ-
ხურ საისტორიო წყაროთაგან, გარდა არისტაკეს ლას-
ტივერტეცისა. გაგიკ I მოხსენებულია აგრეთვე სტეფანოს ტარო-
ნეცისთან (XI ს.), კირაკოს განძაკეცისთან (XIII ს.), ვარდან დიდ-
თან (XIII ს.), მხითარ ანეცისთან (XII ს.), სამუელ ანეცისთან
(XII ს.), მხითარ აირივანეცისთან (XIII ს.), სტეფანოს ორბელიან-
თან (XIII ს.) და სხვ. სახელი „გაგიკი“ „გაგი“-ის კნინობით ფორ-
მას წარმოადგენს.

23. აშოტი

აშოტ III. მწყალობელად წოდებული, სომეხთა მეფის აბას I
ბაგრატუნის ძე. მამა გაგიკ I ბაგრატუნისა (იხ. შენიშვნა 22). აშოტ
III სამეფო ტახტი ქალაქ ანისში გადაიტანა, გაამაგრა იგი ზღუდით,
ააგო მონასტრები, ეკლესიები, დავრდომილთა თავშესაფრები და
უპატრონოთა სახლები. სწორედ ამ საქველმოქმედო საქმიანობი-
სათვის აშოტს მწყალობელი შეარქვეს. აშოტ III შეადგინა 90 000-
იანი ჯარი, დაამარცხა კავკასიის მთიელები, არაბთა სარდალი ჰამ-
ტუნი 959 წელს და დახმარება აღმოუჩინა ბერძნებს არაბთა წინა-
აღმდეგ ბრძოლაში. აშოტი სამეფოს განაგებდა 953 — 977 წლებ-
ში. გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, აშოტი მოხსენებულია

ასოლიკთან. მხითარ ანეცისთან, მათე ურპაეცისთან. ვარდან დიდთან, მხითარ აირივანეცისთან, სამუელ ანეცისთან, კირაკოს განძაქეცისთან. სტეფანოს ორბელიანთან.

24. ს უ მ ბ ა ტ ი

სუმბატ II ბაგრატიუნი, სომეხთა მეფე (977 — 990), ძე აშოტ III მწყალობლისა (იხ. შენიშვნა 23), ძმა გაგიკ I ბაგრატიუნისა (იხ. შენიშვნა 22). სუმბატმა თავისი სიცოცხლე მშვიდობიანობის დაცვასა და აღმშენებლობაში გაატარა. მან ზღუდე შემოავლო ანისს, შეამკო იგი ლამაზი შენობებით.

გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, სუმბატ II მოხსენებულთა აგრეთვე ასოლიკთან, სამუელ ანეცისთან, მხითარ ანეცისთან, მათე ურპაეცისთან, ვარდან დიდთან, მხითარ აირივანეცისთან.

25. გ უ რ გ ე ნ ი

გურგენ I ბაგრატიუნი, შვილი აშოტ III მწყალობლისა (იხ. შენიშვნა 23), ძმა სუმბატისა (იხ. შენიშვნა 24) და გაგიკ I-ისა (იხ. შენიშვნა 22). გურგენმა მიიღო ტაშირი, ძორაგეტი, კენი, კაეწონი და სხვ. გურგენი არის დამაარსებელი კვირიკიანთა სამეფოსი, გურგენ I გარდაიცვალა 989 წელს და დაკრძალულია სანაინში; გურგენის სახე, გამოქანდაკებული სუმბატ II-თან ერთად სამეფო ტანსაცმელში, ალატის ტაძრის კედელზეა. არისტაკეს ლასტივერტეცის გარდა მის შესახებ ცნობები გვხვდება სტეფანოს ტარონეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, სამუელ ანეცისთან, ვარდან დიდთან და სხვ.

26. ს ა რ გ ი ს ი

სარგის I-ად, სევანეცად წოდებული, სომხეთის კათალიკოსი (992 — 1019 წწ.). სიყრმის ასაკიდანვე ბერად იყო სევანის მონასტერში. იყო შოლაგისა და შემდეგ სევანის მონასტრის ზედამხედველი. ხაჩიკ სომეხთა კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ გაგიკ მეფის რჩევით იგი სომეხთა კათალიკოსად აკურთხეს 992 წელს. სარგის I აღადგინა სივნიელთა სამიტროპოლიტო; მან რიფსიმეს სახელზე ქალაქ ანისში ააგო ერთი ეკლესია. სარგისის თანამედროვე იყო ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი, ასოლიკად წოდებული, რომელმაც სარგისის ბრძანებით დაწერა თავისი თხზულება „მსოფლიო ისტორია“. გაგიკ მეფე და მისი ძმისწული დავითი ერთმანეთს

წაეჩხუბნენ. დავითი აჯანყდა და 3 წლის განმავლობაში ქვეყანა ინგროლა შეჯახებებისა და არეულობის შედეგად. სარგის I-ის დროს გაძლიერდა თონდრაკელთა მოძრაობა. 1019 წელს სიბერის გამო სარგის I ჩამოშორდა საკათალიკოსო ტახტს, ხოლო 1022 წელს გარდაიცვალა. გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა სარგის I მოხსენებულბა ასოლიკთან, სამუელ ანეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, მხითარ ანეცისთან, მათე ურჰაეცისთან. კირაკოზ განძაკეცისთან.

27. ს ა ვ ა ნ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ი .

მღებარეობს სივნიეთის ანუ სისაკანის ტერიტორიაზე, სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ნაპირიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით. სევანის კუნძულზე იყო ციხეც და მონასტერიც. VIII საუკუნეში არაბებმა დაანგრიეს ციხე, მაგრამ IX საუკუნეში საჰაკ და ვასაკ მთავრებმა კვლავ აღადგინეს იგი. სევანის კუნძული სივნიეთის მთავრებისა და სომხეთის მეფის აშოტ II, ერკათად წოდებულის (914 — 928 წწ.) ძირითად თავშესაფარს წარმოადგენდა. განსაკუთრებით განმტკიცდა სევანის ციხე აშოტ II-ის დროს. სევანის კუნძულზე სამონასტრო ცხოვრება და მშენებლობა გაიშალა ჯერ კიდევ გრიგოლ განმანათლებლის დროიდან და განსაკუთრებით აყვავდა იგი მე-9 საუკუნეში მაშტოც ეპისკოპოსის თაოსნობით, რომელიც შემდეგ კათალიკოსად ეკურთხა. სივნიელთა დედოფლის მარიამის დახმარებით და იმავე მაშტოცის თაოსნობით, 874 — 880 წლებში სევანის კუნძულზე აშენდა ეკლესია მოციქულთა სახელზე. სევანის კუნძულზე მღებარე მონასტერი შუასაუკუნეების სომხეთის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მამულს წარმოადგენდა.

28. ს ა რ გ ი ს ი

მოძღვარი სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) დროს (იხ. შენიშვნა 26).

29. ტ ი რ ა ნ უ ნ ი

მოძღვარი სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) დროს (იხ. შენიშვნა 26).

30. ი ა ნ ო ვ ა ი

მოძღვარი სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) დროს (იხ. შენიშვნა 26).

31. ს ა მ შ ე ლ ი

კამრჯაც ძორის მონასტრის (იხ. შენიშვნა 32) წინამძღვარი. სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) თანამედროვე (იხ. შენიშვნა 26). სამუელმა შეცვალა პოლიკარპე. იგი განთქმული მუსიკოსი იყო. მან კათალიკოს ხაჩიკ I არშარუნის (973 — 992 წწ.) ბრძანებით დაწერა „წერილი პასუხად მელიტენეს მიტროპოლიტს თეოდორეს“. გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა სამუელ კამრჯაც ძორეცი მოხსენებულია აგრეთვე ასოლიკთან, მათე ურჰაეცისთან. მხითარ აირივანეცისთან, სტეფანოს ორბელიანთან.

32. კ ა მ რ ჯ ა ც ძ ო რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ა რ ი

მდებარეობდა აირარატის ნაჰანგის არშარუნჩის გავარში. იგი X საუკუნეშია აშენებული. კამრჯაც ძორის მონასტერმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სომხეთის შუასაუკუნეების კულტურის განვითარების საქმეში.

33. ი ო ს ა ბ ი

ჰნძუცის მონასტრის (იხ. შენიშვნა 34) ზედამხედველი, ფრიად განათლებული პიროვნება; კათალიკოს სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) თანამედროვე (იხ. შენიშვნა 26).

34. ჰ ნ ძ უ ც ი ს მ ო ნ ა ს ტ ა რ ი

მდებარეობდა მალალმთიანი სომხეთის ნაჰანგის კარინის გავარში. იგი ხშირად კარმირ ვანქად (წითელ მონასტრად) იწოდებოდა. ჰნძუცის მონასტერი აშენებულია X საუკუნეში სარგის მოძღვრის მიერ. რომელიც ბიზანტიელთაგან გამოქცეული ეგრისელთა ქვეყანაზე გამოვლით სომხეთში მოვიდა.

35. ს ტ ა ფ ა ნ ო ს ტ ა რ ო ნ ე ც ი

ასოლიკად წოდებული, X—XI საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი, ავტორი ნაშრომისა „მსოფლიო ისტორია“, რომელიც გადმოგვცემს ამბებს 1003 წლამდე. ნაშრომი შედგება 3 ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი 5 თავს შეიცავს, მეორე—6, მესამე კი—48. პირველ ნაწილში წარმოდგენილია აღმოსავლეთის უძველესი ისტორია (1 — 4 თავები) და არშაკუნიანთა თავგადასავალი (მე-5 თავი); მეორეში — სომხეთის ისტორია IV საუკუნიდან ბაგრატუნიანთა გა-

მეფებამდე (IX ს.), ხოლო მესამე ნაწილში—ირანისა და ვასპურაკანის სამეფოთა. ისტორია 1003 წლამდე. თხზულებაში მიმობნეულია უხვი მასალა სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების შესახებ IX — XI საუკუნეთა მანძილზე, ნაშრომში საინტერესო ცნობებია შემონახული საქართველოს შესახებაც. თავისი თხზულება *«Մտևիսանոսի Տարննեցու Ասողկան պատմութիւն տիկեղասկան»* ასოლიკმა დაწერა სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992—1019 წწ.) ბრძანებით.

36. იო ა ნ ე

მოძღვარი ტარონის გავარიდან, ზედსახელად კოზერნად წოდებული, სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) თანამედროვე, ცნობილი წელთაღმრიცხველი, იოანე იოსებ მოძღვართან ერთად ბასილ კეისრის მიერ კონსტანტინოპოლს იყო მიწვეული ზატიკის გამოანგარიშებისათვის სათათბიროდ, მაგრამ ისინი არ წასულან და მხოლოდ პასუხი 1007 წ. წერილობით აცნობეს კეისარს. იოანეს ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის „სანახაობა“, რომელშიც ნაწინასწარმეტყველებია ქვეყნიერების დაღუპვა. ნ. მარმა იოანეს „სანახაობის“ რუსული თარგმანი გამოაქვეყნა 1320 წელს გადაწერილი ხელნაწერის საფუძველზე. იოანეს განეკუთვნება აგრეთვე „ახსნა-განმარტება წელთაღმრიცხვის შესახებ“. გარდა ლასტივერტეცისა იოანე კოზერნი მოხსენებულია აგრეთვე სამუელ ანეცისთან, მათე ურჰაეცისთან. იხ. Н. Я. Марр, Сказание о католикосе Петре и ученом Иоанне Козерне. СПб, 1895.

37. გ რ ი გ ო ლ ი

მოძღვარი, სომეხთა კათალიკოსის სარგის I-ის (992 — 1019 წწ.) თანამედროვე (იხ. შენიშვნა 26).

38. ს უ მ ბ ა ტ ი

სუმბატ-იოანე. (1020—1041 წწ.), გაგიკ I ბაგრატუნის (991 — 1020 წწ.) შვილი (იხ. შენიშვნა 22), ძმა აშოტიას. თავის თავს სუმბატი წარწერაში სუმბატ შაჰანშაჰად იხსენიებს.

39. ა შ ო ტ ი

აშოტ IV ბაგრატუნი (1020 — 1041 წწ.); შვილი გაგიკ I ბაგრატუნისა (991 — 1020 წწ.) (იხ. შენიშვნა 22), ძმა სუმბატისა.

აშოტმა განიზრახა ტახტი წაერთმია თავისი ძმისათვის, სუმბატ-იოანესათვის. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ვასპურაკანის მეფეს სენეკერიმს, თავს დაესხა ქალაქ ანისს და დაამარცხა ძმა. ნახარა-რებმა შეარიგეს ძმები იმ პირობით, რომ სუმბატ-იოანეს გაამეფებდნენ ანისში, ხოლო აშოტს — აღმოსავლეთ სომხეთში. აშოტი თავის ძმაზე სუმბატზე ცოტათი ადრე გარდაიცვალა. აშოტ გაგიკის ძე მოხსენებულა ვარდან დიდთან, მათე ურპაეცისთან, სამუელ ანეცისთან, სტეფანოს ორბელიანთან.

40. ა ნ ი ს ი

ციხე-ქალაქი აირარატის ნაპანგის შირაკის გავარში, მდინარე ახურიანის მარჯვენა სანაპიროზე. იგი პირველად V საუკუნიდან იხსენიება. ამ პერიოდში ანისი უმნიშვნელო ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ხოლო X საუკუნიდან, შირაკის გაძლიერებასთან ერთად ანისი სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. სომხეთის მეფემ აშოტ III (953 — 977) ანისი დედაქალაქად გამოაცხადა.

ბაგრატიუნიანთა სამეფოს თითქმის ცენტრში და ამასთანავე მნიშვნელოვან სავაჭრო-სააღებმიცემო გზებზე მდებარეობამ, სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის არსებობამ დასავლეთ სომხეთთან, სპარსეთთან, ატრაპატაკანთან, საქართველოსთან, ალბანეთთან, სამხრეთ რუსეთთან განაპირობა ანისის სწრაფი განვითარება. XII — XIII საუკუნეებში ანისი ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

XI — XII საუკუნეებში ანისის მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით 100 000 აღწევდა. 1045 წელს ბაგრატიუნიანთა სამეფოს დაცემის შემდეგ მან ზედიზედ განიცადა სასტიკი აოხრება გარეშე მტერთაგან, მონღოლთა ბატონობის პერიოდში კი თანდათანობით სრულიად დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა. ხოლო 1319 წლის მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია ანისის დიდებული ნაგებობანი.

ანისის სახელწოდებით ცნობილია მეორე ციხე-სიმაგრე მაღალმთიანი სომხეთის ნაპანგის დარანალის გავარში, მდინარე ეფერატის მარცხენა სანაპიროზე. XII — XIII საუკუნეების ისტორიკოსები მას უკვე კამახს უწოდებენ.

41. შ ა ტ ი კ ი ს ც ი ხ ა

მდებარეობდა დიდ სომხეთში, მისი მე-15 ნაპანგის აირარატის კაკატის გავარში.

(Νικομήχεια, Nicomedia) ბითინიის დედაქალაქი, დაარსდა 264 წ. ჩვ. წ. აღ-მდე. 64 წ. ჩვ. წ. აღ-მდე ბითინია რომის პროვინციად გადაიქცა. ნიკომედია კი — ამ პროვინციის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად. IV საუკუნეში ნიკომედია რომაელ იმპერატორთა დიოკლეტიანესა და კონსტანტინე დიდის რეზიდენციას წარმოადგენდა. იგი იყო მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. 1331 წელს ნიკომედია თურქებმა დაიპყრეს. იხ. Советская историческая энциклопедия... том X, გვ. 226.

43. თეოდოსიოპოლი

ერთ-ერთი უძველესი სომხური ქალაქთაგანია მაღალმთიანი სომხეთის კარინის ვავარში. ადრე მას კარინი ეწოდებოდა. იგი V საუკუნიდან იხსენიება. არაბული წყაროები მას კალიკალას უწოდებენ. XI საუკუნიდან თეოდოსიოპოლს, ანუ თეოდუპოლისს არზრუმი [ერზრუმი] ეწოდება. ქალაქ თეოდოსიოპოლს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სომხეთის 387 წლის დაყოფის შემდეგ რომაულ ნაწილში მოექცა. ქალაქი განსაკუთრებით განაზღა და განმტკიცდა თეოდოსი მცირის (408 — 450 წწ.) დროს სარდალ ანატოლიოსის დახმარებით. თეოდოსიოპოლის უფრო უკეთესად დაცვის მიზნით ქალაქს გარს შემოაგლეს ღრმა თხრილი, აღადგინეს შიდაციხე, ახლად აღდგენილ ქალაქს კეისარმა თეოდოსიოპოლი უწოდა. აქ თავდასაცავი ნაგებობანი იუსტინიანე კეისრის (VI საუკ.) დროსაც შენდებოდა.

გარდა თავდაცვითი მნიშვნელობისა, თეოდოსიოპოლი დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობაშიც. უძველესი დროიდან მასზე გადიოდა აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა. მაგრამ, იყო რა ციხე-ქალაქი და იმყოფებოდა რა დასაწყისში სპარსეთისა და ბიზანტიის, ხოლო შემდეგ არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის საზღვარზე, საუკუნეების მანძილზე თეოდოსიოპოლმა ვერ შეძლო მიეღწია შუასაუკუნეების სომხეთის მოწინავე ქალაქების განვითარების დონეს. მისი აყვავებისა და გაძლიერების პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს XI—XII საუკუნეები მონღოლთა ლაშქრობამდე.

44. კ ა ტ რ ა

სომეხთა კათალიკოსი 1019 — 1058 წლებში, ხაჩიკ კათალიკოსის ძმა და ანანია მოკაცის დისშვილი. სწავლა-განათლება პეტრემ

მიიღო ტრაპიზონის მონასტერში. მოხუცებულობის გამო სარგის სომეხთა კათალიკოსმა უარი განაცხადა საკათალიკოსო ტახტზე და თავის მემკვიდრედ დასვა პეტრე. იგი ცოდნე, ავტორიტეტული, მაგრამ ანგარი აღამიანი იყო. 1023 წლის იანვარში იგი ეახლა ბერძენთა კეისარს ბასილს და მდინარე ქოროზზე წყალკურთხევის დღესასწაული ჩაატარა, რომლის დროსაც თითქოს „მდინარის ღინების მობრუნებით“ მიიღო ზედწოდება „გეტადარძ“-მდინარის მომბრუნებელი. ზაფიქრებელია, რომ პეტრემ სწორედ მაშინ აღუთქვა კეისარს ანისის გადაცემა, რისთვისაც მეფე სუმბატ-იოანე და მთავრები გადაემტერნენ პეტრეს. იგი იძულებული იყო წასულიყო სებასტიაში, სადაც დარჩა მეფე სენექერიმთან (1023 — 1026 წწ.). სენექერიმის სიკვდილის შემდეგ კი მივიდა ანისში, სადაც იმყოფებოდა 1026 — 1033 წწ. შემდეგ მას ვხედავთ ვასპურაკანის ძორო ვანქში 1033 — 1037 წლებში. აქედან უკან დაბრუნებისას იგი მეფის ბრძანებით შეიპყრეს და ბიჭნისში დაატყვევეს 1037 წელს. მის ადგილას კათალიკოსად დამტკიცდა დიოსკოროს ეპისკოპოსი (1037 — 1039 წწ.), მცოდნე და მპყრმეტყველი კაცი, რომელიც თავისი სიმკაცრის გამო ჩამოშორებული იქნა საკათალიკოსო ტახტიდან და პეტრემ კვლავ დაიკავა საკათალიკოსო ტახტი 1039 წელს. ქალაქ ანისის გაყიდვისა და მეფე გაგიკ II უფლებებიდან აღკვეთის საქმეში პეტრემ მოღალატური როლი ითამაშა, რისთვისაც იგი კეისარმა დიდი პატივითა და საჩუქრებით მიიღო, მაგრამ მალე ანისის მთავარმა პეტრე გააძევა არწინში 1046 წელს. იგი შეიპყრეს და წაიყვანეს კონსტანტინოპოლში 1047 წელს, სადაც დარჩა 4 წელი, 1051 წლამდე. ატომ არწრუნის წყალობით პეტრე განთავისუფლდა და წავიდა სებასტიაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1058 წ. 1045 წელს იუსიკ მღვდელს გადასაწერად მისცა ერთი სახარება და 1046 წ. გიორგი მწერალს—იოანე ოქროპირის მრავალთავი. გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, იგი მოხსენებულია აგრეთვე მხითარ ანეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, სამუელ ანეცისთან, სტეფანოს ორბელიანთან, ვარდან დიდთან.

45. შ ა ლ ა შ ი კ ა რ ი ნ ი

იგივე თეოდოსიოპოლი, იხ. შენიშვნა 43.

46. შ ა ლ ა რ შ ა კ ა რ ტ ი

ქალაქი (დღევანდელი თოფრახყალა), აირარატში, სახელდობრ, ბაგრევანდის გავარში. ჭერ კიდევ ურარტულ პერიოდში მის ადგი-

ლას არსებობდა ციხე, შემდეგში კი ამ ციხის გარშემო გაშენდა ქალაქი.

ვლარშაქერტის ხელსაყრელმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი სტრატეგიული, თუ სავაჭრო მნიშვნელობა. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარაგნო გზები. განსაკუთრებით ვაძლიერდა იგი IX — XI საუკუნეებში.

47. ბასიანის ბაზარი

დიდი სომხეთის აირარატის ნაპანგის ერთ-ერთი გ-ვართაგანი. უძველეს პერიოდში ბასიანის გავარი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მასში გარდა საკუთრივ ბასიანისა, შედიოდა მთელი ვანანდის გავარი (ყარსისა და სარილამიშის რაიონები). რომელსაც ეწოდებოდა ზედა ბასიანი. შემდგომ პერიოდში აღნიშნული გავარი ორ ნაწილად დაიყო: ბასიანი და ვანანდი. უფრო გვიან ბასიანი და ნაწილდა ცალკეულ სანახარაროებად: ბასიანი, სადაც გაბატონებული იყო ვორდუნის სანახარარო სახლი, აბელიანქი, გაბელიანქი და ჰვენუნიქი, სადაც მთავრობდნენ იმავე სახელწოდების სანახარარო სახლები. ბასიანში გაბატონებულმა ვორდუნის სანახარარო სახლმა IV საუკუნეში, ხოსროვ კოტაკის დროს (330 — 338 წწ.) აპაჰუნიქისა და ჰარქის მანავაზიანებთან ფეოდალური ბრძოლების უამს დაკარგა მამულები, რომლებიც გადაეცა ბასიანის საეპისკოპოსო თემს: ბასიანი, აბელიანქი, გაბელიანქი და ჰვენუნიქი ერთად ქმნიან ერთ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონს.

ბასიანი გადაჭიმულია დასავლეთ ნაწილში, მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს აბელიანქი და ჰვენუნიქი. აბელიანქი გადაჭიმულია ერასხის ჩრდილოეთ მხარეში, ხოლო ჰვენუნიქი სამხრეთით. აღმოსავლეთ ნაწილის კიდეში მდებარეობს გაბელიანქი. რომელიც ესაზღვრება არშარუნიქის გავარს.

ბასიანში რამდენიმე ისტორიული ადგილი მდებარეობს. მათგან აღსანიშნავია: ვორდორუ, დუ, ვლარშავანი, ოკომი, ბოღბერდი, ავნიკი და სხვ.

48. ოკომი

ძველი დაბა-ქალაქი ბასიანის გავარში; იგი პირველად XI საუკუნეში იხსენიება, სელჩუკთა პირველი ლაშქრობის (1048 წ.) დროს, როდესაც ოკომის დაბა ააოხრეს, ხოლო მოსახლეობა ამოწყდა.

ბიზანტიის ერთ-ერთი თემა. ქალდიას ჩრდილოეთით კლარჯეთი საზღვრავდა, ხოლო აღმოსავლეთით ტაო, ბასიანი და სპერი. სტრაბონის ცნობით, ქალდეები ხალიბების მემკვიდრენი იყვნენ (იხ. თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957, გვ. 204—209). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველებს უძველეს ხანაში ქალდიაში უნდა ეცხოვრათ (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 412). პ. ინგოროყვა „ქალდიას“ მთელი სამხრეთი კოლხეთის ზოგად სახელწოდებად მიიჩნევს. (იხ. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 268). ძველ ურარტულ ხალხთან, ხალდეებთან ქალდეების დაკავშირება დღეისათვის არ არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. (იხ. მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკრ. 33. თბ. 1960, გვ. 76).

ქალდიის ქვეყანა VIII საუკუნეში ბერძენთა მეფეს ეკუთვნოდა. „აბო თბილელის მარტილობა“-ში ვკითხულობთ: „ნეტარი პაბო უფროადა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოაჲსაჲ, სამკვდრებელი ყოლაღვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები აბრძანებელად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა“. (იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი. I. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1963, გვ. 59—60). ქალდია ბიზანტიის ქვეყანად ითვლებოდა IX—XI საუკუნეებშიც. იგი, როგორც ბიზანტიის ერთ-ერთი თემა, თითქმის სავსებით შეესაბამებოდა ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიას. (იხ. მიქელ პანარეტოსი „ტრაპიზონის ქრონიკა“... გვ. 76). ქალდიის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეორე. თბ. 1948. გვ. 64. Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империи, Ленинград, 1929, 86—88. М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья, М—Л. 1956. გვ. 25—32, 190—195.

დიდი სომხეთის აირარატის ნაპანგის ერთ-ერთი გავართაგანი. ვანანდის გავარის ტერიტორია შეესაბამება თანამედროვე ყარსისა და სარილამიშის რაიონებს. თავდაპირველად ამ გავარს ვანანდელი მთავრები განაგებდნენ. VIII საუკუნის ბოლოდან ვანანდის გავარის გამგებლებად ბარგატუნები იქცნენ.

აშოტ III-ის მიერ ყარსის გამგებლად დანიშნულმა მისმა ძმამ მუშელ ბარგატუნიმ 963 წელს თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. ასე ჩაეყარა საფუძველი ყარსის ანუ ვანანდის სამეფოს, რომელიც თავის ფარგლებში შეიცავდა ვანანდის გავარს მთლიანად. ვანანდის სამეფო ამ პერიოდში, სხვა სამეფოების მსგავსად, ექვემდებარებოდა ბარგატუნიანთა ცენტრალურ სამეფოს. ხოლო ბარგატუნიანთა სამეფოს დაცემის პერიოდში ვანანდი დაემორჩილა ბიზანტიას, 1065 წელს კი იგი სელჩუკებმა დაიპყრეს.

51. კარმირ ფორაკი

მთა ვანანდის გავარში (ყიზილ-გალუკი) (იხ. შენიშვნა 50), ყარსის დასავლეთით.

52. პალაკაციოს ტბა

ჩრდილოეთის ტბასაც უწოდებდნენ. ცნობილია აგრეთვე ჩილდირის ტბის სახელწოდებით. პალაკაციოს ტბა მდებარეობდა ტაოსა და აირარატის ქვეყნებს შორის, ვანანდისა და ზარიშატის მხარეში. ქართულ წყაროებში მას „ცელი“ ეწოდება. ლეონტი მროველთან ვკითხულობთ: „... და მოსრეს სპა მისი ყოველი და სდევნეს საზღვართამდე სომხთისა; მიეწივნეს ზარენს, ძესა მეფისასა, და შეიპყრეს იგი ტბისა მის პირსა, რომელსა რქვან ცელი“. (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 49). იხ. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 38.

53. რატი

ტაოს დიდი მთავარი, ძე ლიპარტიისა, ორბელიანთა ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი. რატი დაიღუპა ჩილდირის ტბასთან 1020 — 1021 წლის ბრძოლაში, რომელიც ბასილ კეისარმა გიორგი I-ის ჯარებს გაუმართა. ეს ბრძოლა, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, აღწერილია „მატიანე ქართლისა“-სა და სუმბატ დავითის ძის „ქრონიკის“ ავტორთა მიერ. „მატიანე ქართლისა“-ში ვკითხულობთ: „ხოლო მეშკდესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენ-

თა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვთა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღ-დგომად მისსა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე, და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. და მუნით მოვიდა კოლას, და გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა ბასილი, მეფე ბერძენთა. და შეკრბეს უკანამავალნი გიორგისნი და წინა-მავალნი ბასილისნი, და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქვან შირიმნი. და მოისრნეს ორკერძოვე მრავლად, მოკლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ხურსი. და გვანად ეწია ჯმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანა-მავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვსთა და აღიჭურნეს მსწრაფლ. განვიდა თვთ გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უქორცო, და მის თანა სიმრავლე სპისა მისისა. და მოვიდა მუნით ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისითა. შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოისრნეს ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი. ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე“. (იხ. მატია-ნე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტომი I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, გვ. 284—285).

54. მ რ ი მ ი ა

ერთ-ერთი ებრაელთა ოთხ დიდ წინასწარმეტყველთაგან. იხ. დაბადება (ბიბლია). ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884, გვ. 473—606.

55. ი ო ბ ი

ბიბლიური პიროვნება. მას ეძღვნება ძველი აღთქმის „წიგნი იობისა“—იხ. დაბადება (ბიბლია). ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884, გვ. 3—59.

56. კ ო ნ ტ ო

სამეფო მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ევქსინის პონტოს სამხრეთ სანაპიროზე. იგი ქართველური ტომებით იყო დასახლებული (იხ. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია... გვ. 1, 3, 21, 42—55, 81, 200—214, 222, 223). პონტოს სამეფო შეიქმნა ჩვ. წ. აღ-მდე 301 წელს და არსებობდა 64 წლამდე ჩვ. წ. აღ-მდე. მან სახელწოდება მიიღო ევქსინის პონტოსაგან (შა-

ვი ზღვისაგან). რომელსაც ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით. 231 წ. ჩვ. წ. აღ.-მდე მითრიდატე III მეფის ტიტული მიიღო. პონტოს სამეფოსა და რომს შორის სამგზისი ბრძოლის შედეგად პონტოელები დამარცხდნენ. 64/63 წელს ჩვ. წ. აღ.-მდე პონტოს სამეფოს მთელი ტერიტორია რომაელთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. პონტოს შესახებ იხ. К. М. Колобова. Фарнах I Понтийский. „ВДИ“. 1949, № 3. М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья... Е. Meyer. Geschichte des Königreichs Pontos. Lpz. 1879. Т. Reinach. Mithridate Eupator. P. 1890. D. Magie. Roman rule in Asia Minor... v. 1—2. Princeton, 1950.

57. ე რ კ ა თ ი

ძე სუმბატ-იოანესი. (იხ. შენიშვნა 38).

58. ჰ ო რ ო მ ო ს ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

მდებარეობდა დიდ სომხეთში, აირარატის ნაჰანგის შირაკის გავარში, მდინარე ახურთანის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ ანისიდან აღმოსავლეთით. ჰორომოსის მონასტერი ააშენა ბიზანტიელთა ქვეყნიდან გადმოხვეწილმა ერთმა-მოდღვარმა. ჰორომოსის მონასტრის შესახებ ცნობა დაცული აქვს ისტორიკოს კირაკოს განძაკეცის, რომელიც მას რომაელთა მონასტერს უწოდებს. (იხ. *Կիրակոս Գանձակեցի. Պատմություն Հայոց. աշխատասիրություն Կ. Ա. Մեխլիք-Օհանջանյանի. Երևան. 1961* გვ. 85.)

59. ფ ო კ ა

ბარდა ფოკა, ბიზანტიის ჯარების სარდალი, მცირე აზიის ფეოდალური წრიდან, ძმისწული იმპერატორ ნიკიფორე ფოკასი (963—969 წ.), რომლის მოკვლის შემდეგ ფოკამ მოაწყო აჯანყება 970 წელს. ისარგებლა რა საგადასახადო სისტემით გამოწვეული სახალხო უკმაყოფილებით, 987 წელს იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში ბასილ II წინააღმდეგ მიმართულ ფეოდალთა აჯანყებას. ქართველთა კურაპალატი დავითი აჯანყებულ ფოკას მიეშველა. 989 წელს ფოკას სიკვდილმა ბასილ კეისარი იხსნა საფრთხისაგან. ბასილმა დავით კურაპალატის დასჯა განიზრახა, მაგრამ ამ უკანასკნელმა პატიება თხოვა მას და დაპირდა, რომ სიკვდილის შემდეგ, როგორც უმემკვიდრეო მთელ თავის სამფლობელოს ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა. ქართულ წყაროებში („მატიანე ქართლისა“

და „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“) ფოკა „ფოკა განდგომილის“ სახელწოდებითაა მოხსენებული. იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება... ტომი I... გვ. 286, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა... ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 70, § 88, Ф. И. Успенский. История Византийской империи. ч. 2. Л. 1927. III. Диль. Византийские портреты. пер. с франц. Вып. I-М. 1914. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в. С-Пб. 1884. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 126. გიორგი კედრენე. გეორგია ტ. V.

60. წ რ ა ვ ი ზ ი

ძე ბარდა ფოკასი. (იხ. შენიშვნა 59). ქართულ წყაროებში იგი წარვეზად იხსენიება. წრავიზი ანუ წარვეზი დაუკავშირდა ბასილკეისრის სპასპეტს და განუდგა ბასილს. „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, „მას უამსა იქმნა დიდი განდგომილება საბერძნეთს. შეიერთნეს სპასპეტი და წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა და წარიდგინეს ქუეყანა აღმოსავლეთისა. და დიდად შეძრწუნდა ამისთვის ბასილი. გარნა პატივ-სცა ღმერთმან მასვე, და მოკლა. წარვეზი ქსიფე; და გადგეს რომელნი მირთულ იყვნეს. ხოლო ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვეზისა; რამეთუ შეიტყუეს ციხესა დალასანოსთა სისხლისათვის ფოკას ძისა, შეიპყრეს და მოპვუარეს ბასილი მეფესა, და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე. და მისთანათა მრავალთა მოპკუეთთა თავი მახვლითა, რომელთა თანა იყო ფერის, ეჲ ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, და სხუანი იყვნეს ბერძენნი“. (იხ. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, ტომი I, გვ. 285 — 287). ასეთივე შინაარსის ცნობა დაცულია სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. (იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა... გვ. 70. § 88). იხ. გიორგი კედრენე. გეორგია. ტომი V.

61. მ ა ზ ღ ა ტ ი

ციხესიმაგრე კარინსა და ბასიანს შორის, არაქსის სამხრეთით.

62. ბ ა რ ღ ა ს კ ლ ი ა რ ო ს ი

არისტაკეს ლასტივერტეციანთან ბარდა სკლიაროსი ასეთი ფორმით გვხვდება *«ქარყ. შიქლართი»* (ვარდ სიკლაროსი). ბარდა სკლიაროსი აღმოსავლეთის ჯარების სარდალი იყო. ბასილკეისარმა:

ეკვი შეიტანა მის ერთგულებაში და შუამდინარეთის ერთი უმნიშვნელო მხარის გამგებლად დანიშნა. ბარდა სკლიაროსმა განიზრახა განდგომოდა ბასილ კეისარს, 976 წ. თავისი ჭარბით გაემართა მელიტენეს მხარეებისაკენ, შეიერთა სომეხ ცხენოსანთა ჯარში. რომელიც ბერძენთა ნაწილში იყო. ბარდა სკლიაროსმა მთელ მცირე აზიაზე გაავრცელა თავისი ძალაუფლება. ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას ბასილ კეისარმა დახმარებისათვის მიმართა დავით კურაპალატს, სანაცვლოდ კი დაპირდა ხალტოიარიკის. ჩორმაირის, კარინის, ბასიანის, ციხე სევუკის, ჰარქისა და აპაჰანუქის მიცემას. 979 წელს ბარდა სკლიაროსი დაამარცხა ბარდა ფოკამ. ბარდა სკლიაროსი ხალიფთა კარზე გაიქცა. 989 წელს კი იგი საბოლოოდ დამორჩილდა ბასილ II-ს. ბარდა სკლიაროსის შესახებ იხ. Ф. И. Успенский, История Византийской империи, ч. 2., Ленинград, 1927 г., В. Розен. Император Василий Болгаробойца..., Ш. Диль. Византийские портреты, пер. с франц. Вып. I, Москва. 1914 г. Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в. СПб. 1884. А. Васильев. Лекции по истории Византии, т. I, 1917, М. В. Левченко. История Византии. М.—Л., 1940. G. Ostrogorsky. Geschichte des byzantinischen Staates. München. 1940. ივ. ჭავჭავიძე-ილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე... მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954. *სასიქსანიის წარინსვლიყ სათიქსაყ შასამიქსინჲ სქსიქერასკან. ო. შხასიქრიქ.* 1885. გიორგი კედრენე. იხ. გეორგიკა ტომი მეხუთე, ტექსტები ქართული თარგმანიტორ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963.

63. ჰართველთა კურაპალატი

იგულისხმება დავით კურაპალატი. (იხ. შენიშვნა I).

64. ღაპითი

არწრუნი, ვასპურაკანის მეფე. არისტაკეს ლასტივერტეცი დავითის მეორე სახელად მიუთითებს. სენექერიმს. დავითი იყო შვილი. აბუ-საჰლ-ჰამაზასპისა, ძმა-გურგენისა და საჰაკის, შვილი-შვილი სენექერიმისა. მისი მეუღლე ხუშლში იყო ქალიშვილი მეფე გაგიკ I ბაგრატიუნისა. თავდაპირველად დავით-სენექერიმი მთავარი იყო. 990—1003 წლებში თავის უფროს ძმასთან გურგენთან ერთად მართავდა სამეფოს, ხოლო როდესაც გურგენი გარდაიც-

ვალა. 1003 წლიდან დავითი დაეუფლა ხელისუფლებას. თურქთა ლაშქრობებისაგან შევიწროებულმა დავითმა ვასპურაკანის სამეფო ბერძნებს კადასცა. თვით კი თავისი ოჯახით, მთავრებით, ჭარითა და ხალხით 1021 წელს გადასახლდა სებასტიაში, სადაც განაგრძო მეფობა. როგორც ბიზანტიელთა კეისრის ვასალმა. სომეხ ისტორიკოსთა გარდა დავით-სენექერიმის გადასახლების შესახებ ბერძენი ისტორიკოსი კედრენეც მოგვითხრობს. გახიზნულთა რიცხვი 400 000-ს შეადგენდა. სენექერიმმა ბერძნებს ჩააბარა 10 ქალაქი, 1 000 სოფელი. 72 ციხესიმაგრე და სანაცვლოდ მიიღო ქალაქები: სებასტია ლარისა და ავარა და იწოდა კაბადოკიის პატრიკიოსად და სარდლად. მის ნაცვლად ვასპურაკანის მთავრად დანიიშნა ბასილ პატრიკიოსი, რომელმაც ყველა საქმეში უსუსურობა გამოიჩინა. ამიტომ იგი ჩამოაშორეს ამ თანამდებობას და მის ნაცვლად დანიიშნეს სარდალი ნიკიფორე კომნინოსი. ვინაიდან ამ დროს ვასპურაკანი დაცარიელებული იყო, კეისარმა ბასილ II, დაიპყრო რა მაკედონიის ქალაქი ედესა, ამავე გავარის მთავარი და სხვა დიდებულნი ვასპურაკანში გადასახლა. ჯერ კიდევ ახალი ამბავი იყო სენექერიმ-დავითის გადასახლება სებასტიაში, როდესაც ძველი მეამბოხის ბარდა ფოკას შვილი ნიკიფორე შეუერთდა ქსიფეს და აუჯანყდა კეისარ ბასილ II, როდესაც ეს უკანასკნელი წავიდა საქართველოში 1022 წ. აჯანყების ჩასაქრობად. ნიკიფორესა და ქსიფეს დავით-სენექერიმიც შეუერთდა. ბასილმა ნიკიფორესა და ქსიფესს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. ქსიფემ მოკლა ფოკა, მაგრამ თვითონ შეიპყრეს კეისრის ბრძანებით. სენექერიმი გარდაიცვალა 1025 წელს. დასაფლავებულია თავის მეუღლესთან ერთად ვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დავით-სენექერიმს ჰყავდა შვილები: დავითი, ატომი, კონსტანტინე, ჰამაზასპი და მარიამი. დავით-სენექერიმის შესახებ, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, ცნობები აქვთ ასოლიკს, სამუელ ანეცის, ვარდან დიდს, მათე ურჰაეცის, მხითარ აირივანეცის.

65. ვ ა ს პ უ რ ა კ ა ნ ი

დიდი სომხეთის ერთ-ერთი 15 ნაჰანგთაგანია. ვასპურაკანის ქვეყანა ერთ-ერთი უდიდესია სომხეთში თავისი ტერიტორიით. იგი გადაკიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ვანის ტბის აღმოსავლეთი მხარეებით მდინარე არაქსის ხეობამდე. თავდაპირველად იგი ნაჰანგის გაგებით არ გვხვდება, არამედ როგორც „ვასპურაკანის რაზმი“ (*Վասպուրական դուռ*). ფიქრობენ, რომ „ვასპურაკანი“

(სპარსულად ვასპურაკიანი) უნდა ნიშნავდეს „აზნაურთა ქვეყანას“, ან „აზნაურთა რაზმის ქვეყანას“. თავდაპირველად „ვასპურაკიანი“ ჯარის სახელი იყო, შემდეგ კი იგი ნაპანგის სახელად გადაიქცა. „ვასპურაკიანის ნაპანგს“ პირველად მოსე ხორენაცი იხსენიებს. შემდეგი დროის ისტორიკოსებთან კი (ლევონდი, თომა არწრუნი, იოანე კათალიკოსი) იგი ხშირად გვხვდება. ფალაური ფორმა „ვასპურაკიანი“-ს არის *vāspuhrakān*. პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ვასპურაკიანის საზღვრები საგრძნობლად იცვლებოდა. უძველეს პერიოდში ვასპურაკიანი მთლიანად შედიოდა ურარტუს სახელმწიფოში, ქმნიდა რა მის ძირითად ნაწილს. არტაშესიანთა მეფობის პერიოდში (189 — 1 წ. ჩვ. წ. აღრ.) ვასპურაკიანის სამხრეთ რაიონებმა პარსკაპაიქთან ერთად შექმნეს ნოშირაკიანის ანუ ნორშირაკიანის საპიტიახშო.

სომხეთის პირველი (387 წ.) და მეორე (591 წ.) დაყოფის დროს ვასპურაკიანი სასანიანთა სპარსეთის ფარგლებში შევიდა. ვასპურაკიანი ძირითადად ოთხი ძლიერი სანახარარო სახლის გამგებლობის ქვეშ მოექცა. ესენია: მარღპეტუნის, არწრუნის, ამატუნისა და რშტუნის. მარღპეტუნები მთავრობდნენ ვასპურაკიანის ჩრდილო-დასავლეთ გავარებში. მარღპეტუნთა სანახარარო სახლის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. V საუკუნის პირველ ნახევარში, არშაკუნიანთა სამეფოს დაცემასთან ერთად, მან დასტოვა პოლიტიკური ასპარეზი, ხოლო მის გამგებლობაში მყოფი გავარები არწრუნთა ხელში გადავიდა.

არწრუნი ნახარარები დასაწყისში განაგებდნენ მხოლოდ დიდი აღბაკის გავარს, ხოლო მარღპეტუნთა სახლის დაცემის შემდეგ მთელ მარღპეტუნთა ქვეყანას დაეუფლნენ. ამატუნები ბატონობდნენ არტაზში. არშაკუნიანთა დაცემის შემდეგ ისინი აირარატის არაგაწოტის გავარსაც დაეუფლნენ. რშტუნთა სახლს ეკუთვნოდა ორი გავარი: რშტუნიქი (ვანის ტბის სამხრეთით) და ტოსპი.

გარდა ზემოთ აღნიშნული სანახარარო სახლებისა, ვასპურაკიანში კიდევ ბევრი სხვა წვრილი სანახარარო სახლიც იყო: ანძეველთა, ტრპატუნიქი, ერვანდუნიქი და სხვ.

ვასპურაკიანზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამკავშირებელი სავაჭრო გზის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი: თავრიზი-დიღმანი-სალმასტი-ბარდუღიმეოსის მონასტერი-ვანი-ბერკარი-არქემი-მანაზკერტი. ამ გზის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა X — XI საუკუნეებში. ვასპურაკიანისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გოლთნისა და ნახიქევანზე გამავალ გზას: თავრიზი-ჰერი-დარუინქი. ვასპურაკიანში ძირითადად 35 გავარი

მდებარეობდა: რშტუნიქი, ტოსპი. ბოგუნიქი, არქიშაკოვიტი, ალი-
ოვიტი. კულანოვიტი, არბერანი. გარნი, ბუჟენუნიქი, არნუიოტნი,
ანძევაციქი, ატრპატუნიქი, ერვანდუნიქი, მარდასტანი, არტაზი, აკე,
დიდი ალბაკი. ანძაპიძორი, თორნავანი, კვაშროტი, კრჰუნიქი, მეწ-
ნუნიქი. პალუნიქი, გუჟანი, ალვანდროტი, პატსპარუნიქი, არტაშე-
სიანი. არტავანიანი. ბაქანი, გაბითიანი, გაზრიკანი, ტაიგრიანი, ვა-
რაჟენუნიქი. გოლთნი და ნახიქევანი..

66. ს ე ბ ა ს ტ ი ა

მეორე სომხეთის დედაქალაქი. თურქთა ლაშქრობებისაგან შე-
ვიწროებულმა დავით-სენექერიმმა (იხ. შენიშვნა 64) ვასპურაკანის
სამეფო ბერძნებს გადასცა, თვით კი თავისი ოჯახით, მთავრებით,
ჯარებითა და ხალხით 1021 წელს გადასახლდა სეზასტიაში, სადაც
განაგრძო მეფობა, როგორც ბერძენთა კეისრის ვასალმა.

67. ფ ა რ ს ი ი ფ ა რ ი ს ი

ტაოელი. ქართველთა მთავარი. ჯოჯიკ მთავრის ძე. 998 წელს,
როდესაც ატრპატაკანის ამირამ მამლანმა ხელმეორედ შეკრიბა
ლაშქარი. შეიკავშირა ხორასნის ამირა და სპარსეთის სხვა მფლო-
ბელები და დიდი ჯარით ტაოსკენ გამოემართა, დავით კურაპალატ-
მა, ვინაიდან იგი მოხუცებული იყო, თავისი მხედრობის წინამძ-
ღოლობა მიანდო სპასალარს გაბრიელ ოჩოპინტრეს ძეს. დავითს
დაეხმარა ქართველთა მეფე გურგენი, რომელმაც 6 000 რჩეული
მეომარი მიაშველა ჯოჯიკის ძის ფერსის ანუ ფერისის მეთაურო-
ბით. დავითს დახმარება აღმოუჩინეს აგრეთვე გაგიკ სომეხთა მე-
ფემ და ვანანდის მეფემ აბაჰმა. მიუხედავად მებრძოლი მხარეების
ძალთა უთანასწორობისა (ასოლიკის გადმოცემით სპარსთა ლაშქა-
რი გაცილებით უფრო დიდი იყო, 100 000-მდე მეომარი იღებდა
მონაწილეობას), ქართველებმა და სომეხებმა უკუაქციეს ამირა მამ-
ლანი. ქალაქ არქემადის მიჰყვნენ და დიდძალი მეომარი ამოწყვი-
ტეს. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ფერისს მონა-
წილეობა მიუღია ბასილ II წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.
ამ შეთქმულების მონაწილენი და მათ შორის ფერისიც სიკვდილით
იქნენ დასჯილნი. როგორც არისტაკეს ლასტივერტეცი აღნიშნავს,
ფერსსა და ანდრონიკეს თავები მოჰკვეთეს. ამ შეთქმულების შესა-
ხებ ცნობა „მატიანე ქართლისა“-შიაც გვხვდება: „მას უამსა იქმნა
დიდი განდგომილება საბერძნეთს. შეიერთნეს სპასპეტი და წარ-
ვეზი. ძე ფოკას განდგომილისა და წარიდგინეს ქუეყანა აღმოსავ-

ლეთისა. და დიდად შეძრწუნდა ამისთვის ბასილი. გარნა პატივ-სცა ღმერთმან მასვე. და მოკლა წარვეზი ქსიფე. და გადგეს რომელნი მირთულ იყვნეს. ხოლო ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვეზისა: რამეთუ შეიტყუეს ციხესა დალასანოსთა სისხლისათვს ფოკას ძისა, შეიპყრეს და მოჰპუარეს ბასილი მეფესა, და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე. და მისთანათა მრავალთა მოჰყუეთა თავი მახვლითა, რომელთა თანა იყო ფერის, ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, და სხუანი იყვნეს ბერძენნი“. („მატიანე ქართლისა“. ქართლის ცხოვრება, I... გვ. 285 — 287) ასეთივე შინაარსის ცნობაა დაცული აგრეთვე სუმბატ დავითის ძის „ქრონიკაში“. იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა... ე. თაყაიშვილის რედაქციით... გვ. 70, § 88. ფერისს ანუ ფერისის შესახებ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II... გვ. 127. გიორგი კედრენე. გეორგია. ტომი V.

68. სალჰორა

გეოგრაფიული ადგილი ბასიანის გავარში (იხ. შენიშვნა 47)

69. ანდრონიკა

სიძე ფერისისა (იხ. შენიშვნა 67). ანდრონიკემ ფერისისთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბასილ II-ს საწინააღმდეგო შეთქმულებაში. ანდრონიკეც ფერისისა და სხვა შეთქმულებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. იხ. გიორგი კედრენე, გეორგია, ტომი V.

70. ხალტონიარინის

ციხესიმაგრე

მდებარეობდა მაღალმთიანი სომხეთის კარინის გავარში (იხ. შენიშვნა 71).

71. კარინის ბავარი

მაღალმთიანი სომხეთის ერთ-ერთი გავართავანი. მისი დედაქალაქია კარინი ანუ თეოდოსიოპოლი (იხ. შენიშვნა 43). კარინის გავარი გადაკიმულია დასავლეთ ევფრატის ზემო დინების რაიონში. სახელი „კარინი“ უძველესი წარმოშობისაა. იგი დაკავშირებულია უძველეს პერიოდში მაღალმთიან სომხეთში დამკვიდრებულ კარინიტებად წოდებული ტომების სახელთან. კარინის გავარი თავისი მომიჯნავე ტერიტორიით დიდ სომხეთს პირველად შეუერთა

არტაშეს I-მა (189 — 160 წწ.). კარინის გავარში მდებარეობდა ქალაქები კარინი და არწნი, სოფლები არწათი, ბლურსი და ჰნძუცის მონასტერი.

72. უ ლ ზ ა

გეოგრაფიული პუნქტი არშარუნიქის გავარში, „მატიანე ქართლისა-ს შირიშნი (იხ. „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება ტ. I, გვ. 284).

73. ზ ა ჰ ა რ ი ა

ვლარშაყერტის ეპისკოპოსი ბასილ II-ის მეფობის ხანაში.

74. ჰ ი რ ი ს ბ ა ჰ ა რ ი

დიდი სომხეთის პარსკაპიქის ნაპანგის ერთ-ერთი გავართაგანი, ჰერის გავარი მოიცავდა ურმიის ტბის ჩრდილოეთ მხარეს. აქ მდებარეობს ქალაქი ჰერი და სოფელი ნვარსაკი.

75. ა რ წ რ უ ნ ი ბ ი

გვარი, რომელიც ქმნიდა დიდი სომხეთის ნახარარობას. შათი თავდაპირველი ადგილსამყოფელი აღმწეულთა ქვეყნის სასუნის გავარი იყო. X საუკუნეში არწრუნები ვასპურაკანში გაბატონდნენ და შექმნეს ვასპურაკანის სამეფო. ვასპურაკანის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა გაგრძელდა ამის შემდეგ 100 წელი. XI საუკუნეში დავით-სენეჭერიმმა ბასილ კეისარს გადასცა ვასპურაკანის სამეფო, სანაცვლოდ კი მიიღო სებასტია მისი მომიჯნავე ტერიტორიით. იხ. *Ռոպյակի Արժրունույ Պատմութիւն սահն Արժրունեսաց, Թիֆլիս, 1917.*

76. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე

ისტორიაში კონსტანტინე VIII-დ ცნობილი, ბასილ ბულგართ-მელეტელის ძმა, ბიზანტიის იმპერატორი მაკედონური დინასტიიდან 1025 — 1028 წლებში. ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის იგი ამაოდ ცდილობდა შეეზღუდა XI საუკუნეში გაძლიერებულ მსხვილ ფეოდალთა თვითნებობა. ებრძოდა პაქანიკებს (1027 წ.). კონსტანტინე იმპერატორის შესახებ იხ. *Ф. И. Успенский. История Византийской империи, ч. 2. Л. 1927. Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в. С-Петербург. 1884. История Византии в трех томах. Отв. ре-*

დაქტორ ს. დ. სკაზკინი, ტ. 2, რედაქტორი თემა ა. პ. კაჟ-
დანი, მ., 1967, გვ. 262—263.

77. კონსტანტინე

ვასპურაკანის გამგებელი ბიზანტიის იმპერატორ კონსტან-
ტინე VIII-ის დროს.

78. ანტიოქია

ქალაქი დიდი სომხეთის ტურუბერანის ნაპანგის ალიოვიტის
გავარში. ვარაუდობენ, რომ ქალაქი არქეში დაარსებულია ჯერ კი-
დედევ ურარტულ ხანაში. მის სახელს — „არქეშს“ უკავშირებენ
ურარტუს მეფის არგიშტ I-ის სახელს. არქეში მდებარეობს ვანის
ტბის დასავლეთ სანაპიროზე. VII საუკუნის პირველ მეოთხედში,
არქეში, რომელიც დროებით დაიპყრეს სპარსელებმა, ააოხრეს
პერსიკე კეისრის ჯარებმა, მაგრამ შემდეგ იგი კვლავ აღდგა და
განვითარების ახალი პერიოდი დაუდგა XI — XIII საუკუნეებში.
ქალაქ არქეშზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის ერთი
შტო, რომელიც ვასპურაკანზე გადავლით აღმოსავლეთს დასავ-
ლეთთან აკავშირებდა. ძველი არქეშის ნანგრევები ამჟამად ვანის
ტბაშია მოქცეული, ვინაიდან ტბის წყლის დონე საგრძნობლად
ამაღლდა გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

79. სინოპი

პარაკოიმომენოსი (იხ. შენიშვნა 80). სიმონი 1027 წელს ჯა-
რით დაიძრა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ კონსტანტინე VIII
გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე უმაღლეს კონსტანტინოპოლ-
ში დაბრუნდა.

80. პარაკოიმენოსი

სომხური დამახინჯებული ფორმა ბერძნული παραχοιματισ-
ისა, რაც ქართულ „მესაწოლეს“ შეესაბამება. ეს იყო სამეფო კა-
რის თანამდებობა, რომელსაც ჩვეულებრივ ფლობდნენ საკური-
სები. იხ. Н. Скабаланович. Византийское государство и
церковь... გვ. 173.

81. ზონია

ბიზანტიის დედოფალი, ქალიშვილი კონსტანტინე VIII-ისა.
ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იგი დააქორწინეს ბიზანტიელთა

წარჩინებული ფენის ერთ-ერთ წარმომადგენელზე, რომანოსზე, რომელიც ამ გზით იმპერატორად იქცა. ქმრისაგან უგულვებელყოფილი, ზოია სამეფო კართან დაახლოებული საჭურისის, ვინმე იოანეს ნება-სურვილის აღმსრულებლად იქცა. იოანემ თავისი ძმა მიხეილი ზოიას დაუახლოვა. მათ მოახერხეს რომანოსის დახრჩობა. ზოია გათხოვდა მიხეილზე და მიხეილი იმპერატორად გამოაცხადეს. მაგრამ იგი მალე გადაუდგა ზოიას, ამით ისარგებლა იოანემ და ხელისუფლება მთლიანად ხელში ჩაიგდო. იოანეს შთაგონებით ზოიამ იშვილა მიხეილისა და იოანეს ძმისწული მიხეილ V კალაფატი, რომელიც ბიძის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორად გამოაცხადეს (1041 — 42 წწ.). მიხეილ V თავისგან ჩამოიშორა იოანე და ზოია, რომელიც 1042 წელს მონაზვნად აღიკვეცა. ზოიას განდევნა გახდა საბაბი კონსტანტინოპოლში დიდი ხნიდან მომზადებული ამბოხებისა, რომელიც საბოლოოდ დამთავრდა მიხეილ V-ის ჩამოგდებით და ზოიას კვლავ სამეფო ტახტზე აყვანიო. ამ საქმის განხორციელებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ზოიას დამ თეოდორამ. დების თვენახევრის ბატონობის შემდეგ, სასახლის კარის წარმომადგენელთა მოთხოვნით 64 წლის ზოია მე-3-ჯერ გათხოვდა კონსტანტინე IX მონამახზე (1042 — 1054 წწ.). ზოია გარდაიცვალა 1050 წ. იხ. Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в. Ф. И. Успенский. История Византийской империи. ч. 2. Ленинград. 1927 г. История Византии. т. 2. გვ. 263—264.

82. რომანოსი

ბიზანტიის კეისარი (1028 — 1034), მეუღლე კონსტანტინე VIII-ის ქალიშვილის ზოიასი. იგი მსხვერპლი შეიქნა თავისი ცოლისა და სამეფო კართან დაახლოებული ერთი საჭურისის იოანეს მოღალატური საქმიანობისა (იხ. შენიშვნა 81). იხ. История Византии. т. 2 გვ. 263 — 264.

83. ჰალკი

ქალაქი, თანამედროვე ალექსო.

84. სეაპის მთა

იგივე შავი მთა, რომელიც განსაკუთრებით მდიდარი იყო მონასტრებით.

ნათლისმცემელი. იხ. ბიბლია.

86. ტ ა ჯ ი კ ი

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხალხის აღმნიშვნელად იხმარებოდა. მონღოლთა ბატონობის ხანაში ტაჯიკებად იწოდებოდნენ სპარსელები, რათა განესხვავებინათ ისინი მონღოლთა და თურქთაგან. სომეხ ისტორიკოსებთან „ტაჯიკს“ მაჰმადიანის აღმნიშვნელ ტერმინად ვხვდებით. არისტაკესი „ტაჯიკებში“ სელჩუკებს გულისხმობს.

87. უ რ ჰ ა

ქალაქი, იგივე ედესა, აბგარ მეფემ ააშენა ეს ქალაქი და აქ გადაიტანა სამეფო ტახტი. სომეხთა მეფემ ერვანდმა ედესა გადასცა რომაელებს. მათ აქ გადმოიტანეს გადასახადებისა და საგანძურთა საცავი, რომელიც ადრე პონტოს ქალაქ სინოპში იყო. ამიერიდან სომეხთა უფლებები აღიკვეცა შუამდინარეთიდან. ქალაქი ურჰა სავაჭრო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, სახელდობრ, იგი წარმოადგენდა ქალაქ დვინის ხუთ მთავარ გზათაგან ორი გზის პუნქტს. ერთი გზა იღო სამხრეთ-დასავლეთით და მიიმართებოდა ქალაქ დვინიდან ხლათში, ქლიმარში, იქიდან ურჰაში, დამასკოში და შემდეგ უერთდებოდა იერუსალიმსა და ალექსანდრიას. მეორე გზა მიიმართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადიოდა დვინიდან ნახიქევანში, თავრიზზე, აქედან უერთდებოდა ხაზს, რომელიც მიიმართებოდა ნინევიასზე და ურჰაზე.

88. მ ა ნ ე ა კ ი

გიორგი მანეაკი, ბიზანტიელთა ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი რომანოს III-ის, მიხეილ IV პაფლაგონისა და კონსტანტინე IX მონომახის დროს. იგი იყო ეფერატის სანაპირო ქალაქების სტრატეგი, ქალაქ სამუსატში დამკვიდრებული. კონსტანტინე მონომახის დროს მან მოაწყო აჯანყება 1043 წელს. მან პირდაპირ დედაქალაქისაკენ აიღო გეზი. თესალონიკის მახლობლად მოხდა ძლიერი ბრძოლა მანეაკისა და მთავრობის ჯარებს შორის. მანეაკს თითქმის მოგებული ჰქონდა ბრძოლა, რომ მტრის მახვილით გაიგმირა. მისმა დალუპვამ აჯანყებაც დაასრულა, მაგრამ ხელი შეუწყო სამხედრო არისტოკრატის აჯანყებების გახშირებას.

მანეკის შესახებ იხ. *Ф. И. Успенский. История Византийской империи*, III. გვ. 35—40. *История Византии*. т. 2... გვ. 270—271.

89. სამუსატი|სამოსატი

ქალაქი ევფრატის სანაპიროზე.

90. სამსონი

გადმოცემის თანახმად ქალაქ სამუსატის ამშენებელი.

91. ანთიპატოს პატრიკიოსი

ოლქის გამგებელი იხ. *И. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в.* გვ. 154—155.

92. მიხეილი

მიხეილ IV, პაულაგონი, ბიზანტიის იმპერატორი (1034 — 1041 წწ.) მიხეილ IV-ის შესახებ იხ. *Ф. И. Успенский, История Византийской империи*, ч. 2...

93. დანიელი

ერთ-ერთი წინასწარმეტყველი ებრაელთა ოთხ წინასწარმეტყველთაგან.

94. თესალონიკი

მაკედონიის დიდი სავაჭრო ქალაქი, თანამედროვე ბერძნული ქალაქი სალონიკი. თესალონიკი დაარსდა 315 წ. ძვ. წ. აღრ. ბიზანტიის იმპერიაში თავისი სიძლიერითა და სავაჭრო მნიშვნელობით მეორე ქალაქია. ქ. თესალონიკის შესახებ იხ. *Энциклопедический словарь, издатели Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. СПб, 1852 г. Советская историческая энциклопедия*, т. 12.

95. დემესლოკოსი

ბერძნულ-ბიზანტიური ტიტულის „დომესტიკოსის“ სომხური დამახინჯებული ფორმა. უმთავრესად სამხედრო პირს ნიშნავს.

ორთანოროსი „ორთანოტროფის“ სომხური გადმოცემა, ნიშნავს ობლებზე მზრუნველს, სინკლიტოსი-სენატორს. იხ. Повествование вардапета Аристакеса Ластивертци... გვ. 152.

97. ბ ე რ კ რ ი ს ც ი ხ მ ა ჯ ა ლ ა მ ი

მღებარეობს დიდი სომხეთის ვასპურაკანის ნაჰანგის არბერანის გავარში, ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში. ბერკრი ხშირადაა მოხსენებული ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში: ასე მაგალითად, სებეოსთან, ლევონდისთან, თომა არწრუნისთან და სხვ. იგი განსაკუთრებით ხშირადაა მოხსენებული X — XI საუკუნეებში, როდესაც ბერკრიში ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ცვლილებებს.

თურქ-სელჩუკთა დაპყრობების შემდეგ იგი შაჰარმენტა ბატონობის ქვეშ დარჩა. ბერკრის ციხე-ქალაქი მღებარეობდა ვასპურაკანზე გამაველ სავაჭრო გზაზე, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა (თავრიზი, დილმანი, ბართლომეა მონასტერი, ვანი, ბერკრი, არქეში და მანაზკერტი).

98. ე ვ ს ე ბ ი ო ს ი

ეკსარიის ეპისკოპოსი (263 — 340 წწ.), დაიბადა პალესტინაში. განათლება მიიღო იერუსალიმისა და ანტიოქიის სასწავლებლებში. იგი დიდი ევსებეოსის სახელითაა ცნობილი. ევსებეოსი თავის ნაწარმოებებს წერდა ბერძნულად. მაგრამ ისინი უმთავრესად თარგმანებშია შემონახული. ევსებეოსის ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია აპოლოგეტიკური და ისტორიული ხასიათისა. მას ეკუთვნის „ეკლესიის ისტორია“. ამ ნაწარმოების შექმნისას იგი სარგებლობდა არა მარტო საეკლესიო ბიბლიოთეკებით, არამედ სახელმწიფო არქივებითაც. ევსებეოსის ეკუთვნის აგრეთვე „კონსტანტინე იმპერატორის ცხოვრება“. იხ. Н. Розанов. Евсевий Памфил, епископ Кесарии Палестинской, 2 изд. М. 1881.

99. ა პ ა ჰ უ ნ ი ძ ი ს ბ ა ნ ა რ ი

დიდი სომხეთის ტურუბერანის ნაჰანგის ერთ-ერთი გავართანია მის 16 გავართავან. აღნიშნულ გავარს სახელწოდება მიღებული აქვს აპაჰუნის ტომიდან. აპაჰუნის გავარი გადაქიმულია ჰარქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთ ეფთრატის ორივე ნაპირას. ამ გავარში მღებარეობს სოფელი თონდრაკი, რომელ-

მაც IX — X საუკუნეებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თონდრაქელთა მოძრაობის სახელწოდებით ცნობილ სოციალურ მოძრაობაში.

100. მ ა ნ ა ნ ა ლ ი ს ბ ა ვ ა რ ი

დიდი სომხეთის მალაშთიანი სომხეთის ნაჰანგის 9 გავართავან ერთ-ერთი გავარი. მანანალის გავარი გარშემორტყმულია სამხრეთიდან ბიუტაკან-მუნქურიანის მთის აღმოსავლეთი ნაწილით, ხოლო დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკელეაცის, კარინისა და დერჯანის გავარებით. იგი მოიცავს დასავლეთ ევფრატის მარცხენა მხარის შენაკადის მდინარე დუზლის აუზის ერთ ნაწილს. სახელი „მანანალი“ ძველი წარმოშობისაა. ამ გავარში შემდეგი მნიშვნელოვანი ადგილებია აღსანიშნავი: სმბატაბერდი, შირის ციხე-ქალაქი, კაშესა და ალიუსის სოფლები, ბაზმალბიურის დაბა და ჭერმაის დაბა-ქალაქი. ამათგან შირის ციხე-ქალაქი, კაშესა და ალიუსის სოფლები და ბაზმალბიურის დაბა XI საუკუნის დასაწყისში თონდრაქელთა მოძრაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ.

101. კ მ ი ს ა რ ი

იგულისხმება მიხეილ პაფლაგონის დისშვილი მიხეილ V კალათატი, რომლის მეფობა კედრენეს ცნობით გავრძელდა ოთხი თვე და ხუთი დღე — 1042 წლის 21 აპრილამდე.

102. თ ე ო დ ო რ ა

ბიზანტიის დედოფალი, იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის უმცროსი ქალიშვილი, კონსტანტინე VIII-ის სიკვდილის წინ თეოდორას შესთავაზეს მათ ახლო ნათესავზე რომანოსზე დაქორწინება, მაგრამ თეოდორამ უარი განაცხადა და რომანოსი დაქორწინდა თეოდორას დაზე ზოიანზე. რომანოსის მმართველობის დროს თეოდორა შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომ თეოდორას ახლოს თავი მოიყარეს რომანოსით უკმაყოფილო პირებმა. მათ მოაწყვეს შეთქმულება, რომელიც გამომქლავნდა და დამნაშავენი დასაჯეს. თვით თეოდორა გააძევეს პეტრეს მონასტერში ზოიას მოთხოვნით, რომელსაც ეშინოდა ხელისუფლების დაკარგვისა. 1031 წ. სექტემბერში ზოიას აცნობეს, რომ თეოდორა შეეცადა გაქცევას, ამიტომ ზოიამ თეოდორა მონაზვნად აღკვეცა. რომანოსისა და მიხეილ პაფლაგონის დროს თეოდორა მშვიდად

ცხევრობდა მონასტერში. როდესაც მიხეილ კალაფატმა გააძევა ზოია, თეოდორა შეთქმულებას ჩაუდგა სათავეში, რომელსაც საბოლოოდ მიხეილ კალაფატის დაღუპვა მოჰყვა. შემდეგ დებმა გადაწყვიტეს ერთად ემეფათ. 1042 წ. 21 აპრილს თეოდორა ავიდა ტახტზე და თავის დასთან ზოიასთან ერთად განაგებდა სახელმწიფოს. ზოიას სიკვდილის შემდეგ (1050 წ.) თეოდორა განაგრძობდა სახელმწიფოს მართვას კონსტანტინე მონომახთან ერთად. როდესაც სიკვდილის წინ (1055 წ. იანვარი) კონსტანტინე მონომახს სურდა სამეფო ტახტის გადაცემა ნიკიფორე პროტევონისთვის, თეოდორამ თავის მხარეზე გადაიბირა გვარდია და ჯერ კიდევ კონსტანტინეს სიცოცხლეშივე თვითმპყრობელ დედოფლად იყო აღიარებული. თეოდორამ გადაასახლა ძველი გამგებლები და ახლები გარს შემოიკრიბა; სიკვდილის წინ თეოდორამ ახლობელთა რჩევით თავის მემკვიდრედ დანიშნა პატრიცი მიხეილ სტრატოტიკი. თეოდორა გარდაიცვალა 1056 წ. სექტემბრის დასაწყისში და მისით დამთავრდა მაკედონური დინასტია. თეოდორას შესახებ იხ. Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке...

103. კონსტანტინე

ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე IX მონომახი (1042 — 1055 წწ.). იხ. Ф. И. Успенский. История византийской империи. т. III, стр. 34—40. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в. История Византии, т. 2, стр. 270—278.

104. კირაკოსი

მღვდელი, საკათალიკოსო სახლში სტუმრების ზედამხედველი. იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში. 1028 წელს სიკვდილის წინ კონსტანტინე კეისარმა კირაკოსს ჩააბარა ქალაქ ანისის მემკვიდრეობის ხელწერილი, რომელიც კირაკოსმა არ გამოაჩინა და მიყიდა მიხეილ IV კეისარს 1038 წელს. ამ უკანასკნელიდან აღნიშნული ხელწერილი მიხეილ V კეისარს გადაეცა 1041 წელს, მიხეილიდან კი 1042 წ. კონსტანტინე მონომახს.

105. სარგისი

სომეხი წარჩინებული. არისტაკეს ლასტივერტეცისთან აზნაურის წოდებითაა მოხსენებული. იგი სივნიელთა გვარიდან იყო.

ტეკორის 1042 წლის წარწერის თანახმად მისი მეუღლე იყო გრიგოლ მაგისტროსის ქალიშვილი. მეფე იოანე-სუმბატის დროს (1020 — 1042 წწ.) სარგისი დიდი მთავრის ტიტულს ატარებდა. მისი სიკვდილის შემდეგ სარგისი დაეუფლა იოანეს საგანძურებს. და სურდა გამეფება. მან დიდი მონაწილეობა მიიღო გაგიკ II-ის ჩამოგდებისა და ანისის მოღალატურად გაყიდვის საქმეში. სარგისმა გარკვეული მშენებლობაც ჩაატარა. მის მიერაა აშენებული, მაგალითად, ხაცაკუნქი, სარგისის მონასტერი; წარაქარი. არისტაკეს ლასტივერტეცის გარდა სარგისის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე სამუელ ანეცისთან, მათე ურჰაეცისთან, მხითარ აირივანეცისთან.

106. შირაკი

დიდი სომხეთის აირარატის ნაჰანგის ერთ-ერთი გავართავანი. იგი უმთავრესად დაბლობი ქვეყანაა, გადაჭიმული იყო მდინარე ახურიანის ველზე. შირაკი განსაკუთრებით დაწინაურდა ბაგრატუნთანა ბატონობის პერიოდში.

არშაკუნიანთა ბატონობის დროს შირაკი ძირითადად ეკუთვნოდა კამსარაკანებს, მაგრამ აქ მამულები ჰქონდათ აგრეთვე დიმაქსიანებსა და საპარუნებს არაბთა ბატონობის პერიოდში. VIII საუკუნეში კამსარაკანთა სახლი განადგურების საფრთხის წინაშე დადგა და იძულებული შეიქნა VIII საუკუნის დასასრულს თავისი მამულები, მათ რიცხვში შირაკიც, მიეყიდა ბაგრატუნებისათვის. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან შირაკი სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ცენტრად იქცა. აქ მდებარეობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორცაა ანისი, ერაზგავორქი, მავრიკაპოლიაი, ტეკორის, ალამანის, ბაგნაირის, კუმაირის სოფლები, აგრეთვე მარმაშენის (კუმაირიდან ჩრდილო-დასავლეთით), არგინას (ერაზგავორის ახლოს, მისგან ცოტა დასავლეთით), ჰორომოსის (ანისის ახლოს, მისგან ცოტა ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ახურიანის მარცხენა ნაპირზე), ტეკორის (ანი-სიდან სამხრეთ-დასავლეთით), მრენის (მდინარე ახურიანის მარჯვენა ნაპირზე), ჰარიჭის (ახთიკის ახლოს, მისგან სამხრეთ აღმოსავლეთით) და დიპრევანის ცნობილი მონასტრები. აღნიშნული მონასტრები თითქმის ყველა აშენებულია X — XI საუკუნეებში და სომხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენენ. მათი დიდი ნაწილის ნანგრევები დღემდეა მოღწეული:

გრიგოლ ჰამზაის შვილი, დიდი მთავარი და სპარაპეტი, გრიგოლ მაგისტროსის ბიძა. ვაჰრამი დაიბადა 967 წელს. იგი იყო მრავალი მონასტრის აღმშენებელი. მათ შორის აღსანიშნავია მარმაშენი (დაიწყო 986 წ. და დამთავრდა 1029 წელს), რომელიც მდებარეობდა მდინარე ახურიანის მარცხენა ნაპირზე. სომხეთის მეფემ გაგიკ I-მა ვაჰრამ პაპლავუნი დავით კურაპალატის დასახმარებლად გააგზავნა 998 წელს ატრპატაკანის ამირას მამლანის წინააღმდეგ. იოანე-სუმბატის სიკვდილის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა დაჯგუფებას, რომელიც სარგისს დაუპირისპირდა და რომელიც მიზნად ისახავდა გაგიკ II-ის გამეფებას. ეს საქმე სისრულეში იქნა მოყვანილი. ვაჰრამ პაპლავუნიმ მოიგერია ბიზანტიელთა შემოსევები ანისზე. ვაჰრამი დაიღუპა ბიზანტიელთა ბრძოლაში დეინის ამირას წინააღმდეგ 1045 წელს. იგი დაკრძალულია სანაინის მონასტერში. ვაჰრამ პაპლავუნის შესახებ, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, მოხსენებულია აგრეთვე მათე ურჰაეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, სამუელ ანეცისთან.

108. ბაბიკი

გაგიკ II-ედ წოდებული, სომხეთის მეფე, შვილი ამოტ IV ბაგრატუნისა (1020 — 1041 წ.). გაგიკმა შეცვალა სუმბატ-იოანე. გაგიკ II-ის დროს სომხეთში აღვილი ჰქონდა ორ დაჯგუფებას: 1) სარგისის დაჯგუფება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ანისის ჩაბარება ბიზანტიისათვის და 2) ვაჰრამ პაპლავუნის დაჯგუფება, რომელიც იცავდა გაგიკის კანდიდატურას. მართალია, გაგიკმა რამდენჯერმე დაამარცხა ბიზანტიელები და შეაჩერა მათი შემოტევები, მაგრამ სარგისის მომხრეთაგან მოტყუებული წავიდა კონსტანტინოპოლში. ბიზანტიის კეისართან. იგი შეიპყრეს, შემდეგ მეფობისაგანაც აღკვეცეს და გააგზავნეს კაპადოკიაში; აქ იგი დაქორწინდა სებასტიის მეფის დავითის ქალიშვილზე 1044 წელს. კესარიის ბერძენმა მიტროპოლიტმა მარკოზმა სომხებისადმი უპატივცემლობის ნიშნად თავის ძალს სახელად არმენი შეარქვა. გაგიკი სტუმრად წავიდა მარკოზთან და შეამოწმა რა ეს ამბავი, ცემით მოკლა მიტროპოლიტი. გაგიკი შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს 1079 წ. გაგიკის შესახებ, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, ცნობები დატულია აგრეთვე მათე ურჰაეცისთან, სამუელ ანეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, სტეფანოს ორბელიანთან. იხ. *Վլամական տարեգիր կազմსაყ Կ. Կուითანსანց. Ս. Պետիրբուրգ. 1913. გვ. 22*

ციხესიმაგრე, დიდი სომხეთის აირარტის ნაჰანგის ქაკატქის-გავარში. სურმარი პირველად XI საუკუნეში მოიხსენიება. ამ დრო-ისათვის იგი ციხე-ქალაქად იწოდება. ისტორიკოსთაგან ზოგნი მას წმინდა მარის (სურბ მარის) სახელწოდებით იხსენიებენ. 1390 წელს თემურლენგმა აიღო ქალაქი და საფუძვლივ დაანგრია.

110.

სომხურ ტექსტში გარკვევითაა აღნიშნული; რომ პორომთა-გარები ერთმანეთის მიყოლებით ოთხჯერ შეიპყრენ სომხეთში (*չորս անգամ զինի Իխմსանց Իսին յաշխարհն Հայոց...*) ფრანგულ თარგმანში კი, რატომღაც, მხოლოდ სამ ლაშქრობაზეა ლაპარაკი იხ. Histoire d'Arménie, comprenant la fin du royaume d'Ani,... გვ. 62.

111. მ ე ლ ი ტ ა ნ ე

ქალაქი მცირე სომხეთში. უფრო ზუსტად მესამე სომხეთში, რომლის ცენტრადაც ითვლებოდა კიდევ. იგი გადაჭიმული იყო მდინარეების მელასისა და ევფრატის შეერთების ადგილის ახლოს. მელიტენე მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა. იგი წყაროებში ხშირად მალათიდაც იწოდება. ქ. მელიტენეს შესახებ. იხ. Н. Г. А д о н ц. Армения в эпоху Юстиниана. Политическое состояние на основе нахарарского строя, СПб. 1908, глава IV, Малая Армения.

112. გ რ ი გ ო ლ ი

გრიგოლ პაპლავუნად, ან ბიჯნისელად წოდებული, მაგისტროსი, შვილი ვასაკისა. მამის სიკვდილის შემდეგ შეუერთდა სხვა ნახარარებს და მონაწილეობა მიიღო გაგიკ II-ის გამეფებაში 1043 წელს. ეს უკანასკნელი შემდეგში გრიგოლის მტრად იქცა. გრიგოლმა დატოვა აირარატი და წავიდა ტარონში, სადაც ააშენა წმინდა კარაპეტისა და სხვა მონასტრები. ტარონიდან გრიგოლი წავიდა კონსტანტინოპოლში კეისართან. თავისი სიმხნისა და ერთგულების გამო გრიგოლი ღირსი შეიქნა კონსტანტინე მონომახისაგან მიეღო მაგისტროსის ტიტული. იგი ცდილობდა კონსტანტინოპოლში გამოესწორებინა ანისის საქმე და ეხსნა გაგიკი, მაგრამ ვერ შეძ-

ლო. ანისის დაპყრობის შემდეგ. თავისი კუთვნილი ბიჯნისის, კაენისა და კაეწონის ციხეები გრიგოლმა ბიჯანტიელებს გადასცა, ტარონის გამგებლობა კი თორნიკ მამიკონიანს ჩააბარა და თვითონ შუამდინარეთში წავიდა. გრიგოლი 1051—52 წლებში ებრძოდა თონდრაელებს. იგი შუამდინარეთში ცხოვრობდა სიკვდილამდე. 1059 წლამდე. გრიგოლ მაგისტროსი გარდა თავისი ზემოთ ჩამოთვლილი მოღვაწეობისა, ცნობილია როგორც მემპტიანე, მეცნიერ-ენციკლოპედისტი. გრიგოლმა ბიჯნისსა და ტარონში დააარსა „აკადემია“, სადაც ასწავლიდნენ სხვადასხვა საგნებს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია წერილების, სიმღერების კრებულები. გრამატიკა. გრიგოლ მაგისტროსის ენა საკმაოდ ბუნდოვანი და დახლართულია. ზოგჯერ სრულიად გაუგებარიც კი. გრიგოლ მაგისტროსის შესახებ ცნობები, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, გვხვდება აგრეთვე მათე ურჰაეცისთან, სამუელ ანეცისთან, მხითარ აირივანეცისთან. იხ. P. M. Б а р т и к я н. Ответное послание Григория Магистра Пахлавуни сирнийскоу каталикосу — ПС, 7 (70), 1962.

113. ვ ა ს ა კ ი

ვასაკ პაპლავუნად წოდებული, შვილი გრიგოლ ჰანზასისა, ძმა ვაპრამ პაპლავუნისა და მამა გრიგოლ მაგისტროსისა, გამგებელი ბიჯნისის ციხისა, აღმშენებელი კაენისა და კაეწონს ციხესიმაგრეებისა, სუმბატ II ბაგრატიუნის სპარაპეტი. ვასაკი დაიღუპა 1020 წელს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვასაკის შესახებ, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, ცნობებს ვხვდებით მათე ურჰაეცისთან, სამუელ ანეცისთან, მხითარ აირივანეცისთან, ვარდანთან, კირაკოს განძაკეცისთან.

114. ბ ი ჯ ნ ი ს ი

ციხესიმაგრე, დიდი სომხეთის აირარატის ნაპანგის ნიგის ვარში. ბიჯნისი სომხური წყაროებიდან პირველად ლაზარე ფარპეცისთან იხსენიება. მასთან დაცული ცნობის თანახმად ბიჯნისი მე-5 საუკუნის II ნახევარში დაბას წარმოადგენდა.

X საუკუნიდან ბიჯნისი პაპლავუნელ მთავართა სადგომად იქცა. ამ პერიოდის შესახებ ცნობებში ბიჯნისი იწოდება ქალაქად და ციხე-ქალაქად. XI საუკუნის დასაწყისში ბიჯნისი ეპისკოპოსის საჯდომ ადგილად იქცა. გრიგოლ მაგისტროსმა, რომელიც გრიგოლ ბიჯნისელადაც იწოდება, 1021 წელს აქ ააშენა ეკლესია და მას უბოძა მამულები. ამის შესახებ გვაუწყებს ეკლესიაზე ამოკვეთილი ვრცელი წარწერა. პაპლავუნელთა ბატონობა აქ დიდხანს არ გაგ-

რძელებელა. XI საუკუნის ნახევრიდან ბიჯნისის ნაცვლად მათ მამულები მიიღეს სამხრეთ სომხეთში.

სელჩუქთა ბატონობის შემდეგ ბიჯნისის გამგებლად უკვე პაპლავუნები აღარ ჩანან.

ბიჯნისის ნანგრევები დღემდე შემორჩენილი. ისინი განლაგებულია სოფელ არზაკანის ახლოს, მდინარე ჰრაზდანის მარჯვენა ნაპირზე. გაცილებით უკეთ არის შენახული ეკლესიის ნანგრევები.

115. ღ ა ვ ი თ ი

ღვინელი: სომხებს სურდათ მისთვის ჩაებარებინათ ქალაქი ანისი, როდესაც გაგიკ II კონსტანტინოპოლში იყო ჩამწყვდეული.

116. ა ს ი ტ ი

მთავარი. აღმოსავლეთ მხარეების მფლობელი, შემდეგში ანისის გამგებელი.

17. ღ ვ ი ნ ი

ქალაქი დიდ სომხეთში, აირარატის ნაპანგის ვოსტანის გავარში, მდინარე აზატის ქვემო დინების რაიონში, არტაშატის ახლოს.

ქალაქი ღვინი დაარსებულია IV საუკუნეში, ხოსროვ კოტაქის დროს (330 — 338 წწ.). V საუკუნის მეორე ნახევრიდან ღვინი სომხეთის დედაქალაქად გადაიქცა და იწყო საგრძობლად ზრდა. VII — X საუკუნეებში იგი ჯერ კიდევ ითვლებოდა სომხეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქად. არაბ ისტორიკოსებთან და გეოგრაფებთან ღვინი ჩვეულებრივ ხშირად იხსენიება. თავისი არსებობის მანძილზე ქალაქ ღვინმა მრავალჯერ განიცადა უცხო დამპყრობელთა შემოსევები და აოხრებანი. უცხო დამპყრობთაგან ყველაზე დიდი დარტყმა ღვინმა მიიღო არაბთა პირველი შემოსევის დროს 640 წელს, როდესაც არაბებმა ააოხრეს მთლიანად ქალაქი. ამოწყვიტეს 35 000 კაცი და ტყვედ წაასხეს 12 000. ამგვარი სახის გამანადგურებელი თავდასხმები არაბებმა შემდეგშიც გაიმეორეს. რა თქმა უნდა, ასეთი ლაშქრობები დიდ ზიანს აყენებდნენ ქალაქის ეკონომიკას და სცემდნენ მის მნიშვნელობასა და როლს როგორც საგარეო პოლიტიკაში, ასევე სავაჭრო ურთიერთობაში. მაგრამ გარკვეულ პერიოდებში ღვინი კვლავ ახერხებდა თავისი წინააღმდეგი მნიშვნელობის აღდგენას.

IX საუკუნეში ღვინში ორჯერ ჰქონდა ადგილი ძლიერ მიწისძვრას (862 და 893 წელს), რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქალაქს, მაგრამ მან მალე შეძლო კვლავ აღდგენა.

X — XI საუკუნეებში დვინი ბაგრატუნიანთა სამეფოში შედიოდა. ბაგრატუნიანთა სამეფოს დაცემის შემდეგ დვინი დაემორჩილა სელჩუკებს. დვინს ფართო სავაჭრო ქსელი ჰქონდა გაბმული სომხეთის სივრცისკა რაიონებთან, საქართველოსთან, ალბანეთთან, ატრპატაკთან, აგრეთვე შორეულ ქვეყნებთან. დვინიდან გამოდიოდა რამდენიმე სავაჭრო გზა, სადაც ალებ-მიცემობას ეწეოდნენ არა მარტო სომეხი, არამედ არაბი, სპარსელი, ქართველი და სხვა ხალხის ვაჭრები.

დვინი განთქმული იყო თავისი ხელოსნური წარმოებით. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფეიქრობა, ლითონდამუშავება, მღებრობა. ტყავის დამუშავება და სხვ.

დვინის მოსახლეობის რიცხვი მისი ძლიერების ხანაში დაახლოებით 100 000-ს აღწევდა. ქალაქ ანისის მსგავსად დვინმაც თავისი ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა მონღოლთა ბატონობის დროს.

დვინში აღილი ჰქონდა საეკლესიო კრებებს, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა 554 წ. კრება. ამ კრებაზე მიიღეს (უფრო ზუსტად, აღდგენილ იქნა) სომეხთა ახალი წელთაღრიცხვა. გარდა წელთაღრიცხვისა ამ კრებამ განიხილა აგრეთვე ნესტორიანელთა და პავლიკიანელთა საკითხები.

118. აკუმსუარი

სომხური ფორმა „აბულ ასვარისა“, დვინის გამგებელი.

119. კამენასი

„კამენასი“ დამახინჯებული ფორმაა ბერძნული *καταμηνάσις*-ისა (კეკამენოსი). კეკამენოსი იყო მთავარი, ანისის გამგებელი.

120. არწინი

დაბა-ქალაქი მაღალმთიან სომხეთში, კარინის ვავარში, დასავლეთ ვეფხისტის მარჯვენა სანაპიროზე. არწინი განსაკუთრებით გაძლიერდა IX საუკუნის დასასრულიდან და XI საუკუნის პირველ ნახევრამდე შეინარჩუნა ეს სიძლიერე. ცნობების თანახმად არწინში იყო 140 — 150 ათასი მოსახლე. იგი წარმოადგენდა ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ მსხვილ და ძლიერ ცენტრს. XI — XIII საუკუნეების სომეხი ისტორიკოსები აღფრთოვანებით ლაპარაკობენ არწინის შესახებ.

ქალაქი არწინი გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მისი მეზობელი ციხე-ქალაქი თეოდოსიოპოლი. მაგრამ არ-

წნის გაძლიერება და აყვავება დიდხანს არ გაგრძელებულა. სელჩუკებმა სომხეთის წინააღმდეგ მიმართული თავიანთი მეორე ლაშქრობის დროს 1049 წელს სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად ააოხრეს ქალაქი არწნიც. ამის შემდეგ არწნიმ ველარ შექლო აღდგენა, მისი მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა მეზობელ თეოდოსიოპოლში, ერთი ნაწილი ამოწყდა სელჩუკების შემოსევებისას, ხოლო დანარჩენები კი სხვადასხვა ადგილებში გადასახლდნენ.

121. ს ა ა ვ ჰ ა რ ი

ციხე-სიმაგრე კარინის გავარში, ქართულად ნიშნავს „შავ ქვას“.

122. ს უ მ გ ა ბ ი ს მ თ ა

მდებარეობდა მანანლის გავარში.

123. თ უ რ ჭ ე ს ტ ა ნ ი

არისტაკეს მხედველობაში აქვს თურქთა ქვეყანა ზოგადად და არა რომელიმე გეოგრაფიული ადგილი.

124. ვ ა ლ ა რ შ ა ვ ა ნ ი

დაბა აირარატში, ბასიანის გავარში. იგი სომხეთის მეფის ტრდატ I-ის დროსაა დაარსებული. ძველთაგანვე იგი დაბად მოიხსენიება, გადაჭიმული იყო მდინარეების მურცისა და ერასხის შესაყარზე. ვალარშავანი ააშენა მეფე ვალარშმა.

125. ს ა მ რ ი

ანუ ისპირი, მდებარეობდა მდინარე არაქსის სათავეებთან. პეროდოტეს ცნობით: „სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც მეწამულად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდები, მიდების ზემოთ სასპერები, სასპერების ზემოთ კოლხები, ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი“. (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. II. თბ., 1952, გვ. 9). სასპერები უშალოდ ემეზობლებოდნენ დასავლეთისაკენ კოლხებს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ — მიდიელებს, ალაროდიები კი ცხოვრობდნენ სასპერების სამხრეთით. ს. ჯანაშიას აზრით, სასპერებს ეკირათ ევფრატის სათავეები და არზრუმის მხარე ერზინჯანამდე, კოროხის აუზის ზემოთა ნაწილი და

შემდეგდროინდელი იბერიის, საკუთრივ ქართლის დიდი ნაწილი. პეროდოტეს სასპერები ბერძენი მწერლების იბერები არიან. (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 56—57). სპერისა და სასპერების შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ ქსენოფონტეს, სტრაბონს, ევსებიოს კესარიელს და სხვ. სპერი|ისპირის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II... გვ. 9, 48 — 60, 73 — 75, 93 — 97, 188, 256 — 263, 270 — 275.

126. ა რ შ ა რ უ ნ ი კ ი

დიდი სომხეთის აირარატის ნაჰანგის ერთ-ერთი გავართავანი, ძველად ეს გავარი ერასხაძორის სახელწოდებით იყო ცნობილი. თავდაპირველად იგი ეკუთვნოდა არშაკუნების სამეფო სახლს, მაგრამ შემდგომში კამსარაკანებს, არშაკუნთა სანახარარო სახლის ერთ-ერთ განშტოებას გადაეცა. ვარაუდობენ, რომ პირველი ნახარარის — არშაკირის სახელი ეწოდა გავარს, რომელიც ადრე ერასხაძორად იწოდებოდა. არშარუნიქის გავარი მდებარეობდა მდინარეების ერასხისა და ახურიანის მიერ შექმნილ სამკუთხედში. არაბთა ბატონობის პერიოდში სომხეთის სხვა სანახარარო სახლებთან ერთად თავიანთი პოლიტიკური გავლენა კამსარაკანებმაც დაკარგეს. VIII საუკუნის ბოლოს კამსარაკანები იძულებული შეიქნენ შირაკისა და არშარუნიქის მამულები ბაგრატიუნებისათვის მიეყიდათ. არშარუნიქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბაგრატიუნთან ბატონობის დროს. არშარუნიქში აღსანიშნავია ერვან-დაშატი, ერვანდაკერტი, ბაგარანი, კაპუეტის ციხე-სიმაგრე.

127. ტ ა რ ო ნ ი

დიდი სომხეთის ტურუბერანის ნაჰანგის ერთ-ერთი მთავარი გავართავანი, სწორედ ამიტომ მთელი ტურუბერანის ნაჰანგი ხშირად ტარონის სახელწოდებითაა ცნობილი.

ტარონი გადაკიმულია მდინარე მელრაგეტის (დღევანდელი ყარა-სუს) აუზსა და არაწანის ორივე ნაპირზე. დასავლეთით მას ესაზღვრება მეოთხე სომხეთი, სამხრეთით აღმნიქი. მოსე ზორენაციის ცნობით, ძველად ტარონი აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად იყო გაყოფილი, აღმოსავლეთის დიდ ნაწილში. ბატონობდა სლკუნის სანახარარო სახლი, ხოლო დასავლეთში—ვაჰუნის სახლი. IV საუკუნეში, ხოსროვ კოტაკის დროს ტარონის ის ნაწილი, რომელიც ადრე სლკუნებს ეკუთვნოდა, მამიკონიანთა გამგებლობაში გა-

დავიდა. ხოლო დასავლეთი ნაწილი — აშტიშატი თავისი რაიონებით. სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. საკათალიკოსო სახლს გადაეცა. V საუკუნეში საკათალიკოსო სახლის ამ მამულებს, საპაპ პართევის სიკვდილის შემდეგ (439 წ.) დაეპატრონენ მამიკონიანები.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში მამიკონიანების ტარონის მამულები თანდათანობით ბაგრატუნიანებს გადაეცათ. ტარონის გავარში თავმოყრილია ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობის მრავალი ადგილი: ციხეები, დაბები, მონასტრები, სოფლები და სხვ.

ტარონის ქალაქთაგან აღსანიშნავია აშტიშატი, ძიუნკერტი, ოძი, ვიშაპი. მუში, ციხესიმაგრეთაგან: ოლაკანი, ეზნუატი, ასტლაბერდი. გარჯარი, მეწამორი, ასტლონქი. სოფლებიდან: ჰაცეკაცი, ხორანი. რაწელიც მოსე ხორენაცის დაბადების ადგილადაა მიჩნეული.

128. ჰ ა შ ტ ი ა ნ ა შ ი

დიდი სომხეთის ნაპანგის — მეოთხე სომხეთის 10 გავართაგან ერთ-ერთი. ჰაშტეანქის გავარი მდებარეობდა მდინარე არაწანის მარჯვენა მხარეს. აღმოსავლეთით მას ესაზღვრებოდა ტარონის გავარი, ხოლო დასავლეთით ხონძენე და პაღნატუნის გავარი. ჰაშტეანქის ერთი ნაწილი ეკუთვნოდა არშაკუნიანებს. მის ისტორიულ-გეოგრაფიულ ადგილთაგან აღსანიშნავია კტრიქის ციხესიმაგრე. აღნიშნული ციხის ირგვლივ წარმოიშვა პატარა ფეოდალური ქალაქი. ამ გავარში იღებს სათავეს მდინარე ტიგროსი.

129. ხ ო რ ძ მ ნ ე // ჯ ო რ ძ ი ა ნ ა .

ს. ჯანაშიას განსაზღვრით „ისტორიული ხოტენე-ხორძენე შეიცავდა ზემო ეფვრატის აუზში, გუმუშხანას თემის აღმოსავლეთ ნაწილს და ბაიბურდის თემს (მიახლოებით, რა თქმა უნდა). ამ ძველი ხორძენეს უეჭველი მემკვიდრეა ადრინდელ-ფეოდალური სომხეთის ერთი დასავლური თემი — ხორძიანა ანუ ხორძიანენა. ოღონდ როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ისე აქაც უნდა ვიგულისხმობთ, რომ მერმინდელმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძველი პროვინციის მხოლოდ ნაწილი შეინარჩუნა“. (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 93). სტრაბონის ცნობით ხორძენე და კამბისენე სომხეთის უკიდურესი ჩრდილო მხარეები ყოფილა, რომლებიც ესაზღვრებოდა კოლხეთსა და იბერიას. ძვ. წ. აღ. II ს.-

ში ხორძენე, იბერიის ერთ-ერთი მხარე სომხეთმა ჩამოაჭრა იბერიას. (იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია... გვ. 188 — 189, 299). ხორძენეს შესახებ იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 91 — 95, 98, 176, 260.

130. ს ა მ ს ტ ა ა მ ლ ე ბ ი დ ა კ ი რ ო ნ ე ლ ე ბ ი

ბერძენ ფილოსოფოს-სეკეპტიკოსების პირონისა (365 — 275 ჩვ. წ. აღ.-მდე) და სექსტოს ემპირიკოსის მიმდევრები.

131. ლ ი პ ა რ ი ტ ი

ლიპარიტის ძე, ქართველი ერისთავთ-ერისთავი, ბალუაში, თრიალეთის მფლობელი. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაჲს (1027—1072 წწ.). მან დიდი როლი ითამაშა საქართველოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში. ლიპარიტის მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხილე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 136, 138 — 149, 153, 154; 157, 158, 164 — 167, ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან. თსუ შრომები. 45. თბილისი. В. Н. Бенешевич. Три аниийские надписи из эпохи византийского владычества. Пг. 1921.

132. ა ტ ო მ ი

სენექერიმ არწრუნის შეილი, ძმა დავითის, აბუსაპლისა და კონსტანტინესი. ატომი თავისი ძმის დავითის სიკვდილის შემდეგ 1035 წელს გამეფდა.

133. მ ე ო რ ე ს ო მ ხ ე თ ი

მცირე სომხეთის ერთი ნაწილი. მცირე სომხეთი განიყოფება წინა სომხეთად და მეორე სომხეთად. წინა სომხეთი ქმნის სებასტიის რაიონს ამავე სახელწოდების ცენტრით და ქალაქებით: კოლონიით, სატალით, სებასტოპოლისით და სხვა ქალაქებით. მეორე სომხეთი მდებარეობდა მისგან სამხრეთით (მელიტენეს რაიონი და უფრო დასავლეთით). გარდა მელიტენესი მასში შედიოდა აგრეთვე არკა, კომანა და სხვა ქალაქები.

მდებარეობდა მეორე სომხეთში. (იხ. შენიშვნა 133).

135. კ ა რ ი ქ ა რ ს ი

ქალაქი, მდებარეობს ვანანდის გავარში. ვარაუდობენ, რომ როგორც კარის, ასევე კარნუ ქალაქის სახელები დაკავშირებულია უძველეს პერიოდში ამ მხარეებში მოსახლე კარინიტების სახელთან. ძველ სომეხ ისტორიკოსებთან კარიიქარსი ციხედ იწოდებოდა. X საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული მას ციხესიმაგრესა და ქალაქს უწოდებენ. 928—961 წლებში კარი სომხეთის დედაქალაქი იყო. ამ პერიოდში აშენდა ყარსის ეკლესია და ცნობილი ციხესიმაგრე. მონღოლთა ლაშქრობამდე იგი განაგრძობდა ძლიერ ქალაქად არსებობას. 963 წლიდან კარი ვანანდის სამეფოს დედაქალაქად იქცა. იგი ამავე დროს ვაქრობა-აღებ-მიცემობის უმსხვილეს ცენტრად ითვლებოდა. XI—XII საუკუნეებში ყარსი სომხეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქს წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის რიცხვი 50 000-ს აღემატებოდა. მონღოლთა ბატონობის დროს ყარსმა თანდათან დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა.

136. ბ ე რ კ რ ი

ციხე-ქალაქი, მდებარეობს ვასპურაკანში, არბერანის გავარში. ბერკრის ციხე-ქალაქის შესახებ მრავალრიცხოვანი ცნობები შემონახული ძველ სომეხ ისტორიკოსებთან. ცნობათა უმრავლესობა X—XI საუკუნეებზე მოდის. ბერკრი ფეოდალური ტიპის ციხე-ქალაქს წარმოადგენდა და სელჩუკების მიერ წარმოებული დაპყრობების შემდეგ შაპარმენთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

137. პ ა რ ხ ა რ ი ს მ თ ა

იგივე პარიადრის მთიანეთი. პ. ინგოროყვას აზრით, პარიადრის მთები ერქვა პონტოს მთებს, მოყოლებული იეშილ-ირმაკის (ეელკიტ-ჩაის) შესართავის ზონიდან ტრაპიზონის მხარემდე და მის პარალელურ სამხრეთ ქედს, რომელიც ყოფს იეშილ-ირმაკის და ლალისის ხეობებს. პარიადრის მთიანეთი მას მიაჩნია დასავლეთ ევფრატის ხეობის ზემო ნაწილად დასტირამდე. (იხ. „გიორგი მერჩულე“. გვ. 485—486). ს. ჭანაშიას აზრით პარიადრე, სკიფისი და მოსხის მთები აღმოსავლეთ პონტოს ქედის ნაწილებია და პარიადრის მთიანეთსა და ხორძენეში, ე. ი. დაახლოებით გუ-

მუშანასა და ბაიბურდის თემებში ჯერ კიდევ I საუკუნეში ძვ. წ. აღ. დადასტურებულია იბერების არსებობა. პარზარის||პარიადრის მთიანეთის შესახებ იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია... გვ. 174, 186, 189, 203, 213 — 215. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები ტ. II... გვ. 91 — 95, 98, 176, 257, 260 — 269. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950. შ ი ქ ე ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე მ. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33. თბილისი, 1960, გვ. 67.

138. ვ ა ნ ე თ ი

შავი ზღვის სანაპირო მხარე, იგივე ლაზისტანი. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით „...ბაიბურდისა და ფორჩხისსამკრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადენებით, გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარეობს ჭანეთსა და ფორჩხის ჯეობას შორის, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდან. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის—პალო, აქავ არს სატყეველა... ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწვეით, და მივალს ვიდრე ჭოროხამდე“. (ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 142).

139. ს ი მ ი ს მ თ ა

ტავროსის მთიანეთსაც უწოდებენ. აღძნიქის მხარეს განეკუთვნება ამ მთიანეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც სასუნად

იწოდება: მეორე, ჩრდილოეთი ნაწილი კი, რომელსაც ხუთი ეწოდება, ტურუბერანის ფარგლებში შედის.

140. ჰ ა ნ ძ ე თ ი | ა ნ ძ ე თ ი

მეოთხე სომხეთის 10 გავართაგან ერთ-ერთი. ჰანძეთის გავართის სახელწოდება ურარტული პერიოდის წარმოშობისაა. იგი გადაკიმულია მდინარე არაწანის ქვედა დინების რაიონში, უმთავრესად მის მარცხენა მხარეს. ჰანძეთის გავართის ისტორიულ-გეოგრაფიულ ადგილთაგან აღსანიშნავია ქალაქი ხაზარა, ხარბერდი, რანდეა და სხვ.

141. დ ე რ ჯ ა ნ ი

მაღალმთიანი სომხეთის ერთ-ერთი გავართაგანი. იგი დასავლეთით ესაზღვრება ეკელეაცის გავართს, ხოლო აღმოსავლეთით კარინის გავართს. სახელწოდება „დერჯანი“ „ტერჯან“ ფორმით დღემდეა ხმარებაში. ტერჯანი ამჟამად ერზერუმის ვილაიეთში შემავალი ერთ-ერთი სანჯაყთაგანია და გაცილებით უფრო მეტი ტერიტორია უჭირავს, ვიდრე ისტორიულ დერჯანს. დერჯანი უმთავრესად დაბლობი ადგილია. მის ტერიტორიაზე მიედინება დასავლეთ ევფრატი და მისი მარცხენა შენაკადი დერჯანი. დერჯანის ისტორიული ადგილებიდან აღსანიშნავია ბაგარიკის და ხლადორის მონასტრები.

142. მ ო რ ო ხ ი

მდინარე. ვახუშტის აღწერით „კლარჯეთსა შინა უდიდესი მდინარე არს ჰროხოხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამჯრიდამ ჩდილოჲ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვანიდამ, ჩრდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქვეით შ[ა]ვის ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ჯრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებ ურგები, ვინადგან არარაჲ კეთდების ანუ ირწყვის, თვნიერ ერგეს, გონიას და ბათომს“. (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 133 — 134).

143. ბ ა ბ ი რ დ ი

ციხე-ქალაქი. ახლანდელი ბაიბურდი. გაშენებულია მდინარე

ქოროხის ხეობის ზემო ნაწილში. ბაბერდზე გადიოდა საქარავნო გზა, რომელიც სპარსეთიდან მიემართებოდა ტრაპიზონისკენ.

144. ვ ა რ ი ა ბ ე ბ ი

Ластивертц — სომხური ტრანსკრიპცია ბერძნული Βαρϋγγος ὀβ. К. Н. Юзбашян. „Варяги“ и „прония“ в сочинении Ари-стакэса Ластивертци. ВВ т. XVI. 1959.

145. ა ბ ა ს ი

აბას I ბაგრატიუნი, მეფე (984 — 1029 წწ.), მუშელის შვილი, ააშენა შირიმის მონასტერი. 988 წელს წავიდა დავით კურაპალა-ტის დასახმარებლად, 998 წელს იგი დაეხმარა დავითს ატრაპატა-კანის ამირას მამლანის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1001 წელს კი შე-ებრძოლა ბიზანტიის კეისრის ბასილის ჯარს, როდესაც იგი ტაოს მიწა-წყლის დასაუფლებლად მოვიდა. აბასი შესცვალა მისმა ვაჟ-მა გაგიკმა. აბასი, გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, მოხსენიე-ბულია ასოლიკთან, მათე ურჭაეცისთან, ვარდანთან.

146. ბ ა ბ ი ძ ი

ყარსის ანუ კარის მეფე, აბასის შვილი და მუშელ ბაგრატუ-ნის შვილიშვილი. იგი განსწავლული კაცი იყო. გაგიკი ტახტს და-ეუფლა 1029 წელს, იგი წინ აღუდგა თოდრულისა და ალფ-არსლა-ნის ჯარებს. მაგრამ ვერ გასძლო დიდხანს და თავისი ქვეყანა ჩაა-ბარა ბიზანტიელებს. ნაცვლად კი მიიღო ქალაქები წამნდავი, ლა-რისა, ამასია და კომანი. გაგიკი 1081 წელს მოკლეს ბერძნებმა. გარდა არისტაკეს ლასტივერტეცისა, გაგიკის შესახებ ცნობები დატულია სამუელ ანეცისთან, მათე ურჭაეცისთან, მხითარ აირივა-ნეცისთან, კირაკოს განძაეცისთან, სტეფანოს ორბელიანთან.

147. თ ა თ უ ლ ი

ვანანდელი, ყარსის მეფე, მხნედ იბრძოდა თოდრულის ჯარე-ბის წინააღმდეგ და მათი დიდი ნაწილი ამოწყვიტა, მაგრამ მისი ცხენი დაიჭრა, თვით იგი კი შეიპყრეს. სულთანმა მოაკვლევინა თათული 1053 წელს.

148. ტ უ ა რ ა წ ა ტ ა ვ ი

დიდი სომხეთის ტურუბერანის ნაჰანგის ერთ-ერთი გავართა-განი, მდებარეობს ვარაჟუნნიქის და ჰარქის ჩრდილოეთით.

ახლანდელი ჯივან-ყალე. ციხესიმაგრე, მდებარეობს ბასიანის გავარში. ავნიკის ციხე აუოხრებია თემურლენგს.

150. ლუ

სოფელი ბასიანის გავარში.

151. ფილიპპანი

სამხედრო-საბრძოლო იარაღის ურნალის ერთ-ერთი სახე.

152. დილიმბიჯი

დილიმბის მცხოვრებნი, დილიმბი — ჩრდილოეთ ირანში, გილანის სამხრეთით მდებარე მხარეა. იხ. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, А. В. Строева, Л. М. Беленицкий. История Ирана, с древн. времен до конца 18 века. Ленинград, 1958, გვ. 115—118.

153. ბუნუნის ზღვა

იგივე ვანის ტბა, ვანის ტბის აუზს ესაზღვრება აღმოსავლეთით კოტურისა და ჩუხის მთები, სამხრეთით სომხეთის ტავროსი (ბითლისამდე), ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით რაპის მთიანეთი და ნემრუთი, ბილეჯანი, სიფანი და თონდურეკი.

154. განძაკი

განძაკის სახელით ორი ქალაქია ცნობილი. ერთი მდებარეობს ატრატაკანში, ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ძველად ამ ქალაქს მეორე ეპატანა ეწოდებოდა. ამჟამად კი დავრეჟად, ანუ თავრიზად იწოდება. მეორე განძაკი კი მდებარეობს უტიის ნაპანგის შაქაშენის გავარში, გელამის ზღვისა და მდინარე მტკვრის ჩრდილოეთ მხარეში. მოსე კალანკატუეცის ცნობით, განძაკი დაარსდა მე-9 საუკუნეში და მოკლე ხანში ალბანეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქად იქცა. ალბანელები მას ალბანელთა განძაკს ეწოდებდნენ. ამჟამად ამ ქალაქს კიროვაბადი ეწოდება.

155. თიოლოროსი

ავანად წოდებული, აპარონის შვილი, ტარონის გავარის მთავარი.

იგივე ბზნუნის გაგარი. მდებარეობს ტურუბერანის ნაჰან-გში, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. ბზნუნი — ძველი სანახარო ტომის სახელია. ეს სანახარო IV საუკუნეში გაუქმდა, ვინაიდან მისი ნახარო დატაბე აუჯანყდა არშაკუნებს, თავისი ჯარებით სპარსელთა მხარეს გადავიდა და მათთან ერთად ააოხრა სამხრეთ სომხეთის გაგარები. სომხეთის სამეფო ჯარებმა ვანის ტბის ჩრდილო სანაპიროზე დაამარცხეს დატაბე და თავი მოჰკვეთეს. ამის შემდეგ ბზნუნის სანახარომ შეწყვიტა არსებობა, ხოლო მის მიწებს ბზნუნის საეპისკოპოსო თემი დაეუფლა. ბზნუნის ანუ ხლათის გაგარის ისტორიული ადგილებიდან აღსანიშნავია ქალაქი ხლათი და არწყე.

157. მ ა ნ კ ა ნ ბ ო მ ი

დაბა-ქალაქი პარქის გაგარში.

158. ა რ ა წ ა ნ ი

სოფელი პარქის გაგარში.

159. ბ რ ი ბ ო ლ ი

სომეხთა განმანათლებელი, შვილი ანაკა პართეელისა, რომელმაც მოკლა სომეხთა მეფე ხოსრო. თავისი ოჯახი გრიგოლმა ამოწყვეტისაგან იხსნა და შეძლო კესარიაში გაქცევა. აქ აღიზარდა და გაიწრთენა გრიგოლი ქრისტიანული სულისკვეთებით. სომხეთში ჩამოსვლისას გრიგოლი დაუახლოვდა სამეფო სასახლეს. გადმოცემით, გრიგოლმა ქრისტიანობისათვის წარმოუდგენელი ტანჯვა-წამება გადაიტანა. როგორც მეფის მკვლელის შვილი, გრიგოლი ჩააგდეს ხორ ვირაპში, საიდანაც განთავისუფლების შემდეგ იწყო ქრისტიანობის ქადაგება, ეკურთხა კესარიის ეპისკოპოს ლევონდისგან. გრიგოლი იყო სომეხთა კათალიკოსი (302 — 326 წ.). სომხეთში მისი სახელობის მრავალრიცხოვანი ეკლესია და მონასტერია. გრიგოლ განმანათლებლის ბიოგრაფიის წყაროს აგათანგელოსის თხზულება წარმოადგენს. იხ. *Ագաթանգեղոսի Պատմութիւն Հայոց...*

160. წ ი რ ა ნ ი ს მ თ ა

მდებარეობდა ბასიანის გაგარში.

დაბა-ქალაქი ბასიანის გავარში, წირანის მთების რაიონში. პირველად იგი XI საუკუნეში იხსენიება. გადმოცემის თანახმად ოკოში ააოხრეს სელჩუკებმა თავიანთი პირველი ლაშქრობის დროს 1048 წელს და ამოწყვეტეს მოსახლეობა, რომლის რიცხვი 30 000 უდრიდა.

162. ჰაშტანჯი

მეოთხე სომხეთის ერთ-ერთი გავართვანი. ჰაშტანჯის გავარი მდებარეობდა მდინარე არაწანის მარჯვენა ნაპირას. აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ტურუბერანის ტარონის გავარი. ხოლო დასავლეთით მეოთხე სომხეთის გავარები ხორძენე და პალნატუნი. ჰაშტანჯის ერთი ნაწილი ეკუთვნოდა არშაკუნებს. გავარის ისტორიულ ადგილთაგან აღსანიშნავია კტრიკის ციხესიმაგრე.

163. ერიზა

დაბა-ქალაქი ეკელეაცის გავარში. ერიზა XI — XII საუკუნეებამდე დაბად იხსენიება, შემდეგში იგი ქალაქად იქცა. წარმართობის პერიოდში ერიზა სომხეთის ერთ-ერთ უმსხვილეს რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. აქ მდებარეობდა ანაპიტის ტაძარი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ აოხრდა ერიზაში არსებული ანაპიტის ტაძარი. მის ნაცვლად აქ ააგეს ქრისტიანული ეკლესიები, რომლებმაც მიისაკუთრეს ტაძრის მიწები, ქონება და განძი.

ცნობილია, რომ მონღოლთა ბატონობის პერიოდში სომხეთში მეურნეობისა და ეკონომიკის დაცემასთან ერთად საქალაქო ცხოვრებაც მოიშალა. მაგრამ იმავე დროს სავაჭრო ურთიერთობის წყალობით რიგმა ქალაქებმა მაინც შეინარჩუნეს თავისი სახე. მათ რიცხვში იყო აგრეთვე ერიზაც. მიუხედავად იმისა, რომ ერიზა XIII საუკუნის I ნახევარში ორჯერ აოხრდა (1224 და 1242 წწ.); მაინც ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად თემურლენგის ლაშქრობების წინა პერიოდში იგი ერთ-ერთ მდიდარ და კეთილმოწყობილ ქალაქს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო ალემბიცეობა, ხელოვნობა. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სომხები შეადგენდნენ.

თემურლენგმა თავის 1394 — 1395 წწ. ლაშქრობების დროს დაიპყრო და ააოხრა აგრეთვე ერიზა.

164. ელანცის ანუ ელნუტის ციხესიმაგრე

მდებარეობდა დიდ სომხეთში, ტარონის გავარში.

სოფელი კარინის გავარში.

166. კ ა მ ა ხ ი

იგივე დარანალის გავარი, მდებარეობდა შალაღმთიან სომხეთში, მდინარე ევფრატის იმ ნაწილში, სადაც მდინარე უხვევს სამხრეთისაკენ. სახელწოდებას „დარანალი“ უძველესი, წინასომხური წარმოშობა აქვს. დარანალის დიდი ნაწილი საეკლესიო მამულებს ეკირა. გავარის ისტორიულ-გეოგრაფიულ ადგილთაგან აღსანიშნავია სოფელი თორდანი და ციხესიმაგრე ანისი.

167. კ ო ლ ო ნ ი ა

ქალაქი მელიტენეს ჩრდილოეთ მხარეს, მდინარე ევფრატზე.

168. მ ო რ მ რ ე ა ნ ი

სოფელი ხორძეანის გავარში.

169. ს ა ნ ა ს უ ნ ა მ ი ს მ თ ა

იგივე სიმის მთა. იხ. შენიშვნა 139.

170. ი ა კ ო ბ ი

ჰარქის გავარის ეპისკოპოსი. თავდაპირველად ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი დაუკავშირდა თონდრაელებს. ეს ამბავი მისმა მეგობარმა ესაია კარინეციმ აცნობა სარგის კათალიკოსს. კათალიკოს სარგის სევანეციმ (992—1019 წწ.) შეიპყრო იგი, მაგრამ იაკობი გაიქცა კონსტანტინოპოლში, საიდანაც დაბრუნდა თონდრაკში. იქიდან გადავიდა ხლათში და ბოლოს მუჰარკინში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

171. ნ ი კ ე ა

ქალაქი მცირე აზიაში, ბითანიელთა დედაქალაქი. აქ 325 წელს 318 მღვდელმთავრის მონაწილეობით შედგა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. მან შეაჩვენა არიოსის მოძღვრება, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ღმრთობას.

ბერი კარინის გავარიდან. ესაია მეგობრობდა ჰარქის ეპისკოპოს იაკობთან და რა გაიგო იაკობის თონდრაკელბთან ურთიერთობისა და შემდეგ კონფლიქტის შესახებ, აცნობა სარგის კათალიკოსს, რომელმაც შეიპყრო იაკობი.

173. თ ო ნ დ რ ა კ ი

სოფელი, მდებარეობს ტურუბერანის ნაჰანგის აპაჰუნიქის გავარში. სოფელმა თონდრაკმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა IX — XI საუკუნეებში სოციალურ მოძრაობაში, რომელიც თონდრაკელთა მოძრაობის სახელწოდებითაა ცნობილი.

174. მ შ ჰ ა რ კ ი ნ ი

ქალაქი, აღძნიქის ნაჰანგის ნფრკერტის გავარში, თავდაპირველად მას ტიგრანაკერტი ერქვა, ტიგრან II-ის სახელთან დაკავშირებით. შემდგომში ტიგრანაკერტი სხვადასხვა სახელწოდებებს ატარებდა: მარტიროსუპოლისი, მარტირუპოლისი, ნფრკერტი და ბოლოს მუჰარკინი ან მიათარკინი.

175. კ შ ნ წ ი კ ი

ბერი, თონდრაკელთა მოძღვრების მქადაგებელი.

176. შ ი რ ნ ი

დაბა-ქალაქი, მდებარეობს მანანალის გავარში, XI საუკუნის დასაწყისში თონდრაკელთა მოძრაობის ცენტრი.

177. ჰ რ ა ნ შ შ ი

აზნაური ქალი შირნის დაბა-ქალაქიდან. იგი კუნწიკ ბერის მქადაგებით იზიარებდა თონდრაკელთა მოძღვრებას.

178. ა ხ ნ ი

აზნაური ქალი, ჰრანუშის თანამზრახველი (იხ. შენიშვნა 177), მქადაგებელი თონდრაკელთა მოძღვრებისა.

179. კ ა მ ა რ ა

აზნაური ქალი, და ახნისა (იხ. შენიშვნა 178.). კამარაც მქადაგებელი იყო თონდრაკელთა მოძღვრებისა.

მთავარი. თავის კუთვნილ მამულში მან განდევილთათვის ააშენა მონასტერი, სადაც თვითონაც დიდხანს იმყოფებოდა. შემდეგში იგი თონდრაკელი გახდა და თონდრაკელთა მონასტერი დააარსა.

181. ა ნ ლ რ ე ა ს ი

თონდრაკელი, ვირვერ მთავრის მიერ დაარსებული თონდრაკელთა მონასტრის წინამძღვარი.

182. კ ა შ ე

სოფელი მანანალის გავარში; თონდრაკელთა მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი XI საუკუნის I ნახევარში.

183. ა ლ ი შ ს ი

სოფელი მანანალის გავარში, თონდრაკელთა მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი XI საუკუნის I ნახევარში.

184. პ ა ო ნ რ ი ს მ თ ა

იწოდება გაილახაზუტად, მღებარეობს მანანალის გავარში.

185. ბ ა ზ მ ა ლ ბ ი შ რ ი

დაბა-სოფელი მანანალის გავარში, იგი ხაჩავანადაც იწოდებოდა. ბაზმალბიური XI საუკუნის დასაწყისში თონდრაკელთა მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა.

186. ჯ ე რ მ ა

დაბა-ქალაქი მანანალის გავარში. XI საუკუნის დასაწყისში თონდრაკელთა მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა.

187. ს ა მ შ ე ლ ი

სომეხი ეპისკოპოსი ეკელეაცის გავარისა. სამუელმა თონდრაკელებზე შურის საძიებლად, რომლებმაც დაანგრეს ბაზმალბიურის მონასტერი, დაანგრია მათი მონასტერი.

188. კ ო თ ე რ ი

დაბა-ქალაქი მანანალის გავარში, მდინარე ევფრატზე.

მდებარეობდა ტოსპის გავარში, ვანში. ვანის ციხესიმაგრე ჯერ კიდევ ურარტულ ხანაში ააშენეს ქალაქის გამაგრებისა და მისი უკეთ თავდაცვის მიზნით. ციხის ოთხივე მხარე გარშემორტყმულია ურარტული სააღმშენებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დიდი ზომის ქვებით. ვანის ციხესიმაგრემ დიდხანს შეინარჩუნა არსებობა. თომა არწრუნის თხზულებაში იგი ამრაკან ქარანძავად ან ზოგჯერ პირდაპირ ანძავად არის მოხსენებული.

190. რშტუნიქი

ვასპურაკანის ნაპანგის ერთ-ერთი გავართავანი. მთიანი ქვეყანაა, გადაჭიმულია ვანის ტბის სამხრეთ რაიონებში, ვანის ტბისა და სომხური ტავროსის შორის. რშტუნიქში შედის აღთამარის კუნძული, რომელიც მდებარეობს ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე. ქვეყნის დიდი ნაწილი ტყეებითაა დაფარული.

რშტუნიქი ტოსპთან ერთად ქმნიდა რშტუნიქის სანახარაროს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განსაკუთრებით VII საუკუნეში. IX საუკუნეში რშტუნიქის გავარი ვასპურაკანის მრავალრიცხოვან სხვა გავარებთან ერთად არწრუნთა სამეფომ დაიმორჩილა.

რშტუნიქში მრავალი მნიშვნელოვანი ადგილია აღსანიშნავი, შავალითად, ვოსტანი, ნარეკის მონასტერი, აღთამარი და სხვ.

АРИСТАКЭС ЛАСТИВЕРТЦИ ИСТОРИЯ

Резюме

Сочинение армянского историка XI века Аристакаэса Ластивертци, охватывающее историю Армении и сопредельных с нею стран с 1001 по 1072 г. своею содержательностью, достоверностью и подлинной художественностью является одним из лучших памятников древнеармянской исторической письменности.

«История» Аристакаэса Ластивертци своим интересным и многообразным историческим материалом давно привлекла внимание разных ученых уже в конце XVIII в. Упомянутый труд еще в рукописном виде был широко использован М. Чамчяном в своей книге «История Армении».

Труд Аристакаэса Ластивертци впервые был опубликован в Венеции в 1844 г. Последующие издания — венецианское 1901 г. и Тифлисское 1912 г. В 1864 г. был издан французский перевод «Истории», а в 1893 году — новоармянский перевод. В 1963 году вышел в свет критический древнеармянский текст сочинения Аристакаэса, подготовленный К. Юзбашьяном, а в 1968 году — его же русский перевод. В 1971 году был издан новоармянский перевод «Историч». В 1973 году опубликовали французский перевод, выполненный с русского перевода.

